

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული
ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური
განვითარების ცენტრი

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ირმა ტალახაძე

ვაჰანის ქვაბთა განგება

ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი
გამოკვლევა



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2009

ნაშრომში წარმოდგენილია საეკლესიო-საკორპორაციო სამართლის უნიკალური ძეგლის ისტორიულ-წყარომცოდნეობითი ანალიზი. წიგნი განკუთვნილია სპეციალისტ-ისტორიკოსებისა და სამართალმცოდნეთათვის, ასევე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის.

რედაქტორები:

ვალერი სილოგავა,
დოქტორი, პროფესორი

ვალერი ვაშაკიძე,
დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები:

მ. სანაძე,
დოქტორი, პროფესორი

თ. ბერაძე,
დოქტორი, პროფესორი

© ი. ტალახაძე, 2009

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-579-9

წინასიტყვაობა

ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლა. საგრძნობია დაინტერესება საეკლესიო ისტორიის, როგორც ზოგადთეორიული და სპეციფიური საკითხების, ასევე კერძო, კონკრეტული ხასიათის პრობლემათა მიმართ.

მართალია, უკვე დადგა დრო განმაზოგადებელ, თეორიულ-ისტორიოსოფიულ ნაშრომთა შექმნისა საერო და საეკლესიო ისტორიის სფეროში, მაგრამ კონკრეტულ-წყაროთმცოდნეობითი სამუშაოები სრულიადაც არაა დასრულებული, მით უფრო ეს ითქმის საეკლესიო-სამონასტრო ისტორიის შესახებ.

საეკლესიო თხზულებათა თუ იურიდიულ დოკუმენტთა წყაროთმცოდნეობითი შესწავლა მრავალ, ჯერ კიდევ უცნობსა თუ სათანადოდ გაუაზრებელ მომენტს მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას. ამ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, ნამდვილად ღირს წინამორბედ ისტორიკოსთა ღირსეული ტრადიციების გაგრძელება.

მონოგრაფია ქართული სამონასტრო კორპორაციული სამართლის ერთ-ერთი უნიკალური ძეგლის, ვანის ქვაბთა მონასტრის ტიპიკონის ანუ „ვაჰანის ქვაბთა განგების“ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით ანალიზს ეძღვნება.

„ვაჰანის ქვაბთა განგება“ ჩვენამდე შედარებით სრული სახით მოღწეული ერთადერთი ნიმუშია საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამონასტრო ტიპიკონისა. ასეთი „განგებანი“ საქართველოში, ეჭვს გარეშეა, ბევრი უნდა ყოფილიყო. ძეგლი (ტიქსტი მინანერებთან ერთად) მრავალ საინტერესო საკითხს აღძრავს. ეს გარემოება მის უნიკალურობას განსაკუთრებით ზრდის. მართალია, „ვაჰანის ქვაბთა განგება“ მესხეთის ვანის ქვაბთა მონასტრის ტიპიკონია, მაგრამ ვფიქრობთ, ბევრი მისი მონაცემი განმაზოგადებელ დასკვნათა საშუალებას იძლევა. ამიტომ შევეცადეთ „ვაჰანის ქვაბთა განგება“ წარმოგვედგინა ზოგადად საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალ მონასტერთა ტიპიკონის ნიმუშად. ნაშრომში გატარებულია პარალელები საზღვარგარეთული ქართული მონასტრების წესებსა და ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში შემორჩენილ სამონასტრო ტრადიციებთან, „დიდი სჯულისკანონის“ შესაბამის ნორმატიულ აქტებთან და სხვა.

მონოგრაფიაში საეკლესიო ისტორიით დაინტერესებული მკითხველი მრავალ საინტერესო საკითხს მიადევნებს თვალს. წიგნი შეიძლება გამოყენებულ იქნას უმაღლეს სასწავლებელში სალექციო და სასემინარო კურსების, საქართველოს საეკლესიო ისტორიის ლექციური სპეცკურსის მასალად, აგრეთვე მნიშვნელოვანი იქნება იგი, როგორც დამხმარე ლიტერატურა საეკლესიო ისტორიისა თუ საეკლესიო-კორპორაციული სამართლის შემდგომი გაღრმავებული კვლევისათვის.

გამოკვლევას თან ახლავს ტიპიკონის სრული ტექსტი დაწართის სახით, ვანის ქვაბების მიდამოების სიტუაციური რუკა, დამაკონკრეტებელი ცხრილები თვალსაჩინოებისათვის და საკუთარ სახელთა საძიებლები.

დასასრულ, მადლობა მინდა მოვახსენო ჩემს ყველა მეგობარსა და კოლეგას, რომელთა დახმარების გარეშეც ეს წიგნი ვერ დაიბეჭდებოდა. დიდი სამსახური გაგვინია იმ შენიშვნებმა, რომელიც ხელნაწერის გაცნობისას გამოთქვეს წიგნის რედაქტორებმა: პროფ. ვ. ვაშაქიძემ და პროფ. ვ. სილოგავამ. მადლობას მოვახსენებ წიგნის რეცენზენტებს, პროფ. მ. სანაძესა და თ. ბერაძეს, რომლებმაც გამონახეს დრო ნაშრომის რეცენზირებისათვის. მეტად ფასეული დახმარება გაგვინიეს ახალციხის ინსტიტუტის პროფესორებმა: დ. მიქელაძემ და რ. კორშიამ, ასევე ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელმა ლ. ივანიანმა.

წიგნის კომპიუტერულ მომზადებაში გულისხმიერება და დიდი შრომა ჩადეს ი. ტალახაძემ და ლ. ბოჭორიშვილმა.

ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო მეუღლის, გურამ კუტალაძის პროფესიული რჩევები და მორალური მხარდაჭერა.

დაბოლოს, მონინებითა და განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნავ ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსის მეუფე სტიფანეს (კალაიჯიშვილი) მიერ წიგნის გამოცემისათვის გაწეულ ღვაწლს.

ირმა ტალახაძე

შესავალი

მონასტერი (მონასტერიონ) ბერძნული სიტყვაა და განდეგილის სენაკს აღნიშნავს. დასაბამი განვითარებული სამონასტრო ცხოვრებისა, რომელიც, მოგვიანებით, საკმაოდ მსხვილი ორგანიზაციული სტრუქტურის მიკროსამყაროდ გარდაისახა, სწორედ განდეგილობა-მეუდაბნოეობიდან იღებს სათავეს. „უკუნისათვის ჟამთა დაბადნა (მონასტრები) მონასტერთა სამკვიდრებელად და ყოველთა ქრისტიანეთა შესავედრებლად ორკერძოვე“; მიზანი – „უმანკოების“ ვნებათაგან დაცვა, ვნებულთა სინანულითა და სასჯელით კურნება, შევედრებულის ღვთის „შვილად“ შევრდომებაში ისახება.

მონასტერი საერთო წესებით მცხოვრებ ადამიანთა რელიგიური თემია, მიკროსაზოგადოება, რომელიც ბუდისტურ და ქრისტიანულ რელიგიაში ყალიბდებოდა. ქრისტიანობაში ცნობილია მამათა და დედათა მონასტრები. უძველესი მონასტერი წარმოიქმნა ინდოეთში ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში. პირველი ქრისტიანული მონასტერი ჩამოყალიბდა IV საუკუნეში ტაბენისში (ეგვიპტე). IV-V სს-ში ქრისტიანული მონასტრები გაჩნდა პალესტინასა და სირიაში, შემდგომ ხმელთაშუაზღვისპირეთში, გალიასა და ირლანდიაში.¹

სამონასტრო ცხოვრება ბიზანტიაში განსაზღვრული და რეგლამენტირებული იყო ბასილი დიდის წესდებით (IV ს.), უფრო გვიან კი კონსტანტინოპოლის სტუდიტეს მონასტრის წესდებით (IX ს.). დასავლეთ ევროპაში სარგებლობდნენ ბენედიქტე ნურსიელის (ბენედიქტელების ორდენის დამაარსებელი) წესდებით. ორგანიზაციულად კათოლიკურ მონასტერს სათავეში ედგა აბატი, მართლმადიდებლურს – ილუმენი. ეკონომიკურად მონასტერი წარმოადგენდა დამოუკიდებელ სამეურნეო ორგანიზმს, რომლის საქმიანობის ორგანიზებაში თითოეულს საკუთარი წვლილი შეჰქონდა.²

ბიზანტიის საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრება თითქმის დაწვრილებითაა შესწავლილი; გამოკვლეულია, ზოგადად,

¹ ბ. ლომინაძე, მონასტერი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, თბ., 1984, გვ. 92.

² იქვე.

ბიზანტიური მონასტრის ტიპოლოგიის, სამონასტრო მინის-მფლობელობის, მონასტრისა და საერო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების, სამონასტრო ყმა-გლეხობასთან, როგორც სამონასტრო საკუთრებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები და სხვ. მონასტრის შიდაორგანიზაციულ მოწყობას, სამონასტრო იერარქიას, უფლება-მოვალეობებს, მონასტრის ეთიკურ და რელიგიურ იდეალებსაც არაერთი მკვლევარი შეხებია.

სამონასტრო ძმობა მცირე სოციალური ჯგუფია. იგი თავისი არსით წარმოგვიდგება, როგორც განსაკუთრებული ტიპის მიკროსტრუქტურა, ხელოვნურად შექმნილი ერთობა. ბიზანტიური მონაზვნობის სოციოლოგიის მკვლევარი დ. სავრამისი მონასტერსა და ოჯახს ერთიერთმანეთს ადარებდა და იქვე მიუთითებდა მათ შორის არსებულ მსგავსებასა და განსხვავებაზე.¹ მისი აზრით, განსხვავება ძირითადად ორ პუნქტში აისახება: 1) ოჯახი დაფუძნებულია სისხლით ნათესაობაზე მაშინ, როდესაც მონასტერი „კავშირის სოციალური კატეგორიაა“, 2) ოჯახის წევრი იმავდროულად საზოგადოების წევრიცაა მაშინ, როცა სამონაზვნო ერთობა (ბერ-მონაზვნობა) ჩაკეტილია და გამოცალკევებული „სამყაროსაგან“.²

დ. სავრამისის კონცეფციებს გარკვეულწილად ეწინააღმდეგება და აკრიტიკებს ცნობილი ბიზანტინოლოგი ა. კაჟდანი.

ოჯახი დაფუძნებულია სისხლით ნათესაობაზე, ამ შემთხვევაში ის უკვე წარმოადგენს საოჯახო მეურნეობას – მიკროსტრუქტურას, რომელიც სცილდება სისხლით ნათესაობითი კავშირების ფარგლებს. აღნიშნული კრიტერიუმები ვერ განსაზღვრავს სამონასტრო ერთობის სპეციფიკას, რაც შეეხება მეორე თეზას – საზოგადოებისაგან, გარე სამყაროსაგან მონასტრის, ბერ-მონაზონთა იზოლირებულობა – ის უფრო იდეაშია სრულყოფილი, ვიდრე რეალურ, პრაქტიკულ

¹ D. Savramis, Zur soziologie des bysanischen Mönchtums, Leiden, Köln, 1962, გვ. 16.

² იქვე.

³ А. П. Каждан, Византийский монастырь XI-XII вв., как социальная группа, Византийский временник, 31, Москва, 1971.

ცხოვრებაში. საქმე ისაა, რომ მონასტრის ფუნქციონირება განისაზღვრებოდა არა მხოლოდ სოციალური და ეკონომიკური სტიმულებით, არამედ ძირითადად რელიგიური იმპულსებით და მოთხოვნილებებით.¹

ბიზანტიის საეკლესიო ცხოვრებაში ფართო გავრცელება ჰპოვა ე.წ. „საქალაქო მონასტრის“ ტიპმა, რაც ადრებიზანტიური სასოფლო მონასტრისაგან მომდინარეობდა. მონაზვნობითი მოძრაობის თავდაპირველი ცენტრები ეგვიპტის, სირიის, პალესტინის, კაბადოკიის უდაბნო, კაცთაგან უვალი და ულახი ადგილები იყო. კონსტანტინოპოლში სამონასტრო ცხოვრების ჩამოყალიბება კი მოგვიანო ხანას უკავშირდება. VIII ს. ბოლოდან დაწინაურებულ სატახტო მონაზვნობას X საუკუნიდან კვლავ ენაცვლება სასოფლო მონასტრების აღმავლობა, პირველ რიგში, ათონისა. ახალი მონასტრები ძირეულად სხვაობდნენ წინამორბედთაგან. თავის დასარჩენად ფიზიკური შრომა-გარჯის თითქმის სავალდებულო პრინციპი მესაკუთრეობამ და შემოწირულობებმა დაჩრდილა.²

ქალაქის მონასტრებს გარშემორტყმული კედლები ყოფდა საქალაქო ცხოვრებისაგან, რომელში გარეეცა ბერ-მონაზონს სასტიკად ეკრძალებოდა (მონასტრის კარიბჭეს საამისოდ საგანგებო მცველები იცავდნენ). ასეთი გამოცალკევება, როგორც ა. კაჟდანი მიიჩნევს, სინამდვილეში იდეალსდა თუ ასახოვნებდა, რეალურად კი სასულიერო პირნი აქტიურად მონაწილეობდნენ წუთისოფლის ორომტრიალში, არცთუ იშვიათად, ტონს აძლევენ პოლიტიკურ ცხოვრებას. ასეთივე აქტივობით გამოირჩეოდნენ ეკონომიკურ სფეროშიც, მნიშვნელოვან წილს იღებდნენ საბაზრო ურთიერთობებში. ამავე დროს, თითქმის მთლიანად მათს საგამგიოში შედიოდა საზოგადოებრივი ქველმოქმედება – ავადმყოფთა, ხეიბართა, ლატაკთა მოვლა- განკითხვა და, არცთუ იშვიათად, საგანმანათლებლო საქმიანობაც კი. ეს და მსგავსი აქტივობები თავისდაუნებურად არღვევდა ჩაკეტილობის სამონასტრო იდეალს. სამღვდელთა და ერისკაცთა გახშირებული კონტაქტები ემუქრებოდა მონასტრის შიდა მყუდროებას, შინაგანანჯესს.

¹ А. П. Каждан, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

² იქვე, გვ. 50, VII შენიშვნა.

ბოლოს კერძო (ქტიტორული) მონასტრებიც გაჩნდა. „მათი გადაცემა იმპერატორებისა და პატრიარქებისაგან წმიდა პირებზე – ხარისტიკარიებზე – მიზნად ისახავდა ისევ და ისევ ჩაკეტილობის შენარჩუნებას, ვინაიდან ქტიტორი არა მხოლოდ ხელმძღვანელობდა მონასტრის მეურნეობას და მის შემოსავალ-გასავლებს, არამედ საშინაო საქმეებშიც ერეოდა, მონაწილეობას იღებდა ახალი მონაზვნების მიღების საქმეში, დისციპლინის საკითხებსაც წყვეტდა“.¹

ბიზანტიური მონასტერი არ გამოირჩეოდა გრანდიოზულობით. აქ არ იყო ბერ-მონაზონთა მრავალრიცხოვნობა. XI-XII სს. სამონასტრო ტიპიკონების სპეციალისტის ჟანენის მითითებით, მაშინდელ მონასტერში ძმათა რიცხოვნება 5, 10, 20, 51, 74, ზოგ შემთხვევაში 80 ნევრსაც მოითვლიდა.²

ბიზანტიურ მონასტერში ფიზიკური შრომა ძირითად ვალდებულებად რჩებოდა მაშინ, როცა დასავლეთში ჯერ კიდევ VIII-IX სს. მიჯნაზე ბენედიქტე ანიანელმა მონაზვნები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისაგან გაათავისუფლა. პეტრინონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი პირდაპირ მიუთითებს, რომ ბერმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა უგულვებელყოს ფიზიკური გარჯა. ერთ-ერთი ტიპიკონი ამ მხრივ მისაბძად „ეგვიპტელ მამათა“ მაგალითს უსახავს შემონაზვნებულთ და არსობის პურისა და სხვა ყველა სახსარის საკუთარი ძალით მომუშაყებას ურჩევს. ცხადია, მონასტერი არ არის მშრომელთა კომუნა, სასოფლო ერთობა³. მისი იდეა, უზენაესი მიზანი ღვთისმსახურება და ღვთისშემეცნებაა; სანუთისოფლო მოსაქმეობა ამ იდეალის განხორციელების გზაა.

IV საუკუნიდან მოყოლებული, აღმოსავლეთის ეკლესიებში ბერ-მონაზვნობის ორი ტიპი განირჩევა: განდეგილობითი და სამონასტრო-კრებულობითი. განდეგილობის ტრადიციებს კელიოტები აგრძელებდნენ. XI-XII სს. მათი ყოფა საფუძვლიანად შეიცვალა. ვასილ კაბადოკიელის აზრი, რომ საერთო ცხოვრების წესი წარმოადგენს სამონასტრო ორგანიზაციის უმაღლეს ფორმას, განმტკიცდა: ათონზეც კი კელიო-

¹ А.П. Каждан, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

² იქვე, გვ. 52.

³ იქვე, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

ტებმა დაკარგეს ყოველგვარი დამოუკიდებლობა. ისინი მოექცნენ სამონასტრო ცხოვრების გავლენაში.

მონაზონობითი ცხოვრების ისტორიული განვითარების ტენდენციამ განამტკიცა კრებულობითი საწყისი, ორგანიზაციულად სუსტი კორპორაცია საზოგადოებრივ ურთიერთობაში რეალურ ძალად აქცია. მონაზვნობის „ოჯახურმა“ ფორმამ – კელიოტობამ უკანა მხარეს გადაინაცვლა.¹

მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ბიზანტიური სამონასტრო კორპორაცია პირობითობას არ იყო მოკლებული. მონასტრის საერთო ცხოვრების წესი უფრო იდეის სფეროში ტრიალებდა, რეალობაში ბოლომდე ვერ დამკვიდრდა. მას, ხ. ბეკის აზრით, ე. წ. „სამეურნეო პოლიტიკა“ განაპირობებდა; პოლიტიკა, რომელმაც დიდი მონასტერი სახელმწიფოს მატერიალურ ძალად გარდაქმნა.

„მონასტერი“ ბიზანტიაში განიხილებოდა, როგორც იდეალური ერთობა. ამ ერთობიდან მომდინარეობდა ბერ-მონაზონთა პრინციპული თანასწორობა. მართალია, იგი გაიაზრებოდა როგორც ჩაკეტილი კორპორაცია, თანასწორობის საფუძველზე აღმოცენებული იდეალური ერთობა, მაგრამ ამსოფლიური წესრიგი, მკაცრი რეალობა ძმობის შიგნით გარკვეულ გრადაციებს იწვევდა. ამოქმედდა ბერ-მონაზონთა გამიჯვნის გარკვეული პრინციპი. სასულიერო საქმიანობაში ღირსების ხარისხი იერარქიულ კიბეს ქმნიდა. გამოიყვნენ საკმაოდ გავლენიანი პირები, მაგ.: ილუმენი (წინამძღვარი), იკონომოსი, კელარი და სხვ. სამონასტრო მეურნეობა ეფუძნებოდა მკაცრი ანგარიშსწორების პრინციპებს. ყოველი ქვემდგომი იერარქი ანგარიშვალდებული იყო მასზე მაღალ საფეხურზე მდგომის, საბოლოოდ კი – მონასტრის წინამძღვრის წინაშე.

უმალლესი ხელისუფლება მონასტერში ეკუთვნოდა ილუმენს, მისი დადგენილება ღვთიური კანონის ტოლფასი იყო. ყველა ძირითად საკითხს მონასტერში ის იხილავდა, დასასჯელებს სჯიდა. წინამძღვარი ნიშნავდა ყველა თანამდებობის პირს, აკონტროლებდა მათს საქმიანობას. მონასტრის ძმობას არ ჰქონდა უფლება წინამძღვრის დადანიშნულებისა, თუ საქმე მის მიერ ღვთიური იდეალის აშკარა, დაუფარავ

¹ А.П. Каждан, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

ღალატს არ ეხებოდა: თუ მოძღვარი არის „მგელი“ და არა „მწყემსი კეთილი“, ის პასუხს აგებს უმაღლესი საშინელი სამსჯავროს წინაშე (перед страшным судом).¹

ილუმენის მონარქიული თვითმმართველობა, მისი, ასე ვთქვათ, აბსოლუტიზმი, მაინც შეზღუდული იყო. მას არ ჰქონდა უფლება მონასტერში გაბატონებული ტრადიციების დარღვევისა. ასე, რომ ილუმენის თეორიული ძალაუფლება შეხამებული იყო ძმობის წინაშე პასუხისმგებლობასთან ადმინისტრაციული მოწყობის ცნობილი „დემოკრატიზაციის“ პრინციპით.

დასავლეთში აბატს მონასტრის ძმობა ირჩევდა ან ერთსულოვნებით, ან ხმათა უმრავლესობით, ანდა ამომრჩეველთა კოლეგიის მეშვეობით. ეს უკანასკნელი – წარმომადგენლობითი სისტემა – ბიზანტიური მონასტრისათვის ცნობილი არ იყო. აქ უფრო იკვეთებოდა დანიშვნის მონარქიული მეთოდი – თანამდებობაზე ავტორიტარული დანიშვნა, შეთავსება და „ღვთივრჩეულობა“. ზოგ მონასტერში არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ ხანდაზმული ბერ-მონაზვნები.

„ბიზანტიის მონასტრები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დასავლეთეუროპული მონასტრისაგან.

ეს განსხვავება განპირობებული იყო ბიზანტიის განვითარების თავისებურებით და იმ ფაქტით, რომ მონასტრის საქმიანობას აკონტროლებდა სახელმწიფო ხელისუფლება.

მონასტრების ბაზაზე შეიქმნა მონაზვნური ორდენები, ზოგი მონასტერი გაერთიანდა კონგრეგაციაში“.²

XI-XII სს. დასავლეთში იყო პერიოდი სამონასტრო კონგრეგაციებისა და ორდენების დაარსებისა. ერთ ორდენში ან კონგრეგაციაში მონასტერთა გარკვეული რაოდენობა ერთიანდება. „XII-XIII სს. სასულიერო-სარაინდო ორდენების შექმნასთან და ჯვაროსნულ ომებთან დაკავშირებით მონასტერს ახალი ფუნქციები დაეკისრა; ისინი ხსნიდნენ ლაზარეთებს დაჭრილთათვის, გამოისყიდდნენ ტყვედ ჩავარდნილ რაინდებს. მონასტრები თავიანთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვალეობად მიიჩნევდნენ ბრძოლას სახელმწიფოს ერეტი-

¹ А. П. Каждан, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

² ბ. ლომინაძე, მონასტერი, გვ. 92.

კულ მოძრაობასთან. ისინი იყვნენ პაპობის დასაყრდენი ევროპაში პოლიტიკური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში“.¹

კონგრეგაციები და ორდენები ბიზანტიაში არ ჩამოყალიბებულა. აქ მონასტერთაშორისი ურთიერთობები ან ინდივიდუალურ, ან ტერიტორიულ ხასიათს ატარებდა. ინდივიდუალურია, როცა არსებობს ორ მონასტერს შორის კონკრეტული კავშირი დაფუძნებული გარკვეულ შეთანხმებაზე. მონასტერთა ტერიტორიულ გაერთიანებათაგან („კონფედერაცია“) ბიზანტიაში, პირველ რიგში, ათონის მთა უნდა აღინიშნოს. ათონის მონასტრებს ჰქონდათ მატერიალური ერთიანობის ელემენტები, რომელიც ემსგავსებოდა სასოფლო ერთობის კოლექტიურ საკუთრებას. მაგალითად:საერთო მიწამაშული გასხვისების უფლებით და სხვ. ათონის ძირითადი მონასტრები ავტონომიის უფლებებით სარგებლობდნენ და ბუნებრივია, საკუთარი ტიპიკონები გააჩნდათ.

სამონასტრო დადგენილებებსა და წყალობის სიგელებში სისტემატიურად ხაზგასმულია მათი თავისუფლება და თვითმმართველობა, სამეფო და საეკლესიო ძალაუფლებისაგან დამოუკიდებლობა. ეს ფორმულები განიხილება, როგორც დადასტურება ნამდვილი თავისუფლებისა, მონასტერთა დამოუკიდებლობისა და მათი ეკონომიური ავტონომიისა მაშინ, როცა, სინამდვილეში, თავისუფლება და ავტონომია მნიშვნელოვნად იზღუდებოდა.²

თავისუფალი მონასტრები ბიზანტიაში ექვემდებარებოდა ადგილობრივი ეპისკოპოსის ინვესტიტიურას, რომელიც მათ მცირეოდენ გადასახადს ახდევინებდა. XI-XII სს. მონასტრებს სასამართლო იმუნიტეტი არ გააჩნდა.

თეორიულად მონასტრის საკუთრება ხელშეუხებლად ითვლებოდა, მაგრამ იმპერატორის ხელისუფლებას უფლება ჰქონდა სამონასტრო მფლობელობის კონფისკაციისა. ამ დროს საქართველოს ეკლესიაზეც მეფის ძალაუფლება ვრცელდება და ეს ხდება მაშინ, როდესაც „დასავლეთ ევრო-

¹ ბ. ლომინაძე, მონასტერი, გვ. 92.

² А. П. Каждан, . დასახ. ნაშრ., გვ. 68.

პაში ეკლესიის პოლიტიკური დიქტატი ჯერ კიდევ დამახასიათებელ მიმართულებად რჩებოდა“.¹

ეკონომიურ ურთიერთობებშიც ბიზანტიური მონასტერი არ იყო დამოუკიდებელი, რითაც ძირეულად განსხვავდებოდა დასავლეთის სააბატოსაგან. დასავლეთ ევროპაში მონასტრები ჯერ კიდევ IX ს. იქცნენ მსხვილ მესაკუთრებად. ისინი ძირითადად თავიანთი მიწების შემოსავლებსა და ქრისტიანული (საეკლესიო) რენტის საფუძველზე ცხოვრობდნენ. რაც შეეხება ბიზანტიის მონასტრებს, XI-XII საუკუნეებშიც კი წმინდა სამამულო შემოსავლები მათი არსებობის მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა. მაგ., მელეტიის დაარსებული სიმფულონის მონასტერს საერთოდ არ გააჩნდა მიწები გარდა ბოსტნებისა და იგი თავს ინახავდა მხოლოდ შემონირულობათა ნიადაგზე. მრავალი მონასტერი პროდუქტსა და ფულს ხაზინიდან იღებდა.²

ასე რომ, ბიზანტიური მონასტერი წარმოგვიდგება, როგორც რთული წინააღმდეგობრივი სოციალური ორგანიზმი. როგორც იდეალური რელიგიური ინსტიტუტი, ის გაიაზრებოდა დამოუკიდებელ წმინდა ერთობად, მაგრამ ამავე დროს ჩანს სამონასტრო კორპორაციის შედარებითი სისუსტეც: პატარა მონასტერთა სიმრავლე ბიზანტიურ მონასტერს აძლევდა არა კორპორაციის, არამედ ოჯახის იერსახეს, ორდენტა არარსებობა და მონასტერთაშორისი კავშირების შეზღუდულობა აძლიერებდა სავანის ინდივიდუალიზმს. ინდივიდუალიზმი, რომელიც სიმეონ ბოგოსლოვის მსოფლმხედველობრივ იდეოლოგიაში ვლინდება, ცნობილ დასაბუთებას პოულობს XI ს. ბიზანტიური მონასტრის, როგორც მიკროსტრუქტურის, ხასიათში.³ ინდივიდუალიზმით გამოირჩევა არა მხოლოდ მონასტერი ბიზანტიაში. აქ სასოფლო ერთობაც, სახელოსნო კორპორაციაც და საქალაქო „კომუნაც“ ბევრად უფრო „ფხვიერია“, ვიდრე დასავლეთში. ინდივიდუალიზმისაკენ სწრაფვის ტენდენცია ბიზანტიურ მონას-

¹ ბ. ლომინაძე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII-XII საუკუნეების საქართველოში. იხ. წგნ. საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ., 1966, გვ. 85.

² А. П. Каждан, , დასახ. ნაშრ., გვ. 69.

³ იქვე, გვ. 70.

ტერში შეხამებული იყო სახელმწიფოზე ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ დაქვემდებარებასთან.

მონასტრის ეს ორგვარი ხასიათი (ინდივიდუალიზმი და გარე ძალაზე – სახელმწიფოზე დაქვემდებარება) გამოხატულებას პოულობს ადმინისტრაციული მოწყობის ორგვარობაშიც: დემოკრატიული პრინციპები ბიზანტიურ მონასტერში შეხამებული იყო მონასტრის შიგნით ნინამძღვრის მონარქიულ ხელისუფლებასთან.¹ რაც შეეხება დასავლეთის ეკლესიას, ის შედარებით ძლიერი იყო. „მისი დამოუკიდებლობა პოლიტიკურად და ეკონომიურად გაცილებით ღრმა იყო, ვიდრე საქართველოში (და საერთოდ, ქრისტიანულ აღმოსავლეთში – ი. ტ.). ამიტომაცაა, რომ დასავლურ თეორიაში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება უფრო მეტადაა გათიშული, ვიდრე ქართულ თეორიაში“.²

ბიზანტინოლოგ ა. კაუდანის გამოკვლევა ბიზანტიური მონასტრის სოციალური მხარის შესახებ მეტად ფასეულია. იგი, ზოგადად, აღმოსავლურ ქრისტიანულ მონასტერსაც ახასიათებს. რა თქმა უნდა, ყოველ ქვეყანას, ყოველ მხარეს, ყოველ მონასტერს მისთვის დამახასიათებელი ადგილობრივი, ტრადიციული ნიშან-თვისებებიც აქვს, მაგრამ ზოგადი პრინციპები მონასტრის ხასიათში, ორგანიზაციულ მოწყობაში მაინც საერთოა.



ქართული მონასტერი ბიზანტიური მონასტრის ტიპიურია, მეუდაბნოეობის ხანიდან მოყოლებული, მანაც განვითარების გარკვეული საფეხურები განვლო.

ისტორიკოს ჯუანშერის ცნობით, ჯერ კიდევ V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის ინიციატივით, ორი მონასტერი დაარსდა კლარჯეთში. იგი საბერძნეთის მონასტრების ტიპისა ყოფილა. ფართო სამონასტრო მშენებლობა კი უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოში სირიელი მამების მოსვლას, რომელთა მოღვაწეობის მიზანი ქრისტიანული რელიგიის დაცვა-განმტკიცება იყო. მათი საქართველოში დავანება და

¹ А. П. Каждан, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

² ბ. ლომინაძე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII-XII სს. საქართველოში, გვ. 77.

რელიგიური იდეალის განმტკიცებისათვის განეული ღვაწლი ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯეროვნადაა შესწავლილი.

აღმოსავლეთ საქართველოში ასურელმა მამებმა დაამკვიდრეს სამონასტერო ცხოვრება, გაავრცელეს და განამტკიცეს ქრისტიანობა ქართულ წარმართ მოსახლეობასა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში. მათი საქმიანობა ხელს უწყობდა ქართული ფეოდალურ-ქრისტიანული კულტურის გავრცელება-განმტკიცებას, ნიადაგს უმზადებდა გამათავისუფლებელ ბრძოლებს ირანის წინააღმდეგ, განამტკიცებდა ბერძნულ-ბიზანტიურ ორიენტაციას კულტურულ-პოლიტიკურ სფეროში. დიდი იყო ასურელ მამათა მოღვაწეობის სოციალ-ეკონომიკური შედეგიც. მათ მიერ დაარსებულმა სამონასტრო ცენტრებმა ხელი შეუწყო უდაბურ-უკაცრიელი ადგილების სამეურნეო ათვისებას. ამავე დროს ეს სავანეები ქართული მნიგნობრობისა და განათლების ცენტრებად იქცა.

ასურელმა მამებმა და მათმა მოწაფეებმა დააარსეს დავითგარეჯის, დოდორქის, იოანე ნათლისმცემლის, ზედაზნის, შიომღვიმის, მარტყოფის, ალავერდის, სტეფანწმინდის, ბრეთის, ხირსის, სამთავისის, ულუმბოს, იყალთოს და სხვა მონასტრები.

IX-X სს. დიდი სამონასტრო მშენებლობა გაჩაღდა კლარჯეთში, ტაოსა და ქართლში. მისი მოთავე და ინიციატორი იყო გრიგოლ ხანძთელი – „კლარჯეთის საარქიმანდრიტოს“ პირველი არქიმანდრიტი. ტაო-კლარჯეთსა და სამცხეში აშენდა ზარზმის, ხანძთის, შატბერდის, კვირიკენმინდის, წყაროსთავის, ბრეთის, გუნათლეს, მერეს, ძველი ოპიზის, მიძნაძორისა და სხვა მონასტრები. აღნიშნული ჩამონათვალი მოწმობს ამ მხარეში წარმოებული მშენებლობის გრანდიოზულობას.

გრიგოლ ხანძთელის მოწაფეების ხელი დასავლეთ საქართველოსაც გადასწვდა; ხანძთელმა ბერებმა იქ IX ს. ააშენეს მონასტერი „უბჭ“ (უბისა).

მონასტრები გვიანი ფეოდალიზმის ხანაშიც შენდებოდა, არსდებოდა მეფეთა სალოცავები და საძვალე მონასტრები, აგრეთვე დიდი ფეოდალური საგვარეულოს საძვალე-სალოცავები. ზოგ შემთხვევაში მმართველი ზედა ფენის წარმო-

მადგენლები უკვე მოქმედ მონასტრებს აქცევდნენ თავიანთ საკუთრებად.

ქართულ წყაროებში დასახელებულია სხვადასხვა პერიოდში მოქმედი ასამდე მონასტერი.¹ ეს საკმაოდ დიდი ციფრია. არსებობდა დიდი და პატარა მონასტრები.

ძველ ქართულ სამონასტრო სამონაზვნო მოძრაობაში ორი მიმართულება შეიძლება გამოიყოს, რომელიც ქრონოლოგიურად იმიჯნება.

სირიელი მამები მკაცრი ასკეტიზმის მიმდევრები იყვნენ. ისინი ირჩევდნენ ისეთ ბუნებრივ გარემოს, სადაც მეტი პირობა იქნებოდა თავშეკავებული, მშვიდი ცხოვრებისათვის, ბუნება მისცემდა მათ როგორც მზა ბინას, ისე მზა საზრდოს და მათი მოთხოვნილებანი ადგილობრივი გარემოს მწირი შესაძლებლობით იქნებოდა შეზღუდული. ეს მამები ღრმა რელიგიური ეგზალტაციით ხასიათდებოდნენ. მათი მრწამსი, რომელსაც უკიდურესი ასკეტიზმი ახასიათებდა, საქართველოში ვერ გავრცელდა და ასურელ მამათა ინდივიდუალურ თვისებად დარჩა.

„მონაზვნობის ასეთმა წესმა, რომელმაც აღმოსავლეთში თავის დროზე სხვადასხვა ფორმა წარმოშვა შესაბამისი ტიპის მონასტრებით, საქართველოში ვერ მოიკიდა ფეხი. მას მისდევდნენ მხოლოდ სირიელი მამები, ან მათი გავლენით — ზოგიერთი სასულიერო პირი, სოციალურად საქართველო ვერ შეითვისებდა აღმოსავლურ ასკეტიზმს, როგორც მიმართულებას, რომელიც ქრისტიანულ აღმოსავლეთში თავის დროზე სულ სხვა საზოგადოებრივი წყობის გამოხატულება იყო.

ქართული სამონაზვნო მიმართულება ზომიერებით გამოირჩეოდა და წააგავდა ბერძნულს. მისი მიმდევრები: გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი და სხვ. საგანგებოდ არჩევდნენ სამონასტროდ ლალ, მდიდარ ბუნებას, ჯანსაღ კლიმატს, მარგებელ წყალს, რათა „უხვი“ და „უზრუნველი“ ყოფილიყო მათი ცხოვრება“.²

აიგებოდა თუ არა მონასტერი და იქ ძმობა შეიკრიბებოდა, ის უკვე გარკვეულ სოციალურ ორგანიზმად იქცეოდა,

¹ ბ. ლომინაძე, მონასტერი, გვ. 92.

² იქვე.

რომელსაც უნდა მოენესრიგებინა ყოველგვარი ურთიერთობა, როგორც შიგნით, მონასტრის ძმებს შორის, ასევე გარე სამყაროსთანაც. გარე სამყაროს კი პირველ რიგში ცენტრალური ხელისუფლება, ადგილობრივი მმართველობა, ქართული ეკლესია ზოგადად (კერძოდ – საკათალიკოსო) და ყმა-გლეხობა წარმოადგენდა. ურთიერთობები ყოველ აღნიშნულ სუბიექტთან სტაბილური და ნორმალურ საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცეული უნდა ყოფილიყო, რაც საკმაოდ რთულსა და სისტემატური ხასიათის მუშაობას საჭიროებდა. ყველა ამ ურთიერთობას მონასტერში დამკვიდრებული ნეს-განგება ანესრიგებდა. ეკლესიასა და მეფეს შორის დამოკიდებულებას განსხვავებული ხასიათი ჰქონდა სხვადასხვა ეპოქაში.¹ სახელმწიფო და ეკლესია თანაარსებობენ საქართველოში, ერთიმეორეს აძლიერებენ, სახელმწიფოებრივი სისუსტის ჟამს ეკლესია გამოდის გამაერთიანებლის, „შემდუღაბებლის“ როლში. ეკლესია დიდი ძალაა. „მსოფლიოთა

¹ ბ. ლომინაძე ამ დამოკიდებულების გარკვეულ ეტაპებს გამოყოფს თავის ნაშრომში „სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII-XII სს. საქართველოში“ (იბ. ნგ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966) და მათ ქრონოლოგიურად ალაგებს:

1. IV საუკუნიდან მეფობის გაუქმებამდე, როდესაც ეკლესია დამორჩილებულ მდგომარეობაშია მეფის ხელისუფლებისადმი;

2. პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხანა (VI საუკუნიდან), როდესაც ქართლში მეფობა გაუქმდა და ერისმთავრობა დანესდა, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა ეკლესიის შემდგომი გაძლიერებისა და დამოუკიდებლობის გზაზე. სამეფო-სამთავროებად დანაწილებულ საქართველოში, როცა ქვეყანა მოკლებული იყო ერთ პოლიტიკურ ცენტრს, მცხეთის კათალიკოსი ადმინისტრაციული ქსელით ქვეყნის გამაერთიანებლის როლში გამოდიოდა. „ეკლესია ეკონომიურად ძლიერი იყო. ამ პერიოდის საეკლესიო ორგანიზაციამი ფეოდალური არისტოკრატია უკვე გაბატონებულია. კათალიკოსი და მისი ხელქვეითი ეპისკოპოსები საკუთარ საყმო-სამფლობელოებს ქმნიდნენ, რომელთაც მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ადმინისტრაციული და სასამართლო უფლებები მოეპოვებოდათ“ (გვ. 67);

3. ერთიანი ცენტრალიზებული მონარქიის პერიოდი.

ეკლესიის მოკავშირეობისათვის ბრძოლის პროცესში ცენტრალური ხელისუფლების მნიშვნელოვანი გამარჯვებაა პატრიარქობის დანესება (XI ს. 20-იანი წლები).

„მეფის უზენაესი ხელისუფლების შესახებ ქართული თეორიული თვალსაზრისი ძირითადად ბიზანტიური სისტემის ანალოგიურია, ქართველ მეფეს ყველა სფეროში, მათ შორის ეკლესიაშიც, უმაღლესი სუვერენული უფლება უნდა საჭიროდეს. ასეთი იყო ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ზოგადი თეორიული გადაწყვეტა საქართველოში“ (გვ. 83).

მათ წმიდათა არა უმრწემეს არიან წმინდანი იგი უდაბნოთა ეკლესიანი, საყდარნი ღმრთისა დიდებისანი...“¹

აქ არის საეკლესიო და საერო ხელისუფლების მოვალეობათა გაცვლა-შეზავება, რომელიც ორივეს თანაარსებობასა და საქიროებას ასაბუთებდა ადამიანთა „საბოლოო ხსნისათვის“.²



სამონასტრო ძმობის ყოველდღიურ ცხოვრებას, საეკლესიო-სასულიერო ნორმებს აწესებდა და აწესრიგებდა საგანგებოდ შედგენილი „ტიპიკონი“, რომელიც მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მიღებული ზოგადი წესდების ადგილობრივი რეალობით შევსებულსა და შეზავებულ ვარიანტს წარმოადგენდა. ტიპიკონს ადგენდა მონასტრის დამაარსებელი საეკლესიო მოღვაწე ან მისი პატრონი ფეოდალი.

ტიპიკონს ან წესდებას ძველად საქართველოში „წესი“, „განგებაჲ“ ან „წესი და განგებაჲ“ ეწოდებოდა.

ქრისტიანულ სამყაროში ყოველ დიდ მონასტერს ჰქონდა წესდება, სამონასტრო განგება, რომლის მეშვეობითაც წარმართებოდა შიდაორგანიზაციული მონყობა. ტიპიკონით განსაზღვრული იყო ამა თუ იმ საეკლესიო ორგანიზაციის საარსებო წყაროები, ურთიერთობა გარე სამყაროსთან, კერძოდ, მიმართება ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ადგილობრივ მმართველებთან და სხვ. ასეთი ტიპიკონები მრავლად გვხვდება ქრისტიანულ აღმოსავლეთში. აქ არსებობდა ქართული სავანეები, რომლებიც იმავდროულად კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებს წარმოადგენდა. ესენია: სინას მთა, პალესტინის ჯვრის მონასტერი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, შავი მთა ანტიოქიის მახლობლად (სირიაში), ათონის ივერთა მონასტერი ქალკედონის ნახევარკუნძულზე და მრავალი სხვა. ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მესვეურნი დიდ ყურადღებას აქცევდნენ საზღვარგა-

¹ გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნ. 1, თბ., 1963/64, გვ. 87.

² ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

რეთ სწავლა-განათლებისა და კულტურის ცენტრების დაფუძნება-გამრავლებას. ეს უზარმაზარი სამონასტრო კოლონიები საგანგებოდ შედგენილ წეს-განგებებს ემორჩილებოდა, რომელშიც განსაზღვრული იყო სამონასტრო ცხოვრების ყოველი წერილმანი. განგება და განწესებანი, საერთოდ, წერილობით იყო ხოლმე შედგენილი, მაგრამ შესაძლო იყო, მონასტერში საგანგებოდ შედგენილი ტიპიკონის მაგიერ რომელიმე სამაგალითოდ მიჩნეული წესების მიხედვით განეგოთ საქმეები.

„წესი და განგება“ ჰქონია საბანძინდის ლავრას, პალესტინის ჯვრის მონასტერს, პეტრიწონის მონასტერს. მაგალითად, ანონიმი ავტორი მოგვითხრობს, რომ პალესტინის ქართველთა ჯვრის მონასტერი ექვთიმე მთაწმიდელის ბრძანებით, აუშენებია ვინმე პროხორე ქართველს, უზრუნველუყვია იგი ყოველივე სახმარით და მასვე განუჩენია „წესი და კანონი მონასტრისა მსგავსადვე წმიდისა საბაჲს ლავრისა“.¹

სრული სახით მოღწეულია პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი, რომელიც დაწერილია ორ ენაზე: ქართულად და ბერძნულად. გრიგოლ ბაკურიანის ძემ ეს მონასტერი ქართველებისათვის დააარსა, შეუდგინა წესდება, რომლითაც აუკრძალა ბერძნებს მონასტერში დამკვიდრება და იგი შეუვალი, თავისუფალი და დამოუკიდებელი გახადა.

ტიპიკონები იქმნებოდა სხვათა გამოცდილებისა და ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით. შემდეგ ერწყმოდა ურთიერთს ეს ორი ფაქტორი და მონასტრის განგებაც თანამიმდევრულ, სრულყოფილად ჩამოყალიბებულ სახეს იღებდა.

საზღვარგარეთის ქართული სამონასტრო ტიპიკონები იმდენად განთქმული ყოფილა სრულყოფილებით, რომ სხვა მონასტრებიც საკუთარ წესსა და „განგებას“ მათ მიხედვით ადგენდა.

გრიგოლ ხანძთელმა ჩამოატანინა „საბანძინდისა განგება“ და „განანესა წესი თვისისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ სიბრძნით განსაზღვრული და მეცნიერებით განბრწყინებუ-

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ. 215.

ლი და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებულნი“.

აღსანიშნავია, რომ ამ განგების ერთ ფრაგმენტსაც არ მოუღწევია ჩვენამდე. თუმცაღა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლით შეგვიძლია მართლაც სანიმუშოდ აღვადგინოთ ხანძთის მონასტერში დამკვიდრებული ტიპიკონი.

ამიტომაც სამონასტრო წესების შესახებ მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა. აქ ვეცნობით ხანძთის, ზარზმის, ათონის ქართველთა მონასტრებში მოქმედი კანონების შინაარსს. მაგრამ უშუალოდ ამ მონასტერთა კანონებს კრებულის სახით ჩვენამდე არ მოუღწევია. შედარებით ვრცლადაა საუბარი მონასტერში დამკვიდრებული წესების შესახებ გიორგი მთაწმიდელის თხზულებაში „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, რომელიც, არსებითად, ათონის ქართველთა მონასტრის დაარსებიდან თითქმის საუკუნოვან ისტორიას მოიცავს.

ტიპიკონს არ წარმოადგენს, მაგრამ მის წესებს მიაგავს მამა სვიმეონის „განაჩენი“ შიომღვიმისადმი, რომელსაც „წინამძღურის რიგი“ ეწოდება.¹

ჩვენ ხელთ გვაქვს ერთი უცნობი მონასტრის ტიპიკონის ნაწყვეტიც, რომელიც სავარაუდოდ, ბოლნისისა უნდა ყოფილიყო.² ტექსტს მხოლოდ ფრაგმენტის სახე აქვს, ისიც ძლიერ დაზიანებულია და მასში მხოლოდ გარკვეული ფრაზების ამოკითხვა შეიძლება.

ისტორიული საქართველოს ტერიტორიიდან ერთადერთი შედარებით სრული სახით მოღწეული ტიპიკონი არის ვანის ქვაბებში განწესებული „ვაჰანის ქვაბთა განგება“, რომელიც „ფაქტიურად სამონასტრო სამართლის ძეგლია“. ეს, ბედად გადარჩენილი ნიმუში ქართული სამონასტრო ტიპიკონისა, არა მარტო ვანის ქვაბთა მონასტრის მდგომარეობას გვაცნობს, არამედ მთელ მაშინდელ სამონასტრო ცხოვრებასაც. ვანის მონასტრის „წესი“ და „განგება“ მეტყველი ნიმუშია საქართველოს ეკლესიის სამონასტრო ტიპიკონისა, ზოგადად,

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. III, თბ., 1970, გვ. 127-128.

² ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ნ. I, ტფ., 1914, გვ. 72.

თავისი დასაწყისით, პრეამბულით (რომელიც მას აკლია), ბოლოთი (ხელრთულობათა წესისა და ტრადიციის დაცვით) და კანონთა რიგის სიზუსტით. ვანის მონასტრის ტიპიკონი, რასაკვირველია, ზოგადად, ქრისტიანული კულტურის შემოქმედებაა, მაგრამ იმავდროულად ის პროდუქტია ქართული კულტურისა, ქართული უფლებრივ-სოციალური და პოლიტიკური სისტემისა.

...მონასტერი, იმთავითვე, ფეოდალურ-სამეურნეო ორგანიზაციადაც იქცა საქართველოში. მისი სიმდიდრის წყარო იყო მაღალი წრეების უხვი შეწირულებანი (მინა-წყალი გლეხებითურთ, მოძრავი ქონება და სხვ.), ნაყიდი ქონება, საკულტო რელიქვიებისა და ხატების თაყვანისცემით მიღებული შემოსავალი.

VIII-IX სს. ბერ-მონაზვნები მონასტერში უკვე აღარ მუშაობდნენ ფიზიკურად, მოხდა მათი თითქმის სრული არისტოკრატიზაცია. X-XII სს. მონასტრებმა დიდ ეკონომიკურ, მორალურ და პოლიტიკურ გავლენას მიაღწიეს, სარგებლობდნენ პრივილეგიებით, რომელთაც მეფე ან პატრონი – ფეოდალი აძლევდა. საკუთარი გლეხები, ჩვეულებრივ, საფეოდალო-ბატონყმური ან სპეციალური სასულიერო-საეკლესიო ვალდებულებით ემსახურებოდნენ თავიანთ სენიორ მონასტერს, მონასტრის წინამძღვარი აღჭურვილი იყო ისეთივე უფლებით, როგორითაც ჩვეულებრივი საერო სენიორი.

ფეოდალიზმის ეპოქაში მონასტრებში იყო სალიტერატურო-სამწიგნობრო და კულტურის კერები. იქმნებოდა და ინერებოდა ორიგინალური და ნათარგმნი სასულიერო მწერლობის ძეგლები. ამ მხრივ განსაკუთრებით განთქმული იყო ხანძთის, შატბერდის, ოპიზის, პარხლის, იშხნის, წყაროსთავის, ტბეთის, ოშკის, ხახულის, შიომღვიმის, დავითგარეჯის, ალავერდის და სხვა მონასტრები.

თავი I ვანის ქვაბთა მონასტარი და მისი „ბანგეზა“

§1. ვანის ქვაბთა მონასტარის მოკლე აღწერილობა

ისტორიულ ჯავახეთში, უძველეს ნაქალაქარ წუნდასა და ვარძიის სამონასტრო ანსამბლს შორის, მტკვრის ვიწრო კანონის მარჯვენა კლდოვან სანაპიროზე მდებარეობს ვანის (ვაჰანის) ქვაბთა სამონასტრო კომპლექსი. იგი, როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, დაარსებულია მეუდაბნოეობის ადრეულ ხანაშივე V-VII სს.¹ რკალისებრი მოხაზულობის კლდე, სადაც თექვსმეტ იარუსად განლაგებული ორასამდე ქვაბია, 1283 წლის მინისძვრის შედეგად სანახევროდ ჩამოქცეულა. კლდის წინა ღია მოედანი მისასვლელიდან მოზღუდულია თითქმის ასი მეტრი სიგრძის გალავნით, რომელიც თამარ მეფის მნიგნობართუხუცესს ანტონ ჭყონდიდელს 1204 წ. აუგია.² მონასტერში შესვლა მხოლოდ ამ გალავნის გავლით იყო შესაძლებელი. მას ორი შესასვლელი ჰქონდა, ერთი – დიდი, მეორე – უფრო პატარა. მათ შორის ერთ-ერთი კარი შემდეგდროინდელი რეკონსტრუქციის შედეგად ამოუშენებიათ და ამჟამად აღარ იძებნება.

ვანის ქვაბები ერთ-ერთი უძველესია საქართველოს უდაბნოთა შორის. ისევე, როგორც ზედაზენზე ან გარეჯის დავითის ლავრაში, მეუდაბნოეთა პირველი ქვაბ-სადგომები აქაც რელიქვიასავითაა შემონახული. ასეთად სპეციალისტებს მიაჩნიათ ქვაბთა ცალკე ჯგუფი მეოთხე იარუსის დონეზე, ანსამბლის ჩრდილოეთ ნაწილში. ესაა რამდენიმე მცირე საკანი მომცრო, თითქმის მართკუთხა ქვაბში ამოკვეთილი ეკლესია-სამლოცველოთურთ. ანალიზი გვიდასტურებს, რომ ის მეუდაბნოეობის ადრეული ხანის – V-VI სს. უნდა

¹ Гаприндашвили Г., Пустынь, как монастырский ансамбль. Ванис-кваби – пустынь-монастырь. „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები“ (სპელოლოგიური კრებული), თბ., 1988, გვ. 37.

² ნ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის 1933 წ. ექსპედიციის დღიური. იხ. მისი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 116.

იყოს, ნანგრევებში ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტებიც ჩანს.¹ სამლოცველო-ეკლესია ფრესკებით შეუმკიათ XIII საუ-
კუნეში.²

ვანის ქვაბის ხელოვნური, ანუ როგორც უწოდებენ სპე-
ლესტიკური გამოქვაბულები წარმოგვიდგება ცალკეული
სენაკების სახით, ზოგჯერ შემთხვევითი, ოვალური ან მარ-
თკუთხა ფორმით. ისინი მომცრო ფორმისაა, ბრტყელი და
უთანაბრო დაბალი ჭერით, რომლებიც ოვალურად ერწყმის
კედლებს. ზოგიერთი სენაკი ტერასაზე ე. წ. დერეფნით გა-
მოდის. ზოგსაც შიდაკარიდორული სისტემა აერთიანებს.³

მეუდაბნოეობის შემდგომ ვანის ქვაბები, როგორც უდაბ-
ნო-მონასტერი, ისე განაგრძობს საქმიანობას. როგორც მიუ-
თითებს გ. გაფრინდაშვილი, „მონასტერი არქიტექტურულ
პლანში ნიშნავს მინისზედა ნაგებობათა ანსამბლის არსებო-
ბას: ტაძარი და საყდარი სატრაპეზო-სამეურნეო ნაგებობე-
ბით, ბიბლიოთეკით და ა. შ... თანდათან სამონასტრო ცხოვ-
რებაში შემოდის კომფორტი – ბერი აღარ „იმალება“ ქვაბში,
„ცხოვრობს“ კლდის სახლში ან მინისზედა შენობის სენაკში,
უახლოვდება საერო ცხოვრების წესს, იქმნის საყოფაცხოვ-
რებო კომფორტს, იზრდება საცხოვრებლის ფართობი, ზოგ-
ჯერ გვერდით საკმაოდ განათებული სამლოცველოთი“.⁴

ვანის ქვაბებშიც იგივე პროცესები მიმდინარეობს. ჩნდე-
ბა რთული მინისზედა არქიტექტურული კომპლექსები: ერ-
თოთახიანი საცხოვრებელი ნაგებობანი (ასეთ შემთხვევაში
ქვაბის ფასადი ქვის კედლით არის ამოყვანილი და გადახუ-
რულია). მოიპოვება ტერასებთან გვირაბ-გასასვლელით და-
კავშირებული რთული გეგმარების მრავალთახიანი კლდის
სახლები.⁵

ვანის ქვაბთა იერსახის ასეთი ცვლილება მეუდაბნოეობის
შემდგომ ხანაში მძლავრი სამონასტრო მშენებლობის ეპოქაში
უნდა განხორციელებულიყო. ამ პერიოდიდან საცხოვრებელი
კლდის სახლები უფრო სიღრმეშია განლაგებული.

¹ პ. ზაქარაია, თბილისი, ბორჯომი, ვარძია, თბ. 1977, გვ. 59.

² Гаприндашвили Г. დასახ. ნაშრ., გვ. 39.

³ იქვე, გვ. 38.

⁴ იქვე, გვ. 40.

⁵ იქვე, გვ. 39-40.

ისინი გამოირჩევა სწორკუთხა გეგმარებითა და კამაროვანი სახურავით, თითქმის ყოველ მათგანს აქვს დამხმარე სათავსოები (ბევრი ასეთი „სახლი“ მთლიანადაა შემონახული).¹

პირველ მიწისზედა მშენებლობას გ. გაფრინდაშვილი IX-X სს-ით ათარიღებს. ასეთ შენობად მიაჩნია მას მეთორმეტე იარუსზე რეკონსტრუირებული ქვაბი, რომლის იატაკი აგურითაა მოკირწყლული, ამავე ხანისაა ასევე რეკონსტრუირებული კლდის დარბაზული ეკლესია ქვემო იარუსზე (მისი მხოლოდ საკურთხეველია გადარჩენილი). მისთვის X ს. მიუშენებიათ დასავლეთი ნაწილი.²

კომპლექსის ცენტრია XI ს. ნმ. გიორგის სახელობის გუმბათოვანი ტაძარი. იგი არაა ჩვეულებრივი ტიპი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობისა. როგორც შემორჩენილი ფრაგმენტები მოწმობს, ტაძარი მოხატული ყოფილა. ტაძრის სამხრეთით ორსართულიანი მინაშენია, როგორც ჩანს, ეს არის საგვარეულო სამარხი აკლდამებითურთ. ქვედა ეკვდერი უშუალოდ ტაძარს ეკვრის, ეკვდერი კლდეშია გამოკვეთილი მისი ოვალური საკურთხეველი ერთსაფეხურიანია. დარბაზის სივრცეს დასავლეთიდან ქვითკირის კედელი ჰკრავს. სტოადან შესასვლელიც მასშია გამართული. მასზეა შესრულებული იჩქით გურგენისძის წარწერა, რომელიც მიუთითებს: „ესე არს სამკვდრებელი ჩუენ-გურგენათი. მე, იჩქითმან აღვაშენე. შეგცნდენეს ღმერთმან“.³

როგორც ჩანს, პირველად 1089 წლის მიწისძვრით დანგრეული ეკლესია აღუდგენია იჩქით გურგენისძეს. ტაძარში აღმოჩენილია XII-XIII სს. საკურთხეველის ფრაგმენტები.

კომპლექსზე თმოგველთა ფეოდალური სახლის სამშენებლო საქმიანობის კვალიც შეინიშნება. მათ მიაშენეს ეკლესიას დასავლეთი პორტიკი და სამრეკლო, რომელსაც გ. გაფრინდაშვილი XIII ს. მეორე ნახევრით ათარიღებს.⁴

¹ Гаприидашвили Г., დასახ. ნაშრ., გვ. 41.

² იქვე, გვ. 42.

³ წარწერიანი ქვა ვანის ქვაბებიდან, ასპინძა, რუსთაველის მუზეუმში (მიაკვლია და მუზეუმს გადასცა ბ-მა გ. გაფრინდაშვილმა), წარწერის ტექსტი მოყვანილია ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა ს პუბლიკაციიდან — იჩქით გურგენისძის სამი წარწერა, ნერგი, 1-7, X, 1994, გვ. 2.

⁴ Гаприидашвили Г., დასახ. ნაშრ., გვ. 39.

გარდა ზემოთ ნახსენები გამოქვაბული ტაძრისა, კომპლექსში ხუთი დარბაზული ეკლესიაა, რომელთაგან სამი V-VII საუკუნეებისაა, ერთი – XII ს., ხოლო ერთიც – XIII ს. 70-იანი წლებით თარიღდება საამშენებლო წარწერის მიხედვით. ეს უკანასკნელი წმ. გიორგის ტაძრის ჩრდილოეთით კლდის ძირში მდებარეობს და საკმაოდ მდიდრულად ყოფილა შემკული.¹ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლო იარუსზე განადგურებულ-ჩამოქცეული კლდის სახლების (XII-XIII სს.) ადგილზე კლდეზე მიშენებული მომცრო გუმბათოვანი ეკლესია (XIV-XV სს.). მასთან მიღწევა საკმაოდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, მრავალი საიდუმლო ბილიკი, გვირაბი თუ საძრომია გადასალახი. ეკლესიის ფასადი და ინტერიერი შელესილია, ინტერიერის ბათქაშზე ორმოცდაათზე მეტი წარწერა და ფრინველთა და ცხოველთა სურათია; აქვეა ნადირობის სცენები და ქართული მხედრული ანბანის რიგი. ყველა წარწერა XV-XVI სს. ეკუთვნის. წარწერათა ავტორები სამცხის ფეოდალურ საგვარეულოთა წარმომადგენელი ქალები არიან, რომელთაც, ჟამთა სიავის გამო, მონასტრისათვის შეუფარებიათ თავი. აქ წარმოდგენილია არაერთი მშვენიერი პოეტური ნიმუში და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, მოიპოვება „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი – ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის უძველესი.²

აქ, როგორც შ. ონიანი უწოდებს, „თავისებური ლიტერატურული სალონის“ კედლებზე წარმოდგენილია საუცხოო ორიგინალური პოეტური თუ ფოლკლორული ლექსის ნიმუშები და, რაც ყველაზე ღირებულია, ვეფხისტყაოსნის ორი სტროფის – ჩვენამდე მოღწეულთა შორის უძველესი ხელნაწერი ნიმუში.

ეს წარწერები იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ ერთგვარ ისტორიულ, კულტურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტს გვიხატავს ინტელექტუალური ქართველი მანდილოსნისა. ვგრძნობთ მისი სულიერ-ზნეობრივი სამყაროს სიღრმესა და სიფართოვეს, რუსთველური სიყვარულით გახელებული მიჯნურის გულისცემას.

¹ Гаприндашвили Г. დასახ. ნაშრ., გვ. 45.

² იქვე, გვ. 47.

„ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებს უშუალოდ ქალთა სამყაროში შევყავართ. ამ წარწერების მიხედვით XV-XVI სს. ქართველი ქალები წარმოგვიდგებიან, როგორც თავისი დროისათვის უაღრესად განათლებული და მონინავე ჰუმანური იდეებით აღჭურვილი ადამიანები, რომელთა აზროვნებაც არ ყოფილა შეზღუდული ვინრო სარწმუნოებრივ-თეოლოგიური დოგმებით. მათ ვანის ქვაბთა მონასტრის ყველაზე მიუვალი გამოქვაბული თითქოს თავისებურ ლიტერატურულ სალონად უქცევიათ. აქ მოღვაწე ქალების წყალობით ჩვენ ამჯერად მოგვეპოვება ქართული პოეზიისა და ქართული ფოლკლორული ლექსების საკმაოდ ძველი ჩანაწერები, რომელთა უმრავლესობაც მხოლოდ ამ წარწერებითაა ჯერ-ჯერობით ცნობილი... მარტო ის რად ღირს, რომ რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე ძველი ჩანაწერი შესრულებულია ვანის ქვაბთა მონასტერში მოღვაწე ქალის ხელით...“¹

საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ობიექტთაგან გამორჩეულია ზღუდის შიგნით გამოვლენილი XII-XIII სს. სამი სახლი და კოშკი.

როგორც დასტურდება, ზღუდის მისასვლელამდე მდებარეობდა მცირე სოფელი კოშკით. იქვე, მტკვრის მოპირდაპირე მხარეს, იყო კლდის სოფელი გაღმა ჭაჭკარი, სადაც უნიკალური ქვის „დარბაზია“ შემონახული.²

სხვა არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის აღსანიშნავია ანსამბლის მარცხენა ტერასებზე სამ სართულად განლაგებული ქვაბ-სამარხები, რვაქვევრიანი მარანი, მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის დასამზადებელი სახელოსნო, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა კლდეში ნაკვეთი საწინახელით და წყალსადენის ტრასა.³

¹ შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, იხ. საბჭოთა ხელოვნება, 8, თბ., 1960, გვ. 41.

² Гаприндашвили Г. დასახ. ნაშრ., გვ. 47.

³ გ. გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბები, ქსე, ტ. IV, თბ., 1979, გვ. 294; აგრეთვე გ. გაფრინდაშვილი, არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძიებანი ვანის ქვაბებში 1967 და 1968 წწ., საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, 1971, გვ. 108-112.

განსაკუთრებით გამოსაყოფია ვერცხლის სამი თასი, რომლებიც ამ ეპოქის ლითონის ჭურჭლის პირველ აღმოჩენად ითვლება.¹

ვანის ქვაბთა კომპლექსის ამ მოკლე სქემატური აღწერილობითაც ნათელი ხდება მისი არქიტექტურულ-არქეოლოგიური, საერთოდ, კულტურული მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიაში, რასაც განსაკუთრებით აძლიერებს ვანის ქვაბთა მონასტრის ტიპიკონი, საქართველოს მონასტერთა ტიპიკონებიდან ჩვენამდე ერთადერთი სრული სახით მოღწეული და, ამდენად, უნიკალური ხელნაწერი.

§2. „ვაჰანის ქვაბთა განგების“ ხელნაწერის აღწერილობა

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ დედანი, ხელნაწერი დ 933 ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში. იგი 5, 62 მ. სიგრძის მქონე კლასიკური ხანის ნუსხახუცურით² დანერილი ეტრატის გრაგნილია, რომელიც დახვეულია ხის ტაბიკზე, ე. წ. ყუბარზე.³ ხელნაწერი 12 ერთიმეორეზე სხვადასხვა ფერის ძაფით გადაკერებული კეფისაგან შედგება. კეფების სიგრძე-სიგანე ერთმანეთს არ ემთხვევა:

1 კეფი – 39,5 X 21 სმ. 39 სტრიქონი

2 კეფი – 50,2 X 19 სმ. 53 სტრიქონი

3 კეფი – 40 X 22 სმ. 43 სტრიქონი

4 კეფი – 47,5 X 22 სმ. 50 სტრიქონი

5 კეფი – 44,5 X 24 სმ. 47 სტრიქონი

6 კეფი – 40 X 23,7 სმ. 41 სტრიქონი

7 კეფი – 36 X 25 სმ. 36 სტრიქონი

8 კეფი – 38 X 26,5 სმ. 38 სტრიქონი

8¹ კეფი (ჩაკერებულია) 19 X 27,5 სმ. იგი 15-სტრიქონიანია (პატივცემული მეცნიერი შეცდომით აქ 18 სტრიქონს ითვლის) და მე-8 კეფის გაგრძელებას წარმოადგენს.⁴

¹ გ. გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბის განძი, ძეგლის მეგობარი, 6, 1966, გვ. 6.

² ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, ტფ., 1939, გვ. 24.

³ იქვე, გვ. 19.

⁴ იქვე, გვ. 22.

9 კეფი – 52 X 27 სმ. 47 სტრიქონი
10 კეფი – 44 X 27 სმ. 43 სტრიქონი
11 კეფი – 51 X 27 სმ. 52 სტრიქონი
12 კეფი – 57,5 X 28 სმ. 5 სტრიქ. + 12 სმ. (თავისუფალი ადგილი) + 11 სტრიქონი (გიორგი კათალიკოზის ხელრთვა).

ყველა კეფზე გრძელია ბოლო მე-12 კეფი – 57,5 სმ. და ყველაზე მოკლე – მე-7 – 36 სმ. სიგრძის კეფი.

აღნიშნული ეტრატის გრაგნილი მოიცავს უშუალოდ „ვაჰანის ქვაბთა განგების“ ტექსტს და ამასთანავე 21 სხვადასხვა დროის მინაწერს, რომელთაგან R-მხარეზეა მხარგრძელის, სარგისის, მურვან ლარიბასძისა და უღულაშვილების მინაწერები. დანარჩენები კი გრაგნილის ზურგზეა.

ძეგლი თავისი მინაწერებითურთ საკმაოდ დაზიანებულია, მოგლეჯილია აშიები, მელანი – ზოგან გადასული, ერთი ნაწილი კი – საერთოდ დაკარგულია. ხელნაწერი, როგორც ძეგლის მკვლევარი ლ. მუსხელიშვილი ვარაუდობს, თავდაპირველად 15 კეფს მოიცავდა. დაკარგულ კეფებზე წარმოდგენილი იქნებოდა: 1. მთელი შესავალი, სადაც მოხსენებული იქნებოდა ძეგლის დამდების ვინაობა, თარიღი, მიზეზი ძეგლის დადებისა; 2. პირველი თავის ზანდუკი პირველი სტრიქონებითურთ; 3. უმნიშვნელოვანესი ნაწილი მეორე თავისა; 4. მთელი მესამე თავი; 5. მეოთხე თავის ზანდუკი პირველი სტრიქონებითურთ.¹

ხელი და მელნის ფერი ძეგლისა ყველგან ერთნაირია გარდა ჩამატებული მე-8 კეფისა, რომელიც უფრო VIII კეფის მეორე ნახევარს უნდა წარმოადგენდეს. იგი 15 სტრიქონისაგან შედგება, გვერდები ჩამოჭრილი აქვს, ტექსტი შენახულია, მაგრამ იმდენად გამქრალბულა, რომ წაკითხვა ჭირს. მინაწერები და გადანაკერებზე სარგისის აღნიშვნები კარგად ჩანს. ეს კეფი, განსხვავებით ყველა სხვა კეფისაგან, რომელსაც მხარგრძელის ნიშანი აზის, როგორც წინა (R), ასევე უკანა (V) მხარეზე დანიშნულია სარგისის მიერ, ხელი ამ კეფისა შედარებით წვრილია, მელანი – მთლად გამკრთალბული; ეს განსხვავებანი თვალშისაცემია, თანაც გარკვეული ეპიზოდები ტექსტისა გამეორებულია კიდევ.

¹ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

როგორც აღვნიშნეთ, 12-ვე კეფი ერთიმეორეზე სხვადასხვა ფერის ძაფითაა გადაკერებული, ყოველი გადანაკერი დანიშნულია მხარგრძელის მიერ მხედრულით გარდა პირველისა და ბოლო ორისა (11-12 კეფები), სადაც ნიშნული მხარგრძელისა საერთოდ არ არსებობს.

მე-8 კეფის გადანაკერები (8-8 და 8-9), რომელიც შემდგომ ჩანართადაა მიჩნეული, დანიშნულია სარგისის მიერ ასევე მხედრულით. დოკუმენტი პირის მხარეზე ინიშნება („მე მწარგრძელი ვამტკიცებ“, „მე სარგის ვამტკიცებ ამათი ძე“). ტექსტის ბოლოს ადგილი გამოტოვილია, რასაც მოსდევს კათალიკოს გიორგის ხელრთულობა.

სასვენ ნიშნებად დედანში იხმარება: სამი წერტილი (:.), ორი წერტილი და პატარა ხაზი (:-), წერტილ-მძიმე (;), ორი წერტილი (:), წერტილი (.), მძიმე (,), კითხვის ნიშანი (?), განცვიფრების ნიშანი (!). „საერთოდ უნდა შევნიშნო, რომ – აღნიშნავს ლ. მუსხელიშვილი, – განკვეთილობის ნიშნები ჩვენს ძეგლში უსისტემოდ იხმარება. განსაკუთრებით ნებისმიერია წერტილისა და მძიმის ხმარება, რომელიც ჩემის აზრით, არავითარ წესს არ ემორჩილება. მხოლოდ სამი წერტილი სრულიად წესიერად ისმის იქ, სადაც დამთავრებულია მთელი წინადადება, ან აბზაცი, ან გარკვეული აზრი“.¹

როგორ გამოიყურება თითოეული კეფი ცალ-ცალკე?

1, 2 და 3 კეფები სერიოზულადაა დაზიანებული; აშიები ჩამოხეული, თვითონ კეფებიც მრავალგან დახეული, რის გამოც ტექსტის აღდგენა თითქმის არ ხერხდება, 1 კეფის ზედა მხარე მთლად ჭუჭყითაა დაფარული, მოგლუჯილ აშიებზე სტრიქონებიც დაკარგულია. 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11 და 12 კეფები თითქმის მთლიანად და კარგადაა შენახული, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ უმრავლესობას სიგანის აშიები ჩამოჭრილი აქვს. თუ დასაწყისი ნაწილი ძეგლისა ღია მდგომარეობის გამო ჭუჭყისაგან მთლიანად გაშავებულია, ბოლო ნაწილი სუფთადაა შენახული და დანაოჭებულია ყუბარზე დახვევის გამო.

რაც შეეხება მინაწერებს, როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა დროისაა. პირიმხარეზე მოთავსებულია მხოლოდ მხარ-

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 26.

გრძელის (მე-4 კეფის მარჯვენა მხარე), სარგისის (მე-8-8' -9 კეფების მარჯვენა მხარე), ულულაშვილების (მე-9 კეფის მარცხენა მხარე) და მურვან ღარიბასძის (მე-12 კეფის ბოლოში) მინანქრები.

მხარგრძელის მინანქრი 16-სტრიქონიანი უნდა ყოფილიყო, რომელიც ძალზე დაზიანებულია და მისი აღდგენა სისრულით ვერ ხერხდება. მე-4 კეფის ზოგიერთი ციფრი მხარგრძელს გადაუფხეკინებია და საკუთარი ხელით ჩაუნერია ახალი ციფრები, აღნიშნული მინანქრიც ამ მომენტს უნდა უკავშირდებოდეს, მინანქრის აღდგენილ ნაწილში შემატებაზე და დაკლებაზეა საუბარი.¹

მეორე მინანქრი სარგისის ხელია. იგი მე-8 კეფის ჩამოჭრასთან და ახლის მიკერებასთანაა დაკავშირებული. მინანქრში მონასტრის კუთვნილი სარგოს კვლავ „განწესებაზეა“ საუბარი.

მესამე მინანქრი ულულაშვილებისა XV ს-ის მხედრულთაა დაწერილი და თავისი შინაარსით არაფერი საერთო არა აქვს ვანის ქვაბთა მონასტერთან.

ძეგლის პირიმხარეზე მოთავსებული ბოლო მინანქრია მურვან ღარიბასძისა, რომელიც XIV ს-ისაა და მონასტრის შეწირულობის სიგელს წარმოადგენს.

დანარჩენი მინანქრები განლაგებულია გრაგნილის ზურგზე და სხვადასხვა პიროვნებათა შეწირულობის საბუთებს წარმოადგენს. აქ არის ღარიბასძეთა რძალთა (XV ს.), მურვან ღარიბასძის (1393წ.), ვანის ქვაბთა ბატონ როსტევეანის (XIII ს.), მურვან ღარიბასძის (XIV ს.), პატრონ ივანეს ორი (XV ს.), მირძასა და ზაზას (XV ს.), თმოგველთა ასულ გულშარის ორი (XIV-XV სს.), რჩეულასძეთა (XIII-XIV სს.), პატრონ ყვარყვარეს და მისი თანამეცხედრე ანას ორი (XV ს.), ათაბაგ ყვარყვარეს (XVI ს.), რჩეულაშვილთა და სხვათა მინანქრები. ორი მინანქრი საერთოდ არ იკითხება. აქ ნიმუშად მოვიყვანთ ერთ-ერთ მინანქრს, რომელიც მოთავსებულია პირველი კეფის შუაში და ძნელად იკითხება:

ქ. მოგეცით ჩ(უე)ნა მონასტერმან ესე წიგნი
— — — შ(ე)ნთა განაყოფთა —

¹ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

სანირაჲი ავილოთ შინათ—
 შეყვარნთ ვინ ხუცესნი ჩნთა მონ
 სტრსა—
 დ(ა)უმ(ა)ლოთ ერთმანს—
 არა მიუტანოთ დ(ა) უმ(ა)ლოთ
 მან გუ დიდ ცარიელ: გარონონ—
 ს: ნურცა მომარ ჩნესა რომლმანცა დამ—
 სლი: ჯოჯოხეთ—არის ამამც: ნ—
 არის: სლი: იმ ხუცისა [რო]მელმან დაკლო[ს]
 ძეგლამან

ლ. მუსხელიშვილმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპეციალურად შეისწავლა „ვაჰანის ქვაბთა განგება“, მოგვცა ძეგლის სრული ტექსტოლოგიური აღწერილობა და გამოაქვეყნა კიდევ იგი. ამიტომაც ჩვენ მხოლოდ ამ მოკლე მიმოხილვით შემოვიფარგლეთ.

§3. „ვაჰანის ქვაბთა განგების“ შესწავლის ისტორია

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ ტექსტის შესწავლას თავდაპირველად ხელი თ. ჟორდანიამ მიჰყო. მან წაიკითხა ტექსტი და მცირეოდენი განმარტებების დართვით გამოაქვეყნა კიდევ. როგორც ჩანს, თ. ჟორდანიას მიზნად არ ჰქონია დასახული ძეგლის ძირეული შესწავლა. რამდენადაც „განგების“ ტექსტი შეიცავდა საქართველოს სამონასტრო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს დეტალებს, ეპიზოდებს და ამავე დროს ისტორიული მეცნიერებისათვის ეს სფერო თითქმის შეუსწავლელი იყო, თ. ჟორდანიამ, რათა ხელმისაწვდომად ექცია ისტორიკოსთა ფართო წრისათვის, გადაწყვიტა მისი გამოქვეყნება. მან ტექსტის დღის სინათლეზე გამოტანა აუცილებლობად ჩათვალა და საკორპორაციო სამართლის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის ძირეული შესწავლა ჩვენი იტორიის მომავალ მკვლევართ მიანდო. ამით უნდა აიხსნას ის ნაკლოვანებანი, რაც ძეგლის პირველ გამოცემას ახლავს.

¹ თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰანის ქვაბთა, ტფ., 1896.

ლ. მუსხელიშვილი სწავლობდა რა „ვაჰანის ქვაბთა განგების“ ჟორდანიასეულ ტექსტს, იქვე ნაკლოვანებებზეც მიუთითებდა.

მეცნიერმა ტექსტი თითქმის თავდაპირველი სახით გადმოგვცა, საკმაოდ დიდი ნაწილი ტექსტისა ნაუკითხავი და აღუდგენელი დარჩა მაშინ, როცა გარკვეული ნაწილის ნაკითხვაც და აღდგენაც შესაძლებელი იყო,¹ – აღნიშნავს ლ. მუსხელიშვილი.

თ. ჟორდანიამ ყურადღება მიაქცია ვანის ქვაბების ადგილ-მდებარეობის განსაზღვრას. მან ძეგლის დათარიღებაც სცადა. მკვლევარმა შეისწავლა ძეგლის პერსონოლოგია: მხარგრძელი, მისი შვილი სარგისი, სარგისის დედა ხათუთა, კათალიკოსი გიორგი და საბოლოოდ ძეგლის თარიღად 1212-1227 წწ. დაადგინა.

„ვაჰანის ქვაბთა განგებას“ მხარგრძელთა ვინაობის დადგენის თვალსაზრისით მოსე ჯანაშვილიც შეეხო და აქ მოხსენებული მხარგრძელი საქართველოს ისტორიისათვის კარგად ცნობილ ივანე მხარგრძელად მიიჩნია.²

დღესდღეობით ისტორიოგრაფიაში უკვე დადგენილია, რომ „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ ნახსენები მხარგრძელი სახელია³ და დაუშვებელია მისი ივანე მხარგრძელად მიჩნევა. ანალოგიური შემთხვევა მხარგრძელის სახელად მოხსენებისა ქობერის წარწერებშიც გვაქვს. ეს ფაქტი, თავისთავად, ჟორდანიას მიერ ძეგლის დათარიღების მცდარობასაც ავლენს.

თ. ჟორდანიას მიერ „ვაჰანის ქვაბთა განგების“ გამოქვეყნებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მკვლევარმა ქართული ისტორიული საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი ხასიათის თხზულება გამოამზევა, რითაც ქართულ წყაროთმცოდნეობას უძვირფასესი ძეგლი შესძინა.

„ვანის გუჯარი გვაძლევს ახალს საყურადღებო ცნობებს ისტორიულს, გეოგრაფიულს, სარწმუნოებრივს და გვაროვ-

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 60.

² М. Джанашвили, Картлис сховреба — жизнь Грузии, СМОМПК, вып. 35, Тиф. 1905, გვ. 143-144.

³ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

ნობითსაცა იმ საქართველოს კუთხისას, რომელიც რამდენიმე საუკუნეა, რაც მოსწყდა საქართველოს და რომელზედაც იშვიათად იპოვება ახალი ცნობები”,¹ – აღნიშნავდა თავად მკვლევარი.

აღსანიშნავია, რომ თ. ჟორდანიამ მომდევნო 1897 წელსაც დაბეჭდა ერთი ნაკვეთი ამ ძეგლისა „ქრონიკების“ II ტომში. ცხადია, იმთავითვე გრძნობდა მეცნიერი აღნიშნული წყაროს უაღრეს მეცნიერულ ღირებულებას.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ შესწავლას ხელი ივანე ჯავახიშვილმაც მოჰკიდა და „ქართული სამართლის ისტორიის“ II ნიგნში მას მთელი თავი მიუძღვნა.² ივანე ჯავახიშვილმა ტიპიკონი დაამუშავა არა ტექსტის, ან თარიღის დადგენის თვალსაზრისით, არამედ გამოიყენა უკვე არსებული და გამოცემული ტექსტი, შემდეგ კი დაამუშავა საქართველოს ისტორიისათვის სრულიად ახალი საკითხი – საკორპორაციო სამართალი, მისი რაობა და თავისებურებანი. ქართული სამართლის ისტორიისათვის ეს მეტად ძვირფასი დოკუმენტი, მეცნიერის აზრით, ერთადერთი წყაროა ქართული საკორპორაციო სამართლის შესასწავლად. მკვლევარმა ყურადღება მიაქცია საკორპორაციო სამართლის თავისებურებას, დანვრილებით გადმოსცა როგორც მონასტრის წინამძღვრის, ასევე სხვა თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობანი. ყურადღება მიაქცია, როგორც თანამდებობის პირთა, ასევე ძმათა მიერ ჩადენილ დანაშაულობათა სახეებს და მათი დასჯის ფორმებს, აგრეთვე საკორპორაციო სასამართლოს ორგანიზაციას და სასჯელთა სისტემას, რასაც ცალკე პარაგრაფი უძღვნა. მეცნიერმა ეს საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში შემონახულ მასალებთან ერთად დაამუშავა და მრავალი საინტერესო მოსაზრებაც გამოთქვა. ქართული სამართლის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარებს ყოველმხრივ დამუშავებული მასალა მიაწოდა. უდავოდ დიდია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი საქართველოს ისტორიის ამ სფეროშიც. ქართველი ერისადმი მიძღვნილ უზარმაზარ ნაშრომს მან რამდენიმე საინტერესო და მნიშვნელოვანი ფურცელი შემატა.

¹ თ. ჟორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თხზ., ტ. VII, თბ., 1984.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ ტექსტთან დაკავშირებული ყველა საკითხის ძირეული შესწავლა-დამუშავება ლ. მუსხელიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. მან დანვრილებით აღწერა ძეგლი, გვარიანად გადაამუშავა, გამოსცა კიდევ¹ და გამოცემას ხელნაწერის ერთი ნაწილის ფოტოც დაურთო.²

ლევან მუსხელიშვილმა „ვაჰანის ქვაბთა განგება“ ტექსტოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლა და გარკვეული ცვლილებებიც შეიტანა მასში, გამოთქვა აზრი ტექსტის გრაგნილის პირვანდელი შემადგენლობის შესახებ, ყურადღება მიაქცია ძეგლის დამწერლობას და მას კლასიკური ხანის ნუსხა-ხუცური უწოდა.

პარალელურად მკვლევარმა გამოყო ხარვეზები და დამახინჯებები, ორთოგრაფიული სხვაობანი, დიალექტიზმები, ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი, ტექსტოლოგიურ-სინტაქსური კვლევის შემდეგდროინდელი ჩანართები, მინაწერები, ქარაგმები შეისწავლა და მოგვცა ყოველი დაქარაგმებული სიტყვის გახსნილი მნიშვნელობა, რაც საკმაოდ დაძაბული, შრომატევადი სამუშაოა.

ლევან მუსხელიშვილმა, მკითხველისათვის უფრო გასაგები რომ გამხდარიყო, ტექსტში გარკვეული ცვლილებები და ნიშნები შეიტანა, აღდგენილი ტექსტი განახლებული სახით მოგვანოდა, თუმცა დედნის მნიშვნელოვანი დაზიანების გამო გარკვეული ნაწილი ტექსტისა კვლავ აღუდგენელი დარჩა.

ამგვარად, ჩვენ ხელთა გვაქვს ლ. მუსხელიშვილის დიდი აკადემიური შრომის შედეგად მშვენივრად აღდგენილი, ყოველმხრივ გადაამუშავებული ტექსტი „ვაჰანის ქვაბთა განგებისა“, რომელსაც თან ერთვის ლექსიკონი და სახელთა საძიებელი. ძეგლი პირველწყაროა ქართული სამონასტრო ორგანიზაციის ისტორიის შესასწავლად.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით აზრი გამოთქმული აქვთ სხვა მკვლევარებ-

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, ტფ., 1939.

² გამოცემა მინაწერების გარეშეა. „ეს მერმინდელი მინაწერები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვაჰანისა და მისი რაიონის ისტორიისათვის (განსაკუთრებით მდიდარია ეკონომიკური ხასიათისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობებით), დამზადებული მაქვს გამოსაცემად“, — აღნიშნავს მკვლევარი (გვ. 10), მაგრამ ისინი მას არ გამოუქვეყნებია.

საც.¹ 1970 წელს ი. დოლიძემ ძეგლი კიდევ ერთხელ გამოსცა „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომში (თბ., 1970).

ვანის მონასტრის კედლის წარწერებსაც არაერთი მკვლევარი შეხებია.² ასე რომ, ძეგლის ისტორიული მნიშვნელობა უდავოდ დიდია და ვფიქრობთ, მისი ძირეული შესწავლა მრავალ ახალ საინტერესო ფურცელს გადაუშლის საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ საზოგადოებას.

§4. „ვაჰანის ქვაბთა განგების“ დათარიღებისათვის

როდის დაინერა „ვაჰანის ქვაბთა განგება“?

„ვაჰანის ქვაბთა განგება“ თარიღიანი ძეგლი არ არის. ლ. მუსხელიშვილი, გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით, დედანს 1204-1234 წლებით ათარიღებს.³ ეს გარემოებებია: ძეგლის ენა, ცნობა ანტონ ჭყონდიდელის მიერ მონასტრის ზღუდის აშენების შესახებ, გიორგის კათალიკოსობა XIII ს-ში და ტექსტში მონღოლთა კვალის ჯერ კიდევ არარსებობა.

ძეგლის გამოცემისას იმავე თარიღს ემხრობა ი. დოლიძე,⁴ ასევე სომეხი მკვლევარი ა. მარქარიანიც: „Исследование самого текста позволяет лишь предположить, что он написан в период расцвета средневековой Грузии, т.е. в первых десятилетиях XIII в., до монгольских нашествий (1204-1234).“⁵

¹ გ. გაფრინდაშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, ქსე, IV, თბ., 1979, გვ. 294; გ. გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბთა განძი, ძეგლის მეგობარი, 1966, 6; ნ. ბერძენიშვილი, 1933 წ. მოგზაურობის დღიური, გვ. 116-126; А. Г. Маргарян, К датировке и интерпретации "Типика" Ваханского пещерного монастыря (тезисы), конференция истории средневековой письменности и книги, Ереван, 1977.

² გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1993, გვ. 228-240; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., ვ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, მსკი, 30, გვ. 168-180; შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, საბჭოთა ხელოვნება, 7, თბ., 1959, გვ. 36-40; 8, თბ., 1967; ვ. სილოგავა, იჩქით გურგენისძის სამი წარწერა, ნერგი, 17, 1994, 1-7 ოქტომბერი.

³ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 16.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, ტ. III, თბ., 1970, გვ. 135.

⁵ А. Г. Маргарян, დასახ. ნაშრომი.

თ. ჟორდანიას, როგორც აღვნიშნეთ, „ვაჰანის ქვაბთა განგება“ 1212-1227 წწ. აქვს დათარიღებული.¹

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ ტექსტში თარიღი არ ჩანს, არც მეფეა მოხსენებული, თუმცაღა, გარკვეული ადგილია მოტოვებული ძეგლის ბოლოს, რაც, შესაძლოა, მეფის ხელრთულობისათვის იყო განკუთვნილი და რაღაც მიზეზის გამო იგი ცარიელი დარჩა.

მთავარი პერსონა, რომლის ხელრთულობაც სახეზეა და რომლის მოღვაწეობის პერიოდიც ცნობილია, არის გიორგი ქართლის კათალიკოსი. ვფიქრობთ, ეს ფაქტი ძეგლის დათარიღებისათვის ამოსავალია.

კათალიკოსთა რიგში გიორგის მოღვაწეობა XIII ს. 20-30-იანი წლებით თარიღდება,² საქართველოს ეკლესიის კალენდარში კათალიკოს გიორგის (გიორგი IV) კიდევ უფრო ვიწრო თარიღი უზის – 1225-1230 წწ., იგი კ“ზ ეტიფანეს, ეპიფანეს შემდეგ მოდის.³ რადგანაც ეს ცხრილები წინა ცხრილებთან შედარებით უფრო ზუსტია, ამიტომ ჩვენი ძეგლის თარიღის ფარგლებიც შედარებით შემჭიდროვდება და ნაცვლად აქამდე მიღებული 1204-1234 წლებისა, ტიპიკონი დათარიღდება 1225-1230 წლებით. ამ თარიღში თავსდება ყველა ის გარემოება, რომელიც უცილობლად უნდა იქნას გათვალისწინებული და რომლებსაც ლ. მუსხელიშვილი ჩამოთვლის: პირველ რიგში, გიორგის კათალიკოსობა, შემდეგ მხარგრძელის მოღვაწეობის ხანა, ძეგლის ენა, ცნობა ანტონ ჭყონდიდელის მიერ მონასტრის ზღუდის აშენების შესახებ და მონღოლთა კვალის უქონლობაც.

¹ თ. ჟორდანიას, დასახ. ნაშრ., გვ. 29-30.

² ბ. ლომინაძე, კათალიკოსი, ქსე, ტ. 5, თბ., 1980, გვ. 318.

³ საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1980, გვ. 59.

თავი II

ვანის ქვაბთა მონასტრის ორგანიზაციული მოწყობა

§1. ვანის ქვაბთა მონასტრის შინაგანაგანი

ვანის ქვაბთა მონასტრის „ძმობა“ 51 ბერსა და 10 მსახურს ითვლიდა. ეს რაოდენობა საკმაოდ რიცხოვანია. ასეთი მასშტაბის მონასტერს მართვა-ორგანიზებისათვის წერილობითი, დოკუმენტის სახის წეს-განგებანი ესაჭიროებოდა. ეს დოკუმენტი იქნებოდა ქრისტიანული ღვთისმსახურების გარკვეული და სავალდებულო წესის შემცველი ლიტურგიკული წიგნი. იგი სახელმძღვანელოა, რომელიც შეიცავს ღვთისმსახურების შესრულების წესებსა და მითითებებს, რასაც ემატება დისციპლინური წესები მონაზონთათვის და ა. შ. ტიპიკონს ადგენდა მონასტრის დამაარსებელი საეკლესიო მოღვაწე ან მისი პატრონი ფეოდალი.

მართლაც, XIII საუკუნეში (1225-1230 წწ.) მხარგრძელთმოგველმა დიდი გულმოდგინებითა და „გამოკითხვით“ ვანის ქვაბთა მონასტერს შეუდგინა ტიპიკონი, რომელიც „ვაჭანის ქვაბთა განგების“ სახელწოდებით გახდა ცნობილი.

რა წეს-ჩვეულებები იყო დანერგილი ვანის მონასტერში და რა საერთო ნიშნები და განსხვავებები ახასიათებდა მას სხვა სამონასტრო წესებთან შედარებით?¹

ვაჭანის ქვაბთა მონასტერში, უპირველეს ყოვლისა, სიმყუდროვე და ძმათა შორის ერთსულოვნება უნდა ყოფილიყო. მონასტრის ძმები მხარგრძელმა ყოველმხრივ უზრუნველყო საცხოვრებლით, საკვებით, ჩასაცმელით, „სარგოც“ განუჩი-

¹ აღნიშნულ თავში განხილული იქნება ყველა წესი და რიგი, რომელიც დამკვიდრებული იყო ვანის ქვაბთა მონასტერში. აღსანიშნავია, რომ ტიპიკონში ჩამოთვლილი წეს-ჩვეულებები იდენტურია სხვა მონასტერთა წესებისა. ბევრ საერთოს ვნახულობთ პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონთან შედარებისას, ათონის ივერთა მონასტერში დამკვიდრებულ წესებთან შედარებისას, იგივეს ვხვდებით სერაპიონ ზარზმელისა და გრიგოლ ხანძთელის მიერ დაკანონებულ წესებშიც. განსხვავება მხოლოდ სასჯელის ფორმებშია. ტიპიკონის წესებიდან გადახვევა სხვადასხვა მონასტერში სხვადასხვა ზომით ისჯებოდა. ამ საკითხს ცოტა ქვემოთ შევეხებით.

ნა და მსახურნიც დაუდგინა სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად, შენირული ადგილ-მამულების დასამუშავებლად. ასეთი საამსოფლო გარჯა-სანუხარისაგან მოცალეობა სამონასტრო ძმობას საშუალებას აძლევდა მთელი არსებით მისცემოდა საღვთო მსახურებას – ეს იყო ტიპიკონის დამდების მიზანი.

„მღვდელთა დასი“ ვანის ქვაბთა მონასტრისა „განგების“ მიხედვით გამოირჩევა სიტყვისა და საქმის ერთგულებით, ერთსულოვნებით „უაღრესად სხუათა ყოველთაჲ“, მათთვის სიტყვა და საქმე ერთია, ყველასათვის თვალსაჩინო და სამაგალითოა აქ მოღვაწე პირთა ხანგრძლივი ცხოვრება განთქმული უბინობით, „შემკობილი ყოვლითავე სათნოებათა სიკეთითა სულიერებლისა და ჯორციელებრისა“.¹ მათ უნდა შეძლებოდათ წვრთნა ადამიანის სულისა, კურნება კაცობრივი წყლულისა.

ტიპიკონის რამდენიმე პარაგრაფი ტრაპეზსა და მასთან დაკავშირებულ წესებს ეხება. ტრაპეზობისას მონასტრის ყოველ წევრს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. ისინი წოდების მიხედვით სხდებოდნენ მაგიდასთან. ყოველდღე „ჟამსა ძმათა საზრდელისა მიღებისასა“ იკითხებოდა ლოცვები, წარმოუდგენელი იყო მისი რაიმე მიზეზით შეწყვეტა. ლოცვების კითხვა ევალებოდა პირს, რომელიც „კანანახობისა მსგეფსსა ჰმსახურებს“ ანუ ხელმძღვანელობს მონასტრის მგალობელ წამკითხველებს.

ტრაპეზობისას „ფრიადითა მყუდროებითა მიმღებელი საზრდელისანი ჰმადლობდენ მომცემელსა“. ისევ და ისევ მყუდროება, სიმშვიდე უნდა იყოს თანამგზავრი მღვდელმონაზონისა. სიმყუდროვე თანა სდევდა მათ მოსაქმეობასა თუ დასვენებისას, საზრდელის მიღებისას თუ ლოცვისას. ხოლო თუ ვინმე იკადრებს ტრაპეზის დროს საუბარს და დაარღვევს ძმათა მყუდროებას, არ შეისმენს ერთსა და ორგზის გაფრთხილებას, გაყვანილ იქნება ტრაპეზიდან; ხოლო ურჩი და უჯიათი „აღმამფოთებელი საზოგადოესა მყუდროებისაჲ“ მოიკვეთება „ვითარცა დამპალი“ და გაძევდება მონასტრიდან. ურჩობა, სიჯიუტე – ეს ისეთი თვისებებია, რომლის

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 65.

მექონსაც არა აქვს რა საერთო მონასტერთან, მონასტრის სიმყუდროვესთან.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამოვარდეს განხეთქილება ძმათა შორის საზრდელის მიღების დროს. ტრაპეზობისას თანაბრად განაწილდება ძმათათვის პურიც, ღვინოც და წვენიც – მგალობელი იქნება იგი, მწირველი თუ მწირი. თითოეული მათგანი უნდა დასჯერდეს საყოველთაოდ მიღებულ ევლოგიას, „ვნებულისა გემოთმოყუარებისა და ნაყროვანებისა მიზეზით“ „ნივთად უკეთურებისად და სახედ ბოროტისად“ არავის აქვს უფლება მოითხოვოს დამატებითი ულუფა, თუნდაც „უხუცესთა ძმათაგანი“ იყოს ვინმე. მას შეუძლია უთანხმოება და შუღლი ჩამოაგდოს ძმათა შორის, მონასტრის „ძმობა“ ხომ ერთი „გუამია“, ერთი სხეულია, სადაც უხუცესსაც და „ყოველთა უდარესსაც“ თანაბარი ოდენობით „დაეგების“ სასამელიც, საჭმელიც და სხვა ყოველივეც. ძმობის არცერთმა წევრმა არ უნდა გადაუხვიოს ამ დაკანონებულ ადათს. ხორციელმა მოთხოვნილებამ ვერ უნდა შეძლოს მონასტრის სიმყუდროვის დარღვევა.

მონასტერს სტუმარიც ეწვეოდა ხოლმე – საპატრიოცა და გლაზაკიც, გაჭირვებულებიც და შემძლებელიც. მართალია, სტუმრობას არ ჰქონდა სისტემატიური ხასიათი (ამას წესდებაც კრძალავდა), მაგრამ სტუმარს აუცილებლად სათანადოდ უნდა დახვედროდნენ, სტუმართმოყვარეობა ერთ-ერთი აუცილებელი თვისებაა სამონასტრო ცხოვრებისა – „ესე ფრიადცა ჯეროან არს და ძუელ-მცნებაჲ, რომლისა მიერ ვითემე, ვითარ იგი არა უწყოდეს, ანგელოზნიცა ისტუმრნეს“.¹ მხოლოდ ამ შემთხვევაში იყო შესაძლებელი ულუფის მომატება, ისიც მოძღვრის ბრძანებით.

სტუმართა შორის არავითარ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო ქალი, დედაკაცი. მამრობითი სქესის წარმომადგენელს კი, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, თუნდაც ლოცვის მიზნით შორი გზიდან მოსული, ერთი-ორი დღით გაჩერება შეეძლო; გაუმასპინძლდებოდა მას მოძღვარი და დეკანოზი, მოასვენებდნენ, მაგრამ წესის მიხედვით; მესამე დღეს კი აუცილებლად უნდა გაბრუნებულიყო უკან.

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 68.

თუ მონასტერში რომელიმე საპატიო სტუმარი შემოვიდოდა – ეპისკოპოსი ან აზნაური, ანდა მონასტრის რომელიმე საპატიო სასულიერო პირი, მათ ტრაპეზით გაუმასპინძლებოდნენ. ამგვარი მასპინძლობისათვის სარგისს გარკვეული წილი დაუნესებია, ეს არის ე.წ. „ნამეტნავად გასაყოფელი“. თუ მონასტერში რომელიმე ძმათაგანის ნათესავი ან ნაცნობი შემოვა არა ლოცვის მიზეზით, არამედ სხვა რაიმე საქმისათვის, მას თვითონ იმ ბერმა უნდა უმასპინძლოს, ვისთანაც არის მოსული. მოხეტიალეები და ნიადაგ მათხოვრები მეკარის გასასტუმრებელია, მათი მონასტერსა და სენაკებში შეშვება არ შეიძლება.

არც ავადმყოფთა და ხეიბართა მოვლა-პატრონობა გამორჩენიათ ყურადღებიდან ტიპიკონის შემდგენლებს. ამ მიზნით, ერთი მოკრძალებული ღმრთისმომში და სათნო მონაზონი შეირჩეოდა. ის უნდა მომსახურებოდა ავადმყოფებს, დავრდომილებს, მოველო მათთვის, ყოველდღიურად სამჯერ მოეხილა, მოერთმია „სანესო“ ტრაპეზი. ყველაფერი, რაც „სნეულთა და უძღურად მყოფთა ძმათა“ დასჭირდებოდათ, საკვები იქნებოდა თუ სხვა რამ სახმარი, უშურველად და უანგაროდ უნდა მისცემოდათ.

აღნიშნული მუხლი ტიპიკონისა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სარგისს ნამდვილად და გულწრფელად სდომებია მონასტრის მსახურთა უზრუნველყოფა ყოველმხრივ და ხარჯიც უშურველად გაუღია. მან სარგოც გაუჩინა მათ, პურიც, ღვინოც, საჩოხეც, „ნამეტნავად გასაყოფელიც“ სასტუმროდ, „ორნატნი, აგარაკნი და ვენახნი“ მისცა, საკვები რომ არ მოკლებოდათ და, რაც ყველაზე მთავარია, გაჭირვებულთა დახმარება არ დანანებია. გარკვევით წერია „განგებაში“: „და სხუად რადცა უჭმდეს სნეულთა და უძღურად მყოფთა ძმათა, უშურველად მიეცემოდის ტრაპეზით და ნუმცა რად მოაკლდების საჭიროდ საჭმართაგანი, რომელიცა იყოს და იპოებოდეს“.¹

სტუმრის გასტუმრება, ავადმყოფთა და ხეიბართა მოვლა-პატრონობა ყოველი მონასტრის საპატიო მისიაა. აკი პასუხობს კიდევ ამ მოთხოვნებს სამონასტრო ცხოვრების წესგანგებები. მაგალითად, პეტრიწონის მონასტრის პატრონ-

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 70.

მაც სწეულებსა და უძღურებს „უმეტესად ღუნოლაჲ და ფუ-
ფუნებაჲ საზრდელითა და სასუნელითა დაუნესა“. ¹ თანაც
მონასტრის წინამძღვარს მათი არა მხოლოდ ხორციელი უზ-
რუნველყოფისათვის ზრუნვა ევალებოდა, არამედ სული-
სათვის ზრუნვაც: „და არა სიტყუითა ხოლო, არამედ საქმი-
თაცა, რაითა მსგავსად მკურნალისა ჯელოვნისა ჰკურნებდეს
სულთა მათთა“. ² ასევე ტიპიკონის ცალკე თავი ეკუთვნის
სტუმართა მიღების წესებსაც, მათთვის საგანგებოდ აუშენე-
ბია მონასტრის პატრონს ქსენადოშნი, „რომელ არიან უც-
ხოდ სადგურნი“. ეს სასტუმროები სრულყოფილ იქმნენ საკ-
ვებით, სასმელით, სითბოთი, მომსახურე პერსონალით. სტუ-
მართმოყვარეობის „ესე წესი“ დაცული უნდა ყოფილიყო
მტკიცედ: თუ მონასტრის შემოსავალი იმატებდა, მოიმატებ-
და სასტუმროთა შესანახი ხარჯიც. სტუმარს აქაც მხოლოდ
სამი დღით გაჩერების უფლება ჰქონდა, ავადმყოფი სტუმრი-
სათვის კი უნდა მოეველოთ და გამოჯანმრთელებული გაეს-
ტუმრებინათ.

როდესაც პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ისტორი-
ას ვეცნობით, ჩვენ საქმე გვაქვს საკმაოდ მოზრდილ სამო-
ნასტრო კომპლექსთან, რომელსაც მეპატრონეც შეძლებუ-
ლი ჰყავს და შემოსავალიც სერიოზულ სიმდიდრეს შეად-
გენს. ვანის მონასტრის მფლობელი სიმდიდრით ვერ დაეტო-
ლება ტაოელ გრიგოლ ბაკურიანის ძეს, რომელიც უაღრესად
საპასუხისმგებლო თანამდებობისა და უზარმაზარი მამულე-
ბის მფლობელი იყო ბიზანტიის იმპერიაში. მას შეეძლო ეკ-
ლესია-მონასტრების აგებაც, სასტუმროების, საავადმყო-
ფოს აშენებაც და სხვა უხვი შესანიშნის გაღებაც სოფლების,
გლეხების, ციხე-ქალაქების, სათევზაო ტბის, საძოვრების,
ზვრების, ნისქვილების სახით. მან ეკონომიკურად სავსებით
უზრუნველყო მონასტერი. სარგის მხარგრძელი, მართალია,
ცალკე საავადმყოფოს სასტუმროებს ვერ აშენებს (ამის სა-
ჭიროება ალბათ არც იყო, ვანის კომპლექსში იმდენი დარბა-
ზი-გამოქვაბული არსებობდა), მაგრამ სტუმრის ღირსეუ-

¹ აკ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ.,
1971, გვ. 112.

² იქვე.

ლად გამასპინძლებას, ავადმყოფისათვის ზრუნვას ითხოვს და მონასტრის ძმობაც ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ჰყავს, მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობით ვანის ქვაბთა ბერ-მონაზონნი სრულებით არ ჩამოუვარდებიან ისეთი დიდი მონასტრის „ძმობას“, როგორც პეტრიწონის ქართველთა მონასტერია.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ ერთ-ერთი ფრიად სერიოზული მოთხოვნათაგანია „ყოვლად-ყოვლითურთ უვალ-იყოს დედაკაცისაგან მონასტერი“. არ არსებობდა მიზეზი, რომელიც მონასტერში ქალის შეშვებას გაამართლებდა. ერთადერთი გამონაკლისი „წელმნიფეთა“ ქალები არიან, ისინიც იმ შემთხვევაში შეიშვებიან მონასტერში, თუ რამ გარდაუვალი საქმეა, თანაც მცირე ხნით. როგორი საჭიროებაც არ უნდა იყოს, ღამე მონასტერში ქალის დარჩენა არ შეიძლება, არცერთი ბერის სენაკში არ შეიშვებიან მანდილოსანნი, „დედაღლა თუ იყოს მისი“. „ხოლო ამის მიზეზისა გარეშე სხუებრ, არცა ჩუენისა სახლისაგან ჯერ-არს შესლვაჲ დედაკაცისაჲ მონასტერსა შინა“, – დაასკვნის ბოლოს ავტორი.¹ ასევე მკაცრად იცავს მონასტერს ქალებისაგან გრიგოლ ბაკურიანისძეც და ახლომახლო მიდამოებში ქალთა მონასტრის აშენებასაც კი კრძალავს.² თვალი ხომ ყველაზე სწრაფი, მომკვეთელი და დამწყლულებელია ადამიანის სულისა. ვაჰანის ტიპიკონის ავტორი სიავესჩვეულ და აულაგმავ თვალს ადარებს უაღვირო ცხენს, რომელიც ყოველთვის ხევში გადასჩეხს ზედამჯდომელს. დაუმორჩილებელი თვალი მრავალ სასიკვდილო სენსა და ბოროტ წყლულებას მოუვლენს მის მექონთ. აქვე წინასწარმეტყველის სიტყვებია მოტანილი: ვიდოდეთ ბჭეთა მიმართ ჩემთა და ქვანი გზისაგან განყარენით“.³ აქ სხვა არა იგულისხმება რა, თუ არა ის, რომ ყოველი დაბრკოლების მიზეზი უნდა მოისპოს ძმათა კრებულის გა-

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 76.

² რა თქმა უნდა, დედათა და მამათა მონასტრების ახლო-ახლო ყოფნა სამონასტრო ცხოვრების არანაირ წესს არ ექვემდებარება. ამდენად, გამორიცხული უნდა იყოს ვანის ქვაბებში დედათა მონასტრის არსებობის ვარაუდის გაზიარება.

³ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 75.

რემოში. ერთ-ერთი სულიერი დაბრკოლების მიზეზს, როგორც ჩანს, ქალიც წარმოადგენს.

უნვერული ახალგაზრდა ყრმის ან დიაკვნის შეშვებაც არ შეიძლება მონასტერში. არავის აქვს უფლება უსასაკო ნათესავის, ძმის ანდა შვილის შეყვანისა. ეს არეინ უნდა იკადროს. თუ ვინმე წინ აღუდგება ამ კანონს და არ დაემორჩილება მონასტრის წესებს, სენაკში შეიყვანს ახალგაზრდა ჭაბუკს და ღამეს გაათევინებს, მის მიმართ მკაცრი განაჩენია „დადგინებული“ მონასტერში. „ძმობის“ ასეთი წვერი ყოველგვარი შუამდგომლობის გარეშე განიდევენება მონასტრიდან და მოიკვეთება, „ვითარცა ასოფ დამპალი“.

აღნიშნული კანონი რომ მკაცრად იყოს დაცული, ხელმეორედ იმეორებს მხარგრძელი, უნვერული ყრმა ან დიაკვანი – ვისი შვილიც არ უნდა იყოს იგი – გინდა დიდებულის, გინდა აზნაურის ანდა ჩემი სახლის წვერიც, არანაირი მიზეზით არ შეიშვება მონასტერში, ისევე როგორც ქალი. „და განმარტებით ითქუმოდენ, ვითარმედ ვითარცა იგი მდედრისათუს განმინესებიეს, ეგრეთვე მსგავსად და უნუერულისათუს განვანესებ, რაითა ყოვლად-ყოვლითურთ უვალ-იყოს მონასტერი ესე ესევითართა პირთაგან“. ¹ ამ კანონის დამრღვევს საშინელი წყევლით ემუქრება „განგების“ შემდგენელი. მის მტკიცედ შემსრულებელს კი – „შეუძრავი სასუფეველი და უმიმწუხროფ ნათელის“ დამკვიდრება ელის საიქიოს.

ახალგაზრდა ყრმათ ასევე კატეგორიულად ეკრძალებათ მონასტერში შეშვება პეტრინონის ტიპიკონითაც, „რაითა არა დააქციონ სრულიად მონასტერი და წარწყმიდონ იგი“. ბიზანტიური მონასტრების ნაწილი მცირეწლოვანთ, უსასაკოთ იღებს აღსაზრდელად, მეორე ნაწილი კი – კრძალავს, ვიდრემდე წვერი არ ამოუვათ. ²

მონასტერში შესვლა ეკრძალებათ აგრეთვე კერპთაყვანისმცემლებს, მეძავებს, მრუშებს, მამათმავლებს, ქურდებს, ლოთებს. ისინი ღვთის სასუფეველს ვერ მოიპოვებენ: „არცა მეძავთა, არცა კერპთმსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუ-

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 76.

² Каждан А. П., Византийский монастырь XI-XII вв., как социальная группа, გვ. 61.

კენტა, არცა მამათმავალთა, არცა ანგაჰართა, არცა მჰარავე-
თა, არცა მომთრვალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცე-
ბელთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ¹. ვისაც
ამხელენ ზემოთ მოყვანილ ცოდვაში, „მცირესა გინა დიდთა-
განსა“, შეუნდობლად გაძევდება მონასტრიდან. ოღონდ გა-
ნაჩენი ნაჩქარევად არ იქნება გამოტანილი, ჯერ საფუძვლი-
ანად განიხილავენ „შესმენას“, რომ იგი შურმტერობით არ
იყოს ნასაზრდოები, გულდასმით გამოიძიებენ, რადგანაც
რომელიმე შურიანმა, შესაძლოა იკადროს ტყუილად ცილის-
ნამება. თუ შესმენა გამართლდება, ბრალდებული დაუყოფ-
ნებლივ გაძევდება მონასტრიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში
– ცილისმნამებელი დაისჯება სასტიკად, იგი „ფრიადითა შე-
ურაცხეებითა განქიქებული“ განიდევნება მონასტრიდან და
მის ქონებას ძმანი გაიყოფენ („ნაქონები მისი ძმათა განი-
ყონ“).

§2. სამონასტრო კორპორაცია (ძმობა)

საქართველოში არსებულ საჯარო ხასიათის კორპორა-
ციათაგან ყველაზე მეტად გავრცელებული და ქრისტიანო-
ბის ხანიდან განვითარებული იყო სამონასტრო კორპორა-
ცია, სამონასტრო ძმობა, რომელსაც თავისებური წყობა და
წესდებით განმტკიცებული წეს-ჩვეულებები ჰქონდა. კორ-
პორაცია დამოუკიდებელი (შიდა სტატუსით) თვითმმართვე-
ლი ორგანიზაციაა, მეტ-ნაკლებად მოწყვეტილი გარე სამყა-
როს და შიგნით კი მტკიცე ერთობით შედუღებული. რო-
გორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ამ დაწესებულებათა
საერთო დამახასიათებელ თვისებას საერთო ინტერესები,
ურთიერთთანადგომა და დახმარება შეადგენდა. „სამონას-
ტრო ძმობის იდეალი უმთავრესად სარწმუნოებრივ-ზნეობ-
რივი, მაგრამ აგრეთვე გონებრივი წარმატება იყო“². სამო-
ნასტრო ძმობის სათავეში მამასახლისი ან წინამძღვარი იდ-
გა, ძმობას ჰქონდა საჭურჭლე, სადაც მთელი შემოსავალი
იყრიდა თავს, მას განაგებდა მეჭურჭლე.

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 78.

² ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VII, გვ. 237.

სამონასტრო ძმობა საქართველოში ნამდვილ კორპორაციულ დანესებულებად და ორგანიზაციად მას შემდგომ იქცა, როდესაც იქ, მონასტრებში, მონარქიების წეს-წყობილების მაგიერ XI ს. 30-იანი წლებიდან კრებულობითი, რესპუბლიკური მართვა-გამგეობის წესი დამყარდა.¹ ამ დროიდან მოყოლებული მონასტრის მთელი ქონების მეპატრონე ხდება „კრებული ყოველთა ძმათაჲ“, ყოველი სავსებაჲ ძმათაჲ“. თანამდებობის პირებს არჩევის წესით ადგენდნენ. მონასტრის ყოველი საქმე კეთდებოდა ძმათა კრებულის საშუალებით, „საშუალობისაგან ძმათა კრებულისა“. ასე რომ, მონასტრის ბერთა მთელი შემადგენლობა „ძმობას“ წარმოადგენდა, თითოეული მათგანი „ძმაჲ“ იყო. ამ ძმობაში არ იგულისხმებოდა მამასახლისი, რადგან ის „მამად“ ითვლებოდა.²

სამონასტრო კორპორაციაში ე.წ. უმაღლეს ორგანოს ძმათა „ყოველი“ კრებული წარმოადგენდა, რომელიც „გამორჩევითა“ და „წილგდებით“ ირჩევდა ხოლმე ხელისუფლებს. ამ კრებაზე წყდებოდა ყველა ძირითადი საკითხი, რაც კი მონასტერს შეეხებოდა.

მაგალითად, ძმათა მთელი „სავსებობა“ ახლადარჩეულ მამასახლისს ხელისუფლების გადაცემასთან ერთად მონასტრის ავლადიდებას აბარებდა. „იურიდიულად ისე იყო მიღებული, რომ ძმობის ამ საერთო კრების დადგენილება „ერთობა“ განზრახვითა, „ერთნებაობითა“, „ერთსულობისა მიერ ძმათაჲსა“ და „ერთითა სიტყვითა“ უნდა ყოფილიყო გამოთქმული, ე.ი. ერთხმივი დადგენილების წესი იყო დაკანონებული“³ მაგრამ, როგორც ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, ეს ერთიანობა უფრო ფიქცია იყო, ვიდრე რეალობა, რადგან გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც უმრავლესობას, ე.წ. „უთავადესთა ძმათა“ ხმას ექნებოდა.⁴

ამრიგად, თუ მონასტრების მონარქიული წესწყობილების ხანაში მთელი ხელისუფლება ანუ „ყოველი ჴელმწიფებაჲ და

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 238.

² ივ. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნში გაშუქებულია ეკლესიისა და საეკლესიო სამართლის მრავალი საკითხი. ვეყრდნობით რა აღნიშნულ ნაშრომს, მოგვაქვს სათანადო პარალელები ვანის ქვაბთა ტიპიკონიდან.

³ ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VII, თბ., 1984, გვ. 239.

⁴ იქვე.

უფლებად“ მამასახლისს ეკუთვნოდა („ვითარცა ენებოს, ეგრეთ განაგოს“), მასზე იყოს დამოკიდებული მონასტრის მართვა-გამგეობა, განსჯის უფლება, ყველა ძირითადი კანონის შეცვლისა და მიღების საკითხი, რესპუბლიკური წყობილების შემოღებისთანავე „ყოველი ჳელმწიფება“ უკვე კრებულის ხელში გადავიდა და მას ეკუთვნოდა. ამიერიდან ყველა საქმე „ბრძანებითა ყოველთა ძმათაჲთა“ სრულდებოდა.¹ ერთი პირის ერთი ზრახვა და ნება მრავალი პირის ერთიანმა ზრახვამ და ნებამ შეცვალა. რამდენადაც მონასტრის მრავალრიცხოვანი „ძმობა“ მაინც ერთ გეზს იღებდა, ერთნებაობისა და თანადგომის პრინციპს ატარებდა, იგი ერთ სხეულად, ერთ ორგანიზმად უნდა განვიხილოთ. აქედან გამომდინარეობს სამონასტრო კორპორაციის მთავარი და უმთავრესი თვისება — ერთ სხეულად წარმოჩენა ძმობისა, საერთო იდეალებისა და მიზნების ქონა, ივანე ჯავახიშვილმა გაიაზრა და ჩამოაყალიბა საკორპორაციო სამართლის ზოგადი მოძღვრება: „რაკი ერთი სული, ერთი ზრახვა და ერთი ნება შესაძლებელია მხოლოდ ერთ სხეულსა და პირსა ჰქონდეს, ამიტომ, ცხადია, რომ ქართული საკორპორაციო წეს-წყობილებისა და სამართლის „ერთნებაობის პრინციპი“ და დებულება უნდა დამყარებული იყოს იმ ზოგად მოძღვრებაზე, რომლის მიხედვითაც ძმობა და კორპორაცია მრავალ-წევრიანობისდა მიუხედავად მაინც ერთ სხეულად და ერთეულად იყო მიჩნეული. ამ თეორიულ მოსაზრებას ვაჰანის მონასტრის წესდება ადასტურებს. იქ მართლაც ძმობა ერთ სხეულად ითვლება და იწოდება კიდევ“.²

„ვაჰანის ქვაბთა განგება“ ძმობას ერთ სხეულად თვლის, იგი კრძალავს ჭამა-სმის უპირატესობით „განწვალვისა და განხეთქილების შემოღებას ერთსა მას შინა გუამსა ძმათასა“.³ გამოუსწორებელ დამნაშავე წევრთა სავანიდან განდევნის აუცილებლობაც მას იმ მოსაზრებით აქვს დასაბუთებული, რომ მათი ძმობაში ყოფნა სხვის სულსაც დააავადებს,

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 239.

² იქვე, გვ. 77.

³ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 68.

დამნაშავენი უნდა განიდევნონ ძმობიდან, რათა „არა ყოველსა გუამსა განეზაოს სიმპალვე“.¹

ძმობა, სავანე „ერთი გუამი“, ერთი სხეული ან პიროვნება ყოფილა. ამდენად, ერთნებაობის პრინციპი სრულიად ადვილი გასაგებია: ერთ ნორმალურ სხეულს შეიძლება მართლაც მხოლოდ ერთი სული, ზრახვა და ნება ჰქონდეს. ე.ი. „აქ ჩვენ იმავე მოძღვრებასთან გვაქვს საქმე, რომელსაც სამართლის მეცნიერებაში იურიდიული პირის მოძღვრება ეწოდება“,² – აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი, აქვე იგი ერთმანეთს ადარებს ქართული სამართლისა და დასავლეთ ევროპის სამართლის კანონისტთა მოძღვრებას და პოულობს გასაოცარ მსგავსებას: „აქაც და იქაც არჩევანის სისტემა და ავტონომია, იქაც და აქაც ერთსულოვანი, ერთხმივი გადანყვეტილების პრინციპია დანესებული, დასასრულ, იქაც და აქაც ამ ცნებათა გამოსათქმელად ნახმარი ტერმინების, თითქმის იგივეობად ქცეული მსგავსებაა“.³ აქვე მკვლევარმა სრულიად ლოგიკურად მიიჩნია ეს მსგავსება და აღნიშნა, რომ ეს მოვლენა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამ მსგავსებას საერთო საფუძველი, საერთო წყარო უნდა ჰქონდეს. იგი უნდა მომდინარეობდეს ან რომაული სამართლის მემკვიდრეობისაგან, ანდა კულტურული გავლენის შედეგთან უნდა გვექონდეს საქმე.⁴

სამონასტრო ორგანიზაციის ყოფა-ცხოვრება, მის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება თუ გარე სამყაროსთან მიმართება მკაცრად იყო განსაზღვრული და ჩამოყალიბებული სამონასტრო ტიპიკონის წესებით. ისე რომ, სამონასტრო „ძმობის“ წევრებს ზოგადად „მონესეთა“ სახელიც კი შერჩათ. მონასტრის ყოველი ახალი წევრი ვალდებული იყო წესდებას გასცნობოდა და მტკიცედ დაეცვა იგი. აი, რას ამბობს „ვაჰანის ქვაბთა განგება“: „უკეთუ ვინმე მონაზონი შემოვიდეს და ძმათა თანა დანესებოდეს, ესე ძეგლი სრულებით ნარეკითხვოდეს. უკეთუ ყოვლითურთ გულსავსე იქმნებოდეს

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 77.

² ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 240.

³ იქვე, გვ. 241.

⁴ იქვე.

და სიხარულით შეინყნარებდეს წესთა ამათ, თუთცა დაენესებოდეს ძმათა თანა, და უკეთუ არა შეინყნაროს, ლოცვამ აქუს და კურთხევამ".¹

ტიპიკონით დაკანონებული წესების დაცვა ძმობის ყოველი წევრის ვალდებულებაა. იოანე მთანმინდელი არწმუნებს მონასტრის ძმობას, რომ ღვთის მცნებათა შესრულებით, წესისა და კანონის დაცვით სიკეთე არ მოგაკლდებათ და სულიერ საზრდოს მოიპოვებთ.² ტიპიკონის უპირველესი მიზანი მშვიდობიანობის დამყარება, ძმობის „განუკვეთელი ერთობა“ და „წინამძღვართა უზაკუველი მორჩილება“ იყო. ასე უნდა დამყარებულიყო „უშფოთველი ცხოვრება“ მათ სამყაროში. უპირველეს ყოვლისა, მონასტრის ჯელისუფალთ უნდა დაეცვათ ტიპიკონის ყოველი რიგი და მცნება, მათ უნდა მიეცათ მაგალითი „ძმობის“ წევრებისათვის. „განგებაში“ პირდაპირაა მითითებული, რომ ყოველი მოძღვარი ვალდებულია დიდი მოკრძალებით მიუდგეს განწესებას, საქმით სრულყოს მასში აღწერილი წესები, მახვილი თვალთ ამხილოს ყოველი გადახრა და თავისი პატიოსნებით მაგალითი მისცეს ყველას.

გაეცნობოდა რა ტიპიკონს ძმობის ახალი წევრი, იგი საბოლოოდ დამკვიდრდებოდა მონასტერში. ძმად განწესებისათვის სასყიდელის აღება რომელიმე წევრისაგან მიუტევებელ ცოდვად ითვლებოდა, თუ იკონომოსი ან დეკანოზი, ან სხვა რომელიმე ჯელისუფალთაგანი იკადრებს და ქრთამს აიღებს და ამით გარდარეულ ვერცხლისმოყვარეობას გამოავლენს, იგი მხილებული იქნება უცილობლად და თავისი პატივისაგან ჩამოქვეითდება, რადგანაც ასეთი ადამიანისაგან კეთილის ქმნას არ უნდა ელოდე, ვერცხლისმოყვარეობა ხომ საძირკველია ყოველგვარი ბოროტებისა; ბოროტთა თესლთა ბოროტი აქვთ ნამუშავევიც“.

აღნიშნული მუხლი ძმობის წევრად განწევრიანებისა თავისთავად საინტერესოა. იგი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მონასტერში „ძმად განწესებისათვის“ ქრთამის აღების შემთხვევებიც ყოფილა. საერთოდ, ფეოდალურ საქართვე-

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 89-90.

² გიორგი მთანმინდელი, ცხოვრებამ იოვანესი და ეფთუმესი, გამოსაცემად მოამზადა ივანე ჯავახიშვილმა, თბ., 1946, გვ. 36.

ლოში ხშირი იყო შემთხვევები საეკლესიო თანამდებობების გაყიდვისა, საამისო მაგალითები მრავლად მოგვეპოვება. ამ მოვლენის წინააღმდეგ სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ლონისძიება ტარდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მოვლენა მაინც ფართო ხასიათს ატარებდა და რადგანაც იგი ზოგადად მაინც არსებობდა, კერძო შემთხვევებში საჭიროდ მიიჩნევენ ისეთი წესის დამკვიდრებას, რომელიც კრძალავს მონასტერში ამგვარ „ვაჭრობას“. „ვაჰანის ქვაბთა განგებაშიც“ სწორედ ამიტომ გაჩნდა ამგვარი მუხლი.

შემოვიდოდა რა მონასტერში ახალი ძმა, იგი მაშინვე უნდა გამხდარიყო იმ „მონაზონებითი მოქალაქეობის“ წევრი, რომელიც დამკვიდრებულია მონასტერში, „მონაზონებითი მოქალაქეობა“ ბევრ რამეს ითხოვდა მონაზონისაგან, ეს ბევრი რამ კი ერთიან, ძლიერ, მტკიცე და ურყევე სულში უნდა გამოვლენილიყო. ამგვარი „მოქალაქე“ სათნო, მორჩილი და მდაბალი ბერია; ბერი, რომელიც პატიოსანი სინდისითა და ღვთის მოშიშებით მორჩილია მწყემსისა და სულიერი მამისა მისისა. „მონაზონებით მოქალაქეობაში“ ურჩობა გამორიცხულია, რადგან „ურჩებისა ნაყოფი სიკუდილი არსო“, – ნათქვამია. მედიდურსა და ლალ მონაზონს ტრაპეზს შესვლა ეკრძალება, არც მისი სარგო „სანესოფ“ მიეცემა, ხოლო თუ საერთოდ არ მოიშლის ურჩობას, იგი გაძევებულ იქნება მონასტრიდან.

„ვაჰანის ქვაბთა განგება“ კრძალავს „შვილებულის“ ძმად განწესებას. „შვილებული“ – შვილობილს, ნაშვილებს ნიშნავს. ვინაიდან „განგების“ ეს ნაწილი დაზიანებულია, ძნელდება ტექსტის შინაარსის სრულფასოვნად გაგება. სავარაუდოა, რომ აქ საუბარია იმ მოწესებზე, რომელიც მონასტერში ბერად აღკვეცილა, იქ კი საერო ცხოვრებაში შვილი, შვილობილი დარჩენია და მისი მონასტერში წაყვანა განუზრახავს. ასეთი „შვილებული“ ძმად ვერ განწესდება.

ბერად შეიძლება აღკვეცილიყო მონასტრის მეპატრონის ოჯახის რომელიმე წევრი, აზნაურთა გვარის წარმომადგენელიც, „ძმად განწესების“ ასეთი შემთხვევები მრავლად გვხვდება. თუ ამგვარი საგვარეულო სახლის აზნაური ანდა მსახური ღირსია მონასტერში დამკვიდრებისა და მონაზვნად

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, ლექსიკონი, გვ. 126.

შედგება, მაშინ მონასტრის პატრონთაგან ასე „გაიჩინება“: თუ ნამსახურია ამ მეპატრონესთან და საპატიო აზნაურისშვილია, მწირველად დაიდგინება შესაფერისი სარგოთი — „პურითა და ოქროთა და ჯდომითა ყუელაფთა“, თუ დიდად საპატიო და ნამსახური არ არის, მან არც უნდა იკადროს მწირველთა თანა დანესება“. „უფრო დაბალი ღირსების მსახური კი, რომელიც მონასტერში დამკვიდრების ღირსია, მესამე დასის მონაზონებთან დადგება ტანისამოსითა, ოქროთა და ყოველთა სანესოფთა საქმითა“. ასეთია მონასტერში დადგინების წესი.

მონასტერში მალალი ფეოდალური გვარის წარმომადგენელთა პრივილეგიურ მდგომარეობაზე პირდაპირაა მითითებული ბერძნულ მონასტერთა ტიპიკონებშიც. თუ ვინმეს თავისი მდგომარეობის მიხედვით რაიმე სასიკეთოს გაკეთება შეუძლია მონასტრისათვის, ისინი პრივილეგიებულნი ხდებიან სავანეში, სადაც გარკვეული უფლებებით სარგებლობენ კიდევ.¹ სიმდიდრე და სოციალური მდგომარეობა მონასტერში მყოფთა საზოგადოებრივ გრადაციაზეც დიდ გავლენას ახდენდა.

...სამონასტრო ცხოვრებას სიმყუდროვე, სულიერი შვეება მოაქვს ადამიანისათვის. აქ გამეფებულმა სინყნარემ უნდა დათრგუნოს შფოთი და ბოროტება. ძმობის წევრები ერთმანეთის მიმართ დიდი პატივისცემითა და მოწინებით არიან განწყობილნი. მათ შორის დავა, კამათი მიუღებელია. თუ ძმათა შორის „მეშფოთე“ და „მრუდი“ კაცი გამოერია, მას აუცილებლად ძმათა მყუდროების დარღვევა მოჰყვება, რადგან ერთი კაციც კი საკმარისია ქალაქის „აღძვრად და აღშფოთებად“.

რისხვა, გულისწყრომა და სიმწარე უნდა აღმოიფხვრას მონაზონთა გულებიდან, როგორც წმ. მოციქული იტყოდა: „ყოველი რისხუად და გულისწყრომად და ჯდომად და ღალადებად და სიმწარე მოისპენ თქუენ შორის ყოვლით უკეთურებითურთ, ვითარცა ჰშუენის წმიდათა“.² წმიდანნი კაცნი სიმშვიდეში უნდა ავლენდნენ თავიანთ სინმიდეს.

¹ Каждан А. П. დასახ. ნაშრ., გვ. 62.

² იქვე.

თუ რომელიმე ძმათაგანი იკადრებს შეურაცხოფას ძმისას, ის მაშინვე განიდევნება მონასტრიდან. ბერ-მონაზონნი თანასწორნი არიან ეკლესიაში. მიუტევებელია გულშემატკივრობა მეამბოხე, მეშფოთე, „მემთვრალე“ ძმისა, მისი მხარდაჭერა თავისთავად დანაშაულია, რადგან „იხილე თუ მპარავი, თანაურბიოდე მას“.¹ დამნაშავეის დამხმარე კი თვითონაც დამნაშავეა და მასაც იგივე სასჯელი უნდა მიეზლოს, რაც ნამდვილ დამნაშავეს; ისიც თავხედად და „მეშფოთედ“ იქნება მიჩნეული. მათი საკითხი მწყემსმა უნდა განიხილოს და ორივეს გამოუტანოს სასჯელი. ღვთის მონათა შორის ჩხუბი და შუღლი მიუღებელია, მეშფოთესა და მაგინებლის სამყოფელი მონასტერში არ არის. ისინი განიძევებიან მონასტრიდან და მათ ადგილას სხვა უფრო მყუდრო და მშვიდი ადამიანები დამკვიდრდებიან.

ძმობის არცერთ წევრს არა აქვს უფლება მონასტრის გარეთ გასვლისა. იგი უნდა მივიდეს მოძღვართან, აუხსნას საქმის ვითარება და თუ ის ნებას დართავს, გამოეთხოვოს მას და წავიდეს, მოძღვრის დაუკითხავად არა თუ თავისი საკუთარი საჭიროებისათვის, თვით მონასტრის მეპატრონის დავალებითაც კი არ შეიძლება წავიდეს მონაზონი. აუცილებელი, გარდაუვალი საქმისათვის მოძღვრის ლოცვისა და კურთხევის მიღების შემდეგ შეიძლება გამგზავრება და ისიც მხოლოდ იმდენი ხნით, რა ხნითაც მოძღვარი უბრძანებს, თუ წასული დათქმულ ვადას გადააცილებს, საქციელი ურჩობასა და უნესობაში ჩაითვლება, ხოლო თუ ვინმე ერთ ღამესაც კი გამოუთხოვლად დაჰყოფს მონასტრის გარეთ, მონასტრიდან გაიძეება, ვითარცა თავხედი და შეურაცხისმყოფელი.

სავანის კედლებს გარეთ ღამის გათევა, შემთხვევით შემხვედრ ხალხთან დალაპარაკება დიდ დანაშაულს წარმოადგენდა ბიზანტიურ მონასტერშიც. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, VIII ს-ის ბოლოდან ბიზანტიაში ე.წ. „საქალაქო მონასტერი“ იჩენს თავს, წამყვან როლს საქალაქო, სატახტო მონაზვნობა თამაშობს. ამგვარ მონასტრებს კედლები ყოფდა საქალაქო ცხოვრებისაგან. კედლებს მიღმა ცოცხალი, ხმაურიანი, კეთილ-ბოროტით აღსავსე სიცოცხლე ჩქეფდა, მეორე მხარეს კი ღვთის მსახურთ სრული სიმშვიდე და

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 73.

მყუდროება უნდა შეენარჩუნებინათ. მონასტრის კარებთან სპეციალურად დაყენებულ მცველს ეს მიჯნა მტკიცედ უნდა დაეცვა და შემთხვევით მომხვდური შიგნით არ უნდა შეეშვა, არც შიგნიდან ჰქონდა ვინმეს გარეთ გასვლის უფლება. ძლიერი უნდა იყოს ნებისყოფაც და ღვთის მოშიშებაც ამგვარი განსაცდელისათვის.

ვანის ქვაბთა მონასტერში დიდ ცოდვად ითვლებოდა ვაჭრობა. ბერთა მცდელობას – ევაჭრათ ღვინით, სხვა პროდუქტებით, აუცილებლად სასჯელი მოჰყვებოდა. მათ არა აქვთ უფლება მევახშეობისა, ნივთიერი საჭიროების ვახშად ან სარგებლად გაცემისა, არ შეიძლება გაჭირვებულთა ხარჯზე გამდიდრება. ადამიანის გაჭირვებით გამდიდრებული ვერასოდეს გაიხარებს, ეს ცოდვა ვაჭრობაზე უარესია და იმავდროულად ეს არის დასასრული ანგარებითი სიბოროტისა. სამართლიანადაა ნათქვამი: „სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სალოცველ ენოდების, ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა“. ასეთი საქციელი ერისკაცისთვისაც კი მიუტევებელია, მევახშე ერისკაციც კი შეუწოდებელია, არა თუ რომელიმე წმიდა მამა, რომელიც თავისი სისპეტაკითა და პატიოსნებით უნდა გამოირჩეოდეს, სალოცავი არამცდაარამც არ უნდა იქცეს „ქუაბად“ ავაზაკთა.

„ვაჰანის ქვაბთა განგება“ წეს-ჩვეულებათა კრებულია, რომელიც განმარტავს, თუ როგორი უნდა იყოს წმინდა ადამიანი, რა უნდა აკეთოს და რისი უფლება არა აქვს. ეკლესიიდან, მონასტრის თითოეული სენაკიდან უნდა გაისმოდეს გალობა, ლოცვა, ვედრება სიკეთით ამეტყველებული. „თითოეული თვისსა სენაკსა შინა შეევედრენ კრძალულებით კანონსა თვისსა განწესებულსა და მყუდროებითსა დიდებისმეტყუელებასა, რომლითა მხოლოდ მხოლოსა მათ მიეახლების მიუახლებელსა, და შეეტრფვის და აღისურვებს სატრფოსა სასურველსა, არსთა ცხოვლობისასა, და ხედავს განწმედლითა გონებისა თუალითა ზეშთააღმატებულთა მათ გონებათა განცა უხილავსა და მინდომად შეუძლებელსა, მეტყუელი: „შეეძერნა სული ჩემი შემდგომად შენსა და მე შემენია მარჯუენემან შენმან“.¹

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 83.

წმიდა ადამიანებს არ შეშვებით უქმსიტყვაობა, ბილ-
ნსიტყვაობა: „ყოველი სიტყუაჲ დამპალი ნუ გამოვალნ პი-
რით თქუენით, ვითარცა შუენის წმიდათა“.¹ არც ნაყროვანე-
ბაა მისაღები ძმებისათვის, ნაყროვანება დედაა სიბილწისა.
მლოცველი აუცილებლად უნდა მარხულობდეს, ვინაიდან
„უეჭუელად პირველი ხარისხი მოღუანებითისა მოქალაქო-
ბისაჲ“, რომელიც ყოველი საეკლესიო პირის მიზანს შეად-
გენს, მარხვისა და კრძალულების გარეშე (სრულიად) შეუძ-
ლებელია. ტიპიკონის ავტორი პირდაპირ ევედრება ძმობის
წევრებს, რომ მოისპოს მათში ის მრავალთავიანი ვეშაპი სი-
ბილწისა, რომელიც უქმსიტყვაობაში, ლოთობაში, „ვნებულ
მეგობრობაში“ ვლინდება და რომელიც მტერია იმ საღმრთო
მწყობრი სისტემისა, რომელიც მონასტერში დაკანონებულა
და უნდა ბატონობდეს. ღვინით ამეტყველებული ადამიანი
სასიკეთოს ვერსა იქმს. მას მუცელი გაღმერთებული აქვს და
დიდება მისი სირცხვილეულია, ბერ-მონაზვნებმა პირდაპირ
მცნებად უნდა გაიხადონ სიტყვები: „ნუ დაითრევით ღვინი-
თა, რომლითა არს სიბილწე“. მემთვრალენი, ლოთები სასუ-
ფველს ღვთისას ვერასოდეს დაიმკვიდრებენ.

არცერთ ძმას არა აქვს უფლება მწუხრის შემდეგ ძმის სე-
ნაკში შესვლისა, არც თავყრილობის გამართვა და სენაკებში
„ღვინის მოსუმურობა“ შეიძლება, არც ძილისპირს „საეშმა-
კო“ გალობის თქმა. ეს წესები კანონადაა ქცეული ვანის
ქვაბთა მონასტერში და მისგან გადახვევა მკაცრად ისჯება.
„ვაჰანის ქვაბთა განგება“ ვანის მონასტრის ტიპიკონია, რო-
მელიც სინყნარეს, სიმშვიდეს, სიყვარულს, ურთიერთგაგე-
ბას, თანასწორობას და ურთიერთპატივისცემას ქადაგებს.
აქ ყველა თანასწორია კანონის წინაშე და თანასწორობაში
უფროს-უმცროსობაც პატივსაცემია ყოველი ძმის მხრიდან.
სამონასტრო წესები დოგმად უნდა იყოს ქცეული მონას-
ტრის ძმებისათვის, წესიერება – სისხლსა და ხორცში გამ-
ჯდარი, მისგან გადახვევა კი უპასუხისმგებლობა და უპა-
ტივცემულობაა იმ წმიდა ალაგისა, რომელსაც მონასტერი
ჰქვია, რომელშიც წმიდანნი კაცნი მოღვანეობენ და სადაც
მხოლოდ სინმიდე და უმნიკვლობა უნდა ბატონობდეს.

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 82.

„ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ ჩანერილი კანონები საზოგადოდ საერთოა სხვა ქართული მონასტრებისთვისაც. მართალია, მისგან განსხვავებით სრული სახით რომელიმე ქართული მონასტრის ტიპიკონი ჩვენ არ გავვაჩნია, მაგრამ არსებობს შავიოგრაფიული ლიტერატურა, რომელიც წმინდანთა ცხოვრებას და მოღვაწეობას შეეხება. ისინი იმავდროულად ისტორიული წყაროს მნიშვნელობისაა. მათში თავმოყრილი და მიმოფანტულია სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელი ფაქტები და მოვლენები. სამონასტრო ცხოვრების ნათელ სურათს ხატავს შავიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები: გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, გიორგი მთანმინდელის „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება“ და სხვ. ჩვენ ცალკე სახით არც ხანძთის, არც ზარზმის ტიპიკონი არ გვაქვს ხელთ, მაგრამ აღნიშნულ ძეგლებში იმდენი სამონასტრო წესი და კანონია მოტანილი, რომ სამონასტრო ცხოვრებაზე უკვე გარკვეული სურათი გვექმნება, რომლის შეზავებაც ჩვენთვის ცნობილ ტიპიკონებთან, საზოგადოდ, ქართულ სამონასტრო ცხოვრებას უფრო მეტ ნათელს მოჰყვანს.

ექვთიმე მთანმინდელს მეტად მკაცრი კანონები და დისციპლინა ჰქონდა დამყარებული მონასტერში. თვითონ თავისი წმიდა და ნახევრად ასკეტური ცხოვრებით მაგალითს აძლევდა ძმებს, არავის ჰქონდა უფლება არ დასწრებოდა წირვა-ლოცვას. თუ ვინმე გააცდენდა „გინა თუ ხუცესნი, გინა თუ დიაკონნი, გინა თუ მჭამობელნი, უკეთუ ჭაბუკნი იყვნინან“, ას მუხლს მოადრეკინებდნენ საკურთხეველის წინაშე. ხოლო მოხუცებს და უძღურებს „უღვინობა და უსაჭმელობა“ განეწესებოდა იმ დღეს. კანონის დარღვევა არც ახალგაზრდას ეპატიებოდა, არც მოხუცს და არც უძღურს. იერარქიის ყველა საფეხურისათვის კანონი კანონობდა.

მონასტრიდან გასული თუ ერთი-ორჯერ დაიგვიანებდა, მას სატრაპეზოში აღარ შეუშვებდნენ და იმ დღეს ხმელი პურის ჭამა მიესჯებოდა. ღვინის, თევზის ან სხვა რაიმეს სყიდვა, გარდა ზეთისა (და ისიც მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში) იკრძალებოდა.

ძმობის წევრებს სერობის ლოცვის შემდეგ ეკრძალებოდათ სენაკებში ან მონასტერში შეკრება, „უბნობა“, სიცილი.

დამნაშავეს ღვედით გაროზგავდნენ ისე, რომ კვირაობით ფეხზე ადგომა უჭირდა. მონასტერში ძმათა ფიზიკური შრომა იყო გაბატონებული, აქ „ყოველსა ძმანი შვრებოდიან“.

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში ვეცნობით ტრაპეზობის, ეკლესიისა და სენაკებში ქცევის წესებს, დასჯის მეთოდებს, სტუმართა მიღების წესებს და სხვ.

ჩვენამდე მოღწეული უცნობი მონასტრის ტიპიკონის ფრაგმენტშიც იკითხება რამდენიმე სამონასტრო კანონი. ეს განწესება, სავარაოდოა, ბოლნისისა ყოფილიყო.¹ აქ, ამ კანონების ამოკითხვა სრულყოფილად ქირს, მაგრამ ზოგი მათგანის გარჩევა შეიძლება. მაგალითად, აქ არის წესი მონაზვნისაგან დიაკვნის დამჭირვის შესახებ, წინამძღვრის მიერ ძმათა გაგზავნის შესახებ.² აქვე ლაპარაკია წინამძღვრისადმი მორჩილებისა და თვით წინამძღვრის მოვალეობის შესახებ.³

საქართველოს მონასტრებში დადებული წესი და რიგი ემსგავსება ბერძნულ მონასტერთა განწესებებს; და არა მხოლოდ თუ ემსგავსება, თითქმის იდენტურიცაა მისი. ბიზანტიურ მონასტრებშიც ასევე იკრძალება ღვინის სმა, უწესრიგობა, ჩხუბი და აყალმაყალი, ტიპიკონის კანონების დაცვა ყოველი მოწესის ვალდებულებათა, სასჯელთა სისტემაზე დიდად არ განსხვავდება ქართულისაგან.

ვანის ქვაბთა მონასტრის ტიპიკონის მერვე თავი ეხება საკითხს, თუ როგორი პატივი უნდა მიეგოს ძმობის გარდაცვლილ წევრს.

ძმობის ყველა წევრს უფლება აქვს გარდაცვალების შემდეგ ანდერძის დატოვებისა, ოღონდ ეს ანდერძი აუცილებლად შიდასამონასტრო ცხოვრებით უნდა შემოფარგლულიყო. გარდაცვლილს არ ჰქონდა უფლება ანდერძით დაეტოვებინა თავისი ქონება ნათესავისათვის ან მისი ოჯახის რომელიმე წევრისათვის და მონასტრიდან გაეტანათ ეს „ნაქონები“, თუნდაც ამ ქონებაზე მას ხელი აეღოს „უამსა მონაზონად კურთხევისასა“.

¹ ნ. თორთლაძე, ერთი სამონასტრო ტიპიკონის შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, თბ., 1993, გვ. 40.

² ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ნ. 1, ტფ., 1914, გვ. 72.

³ იქვე, გვ. 73.

ამ სამონასტრო კანონიდან გამომდინარე, ქონება, რომელსაც ბერად აღკვეცისას მოიტანს მონაზონი ეკლესიაში, უკვე ეკლესიის, მონასტრის საკუთრებას წარმოადგენს. შენახვის თვალსაზრისი, რომ ერისკაცობაში დაგროვილი ქონების ნაწილი, რომელზეც ბერად აღკვეცის პროცესში უარს ამბობს მონაზონი იმ მიზნით, რომ მას (ქონებას) მისი გარდაცვალების შემდგომ რომელიმე ნათესავს დაუტოვებს, სამონასტრო კანონებით მიუღებელია, მონასტერში შემოტანილი განძი, „ნაქონები“ მონასტრის საკუთრებად იქცევა და მისი გასხვისების უფლება აღარავის აქვს, უფრო მეტიც, მას არა მხოლოდ თუ გასხვისების, არამედ დასაკუთრების უფლებაც კი აღარ ეძლევა.

ამის მაგალითად ერთი დეტალი გამოგვადგება გიორგი მთანმინდელის „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრებიდან“. ერთ მთავარდიაკვანს, რომელიც ღირსეული წარმომავლობისა იყო და რომელსაც საკმაოდ ღირებული საფასე მიეცა მონასტრისათვის, არ სურდა, რომ მისი სამოსელით სხვა ვინმე შემოსილიყო; ეს რომ შეიტყო მამა ექვთიმემ, „თვისითა ხელითა შთააგდო კვართი იგი ცეცხლსა და ესრეთ დაიწვა“.¹

ასევე ხდება ბერძნულ მონასტრებშიც. მონასტრის საკუთრების გასხვისების უფლება ძმებს არ ჰქონდათ, მონასტრის პურიით ისინი ვერ გამოკვებავდნენ ნათესავებს. ყოველივე, რასაც იხმარდა მღვდელი, მონაზონი, მისი სიკვდილის შემდეგ მონასტრის ძმობას რჩებოდა.²

სამონასტრო ტიპიკონით, მღვდლებმა და დიაკვნებმა გარდაცვლილ ძმას გარდაცვალების შესამე დღეს ჟამი უნდა უწიონ უსასყიდლოდ და აღაპიც გადაიხადონ იმავე დღესა ტრაპეზით. ყოველმა ძმამ უნდა ილოცოს მისი სულის შესანდობლად. ეს მათი უკანასკნელი ვალია გარდაცვლილი ძმის წინაშე.

„განგების“ მერვე თავი შემოსანირის გაყოფასაც ეხება. სანამ უშუალოდ მის პირობებს განვიხილავდეთ, მანამდე გავარკვიოთ, რას წარმოადგენდა ზოგადად სამწირველო.³

¹ გიორგი მთანმინდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, გვ. 39.

² Каждан А. П., დასახ. ნაშრ., გვ. 59.

³ სამწირველოს საკითხი შეისწავლა ბ. ლომინაძემ გამოკვლევაში „სამწირველო XIII საუკუნეში“, იხ. მიმომხილველი, I, თბ., 1949, გვ. 309-332.

„სამწირველო“ სამონასტრო მიწათმფლობელობის ერთ-ერთი თავისებური სახეა, იგი ფეოდალური სამეურნეო ორგანიზაციაა. იგი არ გაჩენილა XIII საუკუნეში, ეს უფრო ადრინდელი მოვლენაა. სამწირველოს დაარსება შეწირულების გაჩენას უკავშირდება, შეწირულება კი სამონასტრო ცხოვრების, სამონასტრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისთანავე ჩნდება. სამწირველო საკურთხეველია, მაგრამ ჩვეულებრივისაგან განსხვავებით, აქ წარმოებს მხოლოდ გარკვეული მოსახსენებელი თუ სააღაპე წირვა-ლოცვა და ამავე დროს მას მონასტრის კედლებს გარეთ აუცილებლად საკუთარი საშემოსავლო ობიექტი გააჩნია – შეწირული მამულების შემოსავალი, რაც ძირითადად საკურთხეველზე იხარჯება, ხოლო ნაწილი საერთო სამონასტრო საქორეობასაც ხმარდება, ე.ი. სამწირველოს შექმნა მიზნად ისახავდა მხოლოდ და მხოლოდ სამწირველის სულის შესავედრებლად შეკვეთილ წირვა-აღაპის მოწესრიგებას.¹ მწირველნი ასრულებენ ჟამის წირვას – უმთავრეს ქრისტიანულ ღვთისმსახურებას, რომლის დროსაც სრულდებოდა ე.წ. საიდუმლო ზიარება, ლიტურგია. მისი მატერიალურად უზრუნველყოფისათვის არსებობს გარკვეული წყარო – ყმა-მამული (სოფელი ან რამდენიმე გლეხი), რომელიც მისი შემოსავლით (ღალა, კულუხი, მუშაობა) მწირველს აბარია.² სამწირველო სოფლის ანდა მამულების ადმინისტრაციული მართვა-გამგეობა ზოგ შემთხვევაში მწირველის მოვალეობას არ შეადგენდა და ამისათვის მონასტრის სხვადასხვა თანამდებობის („მესთულე“, „მელალე“, „სამართლად გამგებელი“) მოხელენი იყვნენ გამოყოფილნი, რომლებიც თავისთავად დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდნენ მონასტერსა და სამწირველოს შორის; სხვა შემთხვევაში სამწირველო მამულის გამგე-მოურავად თვითონ მწირველი გვევლინება. მწირველი ის პირია, რომელიც შეკვეთილ წირვა-აღაპს იხდის, მიღებულ შემოსავალს ხარჯავს საკურთხეველში თუ ტრაპეზზე. სამღვდელმსახურო წესების შესრულებაც მასვე აკისრია, ე.ი. შემოსული პურ-ღვინის დანიშნულებისამებრ. მოხმარება მწირველის მეშვეობით ხდება. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ყმა-მამული მონასტერს უშუა-

¹ ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 332.

² იქვე.

ლოდ არ უკავშირდება. სწორედ ამაში გამოიხატება ის თავისებურება, რაც სამწირველოს ახასიათებს სამამულო ურთიერთობის სფეროში და რითაც იგი განირჩევა ეკლესია-მონასტერში არსებული სხვა სამამულო ურთიერთობისაგან, სამწირველოში მწირველსა და ყმა-მამულს შორის ერთგვარი ორგანიზაციული კავშირია შექმნილი. ეს არის სამწირველოს არსებობის საფუძველი.

მწირველი, რომელსაც სამწირველო აბარია, ისე განიხილება, როგორც მონასტრის მსახური. ამ სამსახურისათვის (მწირველობისათვის) მას სარგოც ეძლევა; ზოგჯერ თვით სამწირველოს საერთო შემოსავალში უძევს წილი, ზოგჯერ კი ცალკე დამოუკიდებელი წყაროც აქვს გაჩენილი.¹ სამწირველოს ფეოდალური ბუნებიდან გამომდინარე, მოგვიანო პერიოდისათვის იგი უკვე დამოუკიდებელ სახეს იღებს. ასე მაგალითად, გელათის ეკლესია – ეკვდერებმა, რომლებიც თავისებურ სამწირველოებს წარმოადგენდნენ, ნელ-ნელა სრული დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

ჯერ ეს სამწირველოები საერთო-სამონასტრო ძმობაში იყო მოქცეული და მათ ერთი წინამძღვარი-ეპისკოპოსი ჰყავდა, შემდეგ კი აქედანაც გათავისუფლდნენ. მართალია, ასეთ მდგომარეობას საერთო გავრცელება არ მიუღია, მაგრამ ეს ფაქტი სამწირველოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვაზე მიგვანიშნებს.²

„მწირველს პირადი სარგებლობისათვის ერთგვარი გასამრჯელო, „სარგო“ ეძლეოდა, მას ტრაპეზზეც ჰქონდა გაჩენილი ულუფა. მოგვიანებით პირდაპირაა მითითებული, რომ ზედმეტი პურ-ღვინო, რაც აღაპს და წირვა-ლოცვას გადარჩებოდა, მწირველს უნდა მოეხმარა პირადად, ე.ი. მწირველს ჰქონდა თავისი საკუთარი „სახლი“, რომლის გაფართოებაც, მიწების შეძენაც შეეძლო. მწირველი მფლობელ-მესაკუთრედ გვევლინება. მის განკარგულებაში მყოფი მამულები ზოგი კერძო საკუთრების ხასიათისა იყო, ნაწილი კი დროებით, პირობით მფლობელობაში გადაცემულ ქონებას წარმოადგენდა.“³

¹ ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 331.

² იქვე, გვ. 329-330.

³ იქვე, გვ. 331.

ასეთია ზოგადად სამწირველოს სურათი.

ვანის ქვაბთა მონასტერში სამწირველო ჯერ კიდევ მჭიდროდ უკავშირდება მონასტერს, აქ ნიშნები სამწირველოს დამოუკიდებლობისა ჯერ არ შეიმჩნევა („ვაჰანის ქვაბთა განგება“ XIII საუკუნის ძეგლია!). შემოსანირი ორ ნაწილად იყოფა: ერთი ნახევარი საეკლესიო საჭურჭლეში შეინახებოდა, ხოლო მეორე ნაწილს თანაბრად იყოფენ მწირველნი, მგალობელნი და მწირნი, რომლებიც წირვა-ლოცვაში მონაწილეობენ. მღვდელყოფილები და მთავარდიაკვნები მღვდელთა თანასწორად მიიღებენ სარგოს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას მატერიალური სამსახურის განევა. მატრიანების, სულის მოსახსენებლების ჩასანერად შემოსული შეწირულებაც მღვდელთა და მწირთა შორის თანაბრად იყოფა. რამდენადაც შემოსავალი – შეწირულება თანაბრად იყოფა მონასტერსა და სამწირველოს შორის, აქედან გამომდინარე, ეს ორი ორგანიზაცია ვანის ქვაბებში ჯერ კიდევ ერთმანეთშია შერწყმული. აქ სამწირველო მონასტრის ძირეულ ნაწილს შეადგენს და ერთ ორგანიზმად წარმოიდგინება. მწირველებს, ტიპიკონის მიხედვით, თავისი სარგოც ჰქონდათ მონასტერში, თავისი ულუფაც – ტრაპეზზე სხვა მსახურთა გვერდით. ასე რომ, სამწირველო XIII საუკუნეში ვანის ქვაბთა მონასტრის უშუალო შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. შეწირულებანი XIV-XV-XVI საუკუნეების მანძილზეც გრძელდება ვანის ქვაბებში, მაგრამ სამწირველოს მდგომარეობის სრული სურათის აღდგენა უკვე შეუძლებელი ხდება წყაროების უქონლობის გამო, რამდენადაც „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებით შეწირულების რაოდენობასა და შემწირველის ვინაობას ვეცნობით მხოლოდ. ფაქტობრივად, სამწირველო არსებობს ვანის ქვაბთა მონასტერთან, მაგრამ მისი უფლებრივი მდგომარეობა, დამოკიდებულება მონასტერთან, მონასტრის მეპატრონესთან უკვე ბუნდოვანია. საუკუნეების მანძილზე მონასტერიც სხვადასხვა საგვარეულოს საკუთრებად წარმოგვიდგება, წყაროების სიმწირე კი არ გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ ურთიერთობების ნათელი სურათი მონასტრის მეპატრონესა და თვით მონასტერს შორის, მონასტერსა და მის ყმა-მამულს შორის, მონასტერსა და სამწირველოს შორის და ა.შ.

§3. მონასტრის ქმოვის სამი ღანი

ივანე ჯავახიშვილმა თავის ვრცელ გამოკვლევაში ნათლად გააშუქა ეკლესიისა და მონასტრის ცხოვრება და საქმიანობა, როლი სახელმწიფოში, ეკლესიის მსახურთა შემადგენლობა, მათი უფლება-მოვალეობანი და სხვ. ჩვენი ნაშრომის ეს ნაწილიც დიდი მეცნიერის ამ მონაცემებს ეფუძნება.

ქრისტიანული ეკლესიის შვილნი და მსახურნი, როგორც ცნობილია, ორად განიყოფოდნენ: ერთნი – მსახურნი და მოღვაწენი „უდაბნოვსანი“ ანუ მონასტრისანი და მეორენი – საერო ეკლესიის მსახურნი.

საერო ეკლესიის მრავალრიცხოვანი მსახურნი ივანე ჯავახიშვილმა უფროს-უმცროსობით ასე განალაგა:¹

1. „მთავარეპისკოპოზნი“ და „კათალიკოზი“
2. „ეპისკოპოსნი“
3. „ქორებისკოპოსნი“
4. ხუცესნი ანუ „მლუდელნი“
5. „დედათდიაკონნი“
6. „დიაკონნი“
7. „კერძო დიაკონნი“
8. „ნიგნის მკითხველნი“

საეკლესიო მსახურის თანამდებობას „პატივი“ ეწოდებოდა, ეკლესიის მსახურების თითოეულ საფეხურს „ხარისხი“ ერქვა, საეკლესიო თანამდებობის მიცემას კი – „დადგინება“.

აქვე ივანე ჯავახიშვილმა ვრცლად მიმოიხილა თითოეული მათგანის უფლება-მოვალეობანი, თვისებები, რაც საჭირო იყო საეკლესიო პატივის მისანიჭებლად.

შედარებით რთული აგებულების დანესებულება იყო მონასტერი. უძველესი პერიოდის საეკლესიო ისტორიის ძეგლთა უმეტესი ნაწილი მონასტერთა ყოფა-ცხოვრებას შეეხება, ვინაიდან VIII-XII საუკუნეებში სამონასტრო ცხოვრება ფართოდ იყო გაშლილი, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთაც და საეკლესიო ისტორიის ამსახველი წერილობითი წყაროებიც სწორედ აქ იქმნებო-

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

და. ბერ-მონაზონთა რაოდენობა სხვადასხვა მონასტერში სხვადასხვაგვარი იყო. მაგალითად, ათონის ქართველთა მონასტერში 300 მოღვაწე უნდა ყოფილიყო, შიომღვიმის ლავრაში ვარაუდობენ 3000-მდე მსახურს,¹ ისეთ პატარა მონასტერშიც კი, როგორც ვაჰანის ქვაბთა მონასტერი იყო, მისი ტიპიკონის მიხედვით 51 ბერი და 10 მსახური იყო.² მონასტრის საქმეების გაძლოლა, მით უფრო, რაც მისი შემადგენლობა მრავალრიცხოვანია, ადვილი საქმე არ იყო. ბერ-მონაზონთა ყოფა-ცხოვრებას, მათ გამოკვებას სამეურნეო საქმეების გაძლოლა და მოწესრიგება სჭირდებოდა, რისთვისაც მონასტერი სათანადო დაწესებულებებითა და ორგანოებით იყო აღჭურვილი. პირადი შემადგენლობაც მრავალფეროვანი იყო და რამდენსამე მთავარ ჯგუფად იყოფოდა. თითოეულ მათგანს თავისი უფლება-მოვალეობა ჰქონდა, რომელიც წესდებითაცა და ჩვეულებითაც მკაფოდ იყო განსაზღვრული.³

როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, მონასტრის ბერთა მთელი შემადგენლობა „ძმობას“ წარმოადგენდა. ეს იყო „კრებული ყოველთა ძმათაჲ“, რომელიც ერთ „გუამს“, ერთ სხეულს შეადგენდა. ძმობაში არ შედიოდა მამასახლისი, რადგან ის მამად ითვლებოდა. ათონის ქართველთა მონასტრის ალაპებში ეს იერარქიული განხეთქილება ნათლად იგრძნობა: თუ ვინმემ ჩვენგან განწესებული ალაპი შეცვალოს „მამამან ანუ ძმათაგანმან ვინმე...“, ან კიდევ – „მე, მამამან იოანე და ყოველთა ძმათა“. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ბერ-მონაზონთა განმარტოებულ საცხოვრებელ სადგომს „სენაკი“ ეწოდებოდა, ამ მნიშვნელობით ბერძნულიდან ნასესხები სიტყვა „კელინიც“ იხმარებოდა, აქ მაცხოვრებლებს კი „მოსენაკენი“ ან „მოსენაენი“ ერქვათ.⁴

უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით მთელი ძმობა სამ მთავარ ჯგუფად, ანუ როგორც „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ წერია, სამ მთავარ „დასად“ იყოფოდა.

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 36, შენიშვნა.

² ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 36.

³ იქვე, გვ. 37.

⁴ იქვე.

პირველი დასის წევრებად ითვლებოდნენ მონასტრის მამასახლისი ანუ წინამძღვარი, იკონომოსი და დეკანოზი, აგრეთვე ის ბერები, რომლებიც „თავადთა“ ანუ „უთავადესთა ძმათა“ სახელით იყვნენ ცნობილნი და მღვდლობასთან ერთად სხვა რომელიმე თანამდებობა ჰქონდათ შეთავსებული, როგორც მაგ. მწირველნი, რომელთაცა მკითხველ-კანანახობაიცა შეეძლოს მემწრეთავე თანა“. „უთავადესთა ძმათა“ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ აგრეთვე: მეჭურჭლე, მეტრაპეზე, კანდელაკი და იპიტირიტისი.

მეორე დასს მღვდლობის პატივის მქონე ბერები შეადგენდნენ. „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ აღნიშნულია მათ შესახებ: „ხოლო მეორისა დასისათა, რომელთაცა „წირვისა მეტი სხუად საწმრობად არაჲ შეეძლოს...“ ან კიდევ მეორისა დასისათა, რომელსა წირვისა მეტი არაჲ შეეძლოს“. ¹ მათ „დასი მღვდელთაჲც“ ეწოდებოდათ. ² მათი რაოდენობა ვაჰანის ქვაბთა მონასტერში 31 ყოფილა, მათგან 24 მღვდელი და 7 დიაკვანი.

ბერთა მესამე ჯგუფს „მწირნი“ განეკუთვნებიან. ისინი სამონასტრო იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი მონაზვნები იყვნენ, ვანის მონასტერში მწირთა რაოდენობა 20 ყოფილა. დასები სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:

I დასი („წელისუფალნი“) „თავადნი“ ანუ „უთავადესნი ძმანი“:

- 1) მამასახლისი ანუ წინამძღვარი
- 2) იკონომოსი
- 3) დეკანოზი
- 4) მეჭურჭლე
- 5) მეტრაპეზე
- 6) კანდელაკი
- 7) იპიტირიტისი
- 8) მწირველი, რომელსაც მკითხველ-კანანახობაც შეუძლია
- 9) მემწრე

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 37.

² იქვე, გვ. 71.

II დასი („დასი მღვდელთაჲ“)

- 1) მღვდლები
- 2) დიაკვნები

III დასი:

- 1) მწირნი
- 2) მსახურნი

გარდა ამ სამი დასისა, მონასტერში იყვნენ აგრეთვე მსახურნი, რომლებიც მონასტრის მეურნეობას წარმართავდნენ. მას შემდეგ, რაც შეწირულობანი გაიზარდა და ამის ბაზაზე სამონასტრო მეურნეობაც გამსხვილდა, ბერ-მონაზონნი გათავისუფლდნენ სამეურნეო საქმიანობისაგან, რათა მთელი არსებით მისცემოდნენ საღვთო ცხოვრებას, საეკლესიო ლიტურგიკას, წირვა-ლოცვას და სხვ. ამიტომ მიწების დასამუშავებლად, სამზარეულოს, სახაბაზო საქმიანობისათვის მონასტერში გაჩნდნენ მსახურები ერისკაცთაგან.. მათი რაოდენობა ვაჰანის ქვაბებში ათით განისაზღვრებოდა, თითოეულ მათგანს თავისი საქმე ჰქონდა. აღნიშნულ იერარქიაში უფროს-უმცროსობის მიხედვით ნაწილდებოდა სარგოც:

მოძღვარს – „რვაჲ გრივი პური... და სამი საპალნე ღვნოჲ“.

იკონომოსს – „ექვსი გრივი... და ორი საპალნე ღვნოჲ“.

„უთავადესთა ძმათა“ მეორე ნაწილს – „ორი გრივი პური და თუთო საპალნე ღვნოჲ“. „მეორე დასის“ ძმებს – „პური, ვითა თავადთა ძმათათჳს დაგჳწესებია, ღვნოჲ თუთოჲ ცალი“.

„მწირთა“ – „პური თუთოჲ გრივი წმიდაჲ ქრთილი და ღვნოჲ ოთხ კაცზე თუთო საპალნე“.¹ ასეთივე განსხვავება მათთვის „საჩოქეს“ განაწილებაში:

მოძღვარს – ექვსი დუკატი.

დეკანოზს და იკონომოსს – ოთხ-ოთხი დუკატი.

„რომელნიცა სამკროსა ღირსქმნილ იყვნენ ძმანი და მონასტრისა პატრონთადა თაყუანებულ იყვნენ, მათ – სამ-სამი დუკატი“.

¹ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 70.

მწიროვლთა, რომელთაცა მკითხველ-კანანახობაცა შე-
ეძლოს მემწრეთავე თანა" – სამ-სამი დუკატი მიეცემოდის.

მეჭურჭლეს, მეტრაპეზეს, კანდელაკს, იკონომოსს – სამ-
სამი დუკატი.

„მეორე დასს“ – ორ-ორი დუკატი.

მსახურებსაც „სატანისამოსლედ“ – ბოტინატი და დუკა-
ტი.¹

მართალია, სარგო მაინც განსხვავებით ეძლეოდათ მო-
ნასტრის ძმობის წევრებს თანამდებობისა და უფლება-მოვალეობის მიხედვით, მაგრამ ტრაპეზზე ყველას ერთნაირად მიეცემოდა საყოველთაოდ მიღებული „ევლოგია“, იქნებო-
და იგი „უხუცესი ყოველთა“ თუ „ყოველთა უდარესი“: „ხო-
ლო ჯერ არს რაითა რაითურთით განწვალებაჲ არა იყოს შეკრებასა ძმათასა მიღებად საზრდელისა, არამედ სწორად დაეგებოდის ყოველთა ძმათათუს ტრაპეზსა ზედა პური და ღვინო და წუენი მემწრეთათვის და მწიროვლთა და მწირთა. და ნუმცა უხუცესთა ძმათაგანი, მიზეზითა ვნებულისა გემოთმოყუარებისა და ნაყოფანებისა თუსისაითა, ნივთად უკეთურებისად და სახედ ბოროტისად ექმნების სხუათა, დამაბრკოლებელი ყოველთაჲ, არამედ თითოეული დასჯერდინ საყოველთაოსა ევლოგიასა და ნუმცა ოდეს იკადრებს კიდევანისა წუენისა დაგებაჲ ტრაპეზსა ზედა და განწვალვისა და განხეთქილებისა შემოღებაჲ ერთსა მას შინა გუამსა ძმათასა და ტრაპეზობისას... უხუცესსა ყოველთასა და ყოველთა უდარესსა ერთი და იგი სწორიმცა დაეგების საჭმელიცა და სასუმელი და სხუად ყოველივე“.²

საერთოდ, მონასტრის ძმათა სათავეში იდგა მამასახლისი ანუ წინამძღვარი, რომელსაც ხშირად ყოველდღიურ საუბარში „მამაჲ“ ეწოდებოდა. ვაჰანის მონასტრის მამასახლისიც წინამძღვრად და მოძღვრად იხსენიება ტიპიკონში.

თავდაპირველად, სანამ არჩევის წესს შემოიღებდნენ, მამასახლისს უდიდესი უფლებები ჰქონდა მონასტერში. ის განუსაზღვრელი მბრძანებელი იყო, მის განკარგულებას კანო-

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 68.

² იქვე, გვ. 67.

ნის ძალა ჰქონდა. მას ჰქონდა „ყოველი ჯელმნიფება და უფლებამ“, თვით მონასტრის წესდების შეცვლის უფლებაც კი.

„ვაჰანის ქვაბთა განგებას“ მიხედვით, მამასახლისი იყო „წინამძღურად და მოძღურად სულიერად და ჯორციელად და მას ერთსა მიენებოდის სული ყოველთა მონასტერსა შინა მყოფთა ძმათა და ყოველთაჲვე იგი იყავნ მწყემს და მოძღურად და მამა სულიერ“.¹ ასეთი დიდი უფლებების მქონე მონასტრის წინამძღვარი ძმათა შორის საუკეთესო თვისებებით უნდა გამორჩეულიყო.

ვანის მონასტერში წინამძღვარს, ძმათა ერთსულოვნებით, მღვდელთა დასისაგან ირჩევდნენ. იგია „კაცი სიტყვით და საქმით უალრესი სხუათა ყოველთაჲ“, რომელსაც ყველანი „ერთჯობით ენამებოდინ“; კაცი „შემკობილი ყოვლითავე სათნოებათა სიკეთითა სულიერებრისა და ჯორციელებრისა“,² მისი „პატივი“ იმავდროულად დიდი ტვირთი და მოვალეობა იყო. მოძღვარს უნდა ეზრუნა ძმათა სულების სინმინდებზე, უნდა მიეცა კურნება „კაცად კაცადსა წყლულებისა“. იგი მოძღვარიც უნდა ყოფილიყო, მეცნიერიც და ყველასაგან პატივცემული პიროვნებაც. ნაკლებ სიტყვით და უფრო მეტად საქმით უნდა შთააგონო ძმებს სიკეთე, სიყვარული, ერთგულება. ამიტომ, პირველ რიგში თვითონ უნდა ყოფილიყო წმიდა, კეთილი, მოყვარული და ერთგული მოწამე. „ყოველმან მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვას ცხოვართა თჳსთათჳს“.³

„ყოველივე სათნოება სიკეთითა“ შემკობილი მოძღვრის ზნეობრივ უფლებას შეადგენდა ტვირთება „ესოდენსა სულელებსა ძმათასა“ და მოეხერხებინა „ჯერისაებრ და ჟამისა და საწმრისა ღუნად და ნურთად“.⁴

მონასტრის მამასახლისი მონასტრის „გამგებელი“ და „მსაჯული“ იყო. „თქუნ ხართ მარილნი ქუეყანისანი“, – მოტანილია ტიპიკონში სახარების სიტყვები წინამძღვართა და მოძღვართა მიმართ, რომელთაც ეკუთვნით წინამძღოლობა ეკლესიისა. მართალი ადამიანის ვალია ურჩებისა და ბორო-

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 66.

² იქვე, გვ. 65.

³ იქვე, გვ. 66.

⁴ იქვე, გვ. 65.

ტების მხილება. თუკი ასეთნი მიხვდებიან დანაშაულს, მოინანიებენ და გამოსწორდებიან, „მწყემსი კეთილი“ მათ მიიღებს, შეინყნარებს, ურჩებს და გამოუსწორებლებს მოკვეთს და გააგდებს მონასტრიდან, „რამთა არა ყოველსა გუამსა განეზაოს სიმპალვე“. ¹ თუ მოძღვარი ან დეკანოზი პირმოთნეობის, ნათესაობის, ანდა საერთოდ, მავნებლობის მიზეზით უწესობას არ დაუშლის ბერებს და არც ამხელს წყლულისაგან განსაკუთრებულად, მაშინ თვით ჩაითვლება უღირს მწყემსად და დაკლებულ იქნება „პატივისაგან თუხისა“. ის უცილობლად ჩამოქვეითდება. მოძღვარი ვალდებულია, დიდი მოკრძალებით შეინარჩუნოს მონასტრის განწესება, ასწავლოს სხვებსაც მისდამი დიდი პატივისცემა, თვითონაც საქმით სრულყოს ტიპიკონის ყოველი წესი და კანონი და ამით მაგალითი მისცეს სხვებს. ² მას მახვილი თვალი და გონება უნდა ჰქონდეს, რომ ამხილოს ყოველი გადახრა მონასტერში. ექვთიმე მთანმინდელი, ბერებს, რომელთაც რაიმე დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, აფრთხილებდა ხოლმე: „ვინაფთგან ეგრე მოხდა, რომელ ღმერთმან მე დამადგინა მსაჯულად და განმგებლად“, ამიტომ თქვენ უნდა გაგასამართლოთ და ღირსეულად დაგსაჯოთ. ვითარცა პირუთვნელი და უცილობელი მსაჯული, მამასახლისი ღირსი და სათნო ადამიანი უნდა ყოფილიყო, განურისხებელი და დაკვირვებული. რადგან ის ამასთანავე მონასტრის ძმობის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი წარმატების წინამძღვარიც იყო, მის მოვალეობას ძმათა ქადაგება-დარიგებით განვრთნაც შეადგენდა. ⁴ ექვთიმე მთანმინდელსაც სწორედ ამის გამო წესად ჰქონდა დადებული, რომ „თუესა შინა ორგზის და სამგზის კურიობათა დაიუბნის ძმანი სწავლითა სულიერიითა“ და ამგვარი საუბრების დროს „წმიდათა წერილთაგან ასწავებნ მათ სარგებელსა სულთა მათთასა“. მისი საუბრების შინაარსი მრავალფეროვანი ყოფილა და „ასწავებნ მათ სიყუარისათუს და სიმდაბლისა, მორჩილებისათუს და კრძალულებისა, სიმშვიდისათუს და უშფოთველობისა, მოთმინებისათუს

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

² იქვე, გვ. 79.

³ გიორგი მთანმინდელი, ცხორება იოვანესი და ეფთჳმესი, გვ. 36.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

და მსახურებისა", დასასრულ, სამონასტრო წესდება და ჩვეულებათა „ყოველთავე წესთა კრებულისათა მჭურვალედ აღსრულებისათჳს“.¹

მონასტრის მამასახლისი თავისი სამწყსოს არა მხოლოდ სულიერი მზრუნველი იყო, შეიძლება ითქვას, მას მეურნეობისა და ფინანსური საქმეების ჯეროვანი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილებაც მოეთხოვებოდა. იგი მონასტრის სარწმუნოებრივ, ადმინისტრაციულ, სამეურნეო და უფლებრივ-ზნეობრივ საქმეებს განაგებდა.² ამ მძიმე ღვაწლში მას თანაშემწენიც ჰყავდა. ესენი იყვნენ: იკონომოსი და დეკანოზი. იკონომოსი იყო თანაშემწე მამასახლისისა სამეურნეო ნაწილში, ხოლო დეკანოზი – მღვდელმსახურების საქმეში.

„ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ მონასტერში მოღვაწე სხვადასხვა წოდებათა უფლება-მოვალეობანი განხილული არ არის, აქ ძალიან მოკლედ მათი ვალდებულებანიცაა განერილი.

როგორც აღვნიშნეთ, წინამძღვრის თანაშემწეს სამეურნეო დარგში იკონომოსი ეწოდებოდა, რომელსაც მონასტრის მეურნეობა და ორგანიზაციული მხარე ებარა, სამონასტრო წეს-წყობილებასა და ცხოვრებაში მამასახლისი შემდგომ ყველაზე „უფროსი“ სწორედ იკონომოსი იყო, როდესაც მამასახლისი რაიმე მიზეზის გამო მონასტერში არ იმყოფებოდა ან ავად იყო, მამასახლისის მოვალეობას იკონომოსი ასრულებდა. „უკეთუ, წინამძღვარი არ არიან იკონომოსი მან განკანონის“³. რამდენადაც იკონომოსი ჩახედული უნდა ყოფილიყო მონასტრის ყველა საქმეში და სფეროში, ამდენად, ხშირად მამასახლისად სწორედ იკონომოსს ირჩევდნენ ხოლმე.⁴ „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მიხედვით, სამეურნეო საქმეებს „სოფელთა და აგარაკთა შინა“ განაგებს არა მონაზონი, არამედ ერისკაცი. მეურნეობის „წელისუფლად ნუმცა ოდეს დაიდგინების მონაზონი, არამედ ერისკაცნი დაიდგინებოდენ მოძღურისა და კრებულისა ბრძანებითა“. ეს „აგარაკთა“ განმგებელი ერისკაცი ანუ „სოფლის იკონომოსი“ თავის მხრივ, ემორჩილება დიდ იკონომოსს. როგორც ჩანს, ვანის მონას-

¹ გიორგი მთანმინდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, გვ. 38.

² ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

³ გიორგი მთანმინდელი, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

⁴ იქვე, გვ. 80.

ტერში ორი ეკონომოსი ყოფილა: დიდი ეკონომოსი, რომელიც იმავდროულად სასულიერო პირიცაა, და მცირე ეკონომოსი, რომელიც „აგარაკთა, ორნატთა და სათესველთა“ განაგებს და უცილობლად ერისკაცია. „და უკუეთუ ოდესმე ეგვეითარი რაიმე საქმე დაემართებოდის, რომელ ერისკაცითა არ გაიმართვოდის და დიდი ეკონომოსი უცალო იყოს სხუათა რათმე სამუშაოთა და საურავთაგან და მონაზონსა დაემართებოდის წასულად, მწირთაგანი გაიგზავნებოდინ ყოვლითკერძო გამოცდილნი და ყოველთაგან წამებულნი პატიოსნებისათუს და მოლუანებითისა ცხოვრების მათისა, მცვოანნი ჰასაკითაცა და გონებითა, ესევეითარნი წარვიდოდნენ, უკუეთუ საქროდ საჭმარ-იყვნენ სამსახურად მონასტრისა“.¹

როდესაც მოუცლელია ეკონომოსი და საქმე აუცილებლად მის ჩარევას მოითხოვს, მის ადგილს იკავებს გამოცდილი და პატიოსანი რჩეული მწირთაგანი. ეს კანონი მხოლოდ იშვიათ შემთხვევას ითვალისწინებს, რამეთუ „მღვდელნი და მთავარდიაკონნი ჯერ-არს რაითა საღმრთოჲსა დიდებისმეტყუელებისათუს მოცალე“, მათი ვალია დაიხარჯონ მხოლოდ და მხოლოდ „დიდებისმეტყუელებად ღმრთისა მიმართ“.²

წმინდა ადმინისტრაციული საქმეების, წესიერებისა და მოვალეობის ასრულების მეთვალყურეობისათვის მამასახლისის „დამხედვარნი“ ანუ „იპიტირიტისნი“ (როგორც „ვაჰანის ქვაბთა განგება“ უწოდებს მას) და მეკარენი ჰყავდა. იპიტირიტისს თვალ-ყური უნდა ედევნებინა ბერ-მონაზონთა საქმიანობისათვის და დამნაშავენი სამონასტრო წესების თანახმად დაესაჯა. იპიტირიტისი „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ უთავადესთა ძმათა რიგშია მოქცეული.

„მეკარეე მონასტრისა“ მონასტრის კარის მცველი იყო. მონასტერში მიმოსვლა მასზე იყო დამოკიდებული. ამდენად, ესეც საკმაოდ სერიოზულ თანამდებობას წარმოადგენდა. ვაჰანის მონასტრის წესდებაში ნათქვამია, რომ „სტუმართა, რომელთა-თანა დედაკაცი არა იყოს, და უფროჲსლა იშუთთა, გინა შორით მოსრულთა, ცხად-არს, ვითარმედ მიზეზითა

¹ გიორგი მთაწმინდელი, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

² ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 80-81.

ლოცვისათა, ერთი და ორი დღეცა" შეეძლოთ მონასტერში დარჩენილიყვნენ, მაგრამ „მესამესა დღესა წარვიდოდენ გზასა თუცსაო“. ხშირი და დაუპატიუებელი სტუმრისა და მათხოვრებისათვის მონასტრის კარები დახშული უნდა ყოფილიყო: „მრავალ-მრონინეთა მათ და მიწყითთა მთხოველთა მეკარე განისტუმრებდეს. რა ჴელენიფების მიმოვლად სახლითი სახლად შინაგან მონასტრისა“.¹

სამონასტრო ცხოვრებაში ჴელისუფალთა შორის საპატიო ადგილი დეკანოზსაც ეკუთვნოდა. იგი მამასახლისის თანაშემწე უნდა ყოფილიყო მღვდელმსახურების საქმეში. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, დეკანოზი იყო „მთავრად ეკლესიისა“. მთელი სამონასტრო მღვდელმსახურების ხელმძღვანელობა და თვალყურის დევნება მის მოვალეობას შეადგენდა.² ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით, მას დაექვემდებარებოდნენ: მღვდლები, დიაკვნები და მღვდელმსახურებაში მონაწილე ყველა სხვა პირი: იქნებოდა ის „კანანახი“, „მემსგეფსენი“ თუ „მემწრენი“.

ვანის ქვაბთა მონასტერში ძმათა მეორე ჯგუფს შეადგენდა „დასი მღვდელთა“ ანუ ხუცეს-მონაზონნი. მონასტერში არსებობდა „ნესი მონასტერთა მსგეფსისა ქმნისაა“,³ რომელიც უმთავრესად მღვდელ-მონაზონებს ეხებოდათ, მაგრამ, როგორც ვაჰანის მონასტრის წესდებიდან ჩანს, ზოგიერთ სხვა მღვდელმსახურთა, მაგ. კანანახთა მოვალეობის მომწესრიგებელ დებულებადაც ყოფილა მიღებული. „მზგეფსის ქმნის“ ნესით ყოველი ხუცესი მთელი ერთი კვირის განმავლობაში სწირავდა ხოლმე და როდესაც ის მსახურების შვიდეულს მორჩებოდა, თავის მომავალ ჯერამდე წირვისაგან თავისუფლდებოდა, ეს იყო ხუცობის მსგეფსი, მაგრამ არსებობდა „კანანახობისა მსგეფსიც“. „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ ნათქვამია: „ჯერ-არს, რათა ყოველთა ტრაპეზობათა წიგნი იკითხვოდის დღეთა ჟამსა ძმათა საზრდელისა მიღებისასა“, ხოლო იკითხავს იგი, რომელიც კანანახობისა მსგეფსსა ჰმსახურებდეს“.⁴ აქედან ჩანს, რომ „კანანახობისა

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 53.

² ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

³ იქვე, გვ. 53.

⁴ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 67.

მსახურებად¹ მორიგეობით ყოფილა და თითოეული კანანახთაგანი რიგ-რიგობით თითო კვირას ეწეოდა კანანახობას, შემდეგ ისვენებდა, სანამ კვლავ მისი ჯერი არ დადგებოდა.² კანანახი იმ ბერს ეწოდებოდა, რომელიც ვითარცა სამღვდელმსახურო წირვა-ლოცვის მცოდნე, მაგალობებსა და წამკითხველებს ხელმძღვანელობას უწევდა.³ ვანის მონასტრის წესდებაში ნათქვამია: „რომელიც სამჯროსა ღირს იყვნენ ძმანი“, მათ მიეცემოდეთ სამ-სამი დუკატი. ეგრეთვე მწირველთა, რომელთაცა მკითხველ-კანანახობაცა შეეძლოს, მემჯრეთავე თანა სამ-სამი დუკატი მიეცემოდის“.⁴ „ამ დებულების მიხედვით ცხადი ხდება, რომ „კანანახობა“ შეიძლება „მწირველსაც“ ჰქონოდა, რამდენადაც მწირველად ჩვეულებრივ ხუცესი იგულისხმებოდა, ამდენად, შესაძლებელია წესდების ამ მუხლში მღვდელიც ყოფილიყო კანანახად ნაგულისხმევი. მაგრამ წირვაში მონაწილეობას მღვდელთან ერთად დიაკონიც იღებდა და ამიტომ მწირველად აქ შეიძლება დიაკონიც იგულისხმებოდეს. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ კანანახი „მემჯრეთა“ და მკითხველთა ჯგუფშია მოქცეული“.⁴

მღვდელ-მონაზონთა ანუ ხუცეს-მონაზონთა თანაშემწეებად მღვდელმსახურებასა და წირვა-ლოცვაში მთავარდიაკვნები და დიაკვნები ითვლებიან, „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“-ც იხსენიებიან როგორც დიაკვნები,⁵ ასევე მთავარდიაკვნები.⁶

ვანის მონასტრის წესდებაში მოხსენიებული არიან „მემჯრენი“; „რომელნიცა სამჯროსა ღირს ქმნილ იყვნენ ძმანი და მონასტრისა პატრონთადა თაყვანებულ იყვნენ, მათ სამ-სამი დუკატი უნდა მიეცათ საჩოხედო, „ეგრეთვე მწირველთა, რომელთა მკითხველ-კანანახობაცა შეეძლოს, მემჯრეთავე თანა სამ-სამი დუკატი მიეცემოდის“.⁷ „მემჯრე“

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

² იქვე, გვ. 53.

³ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 70.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

⁵ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 84.

⁶ იქვე, გვ. 81.

⁷ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

მგალობელს ნიშნავს. „მემწრე“, აგრეთვე მწირველი, რომელსაც „მკითხველ-კანანახობაც“ შეუძლია, ერთ კატეგორიას განეკუთვნებიან და ისინი „თავადთა“ ანუ „უთავადესთა ძმათა“ ჯგუფში არიან მოქცეულნი. როგორც ჩანს, ვაჰანის მონასტრის „მემწრენი“ მღვდლობის პატივის მქონე პირები არიან, რომელთაც იმავდროულად გალობა-ნიგნისმკითხველობაც შეუძლიათ და ეს ანიჭებს მათ მდგომარეობის უპირატესობას. ივანე ჯავახიშვილს გამოთქმა – „სამწროსა ღირს ქმნილ იყვნენ“, – დაჯილდოების ტოლფასად მიაჩნია¹.

„ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ იხსენიება „მეჭურჭლე“ და „მეტრაპეზე“, რომლებიც „უთავადესთა ძმათა“ ჯგუფში ერთიანდებიან.

მეჭურჭლე მონასტრის საფინანსო საქმეების გამგებელი უნდა ყოფილიყო, ის აკონტროლებდა შემოსავალსა და გასავალს. ამ თანამდებობის არსებობა გამართლებულიც არის, რადგან მონასტერში, სადაც მატულობს შემონირულობათა რიცხვი, პროპორციულად მატულობს შემოსავალიც და იმისათვის, რომ არ დაირღვეს და არ გაიძარცვოს მონასტრის სიმდიდრე, მას თვალყური და კონტროლი ესაჭიროება. ასეთი მაკონტროლებელია მეჭურჭლე, რომელიც, ალბათ რომ იკონომოსის ხელქვეითი მოხელე იქნებოდა.

რაც შეეხება მეტრაპეზეს, მას ტრაპეზობისას ბერ-მონაზონთა ქცევის ზედამხედველობა უნდა გაეწია. მეტრაპეზე შეიძლება ყოფილიყო რომელიმე მღვდელ-მონაზონთაგანი, რომელიც აკონტროლებდა ტრაპეზობისას ხმა არ ამოელოვინმეს, დაუკითხავად არ გასულიყო, თუ რაიმეს სურვილი ექნებოდა, წყნარად ეთქვა და სხვ. რამდენადაც მეტრაპეზე „თავადთა ძმათა“ რიგშია მოხსენებული, ამდენად, შესაძლოა, იგი იპიტირიტისის თანაშემწე „უმრწემესი დამხედვარი“ ყოფილიყო.

მონასტრის ხელისუფალთა შორის მნიშვნელოვან თანამდებობის პირად მნათეც ითვლებოდა, რომელიც ვანის მონასტერში კანდელაკის სახელით იხსენიება, ამ თანამდებობის პირი ეკლესიის განათებისა და კანდელ-სანთლების მეთვალყურე უნდა ყოფილიყო.

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

ვანის მონასტერში მესწავლეთ იყო, რომელსაც ავადმყოფების მოვლა ევალებოდა, ის აუცილებლად მშვიდ, ღვთისმოსი და ამ საქმეში განსწავლულ მონაზონთაგან შეირჩეოდა, რომელიც სათანადო ოსტატობით და ხალისით შეასრულებდა თავის მოვალეობას.

სამონასტრო იერარქიის ბოლო საფეხურს კი მწირნი ანუ შავი სამღვდლოება შეადგენდა.

ვანის მონასტერს მსახურნიც ჰყავდა, რიცხვით ათნი. მათი შენახვა ტიპიკონით იყო განსაზღვრული და თითოეული თავის წილ საქმეს უძღვებოდა. აქ იყო მზარეული, მემარნე, ხაბაზი და სხვ.

§4. საკორპორაციო (სამონასტრო) საგართალი

სამონასტრო ტიპიკონი, წეს-განგება, როგორცა ვთქვით, იურიდიულ, სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელშიც ნაჩვენებია ბერ-მონაზონთა ვალდებულება და იმავდროულად სასჯელთა გარკვეული ფორმებიც კანონთა დარღვევის შემთხვევაში, ე.ი., ერთსა და იმავე დროს, „იგი იყო წესიერებისა“ და „ურჩებისა უნესობის“ კანონიც.¹

სამონასტრო სამართალი ყველა სახის დანაშაულს განიხილავდა, გარდა სისხლის სამართლის დანაშაულებისა, (მაგ. მკვლელობა). ამგვარი სისხლის სამართლებრივი დანაშაულებების განსჯის უფლება გამონაკლისის სახით ჰქონდა მხოლოდ გარკვეულ მონასტრებს (მაგ. გელათი, შიომღვიმე), რომელთაც საამისოდ სპეციალურად ენიჭებოდათ სასამართლო შეუვალობა; მართლმსაჯულების სფეროში ისინი სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ.

„ვაჰანის ქვაბთა განგება“ სამონასტრო კანონმდებლობაა, რომელშიც დაწვრილებით არის განხილული თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულებანი, მათგან წესდების დარღვეულობის შეცოდებანი და ამავე დროს აღნიშნულ დანაშაულთა დასჯის ფორმებზედაცაა საუბარი. ამიტომაც „ვაჰანის ქვაბთა განგება“ მნიშვნელოვან წყაროს

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 243.

წარმოადგენს ფეოდალური ხანის სამართლის ისტორიის თვალსაზრისით.

ვაჰანის მონასტრის ტიპიკონი ძმობის თითოეულ წევრს აქ მოცემული ყოველი წესის ზედმინევენით ცოდნას ავალდებულებს, ქადაგებს ძმათა „განუკუეთელ“ ერთობას, მშვიდობას და ამავე დროს „წინამძღუართა უზაკუველ მორჩილებას“. ყველა ამ პირობის შესრულება აუცილებელია, რათა მონასტერში მშვიდი ცხოვრება დამკვიდრდეს. სამონასტრო წესებისა და განგების იდეალად ხომ „უშფოთველი ცხოვრება“¹ იყო დასახული.

ივანე ჯავახიშვილმა შეისწავლა საკორპორაციო სამართალი და შესანიშნავი გამოკვლევა მოგვცა.²

თანამდებობის პირთა დანაშაულებათა შორის „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ იხსენიება „ორგულობა“ და „ღალატი“, როგორც მიუტყევებელი ცოდვა, რომელიც მონასტრიდან სრული გაქვევებით ისჯებოდა. სრულად განიდევნება აგრეთვე ის თანამდებობის პირი, რომელსაც „შეძინებასა და მოხუეჭაში“ ედება ბრალი, ამ სახის დანაშაულებანი იყო: „ვაჭრობა“, მოფარდულობა ღვინისა, გინა რაფსაცა სხვსა, „თავნობა, ვახშად და აღნადგინებად გაცემად საწმართა მსოფლიოთა, გინა დაჭირვებულთა ზედა“. განსაკუთრებით მძიმე შეცოდება იყო „მოხუეჭად მონასტრისა და ეკლესიისა ნაქონებთა“.

მონასტრის ხელისუფალთაგანს ვინმეს შეიძლება გამოემულავნებინა „გარდარეული ვერცხლის-მოყუარება“, ან „აღება ქრთამისა და ფარულად გინა ცხადად“. ასეთი მოხელე

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 243.

² ივ. ჯავახიშვილმა ქართული სამართლის ისტორიის მეორე ნიგნში (იხ., თხ. ტ. VII, კარი III, თბ., 1984) დანვრილებით გადმოგვცა ყველა ცნობა დანაშაულებათა შესახებ, იქნებოდა ის თანამდებობის პირთა თუ ძმობის წევრთა მიერ ჩადენილი დანაშაულებანი. ამავე დროს მან შეისწავლა საკორპორაციო სასამართლოს ორგანიზაცია და სასჯელთა სისტემა. რადგანაც „ვაჰანის ქვაბთა განგება“ ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა ამგვარი გამოკვლევისათვის და ჩვენც ზემოთ ტიპიკონის ყოველი პუნქტი განვიხილეთ, რომლებიც დანაშაულებებს შეეხებოდა, ამიტომ აქ მოკლედ მოვიტანთ დანაშაულებათა ივანე ჯავახიშვილისეულ დაყოფას. ეს დაყოფა დაჯგუფება მეტად საინტერესოა. მკვლევარს დანაშაულებანი თვისების, ხასიათის მიხედვით აქვს დალაგებული.

სამსახურიდან გათავისუფლდებოდა, ხოლო „ქრთამისა აღე-
ბითა გარდაქცევად ჭეშმარიტებისაჲ“ მონასტრიდან სრული
გაძევებით ისჯებოდა. საკორპორაციო სამართალში დანაშა-
ულად თანამდებობის პირთა „უდებებაც“ და „უგულებელ-
მყოფელობაც“ ითვლებოდა, რისთვისაც თანამდებობისაგან
ჩამომცრობა ან გადაყენება იყო დაწესებული. დანაშაულად
მიიჩნევდნენ აგრეთვე, თუ თანამდებობის პირი ნათესაობის,
მეგობრობის ან რაიმე სხვა საბაბით დამნაშავეს არ ამხელდა,
ამით იგი დამნაშავის ხელშემწყობად ითვლებოდა, თანამდე-
ბობიდან გათავისუფლდებოდა და უბრალო მორჩილად ჩა-
მოქვეითდებოდა.

ივანე ჯავახიშვილმა ძმათაგან ჩადენილი დანაშაულებანი
ორ ჯგუფად გაყო: სისხლის სამართლის თვისების მქონე და-
ნაშაულებად და წესდების დარღვეულობის დანაშაულებად.

სისხლის სამართლის თვისებებს ატარებს ისეთი დანაშა-
ულებანი, როგორიცაა: „უნესო გულისწყრომა“ და „შფოთი“
(გინება, შეურაცხყოფა, ლალვა, ამბოხი ამ დანაშაულებათა
ჯგუფს მიეკუთვნება),¹ „ცილისნამებაჲ და შურმტერობითი
შესმენაჲ“, „უქმსიტყუაობაჲ“. მძიმე დანაშაულად იყო მიჩნე-
ული მონასტერში („უფროჲს ყოვლისა ესე უძნნ) ტყუილი.
ძმათაგან წესდების დარღვევის დანაშაულებებია: „ბრალი
ურჩებისაჲ“ (რაც ეწინააღმდეგება „მწყემსისა და მამისა სუ-
ლიერისა“ „უდრტვინვლად მორჩილების“ ტიპიკონისეულ
დებულებას), უკითხავად და გამოუთხოვნად „ნარსვლაჲ“,
„დაყოვნებაჲ“ (განსაზღვრული ვადით ნასვლის შემთხვევაში
თუ დაიგვიანებდა), „უნესობაჲ“, „წინააღდგომაჲ“ (ეს დანაშა-
ული ვაჰანის მონასტრის განწესებაში არ იხსენიება). ყველა
აღნიშნული დანაშაული „უშფოთველი ცხოვრების“ წინააღ-
მდეგ არის მიმართული და სასჯელს იმსახურებს.

ვინ იყო მსაჯული მონასტერში, რა თვისებებით უნდა ყო-
ფილიყო იგი აღჭურვილი და როგორ უნდა აესრულებინა თავისი მოვალეობა?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მონასტერ-
ში ცხოვრების კრებულობითმა სისტემამ, მისმა თვისებებმა

¹ ამ დანაშაულისათვის „ვაჰანის ქვაბთა განგება“ მონასტრიდან განდევ-
ნით ემუქრება ძმებს, გიორგი მთანმინდელის თხზულებაში კი ამისათვის
მეტად მკაცრი სასჯელი „ლუედითა მიმთხვევად“ არის დაწესებული.

და თავისებურებებმა, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, საკორპორაციო სამართლის ორგანიზაციასა და სასჯელთა სისტემაზე გარკვეული გავლენა მოახდინა და მას თავისებური ელფერი მისცა.

„კრებულობითმა ცხოვრებამ საკორპორაციო სამართალს უმთავრესად დისციპლინური სამართლის თვისება მიანიჭა და მის სასჯელთა სისტემასაც ვინაოდ შემოფარგლული ასპარეზი დაუტოვა“.¹

მონასტერში უმაღლესი მსაჯულები, როგორც ვთქვით, წინამძღვარი და მისი თანაშემწე იკონომოსია. მისი წყალობით აქ მართვა-გამგეობა და მართლმსაჯულება შეერთებული იყო.² „საკორპორაციო წეს-წყობილებამ ამ ორი ფუნქციის გაერთიანებულობა მაინც ბოლომდე შეინარჩუნა“.³ მსაჯული რომ წინამძღვარია, ამაზე ექვთიმე მთანმინდელი პირდაპირ ამბობს: „ვინამთგან ეგრე მოჭდა, რომელ ღმერთმან მე დამადგინა თქუენდა მსაჯულად და გამგებლად, ამიტომ არ შემოძლიან უნურთელად მიგიშუნე“, მე უნდა გაგასამართლოთ და ღირსეულად დაგსაჯოთო.“⁴ საკორპორაციო მართლმსაჯულების მიზანს „ბრალეულთა სინანულად მოქცევაჲ“, ხოლო „ურჩითა სრულიად განსხმად“ შეადგენდა. უპირველესად კი მოძღვარი უნდა ცდილიყო „კურნება“ მიენიჭებინა დამნაშავისათვის, ესწავლებინა, შეეგონებინა. მას „ნურთვაც“ ეწოდებოდა. თუ დამნაშავე „განიკურნებოდა“, გამოსწორდებოდა, „კურნებასა მიითუალვიდა“, ის უნდა მიეღო წინამძღვარს და მიეტევებინა მისთვის, ხოლო გამოუსწორებელნი ანუ „ურჩნი“ გაძევდებოდნენ მონასტრიდან. დამნაშავეთა საკორპორაციო მართლმსაჯულებას კურნებანურთვისა და დასჯის სხვადასხვა საშუალება ჰქონდა. სასჯელის სიმსუბუქე-სიმძიმე დანაშაულებისა და დამნაშავის თვისებაზე იყო დამოკიდებული.

1. მსუბუქ დანაშაულზე დამნაშავეს ჯერ გააფრთხილებდნენ. გაფრთხილებას „შეთულა“ რქმევია. ეს იყო პირველი სტადია დამნაშავის გამოსწორებისაკენ მიმართული.

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 251.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ გიორგი მთანმინდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთუმესი, გვ. 36.

2. მეორე სტადიაა „მხილება“ (თუმცა „ვაჰანის ქვაბთა განგება“ ამ სტადიით იწყებს დამნაშავეის განსჯას), რაც შენიშვნასა და საყვედურის მიცემას ნიშნავს (მხილება დანაშაულის გამჟღავნება-დამტკიცებასაც გულისხმობდა). შეიძლება ყოფილიყო „ფიცხელი მხილება“ ან „ძლიერი მხილება“.

3. მესამე სტადიაა „გარე-განყვანება“. ეს იყო ერთგვარი სასჯელი უშედეგო შენიშვნის შემდგომ.

4. „დაყენება ტრაპეზსა შესვლისაგან“, „უსაჭმლობა“, „ასი მუჯლის მოდრეკაჲ“. ასეთი სასჯელი დანესებული ყოფილა „შინა დაშთომილთა“ და „დანესებულთა ზედა“ არ მოსულთათვის და გარეთგასულთ მეორეგზის დაყოვნებისათვის ისევე, როგორც მოძღვრისადმი ურჩებისათვის.

5. „დაჭირვაჲ საწესოსაჲ“ კადნიერი ურჩობის ჩამდენი ძმის სასჯელია. იგი გვხვდება „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“.

6. „ღუედითა მიმთხუევაჲ“, ასეთი სასჯელი ვანის მონასტერში დანესებული არ ყოფილა.

7. „დაკლებაჲ პატივისაგან თუსისა“. ეს სასჯელი თანამდებობიდან ჩამოშორებასა და გადაყენებას ნიშნავდა. ასეთი სასჯელები თანამდებობის პირთათვის იყო განკუთვნილი.

8. „ფიცხელი განკანონება“, „მძიმე განკანონება“ საკმაოდ მძიმე სასჯელია, რაც ხშირად მონასტრიდან გაძევებით სრულდებოდა.

9. „შეურაცხებით განქიქებაჲ“ და „ნაქონების განყოფაჲ“ მხოლოდ და მხოლოდ ვანის მონასტრის წესდებაში იხსენიება. ასეთი სასჯელი მხოლოდ განზრახი ცილისწამებისათვის და ცრუ დასმენისათვის ყოფილა დანიშნული და დამნაშავეის გაძევებას წინ უსწრებდა.

10. სასჯელის უმაღლეს ზომას და უკიდურეს საშუალებას მონასტრიდან განდევნა შეადგენდა. ასეთ სასჯელს ან „განდევნაჲ“, ან „განგდებაჲ“, ან „განსხმაჲ“, ან „განძევაჲ“ ან „განწდაჲ“, ან „გარეგანთვევაჲ“, ანდა „მოკუეთაჲ“ ეწოდებოდა.

გაძევება ყოველთვის სამუდამო გაგდებას არ ნიშნავდა. ყოფილა შემთხვევები, როდესაც გაძევებულს მოუნანიებია და გამოსწორებული დაბრუნებულა უკან. თუმცა თუ ბრალეულის დანაშაული გამოუსწორებელი იყო, მას ეკრძალებოდა უკან დაბრუნება. ამგვარ საბოლოო და სამუდამო გაძევებას

„სრულიადი განჯდაჲ“ ან „შეუნდობლად განჯდაჲ“ ეწოდებოდა, რასაც ხშირად კრულვა-შეჩვენებაც სდევდა თან, ამას „კრულობითა და შეჩვენებითა საშინელითა განკანონებაჲ“ ერქვა.

ჩვენს ხელთ არსებული ერთის უცხო მონასტრის ტიპიკონის ფრაგმენტიც, რომელიც ბოლნისის მონასტრისადაა მიჩნეული, ასახელებს ორ კანონს, სადაც იკითხება, რომ ორივე მათგანის დარღვევისათვის სასჯელი მონასტრიდან გაძევებაა.¹

ბიზანტიურ მონასტერში სასჯელის ეს ფორმა უკიდურეს შემთხვევაში იხმარებოდა – მხოლოდ უმძიმეს დანაშაულზე, ხოლო გაძევებულის უკან დაბრუნება კი სასტიკად იკრძალებოდა.² ყოველ ღონეს იხმარდნენ, რომ არ გაეძევებინათ, გაძევებულს კი აღარ მიიღებდნენ.

დამნაშავის მონასტრიდან საბოლოოდ განდევნას, „მოკუეთას“, ამ პირთა მათგან გავლენის მოსპობა შეადგენდა, „რამთა არა ყოველსა გუამსა განეზაოს სიმჰალვე“.

ამრიგად, აღნიშნულ თავში ჩვენ განვიხილეთ ვანის მონასტერში ტიპიკონით დამკვიდრებული ყველა წესი და ადათი, განვიხილეთ სამონასტრო კორპორაციის რაობა, რას წარმოადგენდა მონასტრის ძმობა და რისი ვალდებული იყო იგი, რა ეკრძალებოდა, რომელ კანონს უნდა დამორჩილებოდა, როგორი იყო მართვის სისტემა. ამავე თავში სამწირველოს შესახებაც არის საუბარი, როგორც მონასტრის ერთერთ აუცილებელ კომპონენტზე.

აღნიშნული თავის მეორე ნაწილი ვანის ქვაბთა მონასტრის ორგანიზაციული წყობის საკითხებს ეხება. ვანის მონასტრის ძმობა სამ მთავარ ჯგუფად, დასად იყოფოდა, რაც ზემოთ შემდეგი სქემის სახით წარმოვადგინეთ:

1 დასი („წელისუფალნი“) „თავადნი“ ანუ „უთავადესნი ძმანი“:

- 1) მამასახლისი ანუ წინამძღვარი
- 2) იკონომოსი
- 3) დეკანოზი

¹ ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 72.

² Каждан А. П., დასახ. ნაშრ., გვ. 58.

- 4) მეჭურჭლე
- 5) მეტრაპეზე
- 6) კანდელაკი
- 7) იპიტირიტისი
- 8) მწირველი, რომელსაც მკითხველ-კანანახობაც შე-

უძლია

- 9) მემწრე

II დასი („დასი მღვდელთა“)

- 1) მღვდლები
- 2) დიაკვნები

III დასი:

- 1) მწირნი
- 2) მსახურნი

ამგვარი დაყოფა მეტად საინტერესო ელფერს აძლევს თვითონ ძეგლს. ნაშრომში სამივე დასის ყოველი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობებზეა საუბარი, იგივე მოხელეები იხსენიება სხვა ძეგლებშიც, საიდანაც მოტანილია ანალოგები. რადგანაც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქართული მონასტრების სხვა ტიპიკონი ჩვენ არ გავვაჩნია (ყოველ შემთხვევაში სრულყოფილი სახით), ამიტომ აღნიშნული სქემა სამონასტრო იერარქიისა პირობითად საქართველოს ეკლესიის სამონასტრო „საზოგადოებად“ უნდა მოვიჩინოთ.

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ „ვაჰანის ქვაბთა განგება“, როგორც უნიკალური ისტორიული წყარო, მეტად მნიშვნელოვანია მონასტერთან დაკავშირებული მრავალი პრობლემის შესწავლის თვალსაზრისით. იმ ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებებთან ერთად, რომლებიც სამონასტრო ცხოვრებას შეეხება და რომელსაც საისტორიო თხზულებებიც შეიძლება ვუწოდოთ, „ვაჰანის ქვაბთა განგება“ საქართველოს სამონასტრო ცხოვრების სრულყოფილ სურათს ხატავს.

თავი III

„ვაჰანის ქვაბთა განგება“ და „დიდი სჯულისკანონი“

ტიპიკონის სამართლებრივი ბაზა ცხადყოფს, რომ მის შემდგენელს ხელთ ჰქონდა საკანონმდებლო წყარო. ამ წყაროს არსებობას მიანიშნებს „ვაჰანის ქვაბთა განგების“ პირველი და მეორე თავი. ტიპიკონის ავტორს (მხარგრძელს) მონასტრის მღვდელთა და დიაკვანთა რაოდენობა დაუდგენია „განწესებისაებრ მოციქულთა კრებულისა და წმიდათა მამათასა“, ტიპიკონის კანონებიც მიუსადაგებია და აუღია „კანონთაგან წმიდათა და ღმრთივგანბრძნობილთა მოციქულთა და ყოვლადმსოფლიოთა კრებათაგან“.

ცხადია, დაისმის კითხვა: მსოფლიო საეკლესიო კრებათა რომელი დადგენილებები ეპყრა ხელთ მხარგრძელ თმოგველს? არსებობდა თუ არა საქართველოში ამგვარი საკანონმდებლო მაცნე?

ცნობილია, რომ XIII ს. საქართველოში ქართულ ენაზე უკვე კარგა ხნის თარგმნილი იყო „დიდი სჯულისკანონი“, რომელიც სახელმძღვანელოს წარმოადგენდა საეკლესიო იურიდიულ პრაქტიკაში.

„დიდი სჯულისკანონი“ შუასაუკუნეების ბიზანტიური კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. იგი 883 წ. რედაქციითაა ცნობილი და თავმოყრილია როგორც საერო, ისე ზოგადქრისტიანული სავალდებულო საეკლესიო კანონები, რომლებიც მსოფლიო საეკლესიო კრებებზეა მიღებული და დამტკიცებული. იგი 920 წ. კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე ოფიციალურ კანონიკურ კოდექსად აღიარეს. ქართულად „დიდი სჯულისკანონის“ თარგმნა XI ს. მიწურულს ან XII ს. პირველ წლებშია სავარაუდებელი¹. ქართულ თარგმანში ძირითადი ყურადღება საეკლესიო სამართლის კანონებზეა გამახვილებული და იგი საეკლესიო სამონასტრო ცხოვრების ერთგვარ კონსტიტუციად შეიძლება მივიჩნიოთ.

¹ დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975, გვ. 21.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ ისტორიის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ იგი „დიდი სჯულისკანონის“ ფუნდამენტურ ღირებულებებს ემყარება. როგორც ჩანს, მხარგრძელს, სარგისის ძეს საგანგებოდ მოუპოვებია აღნიშნული წყაროს საეკლესიო კრებების განჩინებანი და სრულყოფილად ჩამოუყალიბებია ვაჰანის ქვაბთა დისციპლინარული ტიპიკონი.

საინტერესო შედეგი მოგვცა „დიდი სჯულისკანონის“ და „ვაჰანის ქვაბთა განგების“ ანალოგიური მუხლების ძიებამ, თუმცა გარდა ანალოგიებისა, განსხვავებებსაც ვხვდებით.

„დიდი სჯულისკანონის“ მიხედვით, ბერს ან მონაზონს არა აქვს უფლება ჰქონდეს მონასტერში საკუთრება „განთ:ცხებული“, არამედ ყველაფერი უნდა შესწიროს მონასტერს. თუ იგი მაინც დაიტოვებს საკუთრებაში რაიმეს, წინამძღვარს აქვს უფლება ჩამოართვას, „მიითვალოს“ და გაყიდოს, შემდეგ კი გლახაკებს დაურიგოს¹.

„ვაჰანის ქვაბთა განგებაც“ მიუთითებს, რომ ქონება, რომელსაც ბერად აღკვეციისას მოიტანს მონაზონი მონასტერში, უკვე ეკლესიის, მონასტრის საკუთრებად იქცევა. მონასტერში შემოტანილი განძი, „ნაქონები“ მონასტრის საკუთრებაა და მისი გასხვისების უფლება აღარავის აქვს; უფრო მეტიც, არათუ გასხვისების, დასაკუთრების უფლებაც კი ეკრძალებათ, მით უფრო მემკვიდრეობით დასაკუთრებისა. ამიტომაც ტიპიკონით თავიდანვე განმარტავს მხარგრძელი: იმისათვის მოვსპე... მამულოვნობით ქონება, რომ „ანგელოზებრივი მოქალაქეობის“ წესი არ მოიშალოს მონასტერში, ერთგვის სამონასტრო ეკლესიანი და შეწირულებანი სამონასტრო საკუთრებაა სამუდამოდ, არცერთ ერისკაცს არავითარი მიზეზით არ მიეცემა იგი; თუ ვინმე იკადრებს ამას, „კანონთამიერი განპატიუებით“, სასჯელის დადებით დაისჯება². მონაზონს ჭურჭლის ან „ნაქსოვი რაიმეს“ სათავისოდ, საკუთრად ოქროს, ვერცხლის სახმარად გამოყენებაც ეკრძალება. თუ იგი მაინც გამორჩევით აიღებს და მოიხმარს ასეთ ჭურჭელს, უზიარებლობით დაისჯება³.

¹ დიდი სჯულის კანონი, გვ. 440.

² იქვე, გვ. 390.

³ იქვე, გვ. 442.

მონასტრის წინამძღვარსაც არა აქვს ეკლესიის სახნავ-სათესი ადგილის თვითნებურად გაცემის უფლება. თუნდაც მინას ზარალი მოჰქონდეს, წინამძღვარმა არ უნდა გაყიდოს იგი საერო პირებზე, მთავარ – ფეოდალზე, არამედ უნდა მისცეს სასულიერო პირებს ან მიწისმოქმედებს. თუ გარკვეული მაქინაციებით იმ მხარის მთავარი მაინც ჩაიგდება მას ხელში, ეს საკუთრება დაუმტკიცებლად უნდა ჩაითვალოს და აგარაკი მონასტერს დაუბრუნდეს, ხოლო თანამონაწილეობაში ბრალდებული წინამძღვარი განიდევნოს უნდა მონასტრიდან (ნიკეის VII მსოფლიო კრების კანონები), იგივეს ადასტურებს „კანონი II-დ ნიკიას შეკრებულთა მამათანი“¹. ამგვარად, მონასტრის ქონება ნებისმიერ შემთხვევაში მონასტერს უნდა დარჩეს. საუფლო ხმა ამბობს: „ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სავაჭრო“.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ დამდებელი, მართალია, მონასტერში მყოფ მონაზონს აძლევს სახნავს, აგარაკს, ვენახს იმდენს, რამდენსაც ითხოვს იგი, მაგრამ არა „მამულოვნობით“, არამედ როგორც სამონასტრო საკუთრებას. ამ მამულიდან მონაგების მისაკუთრების უფლებაც კი არავის აქვს. სამონასტროდ ერთხელ ნაკურთხი სამარადჟამოდ სამონასტრო საკუთრებაა და მისი ქონებაც ხელშეუხებელია, საერისკაცო არასოდეს გახდება².

დიდი ყურადღება ექცევა ვერცხლისმოყვარეობის პრობლემას. იგი ერთნაირად მიუღებელია და დაგმობილი „დიდი სჯულისკანონშიც“ და „ვაჰანის ქვაბთა განგებაშიც“. ვერცხლისმოყვარეობაში შემჩნეული წინამძღვარი „განიჰადება“ ანუ განიკვეთება მონასტრიდან, „რამეთუ არა ჯერ არ არს მამონას მიერ მონება ღმრთისა“.

ვანის ქვაბთა მონასტერში ძმად განწესებისათვის სასყიდელის აღება სასტიკად იკრძალება და მისი მოქმედი დაკლებულ იქნება თავისი პატივისაგან. ქალკედონის IV მსოფლიო კრების მეორე კანონით, თუ რომელიმე ეპისკოპოსი ხელით შეასრულებს ხელდასხმას და, ამგვარად, ვაჭრობის საგნად

¹ დიდი სჯულის კანონი, გვ. 426.

² იქვე, გვ. 274.

აქცევს მადლს, რომელიც არ იყიდება, მყისიერად ჩამოერთმევა მისი (ან სამღვდელმსახურო) ხარისხი¹.

საინტერესოა ცნობები იკონომოსის შესახებ. ქალკედონის IV მსოფლიო კრების კანონებით იგი მნეს სინონიმად გამოიყენება². იკონომოსი გვხვდება, როგორც „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“, ასევე „დიდი სჯულისკანონშიც“, აღნიშნული პირი მონასტრის (ან ეკლესიის) უძრავ-მოძრავი ქონების განმგებელია. მის მოვალეობას შეადგენდა შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვა; პასუხისმგებელია მონასტრის წინამძღვრის წინაშე. ვანის მონასტრის ტიპიკონის მიხედვით, იკონომოსი წინამძღვრის თანაშემწეა სამეურნეო დარგში და მას მონასტრის მეურნეობა და ორგანიზაციული მხარე ებარა.

ნიკეის VII მსოფლიო კრების კანონებით იკონომოსის ყოფნა მონასტერში სავალდებულოა, რათა არ მოხდეს საეკლესიო ქონების გაბნევა ან მონმის გარეშე დახარჯვა და განაწილება.

„ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ სამეურნეო საქმეებს „სოფელთა და აგარაკთა შინა“ განაგებს არა მონაზონი, არამედ ერისკაცი: მეურნეობის „წელისუფლად ნუმცა ოდეს დაიდგინების მონაზონი, არამედ ერისკაცი დაიდგინებოდნენ მოძღურისა და კრებულისა ბრძანებითა“, – ნათქვამია ვანის მონასტრის ტიპიკონში³. „დიდი სჯულისკანონით“ იკონომოსის თანამდებობაზე პირს ამტკიცებს ეპისკოპოსი⁴.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ ერთ-ერთი ფრიად სერიოზული მოთხოვნათაგანია „ყოვლად-ყოვლითურთ უვალ-იყოს დედაკაცისაგან მონასტერი“, რომელიც მამათა მონასტერში ქალის შეშვებას გაამართლებდა, არცერთი ბერის სენაკში არ შეიშვებიან მანდილოსანნი, „დედაჲლა თუ იყოს მისი“, ანალოგიურია „დიდი სჯულისკანონშიც“: – „ნუცა სამამოსა მონასტერსა დედაკაცი და ნუცა სადედოსა მამაკაცი შევალს ლამე დადგომად..., ხოლო უკუეთუ ვინმე ამისი ქმნაჲ იკადროს, უზიარებელ იქმენინ, გინა თუ მოყუასი იყოს“.

¹ დიდი სჯულის კანონი, გვ. 269.

² იქვე.

³ ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 80.

⁴ დიდი სჯულისკანონი, გვ. 425.

არც დედის, არც დიდებულის სახლის ქალის მონასტერში შემვებაა მიზანშეწონილი. „ნუ დამკვიდრდება ბერი ქალთა მონასტერში, ნუ შეჭამენ ერთად“, რადგან დედაკაცი მამათა მონასტერში დაბრკოლების მიზეზი არის, – ნათქვამია ნიკიას II კრების კანონებში¹. ასევეა დადგენილი უწვერული ყრმის მიმართაც.

ამგვარი პარალელები მრავლად გვხვდება „დიდი სჯულისკანონსა“ და „ვაჰანის ქვაბთა განგებას“ შორის. სავარაუდოა, რომ ვანის ქვაბთა მონასტრის დამაარსებელს მხარგრძელ-თმოგველს კარგად სცოდნია მართლმადიდებლური საეკლესიო კანონიკა და თავისი მონასტრის წეს-განგების შედგენისას უსარგებლია კიდევ ამ ნორმატიული აქტებით. თუმცა გვხვდება განსხვავებული წესებიც (რაც ალბათ ქრონოლოგიური სხვადასხვაობითაა განპირობებული – ი. ტ.), როგორცაა, მაგალითად, „დიდი სჯულისკანონში“ წინამძღვრის დადგინების წესი ეპისკოპოსის მიერ, „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ კი წინამძღვრის არჩევის წესი მონასტრის ძმობის მიერ.

„დიდი სჯულისკანონით“ მონასტრის წინამძღვარი (ასევე წიგნისმკითხველიც) უნდა დაადგინოს ეპისკოპოსმა. მან რაიმე ანგარებით, ან მეგობრობით კი არ უნდა განაჩინოს, არამედ გამოარჩიოს სათნოებით, სიკეთით, მართლმორწმუნეობით და სინმიდით: „ეპისკოპოსი წინამძღუარსა... თითოეულისა მონასტრისასა ნუ ხარისხთაებრ უძუელესობისა და უპატიოსნებისათა განაჩინებს უეჭველად, არამედ რომელიცა ყოველთა მონაზონთა ანუ უფროცს განკრძალულთა და სათნოთა გამოირჩიონ და თქუან წმიდასა სახარებასა ზედა, ვითარმედ არა მეგობრობისა ანუ მომადლებისა მისისათს გამოირჩევენ მას, არამედ რამეთუ იცნობენ მას მართლმადიდებელად და სინმიდის მოყუარედ და განმგებელობისა მის ღირსად და ვითარმედ ძალ-უც მას დაცვა მონაზონებრისა ჴელოვნებისა და სამონასტროფსა დაწყნარებისა“². პიროვნულმა თვისებებმა უნდა განაპირობოს მისი ხარისხი და არა სხვა გარემოებამ, – ნათქვამია კონსტანტინოპოლის კრების

¹ დიდი სჯულის კანონი, გვ. 430.

² იქვე, გვ. 194.

კანონებში. ამასთან, ორი მონასტრის წინამძღვარი არ შეიძლება ერთი პიროვნება იყოს.

„ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ მონასტრის წინამძღვარს ირჩევს მონასტრის ძმობა: „დასისაგან მღდელთაჲსა გამოირჩეოდის ერთსულობისა მიერ ძმათაჲსა კაცი სიტყვით და საქმით უაღრესი სხუათა ყოველთაჲ, რომელსა ყოველნივე ერთმობით ენამებოდინ. და მრავალი ყამი დაეყოს მონასტერსა შინა და უბინოჲსა ცხოვრებისა მისისა ყოველნი იყვნენ მონამე, შემკობილი ყოველთავე სათნოებათა სიკეთითა სულიერებისა და ჯორციელებისა და შემძლებელი ტვრთვად ესოდენსა სულეზსა ძმათასა...“¹

წინამძღვარი სულის მკურნალია, იგია მასწავლებელი და მაგალითი სიკეთისა, სიტყვით – ცოტას, უმრავლესს კი – საქმით უნდა ასწავლიდეს უანგარობას, სიკეთეს. თვითონ თავისი ცხოვრებით არის სახე „კეთილის ქმნისა“. „ყოველმან მწყემსმან კეთილმან სული თუსი დადვას ცხოვართა თუსთათუს“, – განმარტავს „ვაჰანის ქვაბთა განგება“.²

ძმათა მიერ წინამძღვრის „გამორჩევა“ ანუ არჩევა თავისთავად დიდი მნიშვნელობის ფაქტია, რაც მონასტერში დემოკრატიულობისა და საჯაროობის გამოვლინებაა. აქ ხდება არა დანიშვნა ეპისკოპოსის ან მონასტრის პატრონის მიერ, არამედ არჩევითობის პრინციპია დადგენილი და კანონად ქცეული. საქართველოში ჯერ კიდევ XI ს. 30-იანი წლებიდან მკვიდრდება სამონასტრო კრებულობითი მართვა-გამგეობის წესი. მონასტრის ქონებას განკარგავს „კრებული ყოველთა ძმათაჲ“, იერარქიულ პირებს კი არჩევის წესით ადგენენ.

„დიდი სჯულისკანონის“ სხვადასხვა კრებების დადგენილებებში კარგად არის განმარტებული შემონაზვნების წესი, მონაზვნად დადგინების ასაკი, გამოსაცდელი ვადა, მონასტერში ცხოვრების წესები. გამოსაცდელი ვადა შიშით და მორჩილებით ცხოვრების სამი წელია³, ყოველ ქრისტიანს ეტყობა, შეუძლია თუ არა ცხოვრებისა და მრავალშფოთიანი

¹ ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 65.

² იქვე.

³ დიდი სჯულისკანონი, გვ. 388.

სანუთროს მოტოვება და სამონაზვნო ცხოვრების დაწყება, რადგან „მონაზონებრივი მოქალაქობა“ საღმრთო სინანულ-ლია უკვე¹.

„ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ განმარტებული არ არის: ვინ, როგორ ან რა ასაკში შეიძლებოდა ბერად აღკვეცილიყო; შესაძლოა, ტექსტის დასაწყისში ყოფილიყო ამაზე საუბარი; იმ ნაწილში, რომელიც ძეგლს აკლია. ტიპიკონის ბოლო ნაწილში კი მხარგრძელი წესად უდებს მონასტრის ძმობას წელიწადში სამჯერ ტრაპეზობისას ნაიკითხონ „განგების“ სრული ტექსტი: წმინდა მარხვის დასაწყისში თევდორობა დღეს, მეორედ – სულთმოფენობის დღეს („სულისა წმიდისა მოსლვასა“) და მესამედ – ჯვარის ამაღლების დღესასწაულზე. მონასტერში შემონაზვნებისათვის სავალდებულო იყო ასევე ძმობის მომავალ წევრს სრულყოფილად წაეკითხა (ან წაკითხვოდა) აღნიშნული ტექსტი და თუ გულით მიიღებდა განწესებულ კანონებს და სიხარულით შეიწყნარებდა, მაშინ „დაეწესებოდა იგი ძმათა თანა“².

„დიდი სჯულისკანონით“ ძაძით მოსილსა და თმამოზრდილ მეუღაბნოეებს ეკრძალებათ ქალაქში ერისკაცთა შორის სიარული. ასევე არასასურველად მიაჩნია მონასტრის გარეთ წასვლა „ვაჰანის ქვაბთა განგების“ დამდებსაც, – თავისი საჭიროებისათვის კი არა, ჩემი სამსახურისთვისაც კი ეკრძაღა მონასტრიდან გასვლასო, – აზუსტებს იგი. თუ ვინმე ერთ ღამეს მაინც გამოუთხოვლად დაჰყოფს მონასტრის გარეთ, გაძევებულ უნდა იქნას მონასტრიდან „ვითარცა თავხედი და შეურაცხისმყოფელი“.

ამრიგად, ვანის ქვაბთა ტიპიკონის შემდგენელს გამოუყენებია „დიდი სჯულისკანონის“ საეკლესიო (სამონასტრო) კანონიკის გარკვეული თავები და მუხლები, რომლებიც განთავსებულია ქალკედონის, ნიკეის მეორე, კონსტანტინოპოლის პირველი და მეორე, კართაგენის, ლანგრის, ლაოდიკიის და სხვა საეკლესიო კრების კანონებსა და დადგენილებებში. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი „დიდი სჯულისკანონიდან“ არის აღებული; ბევრი ქართული სინამდვილიდან, ქართული სამონასტრო ცხოვრების თავისებურებებიდან გამომდინარე

¹ დიდი სჯულის კანონი, გვ. 389.

² ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 90.

დაინერა, მაგრამ ძირითად ღერძად, ჩონჩხად მაინც უნდა მივიჩნიოთ „დიდი სჯულისკანონი“, რაზეც აინყო და სრულიქმნა ვაჰანის სამონასტრო ცხოვრება, ცხოვრების წესი.



ვანის ქვაბები, საერთო ხედი.
(ფოტო რ. კორშიასი)

თავი IV ვანის ქვაბთა მონასტრის პერსონოლოგიისათვის

ონომასტიკის, კერძოდ, საკუთარი სახელებისა და გვარ-სახელების ისტორიული თვალსაზრისით შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ პერსონალიათა ვინაობის გამოსამზევებლად.

„ვაჰანის ქვაბთა განგებაცა“ და მისი მინაწერებიც იურიდიულ დოკუმენტებს წარმოადგენს. აქ წარმოდგენილი ნასყიდობისა და შეწირულობის საბუთების მონაწილენი არიან საზოგადოების სხვადასხვა ფენისა თუ ნოდების წარმომადგენლები: ათაბაგები, დიდი ფეოდალები, ყმა-გლეხები, სხვადასხვა ნოდების საეკლესიო პირები. ამდენად, აღნიშნული საბუთები ძვირფას წყაროს წარმოადგენს ისტორიული ონომასტიკის შესასწავლად.

საერთოდ, ონომასტიკის ანალიზი საშუალებას იძლევა, დაზუსტდეს ქვეყანაში მიგრაციული პროცესები – მოსახლეობას, რომელიც საცხოვრებელ ადგილს იცვლის, უმეტესწილად თან მიაქვს თავისი ონომასტიკონი. ეს შეეხება როგორც გეოგრაფიულ და საკულტო სახელებს, ისე ანთროპონიმებსაც.¹ სწორედ ამიტომ იყო, რომ თ. ჟორდანიას იმერეთის ვახანს მესხეთიდან გადმოტანილად მიიჩნევდა.²

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ვინაობა ხშირად გამხდარა დავის საგანი. მაგ., სომხები თვლიან, რომ ეს ტერიტორიები ძველთაგანვე სომხებით იყო დასახლებული და გარკვეულ პრეტენზიებსაც (თუმცა, ჩვენი აზრით, უსაფუძვლოს – ი.ტ.) გამოთქვამენ საქართველოს ამ ისტორიულ მინა-წყალზე. საბუთებში დამოწმებული საკუთარი სახელები, ქვებ-სტელეების წარწერები კი სულ სხვას მოწმობენ. ამიტომაც, აუცილებელია ძირეულად დამუშავდეს ყოველი დოკუმენტი, წარწერა და მათი ანალიზის შემდეგ გაკეთებული

¹ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1, თბ., 1991, გვ. 6.

² თ. ჟორდანიას, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა, თბ., 1996, გვ. 29.

დასკვნები საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ მრავალი პრობლემური საკითხი.

ვანის ქვაბებთან დაკავშირებული აბსოლუტურად ყველა საკუთარი სახელი ქართულია. ამ დოკუმენტებში რჩეულაშვილები და ღარიბასძეები, ბაქელიძეები და ირინაშვილები, ბალახაშვილები და კანდელაკიშვილები, უღულაშვილები თუ ხიმშიაშვილები გვხვდებიან; უფრო ზუსტად, ქართული წარმოების გვარსახელთა მოდელებია, რომელთაგან უმეტესობა ნაწარმოებია არაბულ-თურქულ-ბერძნული წარმომავლობის ფუძე-სიტყვებზე – ძე და – შვილ სუფიქსების დართვით. ეს ფუძე-სიტყვები პრაქტიკულად გაქართულებულია და ამდენად, მიგვაჩნია, რომ გვარ-სახელებიც მათი სხვაენოვანი შინაარსისაგან დამოუკიდებლადაა ნაწარმოები.

ვანის ქვაბთა ტიპიკონში, მის მინაწერებსა და მონასტრის კედლის წარწერებში მოხსენიებული პირები ძირითადად სამკატეგორიად დაიყოფა. პირველ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ მონასტრის მეპატრონენი, შემწირველნი; მეორეს – მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირები და მესამეს – ყმა-გლეხები, რომლებიც ზოგან მხოლოდ სახელით, ზოგანაც გვარსახელით არიან მოხსენიებული.

ვანის ქვაბების დაარსებისა და მის მაშენებელთა ვინაობის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ მოგვეპოვება. გ. გაფრინდაშვილის აზრით, აქ საცხოვრებელი ქვაბები მეუდაბნოეობის პერიოდში უნდა გაჩენილიყო,¹ ვანის ქვაბთა მონასტერში ნაპოვნი რამდენიმე წარწერიანი ქვა საშუალებას გვაძლევს, აღვადგინოთ და გავარკვიოთ აქ მოღვაწე ისტორიულ პირთა ვინაობა. ერთი სამშენებლო წარწერა გვამცნობს: „იესო ქრისტე, ადიდე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ, რომლისა ზე მე, იჩქით გურგენის ძემან აღვაშენე კედელი ესე და დავასვენენ ხატნი მაცხოვარისაჲ, ღმრთისმშობლისაჲ, ნათლისმცემლისაჲ, და ჯუარი წმ. სვიმეონისი, ვინცა ილოცვიდეთ, მეცა მომიხსენეთ“.² წარწერის ქრონოლოგიურ ჩარჩოდ გ. გაფრინდაშვილმა 1189-1204 წწ. მიიჩნია.³

¹ გ. გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბის განძი, ძეგლის მეგობარი, 6, 1966, გვ. 8.

² იქვე.

³ იქვე.

წარწერის იჩქით გურგენისძე რამდენიმე სხვა წარწერა-შიც იხსენიება. იგი გვევლინება წუნდის ეკლესიის მაშენებლად, ხოლო იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში მისი ალაპია დაცული. მოღვაწეობის ხანა იჩქით გურგენისძისა უცნობი იყო ვანის ქვაბთა მონასტრის ზემოთ მოტანილი საამშენებლო წარწერის აღმოჩენამდე. ამ წარწერით იჩქითი თამარის ეპოქის მოღვაწე დიდებულად გვევლინება.

ასპინძაში რუსთაველის მუზეუმში დაცულია ერთი წარწერიანი ქვა ვანის ქვაბებიდან: „ესე არს სამკვიდრებელი ჩუენ – გურგენათი. მე, იჩქითმან აღვაშენე. შეგკნდვენეს ღმერთმან“.¹

ეს წარწერა ზემოთ მოყვანილ საამშენებლო წარწერაზე გვიანდელად უნდა ჩაითვალოს. იჩქით გურგენისძეს მონასტერი „სამკვიდრებელადაც“ უქცევია, რაც იმას ნიშნავს, რომ ვანის ქვაბები გურგენისძეთა ფეოდალური სახლის საგვარეულო მონასტრად ქცეულა, სამკვიდრებელად ანუ საგვარეულო საძვალედ. ვ. სილოგავა წარწერას XII ს. დასასრ.-XIII ს. ათარიღებს.

გურგენისძენი მესხეთის პატარა კუთხის, ისტორიული ჯავახეთის ერთი ნაწილის, წუნდა-კუმურდო-ვანის ქვაბის მიმდებარე ტერიტორიის მფლობელები უნდა ყოფილიყვნენ. იჩქითს თავის მამულში წუნდის ეკლესიაც აღუმართავს და მასზე შემდეგი წარწერა მოუთავსებია: „სახელითა ღმრთისაჲთა, მე იჩქითმან, გურგენის ძემან, აღვაშენე ეკლესია ესე, მამული ჩუენი, სახელსა ზედა წმიდისა ნათლისმცემლისა, სალოცველად სულისა ჩემთათვის და მშობელთა ჩემთა“.² ეს წარწერა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ აღნიშნული მხარე გურგენისძეთა საპატრონოს წარმოადგენდა („მამული ჩუენი“ – ამბობს წარწერა).

ვანის ქვაბთა მონასტრის კედელი იჩქითს წუნდის ეკლესიის სრულყოფის შემდგომ აუგია. სავარაუდოა, რომ ეს მონასტერი XIII ს. დამდეგიდან ან უფრო ზუსტად XII ს. ბოლო-

¹ წარწერიანი ქვა ვანის ქვაბებიდან, ასპინძა, რუსთაველის მუზეუმი. იჩქით გურგენისძის სამივე წარწერის პუბლიკაცია იხ. ვ. სილოგავა, იჩქით გურგენისძის სამი წარწერა, ნერგი, 1-7, X, 1994, გვ.2.

² ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 47-48.

დან უკვე სამეფო საკუთრებად იქცა, როგორც ჩანს, თვითონ იჩქითის სურვილით, რადგან მოგვიანო ხანაში იგი უკვე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ ალაპშია მოხსენებული: „თუესა ნოენბერსა კვ მასვე დღესა ალაპი იჩქითისა გურგენის ძისა შეუნდვნენ ღმერთმან“.¹

თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო ეტაპზე იჩქით გურგენისძეს იერუსალიმის ქართველთა მონასტრისათვის მიუძღრთავს. იქაც გარკვეული დამსახურებისათვის, რაც ალბათ შეწირულობებში გამოიხატა, მონასტრის ალაპებში შეიტანეს მისი სახელი. მონასტერში ხომ შემწირველის მონასტრისადმი განეული ღვანლის მიხედვით დგინდებოდა ალაპი, სულზე ზრუნვა მონასტრისადმი განეული სამსახურითა და ფულადი დახმარებით იზომებოდა.²

იჩქით გურგენისძის ალაპს ტაბულა არ გააჩნია, რის გამოც მისი დათარიღება ალაპებთან შეპირისპირებით ვერ ხერხდება; ხელი საკმაოდ არქაულია და ე. მეტრეველი მას XIII საუკუნისად მიიჩნევს.³ ეს დასკვნა საკმაოდ კარგად ეთანხმება ჩვენი ვარაუდის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. წუნდისა და ვანის ქვაბთა მონასტრის კედლის აშენების შემდგომ, XIII ს. დამდეგს, შესაძლოა, XII ს. ბოლოსვე იჩქით გურგენისძე უკვე იერუსალიმშია. როგორც ჩანს, მას მემკვიდრე არ დარჩენია, რადგან წუნდის ეკლესიას იგი აშენებს თავისი და მშობლების სულის საოხად. მას რომ ძენი ჰყოლოდა, აუცილებლად მოიტანდა მოსახსენებელ წარწერაში. ამ ეკლესიის აშენებისას კი იგი არ უნდა ჩანდეს ისეთი ახალგაზრდა, ჯერ რომ ოჯახი არა ჰყავს. მას შემდეგ კი, რაც ვანის ქვაბთა მონასტერიც ალადგინა, თავისი ამქვეყნიური ვალი შესრულებულად ჩათვალა და მიაშურა კიდეც იერუსალიმს.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერში აღმოჩნდა XII საუკუნის სტოდიერი, რომლის გადამწერადაც გვევლინება მიქაელ გურგენისძე: „ქრისტე, შეინყალე ფრიად ცოდვილი მიქაელ. ამინ“. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „მონყალეო! შეინყალე

¹ ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 86.

² იქვე, გვ. 9.

³ იქვე, გვ. 142.

ცოდვილი მიქაელ გურგენისძე, ამისი მჩხრეკელი! ლოცვა ჰყავთ მკითხველთა“.

ხომ არ არის ეს მიქაელი ჩვენთვის საინტერესო იჩქით გურგენისძე? ვფიქრობთ, მიქაელი იჩქითის ბერობის სახელია. ჩანს, XII ს. ბოლოს იგი იერუსალიმს ბერად შედგა და მიქაელის სახელით ტექსტების გადანერასაც მიჰყო ხელი. ამით უნდა იყო განპირობებული მისი ალაპიცი. ჩვენს მოსაზრებას კიდევ უფრო ამტკიცებს ის ფაქტი, რომ მიქაელი თავის ანდერძში ახსენებს ვაჰანის ქვაბთა წმიდა გიორგის: „წმიდანთ ღმრთისანო! მე, გლახაკმან და ფრიად ცოდვილმან მიქაელ გურგენის ძემან დავჩხრიკენ და წ“აჲ სულთა განმანათლებელი სტოდიერი, სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთა. სანახებსა წ“და იერუსალიმისასა მონასტერსა ჯუარისასა. სახელსა ზედა წ“ისა მთავარმონამისა გიორგისასა ვაჰანის ქვაბთასა, წმიდაო გიორგი! მიაწიე წერილი მწერლითურთ! უცბად ჩხრეკისათვის შემინდვეთ. უსწავლელი ვიყავ.“

წმ. გიორგი შეინყალე სულითა მოსავი შენი მიქაელ“.²

როგორც ჩანს, მიქაელ გურგენისძე სწორედ ვანის ქვაბთა მონასტრის მაშენებელი იჩქით გურგენისძეა, რომელსაც, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, მემკვიდრე არ დარჩენია (თავის ანდერძშიც ხომ აღნიშნავს, რომ სტუდიერს იგი გადანერს თავისი და მშობლების სულის საოხად. მემკვიდრენი არც აქ იხსენიება) და იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის მიუმართავს. ჩვენს მიერ ვარაუდის სახით გამოთქმული ეს მოსაზრება (იხ. ონომასტიკური ძიებანი, 1, ახალც., 1995) მოგვიანებით დ. ბერძენიშვილმაც გაიმეორა (იხ. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, თბ., 2005, გვ. 222).

XII ს. ბოლოდან ვანის ქვაბები უკვე სამეფო მონასტერია. მის ნანგრევებში ნაპოვნი ერთი წარწერის მიხედვით, თამარის მეფობის მე-20 წელს (1204 წ.) მონასტრისათვის ზღუდე აუშენებია ანტონ ჭყონდიდელს,³ მეფის პირველ ვაზირს, რომელიც იმავე დროს მწიგნობართუხუცესიც იყო. მის მიერ

¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, კოლექცია, ტ. IV, /1347/ თბ., 1985, გვ. 431.

² იქვე.

³ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, ტფ., 1939, გვ. 12.

ზღუდის აშენება ვაჰანში ნიშნავს, რომ ეს მონასტერი სამეფოა და საბატონო მფლობელობაში არ არის მოქცეული. წინააღმდეგ შემთხვევაში მეფის ვაზირი მას ზღუდეს არ აუშენებდა. თანაც ზღუდის აშენება უნდა მომხდარიყო ვაჰანის ქვაბთა სამეფო მონასტრად გადაქცევის შემდეგ ძალიან მალე.

ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებში მეფე თამარი ორჯერ იხსენიება: იჩქით გურგენისძისა და 1204 წ. საამშენებლო წარწერებში. სამეფო საკუთრებად გადაქცევის შემდეგ მეფე დიდ ყურადღებას აქცევდა მონასტერს და შეწირულობებსაც უხვად გასცემდა.

XIII ს. 30-იანი წლებიდან ვანის ქვაბთა მონასტერი კვლავ საბატონო მფლობელობაშია. იგი თმოგვის ციხე-სიმაგრესთან ერთად საპატრონოდ გადაუციათ მხარგრძელებისათვის, რომლებიც ამიერიდან თმოგველებად იწოდებიან.

1190-1191 წლიდან მოყოლებული მხარგრძელებს თმოგვი ეჭირათ, ხოლო მანამდე იგი უშუალოდ სამეფო კარის განკარგულებაში იყო და დიდ მოხელეებს ებოძებოდათ ხოლმე განსაგებლად. ასე ეჭირა იგი 1190-1191 წლამდე ამირსპასალარ გამრეკელ თორელს, მანამდე აფრიდონ მსახურთუხუცესს. გამრეკელის გარდაცვალების შემდეგ, მხოლოდ თმოგვი ჩამოერთვათ მის შვილებს და ებოძა სარგის ვარამის ძე მხარგრძელს, რომელიც ამის შემდგომ სარგის თმოგველად იწოდებოდა. თმოგვი მხარგრძელთა ხელში სამემკვიდრეო სამფლობელოდ იქცა.¹ ეს ის დროა, როცა იჩქით გურგენისძე უკვე ასრულებს ვანის ქვაბთა მონასტრის მშენებლობას და თვითონ იერუსალიმს მიემგზავრება. გურგენისძეთა ფეოდალური სახლი დაემცრო ან ამოვარდა.²

ფეოდალური სამფლობელოს ერთ-ერთი აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი საგვარეულო მონასტერია. ამიტომ მას შემდეგ, რაც თმოგვი საბოლოოდ განმტკიცდა სარგისისა და მისი შთამომავლების მემკვიდრეობაში, ჩანს, მათ ვანის ქვაბთა მონასტერიც ებოძა. 1206 წ. ახლო ხანებში სარგის თმოგველი გარდაცვლილა და მის შვილს

¹ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, ტფ., 1939, გვ. 16-17.

²დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, თბ., 2005, გვ. 222.

მხარგრძელს უკვე საგვარეულო მონასტრად უქცევია ვანის ქვაბები და მისთვის სპეციალური წეს-განგებაც შეუდგენია.

ამრიგად, სარგისმა თმოგვი მიიღო, ხოლო მხარგრძელმა ციხე-ქალაქი საგვარეულო მონასტრით სრულყო. მან მცირე სამეფო მონასტერი მიიღო, გააფართოვა ის და ტიპიკონი შეუდგინა. სამეფო მონასტერი საგვარეულო მონასტრად იქცა.

ისტორიოგრაფიაში უკვე დადგენილია, რომ თმოგველები მხარგრძელები არიან; მაგრამ ვინ არიან მხარგრძელები?

მხარგრძელთა წარმომავლობის, მათი მოღვაწეობის საკითხს მრავალი ქართველი თუ უცხოელი მკვლევარი შეეხო. ყოველ მათგანს ჰქონდა საკუთარი მოსაზრებანი, დაინერა უამრავი გამოკვლევა, მონოგრაფია. საკმაოდ ვრცლად და საფუძვლიანად გამოიკვლია მხარგრძელთა საკითხი შ. მესხიამ.¹ ჩვენ შევხებით უშუალოდ სარგისის ძე მხარგრძელისა და მისი შვილის, სარგისის მოღვაწეობას. მხარგრძელთა დაწინაურება საქართველოს სამეფო კარზე გიორგი III-ის დროიდან დაიწყო. მათ ამირსპასალარის მაღალი თანამდებობა ეჭირათ და დიდ როლი შეასრულეს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სარგის ვარამის ძე მხარგრძელი თმოგველთა საგვარეულოს ფუძემდებელია. მას, როგორც გიორგი რუსის მომხრე აჯანყებულთა წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლსა და გამარჯვების მახარობელს, თამარმა თმოგვი უბოძა. სწორედ ამ სარგისის ძეა ვაჰანის ქვაბთა ტიპიკონის დამდები მხარგრძელი. იგი ისტორიულ წყაროებში თაყაიდინ თმოგველადაც იხსენიება. „გამოდის, რომ თაყაიდინ და მხარგრძელი ერთი და იგივე პირია“.² „ვაჰანის ქვაბთა განგების“ შემდგენელი მხარგრძელი, რომლის მამა და შვილიც სარგისის სახელს ატარებდა, სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა სარგის I თმოგველის ძე და სარგის II-ის მამა თაყაიდინი, რომელსაც, როგორც ჩანს, „მეორე სახელად თმოგველი რქმევია“.³ პავლე ინგოროყვას კი თაყაიდინ თმოგველი და მხარგრძელ-

¹ შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს. საქართველოში, თბ., 1979.

² ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

³ შ. მესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 246.

თმოგველი სხვადასხვა პირებად მიაჩნია,¹ რაც არ უნდა იყოს მართებული.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ მიხედვით, მხარგრძელი სახელია და არა გვარი. დღეს უკვე სადავო აღარ არის ის ფაქტი, რომ სარგისის ძე მხარგრძელი ნამდვილი სახელია. მით უფრო, რომ მხარგრძელის სახელად მოხსენიების სხვა შემთხვევაც გვაქვს. ქობერის 1295 წ. წარწერაში მოხსენიებულია შაჰანშა (შანშე) მანდატურთუხუცესის ძე მხარგრძელი.²

მხარგრძელის ძეა სარგისი („ვაჰანის ქვაბთა განგების“ მიხედვით), შვილიშვილი პირველი სარგისისა, რომელიც თმოგველად უკვე XIII ს. 30-იანი წლებიდან გვევლინება. მას მამის მიერ დადებული ტიპიკონი ხელახლა დაუმტკიცებია.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ ერთ-ერთ მინაწერში (სარგისის მინაწერში) იხსენიება სარგისის დედა, მხარგრძელის ცოლი ხათუთა.

XIII ს. ბოლოდან ვანის ქვაბთა მონასტრის მეპატრონეებად თმოგველები აღარ ჩანან, თუმცაღა მათი მემკვიდრეები კვლავ სწირავენ ვანის ქვაბებს შესანიშნავ. ტიპიკონის მინაწერების XIV-XV სს. დათარიღებულ ტექსტებში ვხვდებით თმოგველთა ასულ გულშარს.³ ორივე მინაწერში ნახსენები გულშარი ერთიდაიგივე პირი უნდა იყოს. გულშარის დედას მელანია რქმევია, შვილს – ხავროზი. მართალია, ამ პერიოდში თმოგველები აღარ არიან ამ სამფლობელოში, მაგრამ მათი შთამომავალი, ასული გულშარი სწირავს საალაპედ მამულებს მშობელთა სულის მოსახსენებლად. სავარაუდოა, რომ გულშარი გათხოვილა და დარჩენილა იქვე ჯავახეთში მაშინ, როდესაც თმოგველებს საერთოდ მიუტოვებიათ ეს კუთხე XIV ს. პირველ ნახევარში და ქართლში გადასულან.⁴

¹ პ. ინგოროყვა, რუსთველიანას დამატებითი შენიშვნები, თბ. ტ. 1, თბ., 1963, გვ. 871.

² ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ქობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, ტფ., 1927, გვ. 71; პ. მურადიანი, სომხეთის ქართული წარწერები, ერევანი, 1977, გვ. 177 /სომხურ ენაზე/.

³ თ. ყორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

⁴ დ. ბერძენიშვილი, წარწევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985, გვ. 107.

მონასტერს სხვა გვარეულობანი დაეპატრონენ: რჩეულასძენი, ღარიბასძენი, სამცხის ათაბაგები. მათ სახელებს „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებიდან ვეცნობით.

XIII ს. მიწურულს უკვე იხსენიება ვანის ქვაბთა ბატონი როსტევეანი.¹ XIII-XIV სს. კი – რჩეულას ძე როსტევეან.² ორივე როსტევეანი ერთი და იგივე პირია. პირველი მინაწერის გაფორმებისას როსტევეანს მხოლოდ ორი შვილი ჰყავდა: ვახტანგ და ზევრად, მეორე საბუთის შედგენისას კი – უკვე სამი; აქვე ვეცნობით როსტევეანის ძმებსაც: თაყას და შანშეს. აქ საინტერესოა ტერმინი „ბატონი“. ეს ტერმინი XII-XVI სს. ფარგლებში არ უნდა ჩაითვალოს ანაქრონიზმად, რადგანაც „ვაჰანის ქვაბთა განგების“ XIII საუკუნის მინაწერში პირდაპირ იხსენიება ვანის ქვაბთა ბატონი როსტევეანი: „...შევსწირეთ და მოვახსენეთ ნ“ასა მთავარმონამესა გიორგის: ვანის ქვაბთა ბატონმან როსტევეან და ჩემთა ძმათა...“ და ა.შ. ასევე XV საუკუნის მინაწერშიც, რომელიც ათაბაგ-ამირსპასალარ ივანეს (1391–1444) შეკვეთითაა შესრულებული: „გკადრე და მოვახსენე მე ათაბაგ-ამირსპასალარმან ბატონმან (აქ თ. ჟორდანიას ჰქონდა „პატრონმან“, მაგრამ დედანში წერია „ბატონმან“) ივანე ვანის ქვაბთა მაცხოვარს ხატსა ერთი საკელაპტრე სუეტი ვერცხლით შეჭედილი...“ და ა.შ. (იხილეთ მე-6 და მე-11 მინაწერები).

მართალია, პირველი მინაწერი XIII საუკუნით თარიღდება, ხოლო მეორე XIII-XIV საუკუნეებით, მაგრამ ამ ორი საბუთის შედგენის დრო დიდად არ უნდა იყოს დაშორებული ერთმანეთისაგან. რადგანაც თ. ჟორდანიასეული დათარიღება მინაწერებისა ზოგადია, მისი შედარებით დაკონკრეტება შეიძლება აქ მოხსენებულ პირთა ვინაობის გარკვევის შედეგად; ე. ი. თუ ვიგულისხმებთ, რომ ვანის ქვაბთა ბატონი როსტევეანი და რჩეულას ძე როსტევეანი ერთიდაიგივე პირია (და ეს ასეც არის), მაშინ ვაჰანის „განგების“ მეოთხე და მეათე მინაწერი შესრულებული უნდა იყოს მხოლოდ ერთი ათეული წლის შუალედში, სანამ როსტევეანის მეუღლეს მესამე შვილი ეყოლებოდა.

¹ თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

² იქვე, გვ. 48.

ერთ მინაწერში იხსენიებიან რჩეულაშვილები, მაგრამ ეს მინაწერი თ. ჟორდანიას მიერ XV ს-ით თარიღდება.¹ მისი შინაარსი ასეთია: ენუქ და ალფეზ რჩეულაშვილებს საკმაოდ დიდი მამულები შეუწირავთ მონასტრისათვის იმიტომ, რომ დავითს ღვიძლი ძმისწული უსამართლოდ შემოკვდომია და მთელი მისი მამული ამათ დარჩენიათ.

საერთოდ, გვარი რჩეულაშვილი საკუთარი სახელისაგან – რჩეულადანაა ნაწარმოები. თავდაპირველად იყო რჩეულას ძე, ხოლო შემდეგ იგი გვარსახელად იქცა და დროთა ვითარებაში რჩეულასძენი რჩეულაშვილებად იქცნენ. ფორმა რჩეულაშვილი რჩეულას ძის ტრანსფორმაციის შედეგია. მართალია, რჩეულასძე და რჩეულაშვილი სემანტიკურად ტოლფარდი პარალელური ფორმებია (მონასტრის კედლის წარწერებში ანა რჩეულასძეცაა და რჩეულაშვილიც), მაგრამ მიგვაჩნია, რომ ძე-თი წარმოება უფრო არქაულია შვილით-წარმოებასთან შედარებით. XIII-XIV სს. საბუთებში რჩეულასძეები გვხვდებიან, XV საუკუნიდან კი – რჩეულაშვილები.

რჩეულაშვილები XVI ს. სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის კარგად ცნობილი ფეოდალები არიან. მათი სამფლობელო ყოფილა ვანისა და ოლადის ქვაბთა შორის ტერიტორია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე.²

XVI საუკუნე არეულობის ხანაა ჯავახეთისა და საერთოდ, სამცხე-საათაბაგოს ისტორიაში. 1576-78 წწ. ათაბაგთა სახლს მოულოდნელად ატყდება თავს შეთქმულება, რომელშიც მონაწილეობას იღებენ სამცხის დიდი ფეოდალური სახლების წარმომადგენლები. რჩეულაშვილებიც ამ მხარის ერთ-ერთ ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდნენ. არც ისინი ჩანან ათაბაგთა ერთგულები, რადგან მათ მისამხრობად „ბატონებს“ საგანგებო ზომების მიღება დასჭირვებიათ. „პარასკევს დღეს ავიყარენით, ჩაუდგეით, რჩეულანი შემოვიწყენით“, – აღნიშნავს მემამტიანე.³

XIII ს. რჩეულასძეთაგან განსხვავებით XV-XVI სს. რჩეულაშვილები ვანის ქვაბთა ბატონებად უკვე აღარ გვევლინე-

¹ თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

² დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 111.

³ ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები /XV-XVI სს/, თბ., 1961, გვ. 156.

ბიან. მართალია, ისინი კვლავ სწირავენ მამულებს, კვლავ სწირავენ ვაჰანის მონასტერს და საკმაოდ უხვევითაც, მაგრამ მონასტრის პატრონებად უკვე სხვები ჩანან.

1340-იანი წლებიდან თმოგვის მფლობელებად ღარიბასძეებს მივიჩნევთ. მართლაც, XIV ს. მინურულის მინანურ საბუთებში იხსენიებიან ღარიბასძენი, რომლებიც უხვად სწირავენ შესანიშნავ ვანის მონასტერს.¹ შენირულობის რაოდენობის მიხედვით ისინი საკმაოდ შეძლებულ გვარისშვილებად გვევლინებიან. ესენი არიან: ღარიბა მურვანის ძე, მურვან ღარიბას ძე, ღარიბა-არსლანი მურვანის ძე; თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ შემწირველი აუცილებლად მონასტრის მეპატრონეა, გამოდის, რომ ღარიბასძენი მართლაც ფლობდნენ ვანის ქვაბთა მონასტერს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ თმოგვის 1350 წლის წარწერა: „შენეენითა და ძლიერებითა ვარძიისა ღვთისმშობლისაჲთა ქორონიკონს ღც დავინწყე ზღუდეჲ ესე მე, მეფეთ მეფის დავითის ვარძიელმა საწოლის მწიგნობარმა თმოგუს, მურვან კითხას ძემან. თეოდორე დადგა“.² რადგან მურვანი ზღუდეს ავლებს ციხეს, უეჭველია, რომ ის ამ ციხის პატრონია, მაგრამ თმოგვი ხომ თმოგველთა საპატრონო იყო, იმ თმოგველებისა, რომელთა საგვარეულო მონასტრადაც იქცა ვანის ქვაბები მოგვიანებით. გამოდის, რომ მხარგრძელთმოგველთა წასვლის შემდგომ კუთხის ძეთა³ საკუთრებად იქცა თმოგვი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი იმავდროულად ვანის მონასტრის მეპატრონეებიც გამხდარიყვნენ. XIV ს. მეორე ნახევარში ვანის მონასტერს ღარიბასძენი პატრონობენ.

ვ. ცისკარიშვილმა ერთმანეთთან დააკავშირა მურვან კუთხას ძე და მურვან ღარიბას ძე და აღნიშნა, რომ ეს ორი მურვანი ერთიდაიგივე პირი უნდა იყოსო.⁴

¹ თ. ჟორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 44-45.

² ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

³ ასე კითხულობს თმოგვის ზღუდის მშენებლის გვარს ვ, სილოგავა, მრავალთავი X, 1983, გვ. 76.

⁴ ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 108. ამ მოსაზრებას იზიარებს პ. ინგოროყვა, თხზ. ტ. 1, თბ., 1963, გვ. 871.

ჩვენის აზრით, ორი ერთნაირი სახელის მატარებელი პიროვნების ერთიდაიგივე გვარის წარმომადგენლებად მიჩნევა მხოლოდ იმის გამო, რომ ერთნაირი სახელები აქვთ და ერთ ეპოქაში მოღვაწეობენ, არ უნდა იყოს მართებული, მით უფრო, რომ ერთი კვთხის ძეა, ხოლო მეორე – ლარიბასძე. XIV-XV სს. გვხვდებიან მურვანის სახელით ცნობილი ლარიბასძეთა წარმომადგენლები ასეთი მონაცვლეობით: ლარიბასძეთა მურვანის ძე, მურვან ლარიბასძე, ლარიბა არსლანი მურვანის ძე, მურვან ლარიბასძე და სხვ. მურვან კვთხასძე 1350წ. თმოგვის წარწერის მიხედვით არის მეფეთ-მეფე დავითის ვარძიელი სანოლის მნიგნობარი. მურვან კვთხასძე რომ ლარიბასძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი ყოფილიყო, მინაწერებში ალბათ როგორმე დაფიქსირდებოდა მისი პიროვნება. სახელთა იდენტიურობა საკმარისი საბუთი ამ შემთხვევაში არ უნდა იყოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თმოგვი – ვანის ქვაბების მიმდებარე ტერიტორიები ამ მხრიდან თმოგველთა წასვლის შემდგომ დანაწილებულია სხვადასხვა საგვარეულოს შორის, XIV საუკუნისათვის თმოგვს უკვე კვთხისძეები ფლობენ, ხოლო ვანის ქვაბთა ბატონებად უხვად შემწირველი ლარიბასძეები ჩანან, თუმცა მოგვიანო ხანაში ამ ფეოდალთა ხსენება ქრება.

როგორც აღვნიშნეთ, XV-XVI სს. – ეს არის ხანა დიდი არეულობისა სამცხე-საათაბაგოში. ათაბაგები ჯერ კიდევ მონღოლთა პერიოდიდან აქტიურად იღწვიან ერთიანი ფეოდალური მონარქიიდან გამოყოფისათვის და აღწევენ კიდევ წარმატებას. შინაფეოდალური ომები ანგრევენ და აჩანაგებენ ერთ დროს აყვავებულ მხარეს.

ამ არეულობის ხანაში პატრონი და გამკითხავი თითქოს აღარავინ უჩანს ვანის მონასტერს. მართალია, „ვანის ქვაბთა განგების“ მინაწერებში ათაბაგთა და მათი ოჯახის წევრების სახელებსაც ვხვდებით, მაგრამ საეჭვოა, რომ ისინი ისეთივე პატრონობას უწევდნენ ვანის ქვაბთა მონასტერს, როგორც მაგალითად, თავის დროზე – თმოგველები. ათაბაგთა მზრუნველობას უფრო ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მეექვსე და მეთერთმეტე მინაწერებში

იხსენიება პატრონი ივანე, ათაბაგ-ამირსპასალარი, ბატონი ივანე.¹ თ. ჟორდანიას მოსაზრებით, ეს უნდა იყოს ივანე ჯაყელი-ათაბაგი /1391-1444 წწ/,² სწორედ ის ივანე ათაბაგი, რომლის დროსაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ჯაყელთა ბრძოლამ სამხრეთ საქართველოში ეკლესიის მცხეთის საპატრიარქოსაგან ჩამოშორებისათვის. ამ ბრძოლაში ივანეს მომხრენიც ჰყავდა და მონინაალმდეგენიც სამცხის ეპისკოპოსთა შორის.³

მომხრეთა და მხარდამჭერთა გასამრავლებლად ივანე ჯაყელი სხვადასხვა ღონისძიებებს ახორციელებდა სამცხის სამღვდელოების სასარგებლოდ. ამით უნდა იყოს გამოწვეული მის მიერ ვანის ქვაბთა მონასტრისადმი ათას ხუთასი თეთრის შეწირვა თავისი „საპატრონოსა ტალმისაგან“.⁴ მანვე შესწირა ვანის ქვაბებს „ერთი საკელაპტრე სუეტი ვერცხლით შეჭედილი, ერთი ვერცხლის კანდელი საუფლო, ჭაჭკრული სათათრო მალი“.⁵

მიუხედავად ივანე ჯაყელის დიდი მცდელობისა, მის მიზნებს განხორციელება არ ეწერა. ათაბაგის სეპარაციულ მისწრაფებებს საბოლოოდ დაუდო ზღვარი ალექსანდრე დიდის /1412-1443/ მტკიცე პოლიტიკამ.⁶ 1414 წ. კობტასთავს მომხდარ ბრძოლაში ათაბაგი დამარცხდა და კარგა ხნის მანძილზე მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდა მეფის ხელისუფლებასა და ათაბაგს შორის.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ რამდენიმე მინაწერში იხსენიებიან ათაბაგები: პატრონი ყვარყვარე და თანამეცხედრე მისი ანა, ძენი მათნი: მზეჭაბუკ და ქაიხოსრო.⁷

თ. ჟორდანია თვლის, რომ აქ მოხსენიებული ყვარყვარე არის ყვარყვარე IV, რომელიც გარდაიცვალა 1498 წ.⁸

¹ თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 46, 48.

² იქვე.

³ ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 87, შდრ. ვ. სილოგავა, კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994, გვ. 32-33.

⁴ თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

⁵ იქვე, გვ. 48; მოყვანილ ციტატაში სიტყვა „სუ/ე/ტი“ თ. ჟორდანიას მიერ გამოტოვებულია, იგი წაიკითხა ვ. სილოგავამ.

⁶ ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 87.

⁷ თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 48-49.

⁸ იქვე.

მრავალი ათეული წლის მანძილზე გაურკვეველი იყო ათაბაგთა თანამიმდევრობა. ამიტომ სამხრეთ საქართველოს ისტორიის კვლევისას შეცდომები იპარებოდა. დღეისათვის კი უკვე გარკვეულია ათაბაგთა ქრონოლოგიის ძირითადი საკითხები. ქ. შარაშიძემ ალადგინა ყვარყვარეთა თანამიმდევრობა.

ნაშრომში „სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები /XV-XVI სს./“ მან საბოლოოდ მოულო ბოლო ამ საკითხში არსებულ არევედარევეს. აღნიშნულ გამოკვლევაზე დაყრდნობით შედარებით გაადვილდა „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებში მოხსენიებულ ათაბაგთა ვინაობის დადგენა.

მე-12 და მე-14 მინაწერების ავტორი უნდა იყოს ათაბაგი ყვარყვარე III¹ და არა ყვარყვარე IV, როგორც ამას ვარაუდობს თ. ჟორდანიას. ყვარყვარე III-ს მართლაც ჰყოლია ცოლად „ღვთივ გვირგვინოსანი“ ანნა. ცნობილია მათი ვაჟების სახელებიც: უფროსი ძე – მზეჭაბუკი, ხოლო უმცროსი – ქაიხოსრო, შემდეგში ათაბაგი ქაიხოსრო II /1545-1573/²

ყვარყვარე III ათაბაგობდა 1515-1535 წლებში. იგი ცნობილი მურჯახეთის ომის შემდეგ ტყვედ წაიყვანა მეფე ბაგრატმა იმერეთს, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

ქრ. შარაშიძის დასკვნებს სავსებით ეთანხმება მინაწერებში მოხსენიებული ყვარყვარეს ოჯახის წევრთა შემადგენლობა და სახელები. „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებშიც გვყავს ათაბაგი ყვარყვარე, მეუღლე მისი ანნა და ვაჟები: მზეჭაბუკ და ქაიხოსრო.

ასევე შესანიშნავად იკვეთება ყვარყვარეს ოჯახის წევრთა სრული შემადგენლობა ათონის პორტაიტის ღვთისმშობლის ტაძრისადმი შეწირულობის წიგნშიც.³

აღნიშნულიდან გამომდინარე, მე-12 და მე-14 მინაწერები ტიპიკონისა შესრულებულია არა XV საუკუნეში, როგორც თ. ჟორდანიას ფიქრობს, არამედ XVI საუკუნეში და უფრო კონ-

¹ ყვარყვარე III ქაიხოსრო I-ის ძე, შვილიშვილი დიდი ყვარყვარესი და ძმისწული მზეჭაბუკ ათაბაგისა, ე.წ. „კოპასძეთა მოსახსენებელში“, ნავ-ყვარყვარედ იხსენიება ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

² ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 138.

³ ელ. მეტრეველი, ნავ-ყვარყვარეს უცნობი დოკუმენტი, მრავალთავი, IV, 1975, გვ. 195-205.

კრეტულად ყვარყვარე III-ის ათაბაგობის წლებში – 1515-1535 წწ. შორის.

საინტერესოა მე-13 მინანერი, სადაც ვკითხულობთ: „... დაუბადებლო ხატო ღმრთაებისაო, შეინირე მცირე ესე ძღვენი მე ათაბაგისა ყუარყუარესათუს და მანუჩარისათუს და ძისა ჩემისა ქაიხოსროსთუს და თუალშვენიერსათუს სადღეგრძელოდ და საწყსრად სულისა ჩუენისა...“¹

რომელი ყვარყვარეა აქ მოხსენებული, რომელსაც ჰყავს ძე ქაიხოსრო და ვინ არიან მანუჩარი და თვალშვენიერი?

თ. ჟორდანიას თვლის, რომ აღნიშნული სიგელის გამცემია ცნობილი ნესტან-დარეჯან ყოფილი ნინო, ყვარყვარე IV-ის ცოლი, იმ ყვარყვარესი, რომელიც ათაბაგად 1515 წ. დაჯდა.² ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია ქრ. შარაშიძემ და თ. ჟორდანიას ვარაუდი უარყო.³ მან დაადგინა, რომ ნესტან-დარეჯან-ნინოს ქმრად მხოლოდ 1498 წ. გარდაცვლილი ყვარყვარე დიდი /1416-1498/ შეიძლება ჩაითვალოს. ყვარყვარეს, პირველი ცოლის, დედისიმედის გარდაცვალების შემდეგ 73 წლის ასაკში შეურთავს ცოლად ნესტან-დარეჯანი, რომელსაც შეძენია ვაჟები: თამთან, საზუერელი და სალუყაზან. ამიტომ საბუთის გამცემი არ შეძლება იყოს ეს ნესტან-დარეჯანი.

მინანერში მოხსენიებული ათაბაგი ყვარყვარე უნდა იყოს ყვარყვარე IV, ქაიხოსრო II-ის უფროსი ვაჟი, ხოლო მანუჩარი და თვალშვენიერი მისი ძმები არიან. ყვარყვარე IV-ს მართლაც მარეხ დადიანთან ჰყოლია ვაჟი ქაიხოსრო, რომელიც მინანერშიც იხსენიება („... და ძისა ჩემისა ქაიხოსროსთვის...“). ამდენად, საბუთი შედგენილია ყვარყვარე IV-ის ათაბაგობის დროს, ჯერ კიდევ მანამაღეს, სანამ ძმებს ყვარყვარესა და ქაიხოსროს შორის შუღლი ჩამოვარდებოდა, ე.ი. 1574-1578 წლებს შორის, რადგან საბუთში ძმები ერთად იხსენიებიან, ჩანს, რომ ისინი ჯერჯერობით შეთნხმებულად საქმიანობენ.

ვანის ქვაბებთან დაკავშირებულ პირთა მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირები და მონასტრის კედლებს თავშეფარებული ქალები, რო-

¹ თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

² იქვე, გვ. 49.

³ ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 84.

მელნიც ტიპიკონის მინაწერებში, ალაპებსა და მონასტრის კედლის წარწერებში იხსენიებიან. საეკლესიო პირები ძირითადად ამა თუ იმ დოკუმენტის გაფორმების მოწმეებად გვევლინებიან, ზოგ შემთხვევაში – გადამწერადაც. ვგულისხმობთ ტიპიკონის მინაწერებს, (სხვადასხვა დროის 21 მინაწერი-ალაპი), სადაც ვხვდებით როგორც შეწირულობის, ასევე ნასყიდობის სიგელებსაც (მაგ., ულულაშვილების მინაწერი).

სასულიერო პირთაგან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ქართლის კათალიკოსი გიორგი /1225-1230/,¹ რომელიც ამტკიცებს „ვაჰანის ქვაბთა განგებას“. იგი სარგისის ძის, მხარგრძელის თანამედროვეა. ეს ის დროა, როდესაც სამხრეთ საქართველოს სამონასტრო მამულები და მასთან დაკავშირებული პირნი ფეოდალური წესების ძალით ჯერ კიდევ მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი როგორც ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ისე მცხეთის საკათალიკოსოსთან. ეს დამოკიდებულება ძალიან კარგად ჩანს „ვაჰანის ქვაბთა განგების“ ხელრთულობაში. ტექსტის ბოლოს დატოვებულია ადგილი, სავარაუდოდ, მეფის ანდა მხარგრძელის ხელრთულობისათვის, შემდეგ „განგებას“ ამტკიცებს ქართლის კათალიკოსი.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ მესამე მინაწერი, რომელიც 1393 წლით თარიღდება, მურვან ლარიბასძის შეწირულობის დამადასტურებელი დოკუმენტია.² აქ ჩამოთვლილია მონასტერში მყოფი სასულიერო პირები, რომელთა მოღვაწეობის დროსაც შედგა დოკუმენტი. ესენი არიან: დეკანოზი იოსები, მნათე ანანია, იკონომოსი იორდანე, კანდელაკი გიორგი, მეექვსტრე ანტონი, მნათე გრიგოლი. ამდენი საეკლესიო მოღვაწის ჩამოთვლა ერთ დოკუმენტში მოწმობს, რომ ვანის ქვაბთა მონასტერი XIV ს. მიწურულს მოქმედი, ეკლესიაში მღვდელმსახურება აღესრულება და წირვა-ლოცვის ჯერისაებრ აღვლენისათვის დეკანოზიც ჰყავთ, მნათეც, კანდელაკიც, მეექვსტრეც და სხვანი, რომელთა საქმიანობა აუცილებელია ეკლესიისათვის.

¹ ბ. ლომინაძე, კათალიკოსები, გვ. 318.

² თ. ყორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 44-45.

უღულაშვილების მინანერში¹ დოკუმენტის მწერლად გვევლინება დაყუდებული ხიმშიაშვილი, მინანერი წარმოადგენს ნასყიდობის სიგელს და მას კავშირი არა აქვს ვანის ქვაბებთან:

ქ. მოგეც მე, უღულაშვილმა გოგინამან და ბატატამა, შენა კანდელაკიშვილსა ბასილსა და შენთა ძმათა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ჯალაბადინის ტბასა ყორიანი ყანა, ხუთისა დლისა, ნასყიდობითა. ავილე ფასი, რაც შუათა დაფასებული იყო. ბაშიაი ლამბრას ძმა და მარკოზი. შუანიც ისინი არიან და დამფასებელიც. არა დარჩომიარა ჩვენი, სრული ფასი აგვილიან, ღმერთმა მშვიდობაშინ მოგაწმაროს საუ[კ]უნოთ.

ვინცა კაცმა დღეის იქით პირატე გილოს, ან ჩვენი გვარის კაცის შემოგეცილოს – კრულ იყოს და შეჩვენებული ღმერთისა და პატიოსნისა მაცხოვრის ხატისა პირითა.

უღულასა შეუნდნეს ღმერთმა.

ამისი მწერელი ხიმშიაშვილმა დაყუდებულმა დაენერე, მით ცოდვილსა შენდობა მიბრძანეთ; ღმერთმა მშვიდობაში გაწმაროს.

როგორც ჩანს, გაიყიდა ყანა. ამ ფაქტს კანონით იურიდიული გაფორმება სჭირდება. უღულაშვილმა გოგინამ და ბატატამ, ერთი მხრივ, და კანდელაკიშვილმა ბასილამ,² მეორე მხრივ, ვანის მონასტერს მიმართეს, რადგანაც სწორედ ეკლესია-მონასტრებში ხდებოდა დოკუმენტის გაფორმება. და მართლაც, ხდება ნასყიდობის გაფორმება დაყუდებული ხიმშიაშვილის მიერ, თანაც მონასტრის ტიპიკონზე. მართალია, მას, როგორც აღვნიშნეთ, კავშირი არა აქვსა თვითონ მონასტერთან, მაგრამ ტიპიკონზე იგი მეტი სიმტკიცისა და შეუვა-

¹ დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 58-59.

² კანდელაკიშვილის წინაპარი აუცილებლად ეკლესიის მსახური კანდელაკი იქნებოდა.

ლობისათვის მიუწერიათ, როგორც ეს ხშირად გვხვდება სხვა შემთხვევებში.¹

XV საუკუნეში ვანის ქვაბთა ეკლესია უკვე მოქმედი აღარაა. მოქმედი რომ ყოფილიყო, იქ აუცილებლად იქნებოდნენ საეკლესიო პირები, მოღვაწენი, მაგრამ მათ ნცვლად იქ დაყუდებული ბერი ხიმშიაშვილი გვხვდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვანის ქვაბების მამათა მონასტერი უკვე დაცარიელებულია XV საუკუნეში, მას აღარ პატრონობენ აღარც ადგილობრივი ფეოდალები, აღარც ათაბაგები, რომლებიც ხანგრძლივ და მომქანცველ შინაომებში არიან ჩართულნი. ვანის ქვაბებში არსებულ სენაკთა შორის ერთ-ერთში დამკვიდრებულა ბერი ხიმშიაშვილიც, განათლებული, წერა-კითხვის მცოდნე სასულიერო პირი. ამით უსარგებლიათ უღულაშვილებსა და კანდელაკისშვილებს და გაუფორმებიათ კიდევ ნასყიდობის საბუთი.

მართალია, მოგვიანი ხანაში /XVI ს./ ათაბაგებმა კვლავ მოიცალეს მონასტრისათვის, ეკლესიაც აამოქმედეს, შესანიშნავი მრავლად გაიღეს, მაგრამ ათაბაგთა მზრუნველობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უფრო ეპიზოდური ხასიათისაა.

ცალკე პრობლემაა დედათა მონასტრის არსებობის საკითხი ვანის ქვაბებში. ეს საკითხი მეტად საინტერესოა ვანის ქვაბთა ისტორიისათვის.

იყო თუ არა ნამდვილად დედათა მონასტერი ვანის ქვაბებში, როდის დაარსდა იგი, შეიძლებოდა თუ არა დედათა და მამათა მონასტრების თანაარსებობა ერთ კომპლექსში? ეს და მრავალი სხვა კითხვა არგუმენტირებულ პასუხს საჭიროებს.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ მე-5 მინანური, რომელიც მურვან ღარიბას ძეს ეკუთვნის² და დათარიღებულია 1393 წლით, ამბობს: „... და თუ ჩემისა სახლისა ქალმან ანუ სძალ-

¹ სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XV სს.), ტექსტები და გამოკვლევები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1982 (გამოქვეყნებულია აღის მონასტრის (სამცხეში) მინანური საბუთები); სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ისტორიული საბუთები და სულთა მათიანეები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., 1989.

² თ. ჟორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

მან ჩოჯათა ჩაცუმად მოინდომოს, ამა მესამედსა მას მიუძღვნებდით...“¹, საუბარია მურვანის მიერ შეწერიულ მინებზე. ქალის მიერ ჩოხის ჩაცმა მონაზვნობას ნიშნავს. აქ გამოთქმული ვარაუდი სრულებითაც არ გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ ვანის მონასტერში XIV ს. მიწურულს ნამდვილად არსებობდა დედათა მონასტერი, როგორც ამას თ. ჟორდანიას მიიჩნევდა.² არ არის სავალდებულო ღარიბასძეთა გვარის მანდილოსნის შემონაზვნება მაინცდამაინც ვანის ქვაბებში ვიგულისხმით. დასაშვებია, რომ ის სადმე სხვაგან აღკვეცილიყო. დედათა და მამათა მონასტრების თანაარსებობა ვაჰანის ქვაბებში შეუძლებლად მიგვაჩნია იმდენად, რამდენადაც თვითონ ტიპიკონი სასტიკად კრძალავს მონასტერში ქალის შესვლას, თუნდაც საკუთარი დედა იყოს იგი, „ვინაიცა განვაწესებ ამას, რადთა ყოვლადყოვლითურთ უვალ იყოს დედაკაცისაგან მონასტერი და ნუ რაღს მიზეზისათჳს ნუ შევალს მას შინა... ნუცა ვისსა სენაკსა შევალს დედაკაცი, დედაღლა თუ იყოს მისი...“³

რაც შეეხება მონასტერში მოღვაწე ქალებს, რომლებმაც კარგად იციან ნერა-კითხვა და განსწავლულნი არიან პოეზიაში, უმეტესობა მაღალი ფეოდალური კლასის წარმომადგენლად ჩანს. აქ იძულებით თავშეყრილი ქალბატონები თავიანთ ბედს უჩივიან: „ვერცა გავიხარე სმით, ვერცა ჭამითა, ვერცა ჩაცმითა, ვერცა ძმითა, ვერცა დითა, ვერცა რძლითა. გაუხარელი მოვეკდე გაუხარელად,⁴ – ნერს ერთ-ერთი მათგანი; ისინი ერთად გოდებენ მარტოობას, ახლობლებთან განშორებას.

„ჩოხის ჩაცმა“, შემონაზვნება, სხვა არა იყოს რა, უპირველესად სულიერი აქტია. რა თქმა უნდა, ძალად შემონაზვნების მაგალითებიც იცის ისტორიამ, მაგრამ ასე მასიურად, თანაც მიჯნურობისათვის შემონაზვნება დიდგვაროვანი მანდილოსნებისა საეჭვოდ გვეჩვენება.

ვინ არიან ეს ქალბატონები?

¹ თ. ჟორდანიას, დასახ. ნაშლ., გვ. 46.

² მეხუთე მინანერის ბოლოს თ. ჟორდანიას აღნიშნავს, რომ „ვანის მონასტერში განყოფილება ყოფილა დედათა მოღვაწეობისათვის“ /გვ. 46/.

³ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

⁴ ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 174.

ყველა წარწერის შემსრულებელი ჩვენთვის ცნობილი არ არის. მხოლოდ ზოგიერთი მათგანის ვინაობის გარკვევის შესაძლებლობა გვეძლევა. ესენი არიან ანა რჩეულაშვილი (რჩეულაძე), გულქანი, თუმინი და სხვ.

გულქანის ვინაობა უცნობია. არ ვიცით მისი სადაურობა, მშობლები. წარწერები ამის შესახებ არაფერს ამბობენ. შ. ონიანი ზოგადად აღნიშნავს, რომ ის არის დიდგვაროვანი, სამცხე-საათაბაგოს მკვიდრი, თავისი დროისათვის დიდად განსწავლული მანდილოსანი, მხატვარი და კალიგრაფი. სხვაგან მკვლევარი გულქანს შალიკაშვილთა საგვარეულოს აკუთვნებს.²

გულქანის წარწერაში დასახელებულია ვინმე მანუჩარი, რომელსაც მოუყვანია იგი მონასტერში.³ როგორც ჩანს, მანუჩარი გულქანის ნათესავია. ვარაუდობენ, რომ იგი სამცხის ათაბაგი მანუჩარ I-ია /1475-1487/, რადგანაც ამ სახელის მატარებელი სხვა საერო ან სასულიერო პირი, რომელსაც შეეძლო მონასტრისათვის შეეფარებინა წარწერის შემსრულებელი გულქანი, საათაბაგოში ცნობილი არ არის.⁴

რამდენიმე წარწერა ანას მიერაა შესრულებული. ზოგან მხოლოდ სახელია მოხსენებული, ზოგან გვართან ერთადაც: ანა რჩეულაშვილი ან რჩეულაძე ანა. ძნელი სათქმელია, ყველგან ერთიდაიგივე პირი იგულისხმება თუ არა. ვ. ცისკარიშვილის აზრით, წარწერის ხელი თითქოს განსხვავდება ერთიმეორისაგან.⁵

რჩეულაძე-რჩეულაშვილთა გვარი კარგადაა ცნობილი მესხეთის ისტორიაში. ისინი მსხვილი ფეოდალები არიან, რომლებიც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ფლობენ უზარმაზარ ტერიტორიას მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ვანისა და ოლადის ქვაბს შორის. გარკვეული ხნის მანძილზე ისინი ვანის მონასტრის პატრონებადაც გვევლინებიან. ამიტომ არ

¹ შ. ონიანი, ვანის ქვაბთა ორი პოეტური წარწერა, ძეგლის მეგობარი, 10-11, თბ., 1967, გვ. 33.

² შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, საბჭოთა ხელოვნება, 7, 1967, გვ. 36-40.

³ ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 172.

⁴ იქვე, გვ. 180.

⁵ იქვე, გვ. 173.

უნდა იყოს გასაკვირი, რომ კედლის წარწერაში რამდენჯერმე ნახსენები ანა სწორედ რჩეულაშვილთა ოჯახის წევრი იყოს. ის მიჯნურისათვის მოუშორებიათ და გამოუკეტავთ ერთ დროს მოქმედ ვანის ქვაბთა მონასტერში, რომელიც მისთვის ქაჯეთის ციხედ ქცეულა.

საინტერესოა ერთი წარწერა, სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათის ლექსი, რომელსაც ვ. ცისკარიშვილი ანას აკუთვნებს.¹ „ანას“ კითხულობს ვ. სილოგავაც. წაკითხვის განსხვავებული ვარიანტი აქვს გ. ბოჭორიშვილს. იგი კითხულობს არა რაიმე სახელს, არამედ „... თუ მონასა დამინერია“.² შ. ონიანი კი წარწერის ავტორად თუმიანს მიიჩნევს და დაასკვნის, რომ იგი გვარად გოჯიშვილია.³ თუმიანი უიმედოდ ყოფილა შეყვარებული ვინმე გოდერძიზე. წარწერა XVI ს. პირველი ნახევრით თარიღდება. ლექსი ქართული სიტყვიერების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს:

„ლომო, განალამც მიყვარხარ, შენებრ ვერავის სადარად, ნყალად ევფრატად გიტყვიან, გულად-როსტომის სადარად;

ტანი აზატსა საროსა წარწარად აყვავებულსა;
მე გული ჳელთა არა მყავს, თუ არ შენ გახლავს სადარად,
ვაიმე, იმედო, ნახვამდის, თუმიანს დამინერია.“

„ქ. მზეო, გიშვენის ნალკოტი ხილითა და ხევნარითა,
უნყლოდა მოკლავ მიჯნურსა და გულსა დახევ წარითა.“⁴

წარწერებში სხვა სახელებიც იხსენიება: მარიაში, თამარი; ერთ-ერთი წარწერის ავტორი დეკანოზისშვილს ლუკა

¹ ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 173.

² იქვე, გვ. 178.

³ შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, გვ. 38.

⁴ შ. ონიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 33. ბოლო ორი სტრიქონი მაჯამაა. ვ. სილოგავას გარკვეული ცვლილებები შეაქვს ლექსის ამ ნაწილის წაკითხვაში. ნაცვლად სიტყვისა „გიშვენის“, უნდა იყოს „გიშენის“ (ვ ზედმეტი) — გაშენებული ბალის გაგებაა, ხოლო იქ, სადაც წერია „უნყლოდა მოკლავ“, უნდა ნავიკითხოთ „უნყალოდ მოკლავ“, ე.ი. შეუნყალებლად, შეუბრალებლად მოკლავ მიჯნურსო. ტექსტი ანმეტია („უნყალოდა“) და შესაძლოა ამან განაპირობა შ. ონიანისეული წაკითხვა.

ოდრჯელელის შენდობას სთხოვს ღმერთს.¹ „ოდრჯელელს“ ვ. ცისკარიშვილი „ომარ ჯელელად“ კითხულობს.²

ერთ-ერთი წარწერა შატელიშვილ ბესიკას ასულ ხვარამზეს ეკუთვნის.³ იგი ძალით გამოუკეტავთ მონასტერში: „შეგვიბრალეთ მე და ბატონი გოზალალო“, – წერს იგი.⁴ ასეთი წარწერები და ლექსები მართლაც არ დარჩებოდა შეუმჩნეველი მონასტრის კრებულს, თანაც იგი სატრფოს კვლავ ნახვის იმედითაა განმსჭვალული.

ვანის ქვაბთა ტიპიკონის მინაწერებში მრავლადაა გლეხთა სახელები, ზოგიერთ შემთხვევაში – გვარებიც. მეტად საინტერესოა მათი შესწავლა მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის დასადგენად (სადაო რომ გამხდარა დღესაც!), მათი ურთიერთობის გასარკვევად.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებში მოხსენიებული გლეხები ძირითადად მეზატონეთა საკუთრებას წარმოადგენდნენ და ბატონებიც უშურველად სწირავენ ამ გლეხებს თავიანთი მიწის ნაკვეთით, ანდა მათ შრომის ნაყოფს – ვანის ქვაბთა მონასტერს. გლეხი, რომელიც ეკლესიის სასარგებლოდ იხდის გადასახადს სისტემატურად, უკვე საეკლესიო გლეხია, იგი ნებსით თუ უნებლიედ საეკლესიო გლეხად იქცევა და ვალდებულია, როგორც ნატურალური გამოსაღებით, ასევე შრომითი ბეგარით ემსახუროს ეკლესიას, ანდა მონასტერს. მაგ., სოფელ ერკუაბადან კურიკას ორივე ძეს სატრაპეზოდ 46 თავჩაფი ღვინო და 2 გრივი პური უნდა გაეღოთ, იქვე ევატას ძე ჟამიერას 14 თავჩაფი ღვინო და 7 კაბინი პური, სოფ. აგარაში ორკალოსძის მამულიდან 8 გრივი პური უნდა მოეტანათ „ნახევარი წმიდა და ნახევარი ქრთილი“, 15 ლიტრა ზეთი, მილახს გუარამათ მიწის ვენახი უნდა დარჩენოდა ვანის ქვაბებს, ლუკაური ვენახი, ბერაულის მესამედიც შეუწირავთ ბატონებს მონასტრისათვის, ბაქელიძის ნახევარი მამული, ერთი ძმა ირინაშვილი თავისი მამულით, აგრეთვე ფარნაოზა და ელისა ნახევარი მამულით და სხვ.

¹ გ. ბოჭორიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 232.

² ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 177-178.

³ ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 178-179; გ. ბოჭორიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 238.

⁴ ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

ვანის ქვაბთა მიმდებარე ტერიტორიები ეთნიკურად რომ მთლიანად ქართული მოსახლეობით იყო დასახლებული, ამას ჩვენს საბუთებში დამოწმებული საკუთარი სახელები ადასტურებს. ეს სახელები მრავალრიცხოვანია და მეტად საინტერესო. თითოეული მათგანიდან იღვრება ვნება მრავალათასწლოვანი ქართული გენისა. საუკუნეები გადიოდა და სახელები უცვლელი რჩებოდა. XIII-XIV სს. საბუთებში დამოწმებული სახელები XVI საუკუნეშიც მრავლადაა. „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებსა თუ ამ პერიოდის სხვა დოკუმენტებსა და წარწერებში მოყვანილი საკუთარი სახელების უმრავლესობა გვხვდება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარშიც“: ბატატა, კურიკა, ჟამიერა, თაყა, შანშე, ვახტანგ, ზაფრად, ვასარსი, მურვან, იორდანე, ქავთარ, რელა, ფოცხუერი, საგია, ინდუსტარი, ანინა, არსლანი, ევატა, ფარნაოზა, საბა, ნიკოლოზ, მირძა, ზაზა, მელანია, ლუკა, ენუქ, ალფეზ, ლეონ, ელისაჲ, გოგინა, შიშნია, დუნიაჲ, გულქანი, ანა, ხუარამზე და მრავალი სხვა.

საინტერესოა ვანის ქვაბთა საბუთებში დამოწმებული გვარებიც, ისტორიული საბუთები ძვირფასი წყაროა გვართა წარმოქმნილი ცოცხალი ტენდენციების გამოსარკვევად და საერთოდ, ისტორიული ონომასტიკონის შესასწავლად.¹ გვარსახელი ადამიანის საკუთარი ისტორიული კატეგორიაა. იგი თავად იძენს სოციალური მახასიათებლის ფუნქციას.²

ქართული ისტორიული საბუთების ყველაზე ადრეულ ნიმუშებში დადასტურებულია გვარსახელების ძირითადი ისტორიული მოდელები: მაგ: ელ-სუფიქსიანი ტოპონიმური გვარსახელები (ელ-სუფიქსიანი გვარსახელები ნ. ბერძენიშვილმა საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის გარკვეული საფეხურის, კერძოდ, „ქვეყნების“, როგორც სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მახასიათებლად მიიჩნია.³ შემდგომში, როდესაც „ქვეყნების“ სისტემა მოიშალა, ასეთმა გვარსახელებმა დაკარგეს თავიანთი პირვანდელი ფუნქცია და ამა თუ იმ საგვარეულოსათვის დამახასიათებელ პირის

¹ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, თბ., 1991, გვ. 4.

² იქვე, გვ. 6.

³ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 125.

სახელეზად იქცნენ).¹ „ვაჰანის ქვაბთა განგებასა“ და მის მი-
 ნაწერებში ვხვდებით სამოხელეო გვარებს: თმოგველი, მხარ-
 გრძელი. საინტერესოა გვარი ორგვარი მანარმოებლით —
 ოძრქველი, რაც უდაოდ ოძრქიდან წარმომავლობას უნდა
 მიანიშნებდეს. შესაძლოა სადაურობის მაჩვენებელი ეს სიტყ-
 ყვა ჯერაც არ იყოს გვარად ქცეული. იგი მხოლოდ ოძრხიდან
 წარმომავლობას რომ მიანიშნებდეს, მაშინ გვექნებოდა ოძ-
 რხელი/მდრ. ოცხელი/. ამ წარწერის ოძრხელელი კი უნდა
 აღნიშნავდეს ოძრხეველს. „ოძრხევი“ და ქვეყანა „ოძრხევი-
 სა“ იხსენიება ლეონტი მროველთან და „ქართლის ცხოვრე-
 ბის“ სომხურ თარგმანში. იყო „ხევი ოძრხევისა“ ან „ოძრხის
 ხევი“. აქედან მივიღეთ „ოძრხევი“ (მდრ. დმანისის ხე-
 ვი—„დმანისხევი“), ოძრხეველი კი წარწერაში ოძრხელელად
 აისახა. ამ წარწერის ოძრხელელი დეკანოზი იმაზეც მიგვა-
 ნიშნებს, რომ XV-XVI სს-მდე ოძრხევის მონასტერი ისევ მოქ-
 მედი იყო, სადაც ეს პიროვნება დეკანოზობდა. ამ მონას-
 ტრის ნანგრევები ჯერაცაა შემორჩენილი ოძრხის სამხრე-
 თით, კურცხანას მარჯვენა სანაპიროზე. საკუთარი სახელე-
 ბიდანაა ნაწარმოები ვანის ქვაბთა ახლომდებარე მიკროტო-
 პონიმები: ბერაული, კუჭრნაული, გულაური, ლუკაური, რო-
 ტაშაული, აბჯარაული და სხვა, რაც ბერას, ლუკას, როტა-
 შას, აბჯარასა თუ კვერნაანთ ბალებს, ვენახებს, სათესებსა
 და ზვრებს აღნიშნავს. საკმარისია ჩამოვაცილოთ ტოპონიმს
 მანარმოებელი, რომ დაგვრჩება სამხრეთ საქართველოსათ-
 ვის დამახასიათებელი საკუთარი სახელები. ამგვარად შეიძ-
 ლება უძველესი ქართული სახელების აღდგენა, დღეს რომ
 დავიწყებას მისცემია. აქ წარმოვადგენთ ტოპონიმთა ერთ
 ნაწილს. გამოვყოფთ მათში დაცულ საკუთარ სახელებს:

გულა-ურ-ი—————გულა
 ლუკა-ურ-ი—————ლუკა
 როტაშა-ულ-ი—————როტაშა
 ბერა-ულ-ი—————ბერა
 აბჯარა-ულ-ი—————აბჯარა
 კუჭრნა-ულ-ი—————კუჭრნა²

¹ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1, თბ., 1991, გვ. 7.

² მდრ. მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბ., 1992, გვ. 50.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებში ყველაზე მრავლად წარმოდგენილია -შვილზე და -ძეზე დაბოლოებული გვარები. თუ -ელ მანარმოებლიანი სამოხელეო გვარები ძირითადად მაღალი საზოგადოებრივი წრისთვისაა დამახასიათებელი, -ძე-სა და -შვილ-ზე დაბოლოებული გვარები საზოგადოების ყველა ფენაში გვხვდება. არიან გურგენისძეები – მსხვილი ფეოდალები და არიან ბაქელიძეები – გლეხები. არიან რჩეულაშვილები – ფეოდალები და ბალახაშვილები – გლეხები. გვხვდება აგრეთვე ისეთი გვარებიც, საეკლესიო მოხელეობიდან რომ არის ნაწარმოები – კანდელაკიშვილი.

მინაწერებში გვხვდება აგრეთვე -ათ მანარმოებლიანი საკუთარი სახელები: გუარამათ მინა, სამკუდრებელი გურგენათი და სხვა.

არის შემთხვევები, როდესაც ერთიდაიგივე გვარი სხვადასხვა მანარმოებლითაა წარმოდგენილი: რჩეულაძე და რჩეულაშვილი.

ქალისა და მამაკაცის გვარები რაიმე გარკვეული მანარმოებლით გამიჯნული არაა. რჩეულაძე შეიძლება იყოს ანაც და როსტევეანიც.


მანარმოებლის მიხედვით „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებსა და კედლის წარწერებში მოტანილი გვარები შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

-ელ- მანარმოებლიანი	-შვილზე დაბოლ. გვარები	-ძეზე დაბოლ. გვარები
თმოგველი მხარგრძელი	რჩეულაშვილი კანდელაკიშვილი ულულაშვილი ბალახაშვილი ირინაშვილი ხიმშიაშვილი შატელიშვილი	გურგენიძე რჩეულაძე ლარიბასძე ბაქელისძე

მართალია, ფუძე-სიტყვები შეიძლება უცხოენოვანი, მაგ., არაბულ-ბერძნულ-თურქული წარმოშობისა ყოფილი-

ყო, მაგრამ მათზე -ძე და -შვილ მანარმოებლის დართვით პრაქტიკულად ქართული გვარ-სახელი წარმოიშვა.

როგორც ვხედავთ, ვანის ქვაბებთან დაკავშირებული ყველა გვარსახელი წარმოშობისა და წარმოების მიხედვით ზოგადქართულია, კარგად ესადაგება ამ პერიოდის ქართულ ონომასტიკონს და პირუთენელ წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის დასადგენად.



ვანის ქვაბთა „ლიტერატურული სალონის“ ნიმუში
წარწერა ეკლესიის კედელზე (ფოტო რ. კორშიასი)

თავი V

ვანის ქვაბთა მონასტრის ისტორიული გეოგრაფია

ვანის მონასტრის ტიპიკონში, მის მინაწერებსა და ძეგლის კედლებზე არსებულ წარწერებში საკმაოდ მდიდარი მასალა მოიპოვება ისტორიული გეოგრაფიისა და ისტორიული ტოპონიმისათვის. აქ მრავლად გვხვდება ორონიმები და მიკროტოპონიმები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ნაწილობრივი ლოკალიზაცია სამცხე-ჯავახეთის ამ რეგიონში მდებარე სოფლებისა, მონასტრებისა თუ ადგილ-მამულებისა. ამ მხარეში დადასტურებულ გეოგრაფიულ სახელებთან, მათ ისტორიასთან არის დაკავშირებული ბევრი საინტერესო საკითხი, რომელიც დღესაც მსჯელობის საგანია და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

ტოპონიმი იმავდროულად საისტორიო წყაროსაც წარმოადგენს. როგორც ენაში, ასევე ტოპონიმებშიც დალექილია მთელი საუკუნეები და საზოგადოდ, სახელწოდების ანალიზს, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ მნიშვნელოვან დასკვნებამდე მივყავართ.

ზოგიერთი ტოპონიმი სიძველით გამოირჩევა. ნაწილი მათგანი ნათლად და უშუალოდ გამოხატავს მასში ჩადებულ შინაარსს; ნაწილი – საუკუნეების მანძილზე ენაში მიმდინარე ფონეტიკური თუ სხვა ცვლილებების შედეგად გადაკეთებულა, ნაწილიც უცხოტომელთა მიერ შელახულა და ამჟამად დამახინჯებული სახით მოვიდა ჩვენამდე.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებში დასახელებულია სხვადასხვა სოფელში ვანის მონასტრისთვის შეწირული მამულები: ტოლოშს, „მალნარაშიგან“, „მჭედლის უბანს“, „ერთი მამული ორხოფიას როტაშაული“, „გულშარშის ქუშშეთ აბჯარეული ზუშრი“, კუნელეთი, დიდკლდე, ციხეკნელი, კუარბი, ერკუატა, „აგარას ორკალოსძისა მამული“, „ერთი ყანაჲ ხუცური ყორნისს“, კუშრნაული ვენახი, მირაშხანს ნანალკოტევი ყანაჲ, გულაური ვენახი, ზედა ვარძიის მინები, „ერთი ვენახი მილახს გუარამათ მინისა“, ახალშენი, ჭაჭკარი, განძასწევი და სხვა.

სწორედ აქ დასახელებულმა სოფლებმა და მიწებმა მის-
ცა მკვლევართ საშუალება ზუსტად განესაზღვრათ ვაჰანის
ქვაბთა ადგილმდებარეობა.

დღეს საქართველოში რამდენიმე ვანია, მაგრამ აღარსად
ჩანს ვაჰანი. თ. ჟორდანიას ვაჰანის ანუ ვანის წმ. გიორგის
მონასტერი თავისი ქვაბებით ტაო-კლარჯეთის მთაში ეგუ-
ლებოდა.¹ მას შემდეგ, რაც აქ თურქები გაბატონდნენ, ადგი-
ლობრივი ქრისტიანული მოსახლეობა აიყარა, თან ნაილო ვა-
ნის მონასტრის ხატები და იმერეთში მდ. ჩხერიმელას ზემო-
წელში დამკვიდრდა. ახალ დასახლებას კი ვაჰანი ანუ ვახანი
უნოდეს (აქედან ვახანის ხეობა, ვახანის ციხე), ახლადაშენე-
ბულ ეკლესიას – ვახანის „ქუაბი“. ასე რომ, თედო ჟორდანი-
ას აწინდელი იმერეთის ვახანი მესხეთიდან გადმოტანილ
ტოპონიმად მიაჩნია.

ლ. მუსხელიშვილმა პირველმა მიაქცია ყურადღება ვანის
მონასტრის ალაპებში მოხსენიებულ გეოგრაფიულ სახე-
ლებს, მონასტრისადმი შეწირულ მამულებს. ამით მას საშუა-
ლება მიეცა ვაჰანის ქვაბთა ლოკალიზაციისა. აქ ჩამოთვლი-
ლი სოფლები ვაჰანის ქვაბთა მიმდებარე ტერიტორიებზე
მდებარეობს და უდავოა, რომ ვანის ქვაბები არც ტაო-კლარ-
ჯეთსა და არც სამცხეში არ უნდა გვეგულებოდეს.²

¹ თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

² ამ ადგილის სახელწოდებად ვანის ქვაბები ცნობილი იყო ვახუშტი ბატო-
ნიშვილისათვის, 1552 წ. სამცხე-საათაბაგოში შაჰ-თამაზის შემოსევების
მარშრუტის გადმოცემისას იგი ვანის ქვაბებს ისეთ გარემოცვაში ასახე-
ლებს („ალილო, ვარძია, თმოგვ, ვანის ქუაბი, ასპინძა, ვარენთა და სრული-
ად სამცხის ციხენი“, ქ. ცა, IV, გვ. 716, 22., შდრ. იქვე, გვ. 719, 26), რომ აქ
უთუოდ ჩვენი მონასტერი იგულისხმება. საინტერესოა ასევე XVI საუკუნის
სპარსელი ისტორიკოსის ჰასან რუმლუს ცნობები. ავტორი წერს: „[ქარ-
თველთა] ერთმა ნაწილმა თავი შეაფარა მაღალ მთებსა და მაგარ გამოქ-
ვაბულებს, ზოგი გამაგრდა ... ციხეებში, ვარძიის ციხეში და ეკლესიაში,
რომელიც ღვთის მიერ შექმნილ საკვირველებას წარმოადგენს. ისლამის
ლშქარმა მამაცურად ხელი მიჰყო მათ ხოცვა-ჟლეტას და ელვარე მახვი-
ლისა და ცეცხლის მფრქვეველი შუბების ცემით რამდენიმე ათასი ურჯუ-
ლო მოკლეს“ (ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული
ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურიძემ,
შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1966, გვ. 29).

ჩვენ მართებულად გვეჩვენება ანგანსვენებულ რევაზ კიკნაძის ვარაუდი,
რომ „ახალი ქართლის ცხოვრების“ ე.წ. „მესამე ტექსტში“ სხვა ციხეებთან
ჩამოთვლილი „ვანის ქუაბი“ და ანჟური იქნებ ჰასან რუმლუს მიერ არას-

მართლაც ახალქალაქის რაიონში ცნობილი ვანის ნანგრევები მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ვარძიის მონასტრის ცოტა ქვემოთ, ეჭვსგარეშეა, ძველი ვაჰანის ნაშთს წარმოადგენს. აქაც ქვაბებია, მსგავსად ვარძიისა და აქაც ფართო სავანე უნდა ყოფილიყო¹ (ვანის ქვაბები დღეს ასპინძის რაიონშია - ი. ტ.). საინტერესოა თავად ტოპონიმი „ვაჰანი“ და მისი დღევანდელი სახელი „ვანი“.

ვანი, სულხან-საბას განმარტებით, სადგომს, დასავანებელ ადგილს ნიშნავს² და აქ არსებული მონასტერიც, სამონასტრო ცხოვრებაც სახელში ჩადებულ შინაარსს უნდა ამართლებდეს, მაგრამ XIV საუკუნემდე ამ ადგილს ვაჰანი ეწოდებოდა - ტიპიკონში იგი „ვაჰანის ქვაბთა“ სახელწოდებით იხსენიება. 1393 წლის მინაწერით, ვაჰანი უკვე ვანად იწოდება.³ ამიტომ უდავოა, რომ ვანი ვაჰანის ფონეტიკური ვარიანტია: ვაჰანი - ვანი.

მ. ბერიძემ ჯავახეთის ტოპონიმიკის შესწავლისას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ვანს.⁴ მის გამოკვლევაში „ვაჰან“-ფორმა საშუალო ირანულიდან შემოსულად არის მიჩნეული, თანაც საშუალო სპარსული გადმოცემულია ჰ-თანხმონით. საუკუნეების შემდგომ ჰ-თანხმონი დაიკარგა (ეს პროცესი უცხო არ არის თანამედროვე ქართულისათვის)⁵ და ორი ა-ს შერწყმით მივიღეთ „ვანის ქუაბი“.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარში“ იხსენიება აგრეთვე სამკომლიანი სოფელი „ვ ა ნ ი ს ჯ ე ვ ი“.⁶ სავარაუდოა, რომ ისიც ვანის ქვაბების ხეობაში იქნებოდა. სახელწოდებაც იმავეს მიგვანიშნებს. ვანის ხევიად შეიძლება მივიჩნიოთ ვანის ქვაბების დასავლეთით დღევანდლამდე მოსული მცირე, ორკომლიანი დასახლება უშუალოდ ვანის ქვაბების

წორად ჩანერილი და გადამწერთაგან შერყვნილი „ანყური“ და „ვანის ქვაბია“? (იქვე, გვ. 60, შენიშვნა 71). ასეთი დამახინჯება სავსებით შესაძლებელია დიაკრიტული ნიშნების აღრევის საფუძველზე.

¹ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

² სულხან - საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991, გვ. 253.

³ თ. ყორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

⁴ მ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 91.

⁵ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958, გვ. 365.

⁶ იქვე.

ხევში, რომელიც ზღუდით და კოშკებით იკეტებოდა. ნაკლებ საფიქრებელია სოფლის არსებობა. თუმცა შესაძლებელია, რომ ის არსებულყო, რადგან იქაური სოფლები ჩვეულებრივ, რომელიმე სიმაგრის ირგვლივ ჯგუფდებოდა ხოლმე და გარკვეულ ერთეულებად გამოიყოფოდა (დ.ბერძენიშვილი, ნარკვევები, თბ., 2005, გვ. 218). XIX საუკუნის 30-იანი წლები-სათვის კი ეს დასახლება („დავთარში“ სოფლად ხსენებული) ნასოფლარად ქცეულა. „Пустопорожняя казенная земля - Ванисхов“ – წერია ერთ-ერთ საბუთში.¹

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ ერთ-ერთ მინაწერში ვკითხულობთ: „... შემოგნირე და მოგაჯსენე ჩუშნგან აღშენებული წევის ბოლო და ახალშენი მისითა ვენაჯითა ჩუშნ რჩეულას ძეთა როსტევან...² ტექსტიდან ჩანს, რომ რჩეულას ძეებს „წევის ბოლო“ აუშენებიათ, რისი სისწორეც ეჭვს იწვევს. მკვლევარმა ვ. სილოგავამ მოგვანოდა ტექსტის წაკითხვის განსხვავებული ვარიანტი. „წევის ბოლო“ მან „ჯევის ბოლოდ“ წაიკითხა და ტექსტმაც გარკვეული, ნათელი შინაარსი შეიძინა: რჩეულას ძეებს ვანის ქვაბებისათვის შეუწირავთ მათ მიერ აღნიშნული ხევის ბოლო და არა წევის ბოლო. შესაძლოა, ტექსტში მოხსენიებული ხევი ვანისხევის დასახლებასაც კი გულისხმობდეს.

როგორც ჩანს, რჩეულასძეებს პატარა, რამდენიმეკომლიანი დასახლების, სოფლის – ვანის ხევის ბოლოში აუშენებიათ გარკვეული სამეურნეო ნაგებობანი და შემდგომ ეს მათი ნაშენები მონასტრისათვის შეუწირავთ. შესაძლოა ტერმინი „აღშენება“ ვენახის ან ბაღის გაშენებასაც გულისხმობდეს. მინაწერში დადასტურებული „ჯევი“ ვანისხევის შემოკლებული სახელი უნდა იყოს. ამ მიდამოებში, ვანის ქვაბების ბოლოს, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზეც, ჭაჭკრის ბოლოზე დღევანდლამდე შემორჩა ვაზის უძველესი ჯიშები. აქვეა არაერთი ქვის სანნახელი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს შეწირულობა აქ ახლად გაშენებული ვენახი იქნებოდა. რჩეულასძეებს ვანის მონასტრისათვის სოფ. ახალშენიც შეუწირავთ მისი ვენახებით. ამ სოფლის სახელი – შენება ზმნას უკავშირდება. ახალშენი ახლად აშენებულ სოფელს,

¹ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., გვ. 365.

² თ. ჟორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

დასახლებულ პუნქტს გულისხმობდა თავიდან, წლებისა და საუკუნეების შემდგომ კი იგი წმინდა ქართული წარმოშობის ტოპონიმად დამკვიდრდა, აღსანიშნავია, რომ ეს გეოგრაფიული სახელი საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად გვხვდება.

-შენება ზმნის ფუძე მიჩნეულია საშუალო სპარსულიდან შემოსულად. „შენ“ – იხმარება აღმოსავლურ ენებში (სპარსულ, სომხურ, თურქულ და სხვ.) და ნიშნავს დამუშავებულ, კეთილმოწყობილ, დასახლებულ, საცხოვრებლად ვარგის ადგილს.¹

შამს ედ-დინ სამის, რედჰაუზეს, ვ. რადლოვს ეს სიტყვა თურქული წარმომავლობისად მიაჩნიათ.²

ჩვენ უფრო იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომლის თანახმადაც, „შენ“- ფუძე სპარსულიდან არის შემოსული და დამკვიდრებული ქართულ ენაში.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინანერში მოხსენებული სოფ. ახალშენი ასპინძის რაიონში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა. ამ პატარა, ხუთკომლიან სოფელს იცნობს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარიც“.³ მოგვიანებით ეს სოფელი ახალშენის სახელს ატერებს (ახალშენი//ახალშენი) და ასევეა ფიქსირებული არქივისეულ სიებში, მ. ბროსესთან, ექვთიმე თაყაიშვილთან, ხალხურ ლექსშიც: „ყურს წყაროები გამოვლენ, ნეტაი ახალშენსაო“.⁴ „დავთარში“, ჩანს, ამ სახელწოდების პირველადი, უფრო სალიტერატურო ფორმაა მოცემული ახალშენის სახით.⁵

მაგრამ „ახალშენი“ ყოველთვის ტოპონიმის მნიშვნელობით როდი იხმარება. იგი შეიძლება ახალგაშენებულ ბაღს, ვენახს ერქვას.⁶ ასეთი სახელი ტოპონიმად ვერ იქცევა, რად-

¹ მ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 68.

² იქვე, გვ. 184.

³ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., გვ. 185.

⁴ იქვე, ამ სოფელში X-XI სს. დათარიღებული ეკლესიაც დგას, ცნობილია მასში დაცული შესანიშნავი რელიეფური გამოსახულება ეკლესიის მოდელით ხელში წმ. გიორგის გამოსახულების წინაშე (ნ. ჩუბინაშვილი, საურმაგის-ძის ნიაღვარაის ქტიტორული რელიეფი ჯავახეთის ახალშენიდან, ქართული ხელოვნება, V, თბ., 1959, გვ. 137).

⁵ მ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

⁶ იქვე.

გან ახალშენია მანამ, სანამ ახალი ბაღია, ვენახია და სხვა. იგი შეიძლება ახლად დამუშავებულ ადგილსაც ნიშნავდეს, ამისი მაგალითიც გვაქვს მინანერებში. მურვან ლარიბას ძემ ვანის ქვაბთა „ეკუტერსა“, როგორც „სამკუდრებელსა ჴორცთა“ მისსა, შესწირა „ერთი ვენაჴი ტოლოშს ახალშენი მალნარას, იგიცა ნასყიდი და მ(ო) უდევარი“.¹

მურვან ლარიბასძეს უყიდია სოფ. ტოლოშში ახალშენი (ვენახი, ბაღი და სხვ.) და ვანის ქვაბთა ეკუტერისათვის შეუწირავს სულის მოსახსენებლად. აქ უკვე არის ახალშენი ალაგი, მიწა, მამული.

ვანის მონასტერს ბევრი მიწა ჰქონია სოფ. ტოლოშს. მურვან ლარიბასძეს, ორჯერ შეუწირავს XVI საუკუნეში ტოლოშის ვენახები, არც მის რძლებს მამადედამას და დუნიას მოუკლიათ შეწირულობანი მონასტრისათვის, მათაც ერთი ვენახი შესწირეს სოფ. ტოლოშიდან. როგორც ჩანს, ტოლოშის სანახები ლარიბასძეთა საკუთრებას წარმოადგენდა. XIV ს. ბოლოს (1392 წ. 1 დეკემბერი) სოფ. ტოლოში მოხსენიებულია „ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში“.² ეს სოფელი მეფე ალექსანდრეს ყოველგვარი სამეფო გადასახადისაგან გაუთავისუფლებია.

სოფ. ტოლოში ძველთაგანვე არსებულა მდ. ტკვრის მარცხენა სანაპიროზე, აქ ძირითადად მეზობელი სოფლების ვენახები იყო გაშენებული. ტოლოშს იცნობს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარიც“.³ სოფ. ტოლოშზე დებს „დავთარი“ სამცხისა და ჯავახეთის საზღვარს.

დღეს ტოლოში უკვე ფართოდ დასახლებული სოფელია.

ვანის ქვაბის სამხ.-აღმ. მხარეზე, ვარძიის მონასტრის ქვემოთ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მოხსენიებულია სოფ. ჭაჭკარი. XV საუკუნეში ვანის ქვაბთა მონასტრისათვის პატრონ ყვარყვარეს და მის თანამეცხედრე ანნას შეუწირავთ „ჭაჭკრული ვენახის სათავე და კალოს კაბინი“. ჭაჭკრული ვენახიდან სხვებიც სწირავენ შესაწირს ვანის ქვაბს. ენუქ და ალფეზ რჩეულაშვილებმა ვანის ქვაბთა მო-

¹ თ. ჟორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

² ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 176-181.

³ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თბ., 1941, გვ. 178.

ნასტრისათვის „ჭაჭკარს“ საზედაშეთ ბერაულის მესამედი“ გაიღეს.

„დავთრის“ შედგენის დროს ჭაჭკარი 14-კომლიანი სოფელია. მოგვიანებით აქ მოსახლეობა აყრილა და მხოლოდ ნასახლარების კვალია დარჩენილა. ამ ადგილების შესახებ ს. ჯიქია წერს: „გოგაშენს ქვემოთ მტკვრის ორთავე ნაპირას ამჟამად ბაღებია და ამ ადგილს ჭაჭკარს ეძახიან... ვინაიდან ახლა ჭაჭკარში მოსახლეობა სრულებით არ არის, ხოლო ჭაჭკარის ზემოთ მდებარე აწინდელი სოფელი გოგაშენი „დავთრის“ დროს სათესველად (ალბათ ჭაჭკრელების სათესველად) არის აღრიცხული, საფიქრებელია, რომ ჭაჭკრელები შემდეგში გოგაშენად წოდებულ ადგილას დასახლდნენ და თავიანთი ნასახლარი – ჭაჭკარი ბაღებად აქციეს“. ¹ ამ მოსაზრებას იგი ადასტურებს ერთი საბუთითაც, სადაც ჭაჭკარი და გოგაშენი ერთ ერთეულად არის აღრიცხული; „Чачкар (она же Кокосен) на пять тысяч ахчей“. მართლაც, „დავთარში“ გოგაშენს შენერილი აქვს 500 ახჩა და ჭაჭკარს – 4500; ამათი ჯამი სწორედ 5000-ს იძლევა“. ჭაჭკარი, როგორც სოფელი, რომ გაუჟაცრიელებულია და გოგაშენის ბაღებს წარმოადგენს ამჟამად, ამას მ. ბერიძეც ადასტურებს. ²

ნ. ბერძენიშვილი წერს, რომ ძველ ჯავახეთში ცნობილი იყო სოფელი ჭაჭკარი ვარძია-თმოგვს შორის მტკვრის მარცხენა ნაპირზე. („ჭაჭკრული მალი“), ახლა იქ სოფელი აღარ არის, გოგაშენელების ბაღებია: ჭაჭკრებს უწოდებენ. ³

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ჭაჭკარისა და გოგაშენის წარმოშობისა და განვითარების ისტორია ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

„გოგაშენი“ მიკროტოპონიმად უნდა მივიჩნიოთ. ეს ტოპონიმი, ისევე როგორც სხვა მრავალი ამავე ტიპის ტოპონიმი, საკუთარი სახელიდან გოგადანაა ნაწარმოები. ვინმე გოგამ (ან გოგამ) გააშენა ბაღი ან ვენახი, ანდა სათესველად აქცია იგი. შემდგომ მის კვალს მიჰყვა სოფ. ჭაჭკარის მკვიდრთა უმრავლესობა და ეს ახალი ადგილი იქცა ჭაჭკრელების სათესველად, მიდამოს კი თანასოფლელებმა „გოგიას ნაშე-

¹ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

² მ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

³ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

ნები" – „გოგასშენი“ – „გოგაშენი“ დაარქვეს. შემდეგ, ალბათ, ათწლეულების მანძილზე სოფელ ჭაჭკარის მკვიდრნი დასახლდნენ კიდეც აქ და თვითონ ჭაჭკარი იქცა ნასოფლარად. XVI საუკუნეში გოგაშენი ჯერ კიდევ არ არის სოფელი და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჭაჭკარის სათესველად იხსენიება. ე.ი. აქ – „შენს“ უკვე დაკარგული აქვს დასახლებული ადგილის, სოფლის გაგება. იგი შეიძლება უბრალოდ ადგილსაც ნიშნავდეს „დამუშავებულს“ და ნამყო დროის მიმღობის გაგებაც ჰქონდეს.¹ ნ. ბერძენიშვილი სოფელ ჭაჭკარს ახალქალაქის რაიონის სოფელ ჭაჭკასთან აკავშირებს. ჯავახეთის ექსპედიციაში ყოფნის დროს მას უნახავს ტამბოვკა, რომელსაც, დუხობორებს გარდა, ყველა „ჩაჩკას“ ეძახდა. „შეიძლება ეს ძველი ქართული სახელის სომხურ-თურქული ფორმა იყოს: ჩაჩკა(რი) ან ჭაჭკა(რი). როგორც ჭაჭა, ისე ჩაჩა უცხო არაა ქართულ ონომასტიკონში – აღნიშნავს მკვლევარი, – ქუაბულისძე ჭაჭა ჭაჭას ძე, ჩაჩი კასშივილი... „კარი“ – ამ შემთხვევაში შეკვეცილად შეიძლება იყოს წარმოდგენილი „კა“-ს სახით. ასეთი შეკვეცა, ვფიქრობთ, თურქულ ან სომხურ ნიადაგზეა მომხდარი.²

ვანის ქვაბთა მონასტერი ტერიტორიულად შორსმდებარე სოფლებიდანაც იღებდა შესანიშნავს. „ვაჰანის ქვაბთა განგების“ ერთ-ერთი მინაწერით ვეცნობით, რომ მირძამ და ზაზამ ვანის ქვაბებს შესწირეს ღვინო, რომელიც გამოსაღების სახით ყოველწლიურად უნდა გაეღო სოფელ ერკუატაში მცხოვრებ კურიკას ორივე ძეს, აგრეთვე ევატას ძე უამიერას.³ მირძას და ზაზას ჰქონიათ უფლება გლეხთა ამ ოჯახებზე.

ერკუატა თანამედროვე სოფელ ერკოტის თავდაპირველი სახელი უნდა იყოს.

ერკოტა ვანის ქვაბებიდან საკმაოდ დაშორებული სოფელია. იგი ორ ნასოფლარს – ვარნეთსა და დადემს შორის მდებარეობს ასპინძის მახლობლად, საიდანაც მოსახლეობა 60-იან წლებში ჩაასახლეს რაიონულ ცენტრში და ნასოფლარად

¹ მ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

² ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

³ თ. უორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

აქციეს. „გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის“ მიხედვით, ერკოტა ახალციხის ლივას განეკუთვნება.¹ ს. ჯიქიას ამ სოფლის შესახებ ერთი ცნობა მოაქვს: „Казенное сел. Еркота - при роднике Пона пуари (ფუარ – თურქ. წყარო), на возвышенном месте под подошвою горы Керкеда, над оврагом Уканхеви и против горы Коцахура...“²

ფია მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფელია ვანის ქვაბების ჩრდილოეთით. ლ. მუსხელიშვილი მას ასახელებს სხვა სოფლებთან ერთად (ვარძია, ტოლოში, მირაშხანი, ჭაჭკარი) ვანის ქვაბთა მიახლოებითი ლოკალიზაციისათვის.³

ფია თმოგველთა საუფლისწულო მამულს წარმოადგენდა და ეკუთვნოდა გულშარს, თმოგველთა ასულს. გულშარმა სოფელ ფიადან ვანის მონასტერს შესწირა კუშნაული ვენაწი, რომელიც მისთვის დაუმტკიცებიათ დედასა და მამას.⁴ გარდა მის ხელთ არსებული ამ მამულებისა, გულშარს ნასყიდიც გასჩენია, რომელიც აგრეთვე შეუწირავს ვანის ქვაბებისათვის. ფიურნი ყანანი, „ნასყიდი და მოუდევარი“, მურვან ღარიბასძესაც შეუწირავს ვანისათვის 1393 წელს. „ფიურნი ყანანი“ – იგულისხმება სოფ. ფიაში მდებარე ყანები. –ურ სუფიქსი აღნიშნულ ტერმინში („ფიურნი ყანანი“) კუთვნილებას გამოხატავს, სოფ. ფიას კუთვნილ მიწებს აღნიშნავს მრავლობით რიცხვში.

სოფ. ფია X საუკუნეშიც არსებულა. ამის მოწმობაა ეკლესია, რომლის საამშენებლო წარწერაც 995 წლისაა.

XVI საუკუნეში ფია უკვე 19-კომლიანი სოფელია ხერთვისის რაიონში. დღესდღეობით კი იგი ნასოფლარია. შემორჩენილია მხოლოდ ნაშთი ნანგრევებისა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ ერთ დროს სოფელი ყოფილა თავისი ეკლესიით.

¹ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., II, გვ. 138.

² ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 190.

³ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

⁴ თ. ჟორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 167-168; გ. გაფრინდაშვილი, IX-X სს., არქიტექტურის ნაგებობა ნასოფლარ ფიაში, საქ. სსრ მეცნ. კად. მოამბე, ტ. XVII, 6, თბ., 1956, გვ. 761-768; გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 222.

მურვან ლარიბასძეს გარდა ფიაში მდებარე ყანებისა, ო რ
ხ ო ფ ი ა შ ი ც შეუწირავს ნასყიდი მამული „როტაშაული მი-
სითა მთითა, ბარითა, ზღვრითა, ქალითა, წყლითა, წისქული-
თა, საჭმარითა და უწყმარითა“.¹ საკმაოდ დიდი სოფელი ყო-
ფილა ორხოფია. მას იცნობს „გურჯისტანის ვილაიეთის
დავთარიც“.² 1841 წ. საბუთით იგი მემამულე სულეიმან-ბეგ
მეჰმედ-ბეგ-ოღლის მფლობელობაშია (пустопорежное
(место) Орхопия),³ მოგვიანებით კი იგი ნასოფლარად ქცეუ-
ლა.

სოფ. ორხოფია ფიას ზემოთ მდებარეობდა. ს. ჯიქიას
ცნობით – გელსუნდისა და ჯოლდის ახლოს.⁴ იგივე ს. ჯიქია-
სათვის წ. ნათენაძეს უცნობებია, რომ „ორხოფია ნასოფლა-
რია თოლერთასა და ზედა თმოგვს შუა“.⁵

ტოპონიმი ორხოფია ფიასთან უნდა იყოს კავშირში. ისინი
ტერიტორიულადაც ახლოს მდებარეობენ ერთმანეთთან.
ამაზე მიუთითებს ს. ჯიქიაც: „შესაძლებელია ეს ორი სიტყვა
ეტიმოლოგიურადაც დამოკიდებული იყვნენ ერთმანეთზე
(ფია//ორხო-ფია)“.⁶

ვანის ქვაბებისათვის შეწირულ მამულებს შორის
ა გ ა რ ა ც მოიხსენიება.

საგიას ვაჟებს მირძასა და ზაზას სულის მოსახსენებლად
მონასტრისათვის, გარდა სხვა საწირავებისა, „აგარას ორკა-
ლოსძისა მამულიც“ გაულიათ.⁷

საქართველოში, საერთოდ, და, კერძოდ, სამცხე-ჯავა-
ხეთში ტოპონიმ აგარების სიმრავლეა: სამცხე-ჯავახეთში
გვხვდება ჭაჭარაქის ანუ ურავლის აგარა, ფოცხოვის აგარა,
ასპინძის აგარა, დემოთიის აგარა, ნიალისყურის აგარა.

იმის დასადგენად, თუ რომელი აგარაა ჩვენს დოკუმენ-
ტში, უპირველეს ყოვლისა, ვანის ქვაბთა უკვე ცნობილი
ონომასტიკონიდან უნდა ამოვიდეთ.

¹ თ. უორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

² ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 257.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

⁶ იქვე, გვ. 261.

⁷ თ. უორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

რადგანაც გარკვეულია ვანის მონასტრის ზუსტი მდებარეობა, ამით აგარის მდებარეობაც შეგვიძლია განვსაზღვროთ. ცხადია, ამ მრავალ აგარას შორის ის იქნება შენორული ვანის ქვაბებზე, რომელიც ტერიტორიულად უფრო ახლოა მასთან. უდავოა, ეს არის ე.წ. ნიალისყურის აგარა, რომელიც იქვე ნიალის ველზე ლეპისთან მდებარეობს. „დავთრის“ მიხედვით, ის მოზრდილი, 26-კომლიანი სოფელია.¹ ს. ჯიქიას ამ სოფლის შესახებ კიდევ ერთი დოკუმენტი მოაქვს: „Агара большая при роднике Ортули“.² ნიალის ველის თითქმის ყველა ნასოფლარში ადრეფეოდალური ძეგლები გვხვდება, გამონაკლისი არც აგარაა. აგარის საყდართან ახლაც დგას დაახლოებით 4-მეტრიანი სტელა.³

რაც შეეხება უშუალოდ ტოპონიმის წარმოშობას:

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, „აგარა“ სადგურია საზაფხულო, დასასვენებელი, აგარაკი კი „არს ადგილი საყანური, გინა სავენაწე“.⁴

ქართულ წყაროებშიც მრავლად გვხვდება აღნიშნული შინაარსით „აგარა“ და „აგარაკი“. დროთა განმავლობაში ამ საზოგადო სახელებმა დაკარგა შინაარსის გამომხატველი ფუნქცია და გეოგრაფიულ სახელებად იქცა. ამის გამოა, რომ ტოპონიმი აგარა მრავლად გვხვდება საქართველოში. დღეს უკვე ტოპონიმი იგი, წინათ კი ეს ადგილები ან სათესველს, „საყანურს“, სავენაწეს“ წარმოადგენდა, ანდა საზაფხულო დასასვენებელს, გრილ ალაგს.

ვანის ტაძრისათვის შენორულ სოფლებში შედის მირაშხანიც, რომელიც საკმაოდ დიდ სოფელს უნდა წარმოადგენდეს. „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მე-8 მინაწერის მიხედვით მირაშხანიდან გულშარს (თმოგველთა ასულს) გულაური ჭალაც, საგუბარიც და ნანალკოტევი ყანაც შეუწირავს მონასტრისათვის.

მირაშხანი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ვანის ქვაბებიდან მოშორებით, ახჩიასთან ახლოს. XVI საუკუ-

¹ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 371-372.

² იქვე.

³ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985, გვ. 83.

⁴ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991, გვ. 38.

ნეში მირაშხანში 11 კომლი სახლობდა, 1870 წლისათვის კი – უკვე 2, ნელ-ნელა დაიცალა ეს სოფელი და ამჟამად აქ აჭაროდან გადმოსახლებულები ცხოვრობენ და სოფელს მტკვარს უწოდებენ.

გულშარს მილახევიც ეკუთვნოდა და აქედანაც ერთი ვენახი შეუწირავს „გუარამათ მინისა“.¹ მილახევი სახნავე-სათესს უნდა ნიშნავდეს და იგი რომელიმე სოფლის განკარგულებაში იყო. ამ შემთხვევაში მილახი ორონიმად არ შეიძლება განვიხილოთ, იგი მიკროტოპონიმია და სოფლის გარეთ მდებარე დამუშავებული ალაგია. ამ მილახებს დღესაც იხსენებენ სოფ. ტოლოშის მახლობლად, მაგრამ დასაშვებია, რომ იგი სხვა ადგილასაც მდებარეობდეს, ვანის ქვაბთან უფრო ახლოს, კერძოდ, ზედა ვარძიის მიდამოებში.

მურვან ღარიბასძის შეწირულობიდან სოფ. ხარაკია აცნობილი თავისი მთით, ბარით, შესავალ-გამოსავლით.

ხარაკია სოფ. ხარაკი უნდა იყოს სულდის მახლობლად.² „დავთარიც“ იცნობს ამ სოფელს ჩრდილის რაიონში სწორედ სულდის მახლობლად,³ მაგრამ ამ დროს სოფელი უკვე გაუკაცრიელებულია.

თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულ „ვაჰანის ქვაბთა განგების“ VIII მინაწერში, სადაც საუბარია თმოგველთა ასულის გულშარის მიერ შეწირულ მიწებზე, ერთი ადგილი (IX სტრიქონი) ამოუკითხავია. ეს ადგილი წაიკითხა ვ. სილოგავამ და მოგვცა კიდევ ერთი ახალი ტოპონიმი – „ყორნისი“.

ყორნისის ზუსტი მდებარეობის განსაზღვრა ჯერ-ჯერობით არ ხერხდება, მაგრამ დოკუმენტში დასახელებულ სხვა გეოგრაფიულ სახელთა მოშველებით შეიძლება მისი დაახლოებითი ლოკალიზაცია. მე-8 მინაწერში ყორნისს გარდა დასახელებულია სოფლები: ფია, მირაშხანი და, სავარაუდოა, რომ ის სწორედ ამ ორ სოფელს შორის უნდა მდებარეობდეს; უფრო ზუსტად, ვანისა და ვარძიის ახლოს, რადგან ყორნისში ყოფილა ხუცური ყანები; ვფიქრობთ, იგი ძალიან დამორეზულიც არ იქნებოდა მონასტრიდან.

¹ თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

² დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

³ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 424.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ ერთ-ერთ მინანერში სოფ. „მჭედლისუბნა“ დასახელებული,¹ რაც უდავოდ მჭედლისუბანს გულისხმობს. მჭედლისუბანი, ერუშეთის მთიანეთში ნასოფლარებთან შალოშეთთან და გუნდთან მდებარეობს მთის ფერდობზე, XVI საუკუნეში იგი 10-კომლიანი სოფელი ყოფილა, რომელიც მოგვიანებით გაუკაცრიელებულა.²



ხედი ვარძიისაკენ
(ფოტო რ. კორშიასი)

¹ თ. უორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

² ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ., 256.

მჭედლისუბანს იცნობს XIX ს. ერთ-ერთი დოკუმენტიც (1859წ.), სადაც წერია: „Чедлисубани – постошь помещичья, без воды, на ровном месте, под подошвою горы Тавтава“.¹ ამ სოფელში ეკლესიის ნანგრევებიც ყოფილა.

რაც შეეხება უშუალოდ ტოპონიმს, იგი მიკროტოპონიმიდან უნდა იყოს წარმომდგარი. თავიდან იქნებოდა პატარა უბანი მჭედლისუბანის სახელწოდებით, ხოლო დროთა განმავლობაში იგი ტოპონიმად იქცა ისევე, როგორც ახალშენი, დავითასუბანი, გავაშენი და სხვა.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ მე-5 მინაწერით, მურვან ლარჯბასძე სწირავს მონასტერს მამულებს სხვადასხვა სოფელში. ესენია: კუნელეთი, დიდკლდე, კუარბი და ციხეკნელი.² თავისთავად საინტერესო ტოპონიმებია.

კუნელეთი – ასეთი ტოპონიმი დღესდღეობით არ გვხვდება, მაგრამ სავარაუდოა, რომ საუკუნეების მანძილზე სახელწოდებამ ფორმა იცვალა. „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში“ გვხვდება სოფ. კულუღეთი//კულიღეთი.³ იგი მდებარეობს სწორედ ჩვენთვის საინტერესო არეალში – ხერთვისის მიდამოებში და ხერთვისელთა სათესველს წარმოადგენდა. როგორც ს. ჯიქია აღნიშნავს, ერთ-ერთი საბუთით, კულუღეთის მიწებით სოფ. შელვაშეთის (შალოშეთი//სალოშეთი) მცხოვრებნი სარგებლობდნენ.⁴

ამრიგად, ტოპონიმი კუნელეთი გვიანდელი კულიღეთის თავდაპირველი სახელია და ნაწარმოები უნდა იყოს „კუნელიდან“.

დიდკლდე კომპოზიტური სახელია დიდ-მსაზღვრელით (ისევე როგორც დიდგორი, დიდველი, დიდვაკე). იგი ტერიტორიულად ხერთვისის, ტოლოშის, ცხეკნელას, კუნელეთის მიდამოებში მდებარე სოფელია, რადგან ეს ტერიტორიები XIV-XV საუკუნეებში ლარიბასძეთა საკუთრებას წარმოადგენდა და აკი ისინი სწირავენ კიდევ მათ ვანის ქვაბებს. ამ სოფელთა რიცხვს ეკუთვნის კუარბიც. დიდკლდე და კუარბი დღესდღეობით გამქრალია და ნასახლარების კვალიც არ ჩანს.

¹ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., გვ. 256.

² თ. ჟორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

³ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., გვ. 254.

⁴ იქვე.

საინტერესო ტოპონიმია ციხეკნელი, რომელიც ალჯუასა და ჩუნჩხას შორის მდებარე სოფელი, ან ნასოფლარი ცხეკნელაა. „იგი შესაძლოა ხალხური გააზრების გამო იყოს სახეცვლილი, რადგან ამ ნასოფლარის მიდამოებში ციხის ნაშთები შეინიშნება“.¹ საერთოდ, ახლომახლო მდებარე სოფლებში შედარებით მრავლადაა ადრეფეოდალური ხანის საყურადღებო ძეგლები.

ტოპონიმ ცხეკნელას შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ხალხური ეტიმოლოგიით, ცხენს კლავდნენ და ამიტომ დაერქვაო ცხეკნელა, მაგრამ გრ. ბერიძეს საეჭვოდ მიაჩნია ასეთი განმარტება. მისი აზრით, სიმართლესთან უფრო ახლოს იქნებოდა „ციხეკელა“ ნ-ს გადასმით. აქედან ცხენისკელი ცხენისნაკელი, ხოლო მეორე გაგებით – ცხეკოჭლა.² კელობა ძველი ქართულით კოჭლობას ნიშნავდა.

ჩვენის აზრით, ციხეკნელი-ციხეკნელა – გეოგრაფიული სახელი ციხესთან უნდა იყოს კავშირში. როგორც ნასოფლარსაც ეტყობა, აქ პატარა ციხე ყოფილა. ჩხეკნელა გვხვდება „დავთარშიც“. იგი პატარა, 7-კომლიანი სოფელია,³ რომელიც მომდევნო საუკუნეებში ნელ-ნელა იცლება, მახინჯდება ტოპონიმიც. XIX ს. არქივისეულ საბუთებში იგი უკვე იხსენიება, როგორც „Цигнела“.⁴

ვანის ქვაბთა ტიპიკონის მინანერებში რჩეულაშვილთა შენირულობანიც ჩანს.⁵ ეს არცაა გასაკვირი, რადგან უკვე XIII ს. ბოლოდან ვანის ქვაბთა ბატონებად რჩეულასძენი გვევლინებიან. XV ს. ბოლოდან მათ ხელშია ტერიტორია ვანის ქვაბსა და ოლადის ქვაბს შორის მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ამასვე ადასტურებს „მესხური მატიანეც“.⁶

რჩეულაშვილებს ვანის მონასტრისათვის შეუწირავთ მიწები სოფ. ჭაჭკარში, განძასწევს ვენახი და მევენახე თავისი სახლ-კარით, დმელიას – ბაქელიძის ნახევარი, ვანის ქვაბში ირინაშვილი, ფარნაოზა და ელისა ნახევარი ვენახით. ამდენ მამულს ძმები

¹ დ. ბერიძენიშვილი, დასახ. ნაშრ., თბ., 1985, გვ. 123.

² გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988, გვ., 149.

³ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., II, გვ., 180.

⁴ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 250.

⁵ თ. ჟორდანიას, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

⁶ ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI), თბ., 1961, გვ. 44.

ენუქ და ალფეზ რჩეულაშვილები იმიტომ სწირავენ მონასტერს, რომ ერთ-ერთ მათ ნათესავს დავითს ღვიძლი ძმისწული ლეონი მოუკლავს უსამართლოდ და მისი „მამული ყოველი“ ენუქსა და ალფეზს დარჩენიათ; ისინიც უშურველად სწირავენ მონასტერს ლეონის სულის საოხად.

სოფ. ჭაჭკარი ჩვენთვის უკვე ცნობილია, **გ ა ნ ძ ა ს ჯ ე ვ ი ს** ადგილმდებარეობა კი გაურკვეველია. განძანი, მერმინდელი განძა, ფოკასთან, ფარავნის წყლის პირას მდებარეობს ნინონ-მინდის რაიონში. იგი საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული ვანის მონასტრიდან. საეჭვოა, რომ რჩეულაშვილებს ასე შორს ჰქონოდათ მამულები. უფრო დასაშვებად მიგვაჩნია, რომ დოკუმენტში მოხსენიებული **გ ა ნ ძ ა ს ჯ ე ვ ი ს** ჭაჭკარს, ვარძიასა და ვანის ქვაბს შორის უნდა ყოფილიყო, რადგან სწორედ ამ ტოპონიმებთან ერთად იხსენიება მინანერში და დაახლოებითი ლოკალიზებაც ამის მიხედვით უნდა მოხდეს.

ასევე გაურკვეველია სოფ. **დ მ ე ლ ი ა ს** მდებარეობაც. თ. ჟორდანია მინანერში „და მელიას“ ცალ-ცალკე კითხულობს და გამოდის, რომ გეოგრაფიულ სახელად „მელია“ იგულისხმება,¹ ვ. სილოგავა „დმელიას“ ვარაუდობს, დ. ბერძენიშვილს კი უფრო მიზანშეწონილად „დამელია“ მიაჩნია.²

ასეთი სოფელი სხვაგან არცერთ წყაროში არ არის დაფიქსირებული. მხოლოდ ერთი პატარა საინტერესო ცნობაა „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში“.³ ვარძიასთან არის ერთი სოფელი, რომლის სრული სახელიც ს. ჯიქიას ვერ ამოუკითხავს, ნაკითხული აქვს მხოლოდ სიტყვის მეორე ნახევარი „მელა“. სავარაუდოა, რომ ამ ტოპონიმის პირველი ნაწილი „დ“ ან „და“ ასოები უნდა იყოს, მით უფრო, რომ ადგილმდებარეობაც „დავთარში“ ნახსენები სოფლისა ემთხვევა „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინანერში ნახსენებ დმელიას მდებარეობას. ის ვარძიას, ჭაჭკარისა და ვანის ქვაბების მიდამოებშია.

ასე რომ, სოფ. დმელია მდებარეობდა ვარძიასთან და პატარა დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა.

დღეს დუმელია ანუ დუმეილა ნიალის ველზე საძებარი სახელია, რადგან ამავე ველზე გაედინება დუმეილის ანუ დუმელიის

¹ თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

² დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

³ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 372.

წყალი; საფიქრებელია, რომ დუმეილა ანუ დუმელია „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინანქრში დამონმებული სახელი „დმელია“ უნდა იყოს.

მეტად საინტერესოა ვანის მონასტრის ტიპიკონის მეოთხე მინანქრი, რომელიც XIII ს-ით თარიღდება.¹ ვანის ქვაბთა ბატონს როსტევეანს თავის ძმებთან და შვილებთან ერთად წმინდა გიორგისათვის შეუწირავს „გულშარშნისა ქუშმეთ აბჯარეული ზუჭრი და რაიცა პარტახტი არის მას შინა“.

რას ნიშნავს „გულშარშნისა ქუშმეთი“?

დ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ აქ „მოხსენებული „აბჯარეული“ ახლა სოფ. გოგაშნის მიწებშია. იგი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სწორედ გოგაშნის ქვევითაა, ამიტომ „გულშარშნის ქუშმეთ“ უნდა ნაწილობით „გოგაშნის ქუშმეთ“.²

დედანში ზუსტად მოცემულია „გულ შარშნისა ქუშმეთი“, თ. ჟორდანიას გახსნილი აქვს ქარაგმა და ნაკითხული „გილშარშნისა“, მაგრამ ვ. სილოგავა სხვანაირად ფიქრობს. აღნიშნულ დოკუმენტში, მართალია, არის ქარაგმები, მაგრამ ისინი პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. მინანქრში ქარაგმას სხვა ფუნქცია აქვს, ადგილ-ადგილ იგი დართულია იმის გამო, რომ სტრიქონებს შორის ადგილი სხვა ჩანანქრებისათვის არ გამოყენებულა. პალეოგრაფია ასეთ ფაქტებს იცნობს.

დაკვირვება მოცემულ ტოპონიმზე (გულშარშენი) გვაფიქრებინებს, რომ იგი საკუთარი სახელიდან, გულშარიდან არის წარმომდგარი: გულშარშენი//გულშარის ნაშენები. ეს მით უფრო მისაღებია, რომ „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინანქრებიდან ვიცნობთ გულშარს – თმოგველ ჩაისრის ასულს. რადგანაც ეს სახელი ამ მხარისათვის დამახასიათებელია, საფიქრებელია, რომ ვინმე გულშარს მართლაც გაეშენებინოს თავის კუთვნილ მიწაზე ვენახი, „ზუარი“, რაიმე სამეურნე სავარგული და ტოპონიმიც ამ ფაქტიდან მომდინარეობდეს, თუმცაღა გულშარშენი შესაძლოა მიკროტოპონიმადაც ჩავთვალოთ, თუკი იგი ახალშენია და ახალდამუშავებულ ბაღს, ვენახს ანდა სათესველს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, სწორი არ უნდა იყოს თვალსაზრისი, რომ „გულშარშენი“ უნდა იქნეს ნაკითხული, როგორც „გოგაშენი“.

¹ თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

² დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

ვანის ქვაბთა მონასტერს ათაბაგებიც სწირავდნენ შესანიშნავს. XV ს. ათაბაგი ივანე თმოგვეში თავისი „საპატრონოსა ტალმისაგან“ სწირავს 1500 თეთრს (ტამლა მონღოლური გადასახადია).

თმოგვი ორი არსებობდა: ზედა თმოგვი და საკუთრივ ციხე თმოგვი თავისი სამოქალაქო მოსახლეობით (რაბათი).² ზედა თმოგვი შედარებით პატარა დასახლებაა, რაბათის მოსახლეობა კი 69 კომლს აღწევს და წუნდასა და ვარძიას შორის მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე.³

თმოგვის დაყოფა ზედა და ქვედა თმოგვად ექვთიმე თაყაიშვილის დროსაც რჩება ძალაში.⁴

ივანე ათაბაგის მინაწერში იგულისხმება ციხე თმოგვი, სადაც მაცხოვრებელი მრავლადაა და ისეთი დიდი გადასახადიც, როგორცაა 1500 თეთრი, მხოლოდ ასეთი მრავალრიცხოვანი მოსახლეობიდან თუ აიკრიფებოდა.

მინაწერების მიხედვით ვ ა რ ძ ი ა ც ო რ ი ა: ზედა ვარძია და ვარძია. „დავთარშიც“ ორი ვარძიაა აღრიცხული.⁵ ზედა ვარძია 2-კომლიანი სოფელია, ვარძია კი – გაუკაცრიელებული. დ. ბაქრაძე ზედა და ქვედა ვარძიად მოიხსენიებს მათ და ამასთანავე ზედა ვარძიაში 5 ოჯახს აღრიცხავს.⁶

გულშარი – თმოგველთა ასული ზედა ვარძიიდანაც სწირავს მიწებს ვანის ქვაბებს.

ტიპიკონის მინაწერთა კრულობით ნაწილშიც იხსენიება ყოვლადწმინდა ვარძიის ღმრთისმშობელი, აგრეთვე საუფლო ხატი კუმურდოსი. კ უ მ უ რ დ ო ც და ვარძიაც ჩვენთვის საინტერესო გეოგრაფიულ ობიექტებს წარმოადგენენ და ვანის ქვაბის მიდამოებში მდებარეობენ, თანაც მინაწერებში ჩამოთვლი-

¹ თ. ჟორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

² ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 361.

³ იქვე.

⁴ Э. Такаишвили, Источники грузинских летописей, Три хроники СМОМПК, XVIII, Тиф., 1900, გვ. 194.

⁵ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 329.

⁶ Бакрадзе Д. Кавказ в древних памятниках христианства, 55.

ცნობილია ზედა ვარძიის XI ს. შესანიშნავი ქტიტორული წარწერა ერისთავთერისთავ ლიპარიჭისა და კედელზე მინერილი იმავე დროის ეპიგრაფიკული საბუთი (ვ. გაბაშვილი, ზედა ვარძია, თბ., 1985, გვ. 23, 50).

⁷ თ. ჟორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

ლი ჯავახეთის სოფლები ან ვანის ქვაბებისაა, ან ვარძიის მონასტრისა და ან კიდევ კუმურდოელის სამწყსოს წარმოადგენდა. მცირე ნაწილი ეკუთვნოდა სვეტიცხოველსაც. ჩვენ მოგვეპოვება ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი (1392 წ. 1 დეკემბერი),¹ სადაც ჯავახეთის რამდენიმე სოფელიც შედის, ასევე გვაქვს კათალიკოზის ხელქვეშეთ მღვდელმთავართა და სამწყსოთა სია სამცხე-საათაბაგოში (XVI ს.).² კუმურდოელის სამწყსოდ ითვლებოდა „ხერთვისს ზეით სულ ჯავახეთი ხავეთამდი (ხვეთამდი)“.³

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებს ერთი ტბის სახელიც შემოუნახავს — **ჯ ა ლ ბ ა დ ი ნ ი ს ტ ბ ა**.⁴ ასეთი სახელწოდებით ვანის ქვაბის მიდამოებში არცერთი გეოგრაფიული პუნქტი არ გვხვდება, არც ტბების სიმრავლით გამოირჩევა ეს ადგილი. ჯერჯერობით გაურკვეველია, რომელ ტბაზეა საუბარი მინაწერში. შესაძლოა ვანის ქვაბების ზემოთ, ახალქალაქის მხარეს მდებარე პატარა ტბებიდან, რომელიმეს ძველ ქართულ სახელს წარმოადგენს ჯალაბადინი.



გარდა ორონიმებისა, ონომასტიკონის შესწავლის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიკროტოპონიმებსაც. საინტერესოა ვანის ქვაბთა მიკროტოპონიმია; სხვა დოკუმენტებში ეს სახელები ფიქსირებული არაა, მათი ნაწილი მხოლოდ ადგილობრივ ხალხურ გადმოცემებს თუ შემოუნახავს. მაგალითად, „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში“ აღწერილია ვანის ქვაბთა მინაწერებში არსებული თითქმის ყველა ტოპონიმი მცირე გამოწკარვლის გარდა, მაგრამ საერთოდ არ იხსენიება მიკროტოპონიმები. ეს გასაკვირიც არაა, რადგან მიკროტოპონიმი ძალიან მცირე გეოგრაფიული პუნქტია და ქვეყნის აღწერა ან იურიდიული დოკუმენტის შედგენა ამ ვიწრო გეოგრაფიული ობიექტების მიხედვით არ ხდება.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 176-181.

² იქვე. გვ. 245.

³ იქვე.

⁴ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

მიკროტოპონიმების შესწავლა საინტერესოა მათ წარმოშობასთან დაკავშირებით. მათი შექმნა ხომ ძველ ხალხურ მეტყველებასთან, მოვლენების უბრალო, მაგრამ ლალ და ხალას გააზრებასთანაა კავშირში.

ვანის ქვაბთან დაკავშირებული მიკროტოპონიმები ძირითადად საკუთარი ანდა ზედმეტი სახელებიდანაა წარმომდგარი: ბერაული, კუჭრნაული, გულაური, ლუკაური, როტაშაული, აბჯარეული და სხვ. და ყველა ეს მცირე გეოგრაფიული ობიექტი ბერას, გულას, ლუკას, როტაშას, აბჯარას თუ კვერნაანთ ბალებს, ვენახებს, სათესებსა და ზვრებს აღნიშნავს. მიკროტოპონიმების წარმოება, როგორც მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, საკუთარ სახელზე -ულ, -ურ კუთვნილების გამომხატველი სუფიქსების დართვით ხდება. საკმარისია ჩამოვაცვილოთ ტოპონიმს მანარმოებელი, რომ დაგვრჩება საინტერესო სახელები, რომლებიც გავრცელებული იყო სამხ. საქართველოში. ასეთი გზით შესაძლებელია მრავალი, დღეს უკვე არსებული საკუთარი სახელისა თუ მეტსახელის აღდგენა:

ბერა - (ბერა-ულ-ი, ჭაჭკარი)

გულა - (გულა-ურ-ი, მირაშხანი)

ლუკა - (ლუკა-ურ-ი, მილახები, ზედა ვარძია)

როტაშა - (როტაშა-ულ-ი, ორხოფია)

აბჯარა - (აბჯარა-ულ-ი, გოგაშენი, გულშარშენი)

კუჭრნა - (კუჭრნა-ულ-ი, ფია)¹

საინტერესოა მიკროტოპონიმი მ ა ღ ნ ა რ ა , რომელიც ორჯერ მოიხსენიება „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებში: „ტოლოშს ორნი ვენაწნი მალნარაშიგან“,² ანდა „ერთი ვენაწი ტოლოშს ახალშენი მალნარას“,³ როგორც ჩანს, მალნარა პატარა, ახალდამუშავებულ ტერიტორიას წარმოადგენდა სოფ. ტოლოშში.

სახელი მალნარა უნდა იყოს წარმომდგარი მალნარისაგან, რაც მთის ხშირსა და შამბიან ტყეს ეწოდება.

ვანის ქვაბთა ონომასტიკონიდან საინტერესოა გეოგრაფიული სახელები ორივე სუფიქს-პრეფიქსული მანარმოებლით. მა-

¹ შდრ. მ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

² თ. ჟორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

³ იქვე, გვ. 45.

გალითად, ნანალკოტევი ყანა მირაშხანში. ეს სახელი ნა-პრე-ფიქსითა და -ევ სუფიქსითაა ნანარმოები და წარმომდგარია სიტყვა ნალკოტისაგან (მღრ. ნავარძიევი).

მიკროტოპონიმებს წარმოადგენს „შენ“-ფუძიანი სახელებიც, თუ ისინი საუკუნეების განმავლობაში უკვე ტოპონიმებად არ არიან ქცეულნი.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინანერებში ახალშენი ერთ შემთხვევაში სოფელიცაა და მეორე შემთხვევაში დამუშავებული ადგილიც. გოგაშენი უკვე სოფელია, ხოლო გულშარშენი ჯერ მხოლოდ ტოპონიმია. ასეთ გეოგრაფიულ სახელთა გამიჯვნა თვითონ დოკუმენტის მიხედვით, კონტექსტიდან ხდება.

ასევე განირჩევა ერთიმეორისაგან ჭალა-ტოპონიმი და ჭალა-აპელატივი. „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მე-8 მინანერში ჭალა სოფ. მირაშხანში შედის და გულაურებს ეკუთვნით.¹ ცხადია, აქ იგი ტოპონიმი არ არის და შინაარსითაც სოფლის ხეობაში არსებულ წყლისპირა ნაყოფიერ, ნესტიან, ჭაობიან ადგილს გულისხმობს, სადაც ბალ-ვენახებია გაშენებული. სულ სხვაა სოფ. ჭალა. მესხეთში მრავალი სოფელი მოიძებნება ამ სახელით. „გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის“ მიხედვით ჯერ მხოლოდ ახალციხის ლივაში რამდენიმე ჭალაა: უდესთან,² თვითონ ახალციხის გარეუბანში,³ სოფ. ჭეჭლასთან,⁴ ჭაჭარაქთან,⁵ ბორჯომთანაც არის სოფ. ფაფას მახლობლად,⁶ ალჯაყალასთან ჩილდირის ტბის ნაპირას⁷ და სხვ.

¹ თ. ჟორდანი, დასახ. ნაშრ., III, გვ. 85.

² ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 8.

³ იქვე, გვ. 80.

⁴ იქვე, გვ. 119.

⁵ იქვე, გვ. 191.

⁶ იქვე, გვ. 222.

⁷ იქვე, გვ. 385, 399-400.

თავი VI ვანის ქვაბთა მონასტრის ეკონომიკა

მონასტერი ფეოდალურ სენიორიას წარმოადგენდა, რომელსაც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისი გზა ჰქონდა. მას, როგორც სამონასტრო კორპორაციას, განსხვავებული მიზანი, ცხოვრების წესი და რიგი ახასიათებდა. თავისებური იყო სამამულო-სოციალური ურთიერთობებიც. ყოველმა მონასტერმა, მათ შორის ვანის ქვაბთა სამონასტრო ორგანიზაციამაც, ეკონომიკური განვითარების გარკვეული ეტაპები განვლო.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ მიხედვით სასურველი ზიარების საიდუმლოს სრულმყოფელნი მღვდლად 24-ია განწესებული, ხოლო დიაკვნად – 7, მწირნი ანუ მონაზონნი იქნებოდნენ ოცნი, სულ გამოდიოდა, რომ მონასტერში მოღვაწეობდა 51 სასულიერო პირი. ასეთი გარკვეული რაოდენობა მეპატრონეს მოციქულთა და წმინდა მამების განწესებისამებრ დაუდგენია. მონასტრის პატრონს ყველა ღონე უხმარია „ძმობის“ უზრუნველსაყოფად, მსახურნიც გაუჩენია; ტრაპეზეს, სამზარეულოსა და სახაბაზო სამუშაოებს ისინი ასრულებდნენ. „სამართლობელ იყო რიცხუსა ამის უმრავლესსა დაწესებად მღვდელთა და მონაზონთაჲ, გარნა ყოვლითკერძო უზრუნველობისა და ჯორციელად და სულიერად განსუენებისა მათსათეს მოსწრაფე ვიყავ...“¹ – აღნიშნავს მხარგრძელი. მხარგრძელს მღვდელთა და ბერ-მონაზონთა ისეთი განსაზღვრული რაოდენობა შეურჩევია, რომლის ხორციელად უზრუნველყოფასაც თავად შეძლებდა.

ეკლესიის მსახურთა რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხოვანია. თუ შედარებისათვის ავიღებთ პეტრიწონის ქართველთა მონასტერში მოღვაწე ბერ-მონაზონთა რაოდენობას, შევნიშნავთ, რომ ვანის ქვაბებში უფრო მეტნი მსახურებდნენ, ვიდრე ბაჩკოვოში. პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში უფრო დანვრილებითაა განსაზღვრული თითოეული მათგანის ვალდებულება, უფლება-მოვალეობა. მსახურეუ-

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, ტფ., 1939, გვ. 64.

ლი წრის ყოველ წარმომადგენელს თავისი საქმე აქვს. „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ კი ზოგადაადაა მითითებული, რომ მსახურთა რაოდენობა სულ არის 10 და არ ჩანს, რა ევალებათითოეულ მათგანს.

თავისთავად ისმება კითხვა: რითი საზრდოობდა ვანის ქვაბთა მონასტერი, გააჩნდა თუ არა რაიმე საკუთრება?

ვანის ქვაბთა მონასტერი საქართველოში არსებულ სხვა მრავალრიცხოვან მონასტერთა მსგავსად მსხვილ საეკლესიო ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. იგი ძირითადად შემონირულობათა ნიადაგზე დაარსდა და შემდგომშიც ასე განაგრძობდა არსებობას. თავდაპირველად მხარგრძელმა, შექმნა რა სამონასტრო ძმობა, თითოეულ მათგანს იერარქიის მიხედვით თავისი წილი სარგო განუჩინა: მოძღვარს 8 გრივი¹ პური მიეცემოდა – „ოთხი წმიდა და ოთხი ქრთილი“;² ამასთანავე სამი საპალნე ღვინო; იკონომოსს – 6 გრივი „სამი წმიდა და სამი ქრთილი“ და ორი საპალნე ღვინო; ასევე ეძლეოდა დეკანოზს – 6 გრივი პური და ორი საპალნე ღვინო; „უთავადესთა ძმათა“ (ამ ტერმინში ღირსებით უფროსნი ძმანი იგულისხმებიან, მონასტრის თანამდებობის პირნი) მეორე ნაწილს (პირველ ნაწილში ზემოთ დასახელებული ჳელისუფალნი იგულისხმებიან) – ორი გრივი „წმიდა“ და ერთი ქრთილი პური მიეცემოდა, ღვინო კი – თითო საპალნე; „მეორე დასის“ ბერ-მონაზონთათვის პური თავადთა ძმათაებრ გამოიყოფოდა, ღვინო კი „თუთოე ცალი“; ხოლო მწირთათვის, რომელნიც არანაირ თანამდებობას არ იკავებდნენ მონასტერში და უდაბლესი ხარისხის მონაზვნებს წარმოადგენდნენ, განსაზღვრული იყო პური ერთი გრივი წმიდა და თითო ქრთილი, ღვინო – ოთხ კაცზე თითო საპალნე.

ეს, რაც შეეხება საკვებს. ამას გარდა მხარგრძელს ბერ-მონაზონთა სამოსელზეც უზრუნია. იგი დაინტერესებული იყო ძმობის წევრთა ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და გაუჭირვებელი ცხოვრებით და ცდილობდა „რაფთა არა რაფთ“

¹ გრივი წონის საზომს წარმოადგენდა, საპალნე კი საზომის ერთეული იყო. იხ. ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, ლექსიკონი, გვ. 100, 116.

² ქრთილი ქერის ჯიშის საკვები მარცვლეული იყო, რომლითაც პური ცხებოდა, იხ. ლ. მუსხელიშვილი, იქვე, გვ. 123.

დარჩენილიყვენ ისინი „ნაკლულევანი“. ამიტომ მათ საჩო-
ხეც გამოუყო. ამ მიზნით მოძღვარს, „ვითარცა მწყემსსა სუ-
ლიერსა და უცთომელსა წინამძღუარსა“, ეძლეოდა 6 დუკა-
ტი,¹ დეკანოზს და იკონომოსს – 4-4 დუკატი; პატრონის თაყ-
ვანისმცემელ მემწრეებს – 3-3 დუკატი; მწირველებსაც – 3-3
დუკატი მიეკუთვნათ; მეჭურჭლეს, მეტრაპეზეს, კანდელაკ-
სა და იპიტირიტისს – ასევე 3-3 დუკატი; „მეორე დასის“ წარ-
მომადგენლებს – 2-2 დუკატი; სასულიერო იერარქიის ყვე-
ლაზე დაბალ საფეხურზე მდგომ მწირებს („მესამე დასი“)
ბოტინატი და დუკატი ეძლეოდათ, მათ მსგავსად იღებდა
მსახურეული ფენაც. ამგვარად, ეკლესიის მსახურნი უზრუნ-
ველყოფილნი უნდა ყოფილიყვნენ საზრდელით და „სატანი-
სამოსლეთი“. სარგისს არ დავინყებია არც მონასტრის სტუ-
მარი, არც ავადმყოფი და არც მანანწალა და მათხოვარი,
ყველასთვის მიუგია „ნამეტნავად გასაყოფელი“, საიდანაც
დიდსა და საპატიო სტუმარს ტრაპეზით უმასპინძლდებიან
(ეს საქმე მოძღვარსა და დეკანოზს ევალება), „სნეულთა და
უძღურად მყოფთა ძმათა“ უშურველად უზრუნველყოფენ
(ეს „მესნეულეს“ კომპეტენცია იყო), მათხოვარი და მანანწა-
ლა მეკარეს უნდა გაესტუმრებინა. მხარგრძელმა „ორნატნი,
აგარაკნი და ვენახნიც“ მისცა ვანის ქვაბთა მონასტერს მე-
ურნეობის საწარმოებლად, რათა „ნაკლულევანი“ არ დარ-
ჩენილიყვენ.

როგორც ვხედავთ, ვანის ქვაბთა მონასტერს დაარსების-
თანავე გაუჩნდა საჩო – ჯამაგირი, რომელიც დასაწყისი-
სათვის შემოსავლის ერთადერთი და მთავარი წყარო უნდა
ყოფილიყო იმ „ორნატთა, აგარაკთა“ და ვენახებთან ერთად,
რომელიც სარგისს შეუწირავს ვანის ქვაბებისათვის. მეპატ-
რონის მიერ ნაბოძებ სახნავ-სათესებს, ყანებს, საძოვრებსა
და ვენახებს უნდა უზრუნველყო მონასტრის ძმობა საკვე-
ბით, „ყოველი იგი ტრაპეზსა მიუდგინეო“, – აღნიშნავს მხარ-
გრძელი. სატრაპეზო სუფრა აღნიშნული მამულებიდან მი-
ღებული მოსავლით უნდა შეესებულებიყო. რომ არა სხვათა მი-

¹ დუკატი, ბოტინატი — ბიზანტიური ოქროს ფულები. ბოტინატი — ბი-
ზანტიის იმპერატორის ნიკიფორე III ბოტინატის მიერ მოჭრილი ოქროს
ფული; დუკატი — ბიზანტიის იმპერატორის მიხეილ VII დუკას მიერ მოჭ-
რილი ოქროს ფული; იხ. ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 97, 103.

ერ შენირული მამულები და ყმა-გლეხები, მხარგრძელის მიერ დაწესებულ ყოველწლიურ სარგოს – ჯამაგირს უნდა უზრუნველყო ძმობა საკვებითა და ჩასაცემლით. ეს უნდა ყოფილიყო „წლითინლად გამოსაზრდელი“ სარგო. ეს სარგო, როგორც მთავარი შემოსავალი და არსებობის წყარო, მამულის სიმცირის პირობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მოგვიანებით, XV-XVI სს-ში პერიოდულად გაუჩნდებოდა ხოლმე ვანის ქვაბებს სარჩო. მაგალითად, პატრონ ივანესაგან მონასტრისათვის 1500 თეთრი თმოგვის „მეტალმეებს“ უნდა მოეტანათ, „ჭაჭკრული სათათრო მალი“ მუდმივი ჯამაგირი უნდა ყოფილიყო ზეთის ასანთებად, ესეც პატრონ ივანესაგან იყო დაწესებული, შემდეგ კი ყვარყვარე და მისი შთამომავლები აგრძელებდნენ ამ სარგებლით მონასტრის უზრუნველყოფას.

მონასტრისათვის დაწესებული „სანესოჲ“ ჯამაგირის სახით სხვა სახის შემოსავალთან ერთად, როგორც ვნახეთ, ნაწილდებოდა ძმობის წევრებზე მეტ-ნაკლები ოდენობით მათი თანამდებობისა და მდგომარეობის მიხედვით.

ჯამაგირი, საერთოდ, საქართველოს სამონასტრო ცხოვრებისათვის დამახასიათებელია. ის ძველდაც და XVIII საუკუნეშიც „სანესოს“, „სარჩოს“, „სარგოს“, „საზრდოს“ სახელით იყო ცნობილი. ბ. ლომინაძე თვლის, რომ ეს წესი საერო ცხოვრებიდან არის გადმოღებული და წარმოადგენს ეკლესია-მონასტრების უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას სახელმწიფოს მხრიდან.¹ მაინც ნიშანდობლივია, რომ მას გარკვეულ პერიოდში სისტემატური ხასიათი აქვს.

სარგოს ძმობის ყოველი წევრი სისტემატურად იღებდა. ეს იყო თავისებური ჯამაგირი, რომელიც მფლობელის პირად საკუთრებას წარმოადგენდა და კანონის ფარგლებში, როგორც სურდა, ისე მოიხმარდა. შეეძლო დაეხარჯა, შეეძლო დაეგროვებინა და გარდაცვალების შემდგომაც ანდერძით ისევ მის სულს მოხმარებოდა; თუ ანდერძი არ დარჩებოდა, ყველაფერი, რაც მის საკუთრებაში აღმოჩნდებოდა, შუაზე გაიყოფოდა, ნახევარი მაშინვე მისი სულის საჭიროებას მოხმარდებოდა, ხოლო მეორე ნახევარი ეკლესიის საჭურ-

¹ ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1966, გვ. 117.

ჭლეში შეინახებოდა მისივე სულისათვის. ეს იქნებოდა ერთგვარი შესანიერი ეკლესიის მსახურისა მონასტრისადმი. მართალია, მიცვალებული ძმისათვის ჟამის წირვა უსასყიდლოა და მღვდლებსა და დიაკვნებს ალაპის გადახდაც ევალებათ ტიპიკონის მიხედვით, მაგრამ გარდაცვლილის საკუთრებაც ისევ მისი სულისათვის დაიხარჯებოდა.

ყოველგვარი ანდერძი გარდაცვლილი ძმისა სრულდებოდა მონასტერში, მაგრამ თუ ანდერძი მიცვალებულის საკუთრების რომელიმე ნათესავისათვის დატოვებას შეეხებოდა, ეს მკაცრად იკრძალებოდა, ამის უფლება მას არ ჰქონდა. ყოველგვარი საკუთრება მონასტერში მოღვაწე ბერისა იმავედროულად ძმობის საზოგადო საკუთრებასაც შეადგენდა და მის გარეთ არ უნდა გასულიყო. თუ რომელიმე ძმა მონასტრიდან განიდევნებოდა, მისი ქონება ისევ მონასტერს რჩებოდა, მას ძმანი გაიყოფნენ – „ნაქონები მისი ძმათა გაიყონ“.¹ იყო შემთხვევები, როდესაც რაიმე დანაშაულისათვის მოწესეს სარგო აღარ მიეცემოდა გარკვეული პერიოდი.

„სანესო“ ანუ სარგო მოწესეებს არა მხოლოდ მოღვაწეობის პერიოდში ეძლევათ, არამედ მაშინაც, როდესაც მათ მატერიალური სამსახურის განევა აღარ შეუძლიათ. ამ შემთხვევაში მღვდელყოფილებსაც და მთავარ დიაკვნებსაც, ჩვეულებრივ, მღვდელთა თანასწორად ეძლევათ. მათ სარგო არ უნდა დააკლდეთ, თუნდაც სამსახური არ ჰქონდეთ. ესეც უდიდესი ჰუმანიზმია.

ბერ-მონაზონნი ტიპიკონით დადგენილი ჯამაგირით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. მათ არ ჰქონდათ უფლება სენაკის, აგარაკის, ვენახის და სხვათა დასაკუთრებისა, „ვაჰანის ქვაბთა განგება“ პირდაპირ კრძალავს აგარაკის, ვენახის, სათესი ადგილის მემკვიდრეობით დასაკუთრებას. ეს უნდა აღმოიფხვრას ისევე, როგორც ვერცხლისმოყვარეობა, ვითარცა „მიზეზი მრავალთა ბოროტთაჲ“, მამულობით ქონებას შესწევს ძალა მოშალოს ანგელოზებრივი მოქალაქეობის წესი და აქციოს იგი მიზეზად ნივთმოყვარეობისა, ვაჭრობისა, სისაძაგლისა: „ამისათვისცა მოვსპე მამულობით ქონებაჲ აგარაკთა, ვენაჯთა და თუნდა ორნატთა, რაფთა სახიობაჲ ანგელოზებრივისა მოქალაქეობისაჲ არა მოიშალოს და დახრწე-

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 79.

ვამ ექმნებოდეს ამათგან... ნუმცა ვის უკადრებიეს მამულობით მოგებად სენაკთა, აგარაკთა, ვენაჭთა ანუ ორნატთა, რადთა უცხო იყვნენ ყოვლისა მსოფლიოდა და ქუეყანისა საქმეთაგან, ვითა საქმეთაგან ანგაჰარებისა, გინა ვერცხლისმოყუარებისა, რადთა ესეცა აღმოიფხურას, ვითარცა მიზეზი მრავალთა ბოროტთაჲ¹. ამ მუხლით ისინი თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი ამქვეყნიური საქმიანობისაგან და დამშვიდებით შეეძლოთ ეღვანათ მონასტერში და სულიერი საზრდო მიეღოთ.

განსხვავებულია მწირველის ქონებრივი მდგომარეობა, მწირველს ჩაბარებული ჰქონდა სამწირველო, იგი შესაძლოა, არც ყოფილიყო ბერი, თუმცა უმეტეს შემთხვევაში იგი მაინც სასულიერო პირია. მწირველობა მელქისედეკ კათალიკოსის მიერ დადებული წესის მიხედვით მამიდან შვილზე უნდა გადასულიყო. მწირველის განკარგულებაში იყო უამრავი შეწირული ყმა-მამული, რომლის შემოსავლიდანაც მას გარკვეული წილი ერგებოდა, ამის საფუძველზე მწირველს შეეძლო ჰქონოდა თავისი საკუთარი „სახლი“, რომლის გაფართოებაც, მიწების შეძენის უფლებაც მას ჰქონდა. მწირველი მფლობელ-მესაკუთრედ გვევლინება.² მის განკარგულებაში მყოფი მამულები ზოგი კერძო საკუთრების ხასიათს ატარებდა, ნაწილი კი – დროებით ან პირობით მფლობელობაში გადაცემულ ქონებას წარმოადგენდა. განსხვავებული ვითარება უნდა ყოფილიყო XIII საუკუნეში ვანის ქვაბებში. ამ დროს სამწირველო და მონასტერი ისე მჭიდროდაა შერწყმული ერთმანეთში, რომ აქ დადგინებული მწირველი უსათუოდ მონასტრის ძმობის წევრი იქნებოდა და ქონებრივი მდგომარეობითაც მათგან დიდად არ განესხვავებოდა, რადგან შემოსავალი ყველა წევრს შორის ნაწილდებოდა. ასეთი ვითარება მონასტრის დაარსებისა და განვითარების პირველ ეტაპზეა სავარაუდებელი, ხოლო შემდგომ საუკუნეებში, როდესაც გაიზარდა შეწირულებანი, ვანის მონასტერს სამწირველოც ნელ-ნელა დაშორდა და მწირველიც გარკვეული საკუთრების პატრონი შეიქნა.

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 81-82.

² ბ. ლომინაძე, სამწირველო XIII საუკუნეში, მიმომხილველი, 1949, გვ. 325.

ვანის ქვაბებში სამწირველო ავტონომიურ ერთეულად არ ჩანს. ის მონასტერთანვეა შერწყმული. ამაზე მეტყველებს მთელი რიგი მინაწერებისა. მაგ.; მურვან ლარიბასძის მინაწერი: „...ესე წიგნი მოგახსენეთ თქუენ მონასტერსა და ჩუენსა მფარველსა მაცხოვრისა ხატსა და წსა გის და საფლავსა და სანაწილესა ჩუენთა მიცვალებულთასა ვანის ქუაბთა ეკუტარსა ჩუენსა ჩუენ მკუდართა...“ ან კიდევ: „...ხატისა მაცხოვრისასა ვანის ქუაბთა და მას შინა დამკვიდრებულთა საღთოსა კრებულსა, მღდელთა და დიაკონთა მოგიძღუნე და მოგახსენე... სულისა ჩემისა სამლოცველოდ...“ ამის შემდეგ ჩამოთვლილია შესაწირავები (XIV-XV სს.). ასევე ვანის ქვაბთა საღვთო კრებულს სწირავს ვანის ქვაბთა ბატონი როსტევეანი (XIII-XIV სს.), პატრონი ივანე ათაბაგი (1391-1444). ეს საბუთები მეტყველებს, რომ მონასტერი, საღვთო კრებული მისი, ეგვტერი და მასთან დაკავშირებული სამწირველო ერთმანეთში იყო შერწყმული და მწირველის როლს ვანის ქვაბთა მონასტერი და მისი საღვთო კრებული ასრულებდა.

როგორც მონასტრის წარწერიანი ქვიდან და „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებიდან ჩანს, ვანის ქვაბებში ეგვტერი გააჩნდათ გურგენისძეებს, თმოგველებს, ლარიბასძეებს და რჩეულასძეებს, რომლებიც სხვადასხვა დროს პატრონობდნენ მონასტერს. სწირავენ, მაგრამ ეგვტერი არა აქვთ აქ ათაბაგებს X-XVI სს-ში. მწირველად აქაც ვანის ქვაბთა მონასტრის კრებული გამოდის. ე.ი. ყველა შემთხვევაში XIII-XIV-XV-XVI სს-ში ვანის ქვაბებში სამწირველო ავტონომიურ სასულიერო-სამეურნეო ორგანიზაციად არ ჩამოყალიბებულა და ამ ფუნქციას ხანგრძლივი დროის მანძილზე თვითონ მონასტერი, მონასტრის ძმობა ასრულებდა.

ამრიგად, სარგო იყო მონაზვნის ერთგვარი ქონება, საკუთრება, რომელიც იზრდებოდა შემოსაწირთა მატებასთან ერთად, ყოველი შეწირულებიდან სულის საოხ წირვა-ლოცვაში მონაწილეობის მიღების შესაბამისად მათ გარკვეული წილი სარგო მიეცემოდათ. შეწირულებანი კი იზრდებოდა... ათაბაგებიც უხვად იღებენ შესაწირს მონასტრისათვის, იქნება ის ძვირფასი ხატები თუ ადგილ-მამულები.

XV საუკუნეში ათაბაგ-ამირსპასალარ ივანეს ვანის ქვაბთა მაცხოვრისათვის შეუწირავს ერთი საკელაპტრე სვეტი

ვერცხლით შეჭედილი, ერთი ვერცხლის კანდელი. პატრონ ყვარყვარეს და მის თანამეცხედრეს ანნას მონასტრისათვის ჭაჭკრული ვენახის სათავე და კალოს კაბინი შეუწირავს მათი სულებისა და შვილთა „სამზეგრძელოდ“. ასევე ჭაჭკრული ვენახის თავია შეწირული XVI საუკუნეში ათაბაგ ყვარყვარეს, მანუჩარის, ქაიხოსროსა და თვალშეგნეიერის სულთა საოხად. ეს შეწირული მიწები მონასტრის სამფლობელო მიწებად იქცეოდა, რომლის დამოუკიდებელი მართვის უფლებაც ჰქონდა; იქ აწარმოებდა იგი მეურნეობას და საჭიროებისამებრ მოიხმარდა; ოღონდ არ უნდა დავინყებულყო მთავარი – შემოსავლის გარკვეული ნაწილი შემწირველის სულის მოსახსენიებელი წირვა-ლოცვისათვის გამოყენებულიყო. ეს იყო შეწირულების მიზანი. „ეკლესია-მონასტრისათვის მიძღვნილი „შეწირულება“ ჩვეულებრივი ქონებრივი თვისების ხელშეკრულებას წარმოადგენდა და შეწირულების მიმღები დანესებულება სამაგიეროდ ვალდებული იყო, რომ შემწირველისათვის ან სახსენებელი, ანდა ალაპი გაეჩინა. ამგვარად, „შეწირულება არსებითად უსასყიდლო საჩუქარს არ წარმოადგენდა“.¹ ამგვარი შეწირულება, რა თქმა უნდა, ქველმოქმედება არ არის, ივანე ჯავახიშვილი მას „ნამდვილ ალებ-მიცემობას“ უწოდებს.² როდესაც აზნაური ან სხვა რომელიმე წარჩინებული ეკლესიას, მამულს, ან რაიმე ძვირფას შესანიშნულს უძღვნიდა, ის ფიქრობდა, რომ საღვთო საქმეს აკეთებდა, ღვთის სამსახურში იდგა, ქვეცნობიერში კი საკუთარ სულზე ზრუნვა უფრო იყო, იგი საუკუნო მოსახსენებელს იჩენდა ალაპის სახით. ამგვარი საკუთარი სულისათვის მზრუნველნი მრავლად გვხვდებიან ფეოდალურ საქართველოში.

მაინც როგორი იყო შეწირულების მორალურ-ეთიკური მხარე საქართველოში?

¹ ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VII, თბ., 1984, 314.

² იქვე. მატერიალურისა და სულის სამსახურის ურთიერთგაცვლის თეორია კარგად არის გამოხატული ქართული ტერმინით „შეზავება“, რომელიც წყაროებში გვიან (IX ს.) გვხვდება, ქართული შეზავება გვიჩვენებს, თუ ეს საეკლესიო თეორია (სასყიდლის შესახებ) როგორი ინტერპრეტაციით იყო შესული საერო წრეებში (ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1966, გვ. 38).

ქრისტიანობის დამკვიდრების შემდგომ საქართველოში ფართო გავრცელებას პოულობს მეუდაბნოეობა, რომლის სათავეები ჩვენში ასურელი მამების გამოჩენას უკავშირდება (VI ს.) VIII-IX სს-დან კი უკვე სამონასტრო წყობილება მკვიდრდება. ამ დროიდან იწყებს სამონასტრო მოღვაწეობას გრიგოლ ხანძთელი.

საერთოდ, ქართველი ხალხის ქრისტიანული მორალი ძველი და ახალი აღთქმის მოძღვრებას ეფუძნებოდა. ის იყო მისი ზნეობრივი იდეალი და ცხოვრების ყველა მხარეს ბიბლიური მორალურ-ეთიკური პრინციპები საზღვრავდა. ქრისტიანი ადამიანი ისეთივე სრულყოფილი და უნაკლო უნდა ყოფილიყო, ვითარცა უფალი თვისი იესო ქრისტე, ამით მას იესოს მოძღვრების ნაყოფი უნდა ეგემნა, „ქერქი ნახო, განაგდე, შიგნით გულს კი სჭამდეო“, – სახარების გული ხომ სიკეთე, მოყვრის დაუშრეტელი სიყვარული, სათნოება, ქველმოქმედებაა, ქველმოქმედება – კეთილშობილებაა. ყველა მშვიერ-მწყურვალისათვის უნდა მიეცა კაცს ქველის საქმარი თუ არა? ამ საკითხს ივანე ჯავახიშვილმა საკმაოდ დიდი მონაკვეთი უძღვნა თავისი გამოკვლევისა.¹

მეუდაბნოეობის ხანაში განდეგილები ტოვებდნენ დასახლებულ ადგილს, გაიხიზნებოდნენ სადმე მოშორებით და კმაყოფილდებოდნენ ბუნების ნაბოძებით, ისინი უარს ამბობდნენ ერისკაცთაგან ქველმოქმედების მიღებაზე და ამით ზნეობრივ სრულყოფილებას აღწევდნენ. მათ სიგლახაკისა და ქალწულების აღთქმა ჰქონდათ დადებული და ზნეობრივი სისპეტაკეც ეს უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ახლომახლო მცხოვრებნი მაინც აწვდიდნენ განდეგილთ მცირედენ სარჩოს. „ერისკაცთა ქველმოქმედებასა და თანაგრძნობას რომ მოკლებულნი ყოფილიყვნენ, ისინი ვერ გასძლებდნენ“,² – შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი. ამ შემთხვევაში ქველმოქმედება, შენირულება ნამდვილად თანადგომის, სიკეთის გამომხატველია და გამორჩენას არ ემყარება, გლახაკის, მშვიერ-მწყურვალის, სნეულის, უძღურის დახმარება ქრისტეს მცნებაა და ანგარებას არ ექვემდებარება. სახარების მიხედვით, სასყიდელი უარყოფილი უნდა ყოფილიყო:

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 28-35, 77-84.

² იქვე, გვ. 30-31.

„უსასყიდლოდ მიგიღებთ, უსასყიდლოდცა მისცემდით“, მაგრამ პავლეს ეპისტოლეებში და მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებებში სასყიდელი ნორმად აღიარებული ნესია.

დრო გადიოდა. სამონასტრო ნყობილების დამყარების შემდგომ სამღვდლოებას გაუჩნდა მუდმივი სარგო. გლახაკები და მონაზვნები კი წინანდებურად ქრისტიანთა ქველმოქმედებით საზრდოობდნენ. გლახაკებსაც და მონაზვნებსაც იმიტომ შეეწეოდა საზოგადოება, რომ ორივენი უსახსრო და ღარიბები იყვნენ. მაგრამ ამ ორი ჯგუფის მდგომარეობას შორის დიდი განსხვავება არსებობდა. გლახაკები თავისდაუნებურად იყვნენ ღარიბნი და უსახსრონი, მონაზვნები კი – საკუთარი სურვილით: მათ შეძლება ჰქონდათ, მაგრამ თვითონვე აირჩიეს სიგლახაკე და სიღარიბე ზნეობრივი სისრულისა და უმანკოებისათვის. ამგვარად, გლახაკებს მთელი ქრისტიანთა კრებული, ეკლესია ეხმარებოდა, მონაზვნებს კი – კერძო პირები.¹

გრიგოლ ხანძთელის დროიდან სამონასტრო მშენებლობები ფართოდ გაიშალა საქართველოს ტერიტორიაზე, ხანძთელ მოღვაწეს ბევრი თანამოაზრე, მოდასე გაუჩნდა. ასეთი ფართო მასშტაბის მშენებლობებს კი დიდი ეკონომიკური სახსარი სჭირდებოდა. საიდან უნდა ჰქონოდა ბერსა და მონაზონს ამის საშუალება? სურვილი კი მშენებლობისა დაუოკებელი იყო. ტაო-კლარჯეთის უდაბნოში უნდა გამობრწყინებულიყო გრიგოლ ხანძთელის პიროვნება, „ვითარცა ღამპარი იგი დაუშრეტელი“. საჭირო შეიქნა დახმარება ამ დიდი საქმისათვის, დახმარება კი ეკონომიურად შეძლებულ ფენას უნდა ეკისრა და აკი სწირავდნენ კიდევ მეფეები და ფეოდალები საშენ მასალასა და სხვა სახსარს წმინდა მამების მიერ წამოწყებულ ამ დიად საქმეს. წმინდა მამების ღვაწლს დიდებულთა ღვთისსიერება მიემატა და საშვილიშვილო საქმეც წარმატებით დაგვირგვინდა, რომლის კეთილი ნაყოფნი – ეკლესია-მონასტრები დღესაც მხნედ შესცქერიან თანადროულობას. ისინი უმაღლესი სულიერი და გონებრივი განვითარების სავანედ იქცნენ.

¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

რამდენადაც უმრავლესობა შენირული მიწებისა შემნირ-ველის სულის სამსახურს უნდა მოხმარებოდა, ამდენად ეს მიწები საალაპედ შენირულად შეიძლება ჩაითვალოს, საალაპე მამულის პირდაპირი მესაკუთრე კი უშუალოდ მონასტერია. მთელი მამულები, სოფლები, რაც კი ვანის ქვაბთა მონასტრისადმია შენირული, მის პირად საკუთრებას შეადგენს. საბუთებში პირდაპირაა მითითებული, სად შედის საალაპე შემოსავალი: „... მასზედა ალაპნი არიან გაჩენილნი, იგი ტრაპეზსა არ დააკლდეს“, იგი უშუალოდ საალაპე სამსახურს უნდა მოხმარებოდა. ამიტომაც მთელი სახნავ-სათესი ადგილები, საძოვრები, რომლებიც თანდართულ ცხრილშია ჩამოთვლილი (იხ. დანართი 2). შეიძლება ვანის ქვაბთა მონასტრის სათავისთავო მამულად მივიჩნიოთ, რამდენადაც შენირული, როგორც მფლობელობის ფორმა, დაუბრკოლებელ საფუძველს იძლეოდა ეკლესიის ხელში დამოუკიდებელი მიწისმფლობელობის განვითარებისათვის. და მართლაც, საეკლესიო მიწისმფლობელობამ ფეოდალიზმის აყვავების პერიოდში უდიდეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძალას მიაღწია. XIII-XVI სს. ვანის ქვაბთა მონასტრის განკარგულებაში მყოფი ყველა მამული, რომელთა შესახებაც კი მოაღწია ჩვენამდე ცნობებმა, შენირულების გზით არის შექმნილი ანუ მოპოვებული მონასტრის მიერ, ნასყიდობის მაგალითები ჩვენ არ გვხვდება.

მართალია, ეკლესია მესაკუთრეა ყველა შენირული ადგილ-მამულისა თუ ყმა-გლეხისა, მაგრამ იმავდროულად საეკლესიო ქონება ყოველთვის კავშირშია შემნირველთან, შემნირველის სულთან და ამდენად იგი განუსხვისებელ ქონებას წარმოადგენს; ეკლესია შენირულ ქონებას ვერ გაასხვისებდა. ეს მდგომარეობა ხელს უწყობდა ეკლესიის სრულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ დაქვემდებარებას შემნირველისადმი. მართალია, ეს დაქვემდებარება რეალურად არსებობს, მაგრამ ეკლესია ყოველთვის ცდილობდა ამ მიწების სამემკვიდრეო სამფლობელოებად გადაქცევას (თუმცა იგი უმემკვიდრეო მფლობელია). იყო შემთხვევები, როდესაც შენირულ მიწებს უკანვე იბრუნებდნენ ხოლმე შემნირველები, მეფე იქნებოდა იგი, მონასტრის მეპატრონე თუ რომელიმე მსხვილი ფეოდალი. ეკლესია მაშინვე იწყებდა ბრძოლას ამ მიწების შენარჩუნებისათვის, სარგისსაც შეუმცირებია ვანის

ქვაბთა მონასტრის კუთვნილი სარგო, მაგრამ შემდგომ იძულებული გამხდარა, კვლავ დაედგინა იგი (ამაზე ცოტა მოგვიანებით გვექნება საუბარი).

საერთოდ, საეკლესიო სენიორიაში შენირულება (ადგილმამული, ყმა-გლეხი, ძვირფასი ნივთები თუ სხვა) შედის იმ წმინდანის სახელზე, რომლის სახელობისაც არის ეს მონასტერი, იგია ქონების იურიდიული მფლობელიც. „საეკლესიო სენიორიებში ქონების იურიდიულ მფლობელად წარმოდგენილია ის წმინდანი ან ღვთაება, რომლის სახელობაზეც არის დაფუძნებული მონასტერი – „ძმობა“. ამ „პატრონის“ სახელზე შედის ყოველგვარი შენირულობანი, ნასყიდი და სხვ. მონასტერი – „ძმობა“ ახორციელებს იურიდიულ პირის ყველა უფლებას, იგი ქონების კოლექტიურ-კოლექციალური მფლობელია, მაგრამ მას არ შეუძლია საეკლესიო ქონების (ყმა-მამულის) გაყიდვა-გასხვისება (პრაქტიკულ მაგალითებში ამის არცერთი შემთხვევა არ ჩანს)“. ¹ „ვაჰანის ქვაბთა განგება“ პირდაპირ ამბობს, რომ არავის არა აქვს უფლება ძმათა ერთსულოვნების დარღვევისა და მონაგების მისაკუთრებისა. თითოეულ მონაზონს „საფასეთაგან ჩემთა (საუბარია მხარგრძელზე – ი.ტ.) მივეც... რაოდენიცა ენება და ითხოვა და ტრაპეზსა მიუდგინეო“, ² – აღნიშნავს მხარგრძელი. „ხოლო სიმრავლისა მართლმორწმუნეთაჲსა იყო გული და გონებაჲ და არავინ თქვს მონაგები მისი თვისად, არამედ ყოველივე აქუნდა საზოგადოდ“. ³

სამონასტრო მინათმფლობელობის ერთ-ერთი თავისებური და განსხვავებული სახეა „სამწირველო“. სამწირველო მატერიალურად უზრუნველყოფილია, მას ეკუთვნის ყმა-მამული, სოფლები, მაგრამ არც ეს არის განუსხვისებელი ქონება (ყოველ შემთხვევაში, მისი დაარსების საწყის ეტაპზე), ის მჭიდროდ უკავშირდება შემწირველს და ამ შენირული ქონების გასხვისების უფლება მწირველს არ მიეცემოდა, მოგვიანო პერიოდში (XVI-XVII-XVIII სს.) სამწირველოები დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფიან, თვითონ მწირველობა მემ-

¹ ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 100.

² ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 62.

³ იქვე.

კვიდრეობით მამიდან შვილზე გადადიოდა და ცხადია, სამ-
ნირველოები შეეცდებოდნენ კიდევ შენირულების სამემ-
კვიდრეო საკუთრებად გადაქცევას.

ასეთია შენირულების არსი და მისი განვითარების ეტა-
პები საქართველოში. მიწების შემნირველებად ძირითადად
მეფეები და დიდგვაროვანი ფეოდალური კლასის წარმომად-
გენლები გვევლინებიან.

ვანის ქვაბთა მონასტრის სამეურნეო-ეკონომიკური
აღორძინებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ
ფაქტს, რომ იგი მთელი ისტორიის მანძილზე ყოველთვის
გარკვეული ფეოდალური საგვარეულოს საკუთრებას წარ-
მოადგენდა. უფრო მეტიც, იგი ერთხანს სამეფო საკუთრე-
ბაც იყო.

ეკლესიის აღმდგენად, თავდაპირველ მეპატრონედ და
შემნირველადაც გურგენისძეთა ფეოდალური საგვარეულოს
წარმომადგენელი იჩქითი ჩანს. მას ჯერ კედელი აღუმარ-
თავს და დაუსვენებია ხატი მაცხოვრისა, ღვთისმშობლისა,
ნათლისმცემლისა და ჯვარი წმ. სვიმეონისა, შემდეგ კი
მთლიანად განუსრულებია ეკლესია და გურგენისძეთა „სამ-
კვიდრებლად“ (საძვალედ) უქცევია იგი: „ესე არს სამკვიდ-
რებელი ჩუენ გურგენათი. მე, იჩქითმან აღვაშენე.
შეგკნდნეს ღმერთმან“.¹ რამდენადაც გურგენისძეთა საგვა-
რეულო საკუთრებას შეადგენდა ვანის ქვაბთა მონასტერი,
ამ გვარის წარმომადგენლები იზრუნებდნენ კიდევ მის კე-
თილმონყობაზე, მეურნეობაზე, მატერიალურ უზრუნველ-
ყოფაზე. XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე უკვე იერუსალიმის
ჯვრის მონასტერში მყოფი გურგენისძე მაინც არ ივინყებს
ვანის ქვაბებს და წმ. მთავარმონამე გიორგის სახელზე სტუ-
დიერს გადაწერს.

ამრიგად, წუნდა-ვანის ქვაბების მფლობელი გურგენის-
ძენი განამტკიცებენ ვანის ქვაბთა მონასტერს, შემდეგ ეტაპ-
ზე მეფე ზრუნავს მის კეთილდღეობაზე, რომლის საკუთრე-
ბადაც იქცევა მონასტერი.

სამეფო მონასტრები ყოველთვის იყო მეფის ყურადღე-
ბის ცენტრში და მისი უზრუნველობის საგანს წარმოადგენ-
და. დავით აღმაშენებელმა თავის დროზე მათი მეურვეობა

¹ წარწერიანი ქვა ვანის ქვაბებიდან, ასპინძა, რუსთაველის მუზეუმი.

მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს მიანდო, მას უნდა ეზრუნა ასეთი ეკლესია-მონასტრების მატერიალური კეთილდღეობისათვის.¹ თვითონ მეფეები კი მათ ახალი შენირულობებით და სამეურნეო-საეკლესიო ხასიათის მშენებლობებით ამდიდრებდნენ. 1204 წ. ანტონ ჭყონდიდელმა ზღუდე აუშენა ვანის ქვაბთა მონასტერს. ეს მშენებლობა, რა თქმა უნდა, თამარ მეფის ბრძანებით დაიწყებოდა; სავარაუდოა, რომ მეფე გარკვეულ შესანიშნავ გაილებდა ქვაბებისათვის მამულების ან სხვა ძვირფასი ნივთების სახით; მონასტერს გარკვეული პრივილეგიებიც ექნებოდა, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მწერი მასალა ამის შესახებ დუმს.

XIII საუკუნიდან მოყოლებული ნელ-ნელა იწყება მონასტრის მეურნეობის გამსხვილება. ამ პერიოდში იგი უკვე თმოგველთა საგვარეულო მონასტრად და საგვარეულო საძვალედ იქცა, მათ ტიპიკონიც შეუდგინეს მონასტერს და მისი კეთილდღეობისთვისაც იზრუნეს. თმოგველებმა დადგინეს მონასტრის სარგო, რომელიც, როგორც წესი, პირნათლად სრულდებოდა. მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც ირღვეოდა კიდევ ეს წესი. სარგისს, მხარგრძელის შვილს „ბირებითა ეშმაკისათა“ უგულბელუყვია მამის დადგენილი და დაურღვევია ტიპიკონი. სარგო, რომელიც მონასტერს ეკუთვნოდა, შეუმცირებია (ან სულაც წაურთმევია), რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ხელნაწერში მე-4 კეფზე, იქ, სადაც მონასტრის წლიურ სარგოზეა საუბარი, მონაცემები ამოშლილია და სხვა ხელით არის ჩამატებული ციფრები. ამის შემდეგ სარგისს რაღაც უბედურება შემთხვევია, შეშინებია და მამის მიერ დაწესებული განგება კვლავ აღუდგენია: „... ბირებითა ეშმაკისათა გუენია და ვიგონეთ ეს და უგულმოდგინეთ საყუდარსა წლითი წლად მოგებაჲ მათი, დავსხედით და კულა განვანესეთ იგივე, რომელი ჩუენგან ეგებოდა და იგივე ბრძანებაჲ ჰავრევე მტკიცედ გავჰმართეთ...“²

როგორც ჩანს, რაღაც მიზეზი ყოფილა იმისა, რომ სარგისს მონასტრისათვის განკუთვნილი თანხის მიცემა შეუჩე-

¹ ანდერძი დავით მეფისა მღვიმისადმი, იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, 1984, გვ. 58.

² ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 58.

რება. ეს აუცილებლად მატერიალური დაქვეითების შედეგი უნდა ყოფილიყო. იყო შემთხვევები, როდესაც ეკლესიაზე შეწირულ მიწებს გალატაკებული ფეოდალები უკანვე ითხოვდნენ ხოლმე. ლ. მუსხელიშვილი სარგისის მოქმედებას მონღოლთა შემოსევების სირთულეებთან აკავშირებს. „XIII საუკუნეში ასეთი გაჭირება, ასეთი უეცარი გარდატეხა მხოლოდ მონღოლთა შემოსევას შეიძლება მოჰყოლოდა“,¹ — წერს იგი.

მონღოლთა მიერ შემოღებული გადასახადების წყალობით ძველი და დიდი საგვარეულოების წარმომადგენლები გაღარიბების კარამდე მივიდნენ. ისინი თითქმის უმინაწყლოდ რჩებოდნენ. ამ გაჭირვების დროს ეკლესია იყო ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც ჰქონდა ქონება, მიწები, შეუვალობა და რომელიც წელგამართული იდგა სილატაკის ზღვარზე მდგარი სხვა ფეოდალების გვერდით. ამ მძიმე უამს საქართველოს მთავრობას მიუმართავს გარკვეული ღონისძიებებისათვის, რაც ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შემსუბუქებას ისახავდა მიზნად. ეს ღონისძიება ითვალისწინებდა საეკლესიო ქონებიდან დაზარალებულებზე იმ ნაწილის გაცემას, რომელიც ეკლესიას საქართველოს მეფეთაგან ოდესმე შეწირულებად ჰქონდა მიღებული, თანაც იგი მხოლოდ საეპისკოპოსო საყდრებისა და მონასტრების შეწირულ ქონებას ეხებოდა. სამაგიეროდ ეს ქმედება საქართველოს ეკლესიის მესვეურებმა თავიანთი იურიდიული და ქონებრივი უფლებების შელახვად აღიქვეს: „საეკლესიო წრეებში მთავრობის ღონისძიება მიჩნეული იყო „შლად საყდართა საეპისკოპოზოთა“ და „მონასტერთა“, ე.ი. ეკლესიათა რღვევად და ყველა საეკლესიო მამულის თითქოს მიტაცებადა სთვლიდნენ. მაგრამ ასეთი ბრალდება, უეჭველია, ვნებათაღელვითა და მონინააღმდეგესთან საბრძოლველ საშუალებათა გაურჩევლობით იყო წარმოშობილი“.² მოსალოდნელი საფრთხისაგან თავდასაცავად 1263 წ. მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც მეფეს წარუდგინა მოხსენება და ულტიმატუმი.³ გაჭირვება ხშირად ჰქონია საქართველოს,

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, გვ. 15.

² ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VI, თბ., 1982, გვ. 354.

³ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, გვ. 168-174.

უარეს მდგომარეობაშიც ყოფილა, მაგრამ ამგვარი ღონისძიებებისათვის არასოდეს მიუშვართავს: „რომელსა დიდებულსა, ანუ აზნაურსა, ანუ დარბაზის ერსა, ანუ გლეხსა აქუს სიგელი, თქუენდა გვართაგან ბოძებული და, თუ ვის აქუს, არავის დაჰმალავს, — რად არავინ გამოაჩინა, რომე საყდართა სოფელი ვის ზედა გაცემული იყოს და ენეროს, თუნიერ ამისა, რომე თქუენ გაგიცემიან და გაგიბოძებიან სიგლითა?“¹

უამთააღმწერელიც აღნიშნავს ულუ-დავითის შესახებ: „ინყო შლად საყდართა საეპიზოპოპოზოთა, რომელნი სანატრელთა მეფეთა შესავალნი სოფელნი მიანიჭეს, გასცემდა, — ეგრეთვე მონასტერთა“.² ისტორიკოსის ეს სიტყვები ცხადყოფს, რომ საქართველოს მთავრობის ღონისძიება მეფეთაგან საყდრებისა და მონასტრებისათვის ყველა შეწირულ მამულს კი არ ეხებოდა, არამედ მხოლოდ ისეთებს, რომელნიც „შესავალნი“ იყვნენ. ამგვარად მეფისგან შეწირული შეუვალლობის მქონე ყოველი მამული, აგრეთვე კერძო პირთა შეწირული მამულები ხელშეუხებელი რჩებოდა და საყდართა და მონასტერთა „შლაზე“ ლაპარაკი მხოლოდ გაბოროტებული მონინალმდეგის დაუზოგავი ბრძოლის გამომჟღავნებად უნდა იქნეს მიჩნეული.³

ეკლესია მეფეთაგან შეწირული მამულების შეუვალობაზე უარს ამბობდა, საგადასახადო ტვირთის ზიდვასაც კისრულობდა, ოღონდ შეწირული მიწები შეენარჩუნებინა და გაცემული უკან დაებრუნებინა. ამით საეკლესიო კრებას იმ მთავარი მიზეზის მოსპობა უნდოდა, რომლითაც საქართველოს მაშინდელი მთავრობა საეკლესიოდ შეწირული მიწების გაცემის აუცილებლობას ამართლებდა. საბოლოოდ საეკლესიო კრება ულტიმატუმს უყენებდა ულუ დავითს: „თუ ღმერთი გურისხავს და მიუდრეკელი და წმიდად გონებაჲ თქუენი... მიდრკების, და ესე რაჲცა დაგუპირებია, მისნი მქმნელნი ვართ: — არცა მიჰრონსა გავჰქსნით, საქართველოჲსა ეკლე-

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, გვ. 173.

² უამთააღმწერელი, ასნლოვანი მათიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987, გვ. 142.

³ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 356.

სიათა დავჰბეჭდავთ, ხუცესთა დავაყენებთ წირვისა და ნათლისა და სამკუდროთა ზიარებისაგან”¹.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სარგისის ღონისძიება, „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მიერ დამკვიდრებულ ტრადიციულ წესსა და ჩვეულებას რომ არღვევდა, ერთადერთი შემთხვევა და იშვიათი გამონაკლისი არ ყოფილა სამონასტრო ცხოვრების ისტორიაში. საერო პირთა მიერ ცხოვრების პირობების დამძიმებით გამოწვეული საეკლესიო ტრადიციების დარღვევა საკმაოდ გავრცელებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე.

XIV საუკუნიდან მოყოლებული ვანის ქვაბთა საბუთებში შემწირველებად ჩანან სხვადასხვა საგვარეულოს წარმომადგენლები.

მესხეთში არსებული მძიმე და არეული მდგომარეობის გამო ვანის მონასტრის პატრონებად სხვადასხვა დიდგვაროვანი სახლის წარმომადგენლნი გვევლინებიან. მონასტერი, ისტორიული ვითარების შესაბამისად, ხელიდან ხელში გადადიოდა. აქ ვხვდებით სამცხე-საათაბაგოს ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი გვარის წარმომადგენლებს. ესენი არიან თმოგველები და რჩეულაშვილები, ლარიბასძენი და ჯაყელები, რომელთაც უზრუნიათ საკუთარი სულებისათვის და ამით ეკლესია-მონასტერში მუდმივი სამკვიდრებელი მოუპოვებიათ.

მონასტრის დაარსება, მისი მეურვეობა-პატრონობა საერო პირის მიერ თავისთავად კეთილშობილ საქმეს წარმოადგენდა. მონასტერი თვითონ შემწირველთა, მათი მშობლებისა და შვილების სულის მოსახსენებელ ადგილს, კერას წარმოადგენდა, სადაც მუდმივად, გარდაცვალებამდე და გარდაცვალების შემდეგაც აღევლინებოდა ცოცხალთა თუ გარდაცვლილ მეპატრონეთა სულის მოსახსენიებელი წირვალოცვა, სრულდებოდა აღაპები. აქ იქმნებოდა სულთა მატინანეები, ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული, ფილოსოფიური თხზულებანი, ხდებოდა თარგმნა, გადანერა. ყველა პირობა არსებობდა ასეთი საქმიანობისათვის და ეს მონასტრებიც კულტურულ და საგანმანათლებლო კერებად იქცეოდნენ ხოლმე. ასეთი ეკლესია იმავდროულად საგვარეულო

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. 1, გვ. 174.

საძვალესაც წარმოადგენდა. ვედრება სულიერი განწმენდისათვის, და საბოლოოდ, სულის ცხოვნება შემწირველთა ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო. ამიტომაცაა, რომ ფეოდალები, ხშირ შემთხვევაში, უშურველად იმეტებდნენ მონასტრისათვის მიწებს, გლეხთა ცალკეულ კომლებს, შესანიშნავ ფულისა თუ ნატურის სახით, მთელ ახალშენებს და ხშირ შემთხვევაში მთლიანად სოფლებსაც კი.

წლებისა და საუკუნეების მანძილზე ვანის ქვაბთა მონასტერი იზრდებოდა, ძლიერდებოდა მისი მეურნეობა და ეკონომიკა, მდიდრდებოდა შეწირულობით; სწორედნენ შესანიშნავ როგორც ნატურით, ასევე ფულადი კაპიტალისა და ადგილ-მამულების, სოფლების სახით. თუ XIII საუკუნეში მონასტერი გულშარშენის ზვარსა და ახალშენის ვენახებს ფლობდა მხოლოდ, XIV-XV საუკუნეებში მისი სამფლობლოთა რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდებოდა; აქ გვხვდება გარშემო მდებარე სოფლები: ტოლოში, მჭედლიუბანი, ფია, დიდკლდე, ციხეკნელი, კუარბი, მირაშხანი, ჭაჭკარი და სხვ. აგრეთვე ათეულობით გლეხთა ოჯახი ცალკეულ სოფლებში. ეს გლეხები საეკლესიო ყმა-გლეხებად იქცეოდნენ ხოლმე და ვალდებულნი იყვნენ მონასტრის სასარგებლოდ ეხადათ, როგორც ნატურალური გადასახადი, ასევე მომსახურებოდნენ შრომითი ბეგართაც. ისტორიული ვითარების შესაბამისად მონასტრის შეწირულებანი ხან იკლებდა, ხან იმატებდა.

რჩეულაშვილთა საგვარეულოს ვანის ქვაბების წმ. გიორგისათვის „გულშარშენის ქუშმეთ აბჯარეული ზუზრი შეუწირავს XIII საუკუნეში; XV საუკუნეში კიდევ უფრო დიდი სიმდიდრე გადაუციათ მონასტრისათვის: სოფ. ჭაჭკარში საზედაშედ ბერაულის მესამედი, სოფ. ვანისქვაბს – ირინაშვილი ერთი ძმა, სოფ. დმელიას ბაქელიძის ნახევარი. მართალია, ეს ყველაფერი ტრაგიკულ შემთხვევას განუპირობებია,¹ მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ გარკვეული ტერიტორია იქ მოსახლე გლეხებით მონასტრის კუთვნილებად იქცა. როგორც ვხედავთ, მონასტრის კუთვნილებაში გადადის, როგორც სო-

¹ ვინმე სულწაყმედელ დავითს უსამართლოდ მოუკლავს ძმისწული ლეონი და მისი დარჩენილი კუთვნილი „მამული ყოველი“ შეუწირავთ ვანის ქვაბებისათვის გარდაცვლილის სულის საოხად.

ფელი ან სოფლის ნაწილი, ასევე მისი მკვიდრნიც თავიანთი სარგო მიწის ნაკვეთით.

შედარებით უხვ შემწირველებად გვევლინებიან ღარიბასძენი. მურვან ღარიბასძემ ვანის ქვაბთა საღვთო კრებულს თავისი ნასყიდი მკვიდრი მამული მიუძღვნა – „ხარაკია, მისითა მზღვრითა, მთითა და ბარითა, შესავალ-გამოსავლითა“, ტოლოშს – ორი ვენახი; ალალი შრომით შესყიდული ერთი მამული ორხოფიას როტაშაული „მისითა მთითა, ბარითა, მზღვრითა, ჭალითა, წყლითა, წისქულითა საწმარითა და უჭმარითა“, ახალშენი – მალნარას „იგიცა ნასყიდი და მოუდევარი“, ორი ყანა სოფ. ფიაში „იგიცა ნასყიდი და მოუდევარი“, საკუთარი „ნასყიდი“ მამულების მესამედი სოფლებში: კუნელეთში, დიდკლდეში, ციხეკნელში, კუარბში; ღარიბასძეთა რძლებმა მჭედლისუბნიდან ერთი ყანა შესწირეს, ტოლოშიდან – ვენახი, ეს უზარმაზარი შეწირულება უნდა ყოფილიყო გამოსასყიდი იმ ცოდვებისა, რომელიც ღარიბასძეებს უტარებიათ ოდესმე. მათ უფრო შორსაც გაუხედავთ: „და თუ ჩემისა სახლისა ქალმან ანუ სძალმან ჩოჯათა ჩაცუმად მოინდომოს, ამა მესამედსა მას მიუძღუანებდით“, ¹ – აღნიშნავს მურვან ღარიბასძე და გარკვეულ სარგოსაც აწესებს.

ესოდენ შეწირულებათა ბაზაზე საკმაო სიმდიდრე უგროვდებოდა ვანის ქვაბებს. მეურნეობას – მოწყობა, შემოსავალს კი გამოყენება სჭირდებოდა. სამეურნეო საქმიანობის სრულყოფისათვის საჭირო იყო ფულადი შემოსავალიც. ნატურალური გამოსაღების გვერდით ფულიც აუცილებელია მონასტრისა და ღვთის მსახურთა გარკვეული საჭიროებისათვის. „ვაჰხანის ქვაბთა განგების“ მინაწერში ვხვდებით სხვადასხვა სახის ფულად გადასახადს, რომელიც საქართველოს ამ მხარეში არსებობდა და რომელსაც მონასტრის შესანიშნავად იყენებდნენ საათაბაგოს განმგებელნი. ეს გადასახადები იყო „ტამლი“ (ტამლა) და სათათრო მალი. ორივე სახეობა მონღოლური გადასახადებია და მონღოლთა ბატონო-

¹ თ. ჟორდანიას, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა, თბ., 1896, გვ. 46.

ბის გადავარდნის შემდგომაც, როგორც ჩანს, კარგა ხანს არსებობდა.

ტამლი (როგორც წყაროშია მოხსენებული) ანუ ტამლა (დამლა) იყო სავაჭრო გადასახადი სამი პროცენტის რაოდენობით. იგი მონღოლთა სახელმწიფოს ძირითად გადასახადს და ხაზინის შემოსავლის უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა; დაწესდა XIII ს. 70-იანი წლებიდან. ვინაიდან მეტად მძიმე სამონღოლო გადასახადია, ამიტომ არაერთხელ ყოფილა ცდა „ტალმის ამოგდებისა“, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია.¹ ტამლა ერთ ხანს კიდევ იყო შენარჩუნებული მონღოლთა „ნაბატონარ“ ქვეყნებში, როგორც ნაშთი მათი ერთ დროს არსებული ბატონობისა. პატრონი ივანე ქვაბებს სწირავს 1500 თეთრს თავისი „საპატრონოსა ტამლისაგან თმოგუს“. მეტალმეებს (გადასახადის ამკრეფნი იგულისხმებიან – ი.ტ.) თმოგვში აკრეფილი ეს ფულადი გადასახადი უნდა მიეტანათ მონასტერში, სადაც მუდმივად ენთებოდა ერთი კანდელი პატრონი ივანეს სულის „საჯსრად“.

„მალი“ ეწოდებოდა სოფლის მეურნეობაზე დადებულ გადასახადს. იგი აიღებოდა როგორც ნატურით, ისე ფულად. „მალი“ გვხვდება ქართულ და სომხურ წყაროებში „ხარკის“ სახელწოდებითაც. საინტერესო ფაქტია, რომ უფრო გვიანაც, XV საუკუნეში, როცა საქართველოში მონღოლები უკვე აღარ იყვნენ, „მალს“ შემორჩა სახელმწიფო ფულადი გადასახადის (ძველი „სამეუფეო ხარკი“) და ამასთან, უცხო დამპყრობლის სასარგებლო გადასახდელის, ხარკის მნიშვნელობა. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ მონღოლური ხარკის შემადგენლობაში „მალს“ მთავარი ადგილი ეკავა და ამიტომ ქართველები „მალს“ ზოგადად ხარკსაც ეძახდნენ.²

სათათრო მალი XV-XVI სს-ში მესხეთის სოფლებში საკმაოდ გავრცელებული გადასახადი ყოფილა, რომელიც, როგორც ჩანს, ათაბაგთა ხაზინის შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა. „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მე-

¹ ტამლის შესახებ დანვრილებით იხ.: რ. კიკნაძე, თამლა ილხანთა სახელმწიფოში, აღმოსავლური კრებული, I, თბ., 1960, გვ. 93-100.

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, რედ.: ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა; თბ., 1979. გვ. 560; ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს., თბ., 1958.

11, მე-13 და მე-15 მინაწერებით ათაბაგები ჭაჭკრულ სათათრო მალს სწირავენ ვანის ქვაბთა მონასტერს. ამ შეწირული თანხით კანდელაკს უნდა შეესყიდა ზეთი და ეზრუნა, რომ ეკლესიაში „უკლებლად ყოველთა წელიწადთა“ სანთელი ანთებული ყოფილიყო. აღნიშნული მინაწერები XV-XVI საუკუნეებისაა. სოფ. ჭაჭკრის მოსახლეობისაგან აკრეფილი გადასახადის ეს სახეობა აღნიშნულ საუკუნეებში ვანის ქვაბთა მონასტრისათვის უნდა მიერთმიათ სისტემატურად ათაბაგთა სახლის წევრთა სულის „საცოდ“, „სადღეგრძელოდ“ და „საწსრად“.

ამგვარად, შეწირულობათა წყალობით, ვანის ქვაბთა მონასტრის საკუთრებაში თავს იყრიდა საკმაოდ დიდი სიმდიდრე: ადგილ-მამულები, სოფლები, ძვირფასეულობით შემკული ხატები, ფულადი შემოსავალი. ეს ყოველივე სრულიად საკმარისია დამოუკიდებელი მეურნეობის საწარმოებლად. მართლაც, ისევე როგორც საქართველოს სხვა დიდ თუ პატარა მონასტერს, ვანის ქვაბებსაც ჰქონდა თავისი მეურნეობა, რომელიც წლებისა და საუკუნეების მანძილზე თანდათან იზრდებოდა. თანდართული რუკა (დანართი 1) უტყუარი საბუთია იმისა, თუ რაოდენი ტერიტორიების მფლობელია ვანის ქვაბთა მონასტერი. სამონასტრო სამფლობელოები უზარმაზარ ტერიტორიაზეა გადაჭიმული. აქვეა შეწირულ სამფლობელოთა სია დალაგებული შეწირვის დროის ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. ირკვევა, რომ ვანის ქვაბთა სამფლობელო სრულიად კომპაქტური ტერიტორიაა საკმაოდ ვრცელი საზღვრებით. ამ საზღვრებში შედის, ბუნებრივია, შეწირული სოფლების მიმდებარე ტყეები და საძოვრებიც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვანის ქვაბთა შეწირულობებში ვხვდებით სოფლებსაც, ყმა-გლეხთა ცალკეულ კომლესსაც. როგორი იყო მათი ექსპლოატაციის ფორმები?

საერთოდ, ურთიერთობა მონასტერსა და მის საყმო მამულს შორის „ბატონყმობის რიგით“ იყო მონესრიგებული, რაც საზოგადოდ, ერთნაირი იყო მამულის მფლობელი მონასტრებისათვის, მაგრამ თითოეული ცალ-ცალკე მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებითაც გამოირჩეოდა, ამას

¹ თ. ჟორდანიას, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

განაპირობებდა მამულის ადგილ-მდებარეობა, ტერიტორიების ოდენობა, მონასტერში გაბატონებული წეს-ჩვეულებები და სხვ. ყოველ ეკლესია-მონასტერში მოქმედი კანონი ითვალისწინებს მისთვის (მონასტრისათვის) დამახასიათებელ ყველა თავისებურებას, რისი ასახვაც ხდება მონასტრის ტიპიკონში ან კიდევ უკვე დოგმად ქცეულ წესებსა და ადათებში, რომლებიც შეიძლება არცერთ წერილობით ძეგლში არ იყოს ფიქსირებული, მაგრამ მისი შესრულება „ძმობის“ ყოველი წევრის ვალდებულებაა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მონასტრის ტიპიკონი საქართველოში სრული სახით მხოლოდ ერთადერთი გვაქვს („ვაჰანის ქვაბთა განგება“), მოღწეულია აგრეთვე ორი ძეგლი ნაწყვეტების სახით და რამდენიმე ცნობა ამა თუ იმ ტიპიკონის არსებობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორია მოფენილი იყო ეკლესია-მონასტრებით, როგორც აღვნიშნეთ, წეს-ჩვეულებათა სრული კრებული ტიპიკონის სახით ყოველ მათგანს არ გააჩნდა. შესაძლოა, უამთა სიავეს ვერ გადაურჩა ეს ძეგლები, მაგრამ ფაქტია, რომ ადათების დაკანონების ზეპირი (ტრადიციული) ფაქტორიც დიდ როლს ასრულებდა მონასტრების ცხოვრებაში.

ვანის ქვაბთა მონასტრის სამფლობელოებს, ყმა-მამულებს ვეცნობით მხოლოდ და მხოლოდ „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებით, სხვა წყარო ჩვენთვის უცნობია. ამიტომ ვანის ქვაბთა მონასტერში დადგენილი „ბატონყმობის რიგი“, ყმა-გლეხთა მდგომარეობის სურათი, მათი უფლებამოვალეობანი მხოლოდ ამ მცირე მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია აღვადგინოთ.

ვანის ქვაბთა მონასტრის მამულები, რომლებზეც ყმა-გლეხები ისხდნენ და მონასტრის სასარგებლოდ იხდიდნენ ღალას თუ ბეგარა-ვალდებულებებს, შეწირულ და აქედან გამომდინარე, მონასტრის სათავისთავო მამულებს წარმოადგენდა.

ასეთი მამულები საბეგრო მამულებია. გარდა ამისა, ვანის მონასტერზე შეწირულია აგრეთვე ზვრები, ვენახები, ახალშენები, ყანები. ეს ის ტერიტორიებია, რომლიდან აღებული მოსავლიდანაც უნდა დაეყენებინათ შესანიერი ღვინო („ზედაშე“), გამოეცხოთ პური და დაემზადებინათ ყველაფერი, რაც წირვის რიტუალისათვის იყო საჭირო. ეს ყანები,

ზვრები, სახნავ-სათესი მიწები უნდა დამუშავებულიყო ბეგრის მუშით, ანდა გაცემულიყო იჯარით, რისთვისაც ღალას გადაუხდიდნენ მონასტერს. რაც შეეხება მონასტრის „ძმობის“ რჩენას, მის გამოკვებას და ჩაცმა-დახურვას ითვალისწინებდა თავიდანვე მონასტრის მეპატრონე თმოგველების მიერ შენირული ადგილ-მამულების დამუშავება. მონასტრის ბერ-მონაზვნებს მიეცათ მხარგრძელისაგან „ორნატნი, აგარაკნი და ვენაწნი, რაფთა აქუნდეს“. „ამათ საფასეთაგან ჩემთა მივეც (ს...დი) თითოეულსა რაოდენიცა ენება და ითხოვა და ყოველი იგი ტრაპეზსა მიუდგინე“, – აღნიშნავს მხარგრძელი.

XIII საუკუნიდან მოყოლებული, მონასტრის სასარგებლოდ შენირვა ხდება არა მხოლოდ მთლიანი ობიექტების, არამედ ცალკეული კომპლექსისა და მამულების სახითაც. XIV საუკუნეში მურვან ღარიბასძეს შეუწირავს სოფ. ორხოფიას ერთი მამული როტაშაული, მამულზე, როგორც ჩანს, „როტაშაანი“ ისხდნენ. მათვე დაევალებოდათ ამ მიწის დამუშავება და აღებული მოსავლის ეკლესიის სასარგებლოდ გაღება. აქედან გამომდინარე, როტაშა მისი მემკვიდრეებით მონასტრის მებეგრე გლეხია. როტაშაულის მიმდგომი მთა, ბარი, „ზღვარი“, ჭალა, ნყალი, ნისქვილი, „საწმარი და უწმარი“ ყველა ვანის ქვაბების საკუთრება უნდა გამხდარიყო.

ასევე მებეგრე გლეხებია სოფელ ერკუატას კვირიკას ორი ძე, ევატას ძე ჟამიერაჲ, ორკალოსძის ოჯახი, სოფელ ჭაჭკარში – ბერაულები, სოფელ განძასხევის მევენახე და სხვ.

სოფელ ერკუატაში კვირიკას ძეებს ევალებოდათ 46 ჩაფი ღვინის და ორი გრივი პურის გაღება სატრაპეზოდ, იმავე სოფელში ევატას ძე ჟამიერა 14 ჩაფი ღვინითა და 7 კაბინი წმინდა პურითაა დაბეგრილი, სოფ. აგარას ორკალოსძის ოჯახს უნდა გადაეხადა სამი გრივი პური („ნახევარი წმიდა და ნახევარი ქერი“).

ენუქ და ალფეზ რჩეულაშვილებმა XV საუკუნეში სოფელ განძასხევს ვენახი და მევენახე შესწირეს. მევენახეს ევალებოდა ამ ვენახის მოვლა-პატრონობა და მოსავალი ბეგარად მიითვლებოდა მონასტრისათვის. აღნიშნული მევენახე მონასტრის მებეგრე გლეხია, რომელმაც ყოველწლიურად უნდა უხადოს გადასახადი ვანის ქვაბთა მონასტერს, გადასახადის

რაოდენობა დოკუმენტში მინიშნებული არ არის; სავარაუდოა, რომ რადგანაც ვენახი შეწირულია მონასტერზე, ამ ვენახიდან აღებული მოსავალი ჩაითვლებოდა შეწირულად, მევენახის განეული შრომა – სავალდებულო შრომით ბეგარად.

სოფელ ჭაჭკარში შეწირულია ბერაულის მამულის მესამედი თავისი სახლით. ბერაულის ოჯახი ვალდებულია თავისი მამულიდან აღებული მოსავლის მესამედი მონასტერს გადაუხადოს „ზედაშეს“ სახით და „სახლითაც“ ემსახუროს. „სახლის“ შეწირვა „სახლობის“ შეწირვას გულისხმობს. ბერაულთა „სახლობა“ ანუ მთელი ოჯახი მონასტრის საკუთრებაა და ოჯახის ყოველი წევრიც ვალდებულ მებეგრეს წარმოადგენს.

ვანისქვაბის დასახლებაში მებეგრე გლეხია ერთი ძმა ირინაშვილი, იგი „მესამედი [თა მამულ]ითა“¹ ეკუთვნის მონასტერს, ასევე – სოფელ დმელიას გლეხ ბაქელიძის ნახევარი მამული თავისი ვენახით და ფარნაოზა და ელისაჲ ნახევარი მამულით. მინიშნებული გლეხები აღნიშნული მამულებიდან მიღებული მოსავლით სამონასტრო გადასახადს იხდიან, ამით ისინი მონასტრის მებეგრე გლეხები არიან. ჩვენს ხელთ არსებული მასალები საშუალებას არ გვაძლევს დავადგინოთ, მხოლოდ ამ გადასახადით კმაყოფილდებოდა მონასტერი თუ სხვა დამატებით გადასახადსაც შეანერდა ხოლმე გლეხებს. საფიქრებელია, რომ ისინი, მით უფრო სახლით ანუ ოჯახით შეწირული გლეხები, სხვა შრომითი ბეგართაც ემსახურებოდნენ მეპატრონეს.

ვანის ქვაბთა მონასტერზე, როგორც აღვნიშნეთ, გარდა ცალკეული ყმა-გლეხებისა, შეწირულია აგრეთვე ბალ-ვენახები, სახნავ-სათესი მიწები. XIII-XV საუკუნეებში ასეთი ტერიტორიები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ეს ხოდაბუნები უნდა დამუშავებულიყო დაქირავებული მუშახელით ანუ, როგორც უნოდებდნენ – ღალის მუშით. ღალის მუშა შეიძლება ყოფილიყო, როგორც მონასტრის საკუთარი „მამულიანი“ ყმა, ასევე მის ყმობაში შესული უმინანყოლო გლეხიც, რო-

¹ თ. ჟორდანიას მიერ მინანერის ტექსტი შემდეგნაირად იკითხება: „მესამედი...ლითა“, ვ. სილოგავა დამატებით „თა“ მარცვალს ამატებს გამოტოვებულ ადგილას და ტექსტი ასეთ სახეს იღებს: „მესამედი[თა]...ლითა“. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ აქ უნდა იყოს „მესამედი[თა მამულ]ით“.

მელიც დაამუშავებდა მონასტრის კუთვნილ სავარგულებს და გადაიხდიდა გადასახადს ლალის სახით. ვანის ქვაბების საღალო მამულები ძირითადად ვენახებია, ვხვდებით აგრეთვე ყანებს, კალოებს, „საბარავ“ მინებს, ზვრებს, ახალშენებს.

ვანის ქვაბთა მონასტრის ყმათა შორის გვხვდებიან ალაპის ვალდებული გლეხები. ტიპიური მეღაპე გლეხია ის, რომელსაც ალაპის მეპატრონე გარკვეულ პირობებს უქმნის, მეღაპე გლეხი ვალდებულია ალაპისათვის განკუთვნილი ნატურალური გადასახადი გადაიხადოს და იმავდროულად მოანესრიგოს ალაპის ჩატარების ორგანიზაცია (გარეცხოს ქვევრი, დააყენოს ღვინო საზედაშედ, მოანესრიგოს სააღაპე სხვა ჭურჭელი...). ზოგჯერ მთელ სოფელს ევალება ალაპი. „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მეორე მინაწერში ღარიბასძეთა რძლებმა თავიანთი ქმრებისათვის შეუკვეთეს ორი ალაპი და სააღაპედ გაიღეს „მჭედლისუბნას – ერთი ყანა და ტოლოშს ვენაჴი“. აქ უშუალოდ არაა მითითებული მეღაპე გლეხის შესახებ, მაგრამ უცილობლად ივარაუდება. რადგანაც მამულს სწირავს სააღაპედ შემწირველი, იქვე რომელიმე გლეხის ოჯახსაც დაევალებოდა როგორც ამ ყანისა და ვენახის მოვლა-პატრონობა, ასევე აღებული მოსავლის ჩაბარებაც ეკლესიაში ალაპის დღეებში (ეს დღეებია „ანინას მუცლადღებისა და მეორე დღე მნაეთი“). ეს იქნებოდა ორი გლეხის შესასრულებელი ინდივიდუალური ალაპი, რადგანაც ერთი ყანისა და ერთი ვენახის დამუშავენას არ დასჭირდებოდა მთელი სოფლის გლეხოზა. ორი გლეხი: ერთი – მჭედლისუბანს და მეორე – ტოლოშს ადვილად გადაიხდიდა აღნიშნული ალაპის ვალდებულებას, სამაგიეროდ, მათ გარკვეული პრივილეგიებიც მიენიჭებოდათ (მაგ., გათავისუფლდებოდნენ სხვა გადასახადისაგან, მიიღებდნენ გარკვეულ ნორმას საკომლოს სახით და სხვა.).

საინტერესოა XV საუკუნის უღულაშვილების მინაწერი, რომელიც ნასყიდობის სიგელს წარმოადგენს. კანდელაკიშვილ ბასილასა და მის ძმებს უღულაშვილ გოგინასა და ბატატასაგან უყიდიათ ჯალაბადინის ტბაზე ყორიანი ყანა „ხუთისა დლისა ნასყიდობითა“, დოკუმენტი გაუფორმებია დაყუდებულ ხიმშიაშვილს.

რა საერთო აქვს ორი გლეხის ნასყიდობის სიგელს ვანის ქვაბებთან და „ვაჰანის ქვაბთა განგებასთან“? ერთი რამ

ცხადია, რომ როდესაც რაიმე ხელშეკრულება ფორმდებოდა, მისი შესრულება ხდებოდა მინანერის სახით ისეთ დოკუმენტზე, რომელსაც ძალა არ დაეკარგებოდა. ეს ხდებოდა დოკუმენტის (ამ შემთხვევაში – მინანერის) სიმტკიცის მიზნით. ჩვენს შემთხვევაში, როგორც ჩანს, ამ ორი გლახის ოჯახი კავშირშია ვანის ქვაბებთან. კანდელაკიშვილი თავისი ნარმომავლობით აუცილებლად ეკლესიის მსახურის – კანდელაკის ჩამომავალი უნდა იყოს. შესაძლოა, ძმები ულულაშვილებიც ვაჰანის მონასტრის ყმები იყვნენ. ისინი აზნაურთა კატეგორიას არ ეკუთვნიან. რამდენადაც ყმა-გლახი მინის მესაკუთრედ არ ითვლება, მას მინის გასხვისების უფლებაც არა აქვს. აბა, რაშია საქმე? ყოველ მონასტერს თავისი ინდივიდუალური წესი ჰქონდა. მაგ., მამულების ყიდვა-გაყიდვის მოსაწესრიგებლად „საგარეჯო“ ტერიტორიაზე ასეთი კერძო წესი მოქმედებდა: გარეჯის ყმა უფლება ეძლეოდა მამული გაეყიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი იქვე „საგარეჯოში“ მოსახლე მეფის ან გარეჯის ყმაა, წინააღმდეგ შემთხვევაში ნასყიდობას ძალა არ ჰქონდა.¹ შესაძლებელია, ამისი მსგავსი კანონი მოქმედებდა ვანის ქვაბებშიც. დოკუმენტში მოხსენებული ორივე პირი – მყიდველიცა და გამყიდველიც ან მონასტრის ყმები უნდა ყოფილიყვნენ, ანდა მონასტრის მსახურნი, რომელთა შორისაც მამულის ყიდვა-გაყიდვა დასაშვებია. მაგრამ ტიპიკონის მე-7 თავი კრძალავს „მამულოვნობით“ ქონებას მონასტრის მსახურებზე. არავის აქვს უფლება სამემკვიდრეოდ მიისაკუთროს ვენახი, ყანა ან სხვა რომელიმე „მამული“. „ამისათვისცა მოვსპე მამულობით ქონებად აგარაკთა, ვენაჯთა და თუნდა ორნატთა, რაძთა (არ გახდეს იგი) მიზეზი ნივთმოყუარებისაჲ და საძაგლისშეძინებისაჲ, ვაჭრობისა და მოფარდულობისაჲ“.²

რადგანაც ეს კანონი ტიპიკონისა კრძალავს მამულის ქონების უფლებას და აქედან გამომდინარე, ყიდვა-გაყიდვის უფლებას მონასტრის მსახურებს, მონასტრის ძმებს შორის, ამიტომ აღნიშნულ მინანერში მოხსენებული პირები მონასტრის მსახურები ვერ იქნებოდნენ, ისინი უფრო მონასტრის

¹ ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 107.

² ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 81.

ყმა-გლეხები უნდა ყოფილიყვნენ და იქვე ნახსენები ტერიტორია – ჯალაბადინის ტბაზე ყორიანი ყანა – ვანის ქვაბთა მონასტრის ქონება-მამული უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებით შეიძლება გავარკვეოთ მონასტერში გაბატონებულ ყმა-გლეხთა ექსპლოატაციის ფორმები. ვანის ქვაბთა მონასტრის ყმებში შეიძლება სამი კატეგორიის გლეხი გამოიყოს: მებეგრე გლეხები, ღალის მუშა და მეალაპეები. სამივეს ვალდებულება ფეოდალური ხანის საქართველოში გარკვეულია და „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებში მოხსენებული გლეხები ამ ფეოდალური სამყაროს ტიპიური წარმომადგენლები არიან.



ვანის ქვაბთა მონასტრის მეურნეობაში წამყვანი დარგი მინათმოქმედება იყო საკმაოდ კარგად განვითარებული მევენახეობით. ადგილ-მამულებს, შეწირულ მიწებს, ბალ-ბოსტნებს ამუშავებდნენ, იღებდნენ ჭირნახულს, ვენახებიდან და ზვრებიდან აღებული ყურძნის მოსავლიდან კი ღვინო ინურებოდა „საზედაშედ“. ახლომდებარე თუ მოშორებულ ათობით სოფელში ბალ-ვენახებს, ახალშენებს, დამუშავებულ ადგილებს ფლობდა ვანის მონასტერი და მოსავალიც დიდი უნდა ჰქონოდა, ისე, რომ, მოხმარების საჭიროებას აღემატებოდა. იგი უზრუნველყოფდა ეკლესიისა და მის მსახურთა ყველანაირ აუცილებლობას და დარჩებოდა კიდევ იმისათვის, რომ მონასტერს სხვა მიწები შეესყიდა და სხვა ოპერაციებიც ეწარმოებინა: გაეყიდა თავისი საქონელი, გაცვალა სხვა მისთვის საჭირო ნივთებზე, ანდა საერთოდ, ფულად ექცია თავისი ნატურალური შემოსავალი და შემდეგ, სავარაუდოა, რომ ისევე როგორც სხვა მონასტრები (მაგ. შიომღვიმე), მევახშეობისათვის მიეყო ხელი. მით უფრო, რომ ფულადი მეურნეობის ხვედრითი წილი ვანის ქვაბების მთელ შემოსავალში საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო, „უნდა ითქვას, რომ საქართველოს მონასტრებში შედარებით საერო

სენიორებთან, მეტად მაღალ დონეზე იდგა სასაქონლო-ფულადი მეურნეობა“.¹

ტიპიკონსა და მის მინანერებში არაფერია ნათქვამი მონასტერში მესაქონლეობასა და მეურნეობის სხვა რომელიმე დარგის განვითარებაზე, მაგრამ საფიქრებელია, რომ საქონელი მრავლად უნდა ჰყოლოდათ, ვინაიდან ამ მხარეში მესაქონლეობა ყოველთვის წარმოადგენდა მეურნეობის მთავარ ნამყვან დარგს.

საქართველოს მონასტრებს თითქმის ყოველთვის ჰქონდათ სავაჭრო დუქნები, ფარდულები, წისქვილები, ზეთსახდელები; აწარმოებდნენ გაცხოველებულ ვაჭრობას და ალბომიციემობას. ყოველივე აქედან გამომდინარე ჩნდებოდა და დროთა განმავლობაში იზრდებოდა ეკლესია-მონასტრების კერძო საკუთრება.

ფლობდა თუ არა ასეთ სავაჭრო დუქნებს ანდა სხვა დაწესებულებებს ვანის ქვაბთა მონასტერი, ჩვენს ხელთ არსებული წყაროებიდან უცნობია, მაგრამ, სავარაუდოა, რომ მზარდი მეურნეობის პირობებში იგი საკმაო სიმდიდრის პატრონი უნდა გამხდარიყო.

მონასტრის საკუთრებაში თავმოყრილ სიმდიდრეს – პატრონობა, მამულებს კი მართვა ესაჭიროებოდა. როგორი იყო მამულის მართვის ორგანიზაცია ვანის ქვაბთა მონასტერში?

მონასტერი ფეოდალური ორგანიზმის ერთი შემადგენელი ნაწილია. ეს არის კორპორაცია, რომელიც ადმინისტრაციულად მართვას ექვემდებარება. ცალკე ორგანიზაცია ესაჭიროება მონასტრის „ძმობას“ შიგნით, ეს „ძმობა“ ხომ საკმაოდ რიცხოვანი წევრებისაგან შედგება; სხვა მხარეა მეურნეობის გონივრულად წარმართვა, მამულების მართვის ორგანიზაცია, მონასტერი ხომ იმავდროულად, სამეურნეო ძმობასაც წარმოადგენდა, მას თავისი საკუთრება ჰქონდა – მოძრავიც და უძრავიც. მართალია, ეს ქონება თითოეული ბერის კერძო კუთვნილება არ იყო, მაგრამ მაინც საკუთრებას წარმოადგენდა (საზოგადო საკუთრებას) და თითოეულ მონაზონს წილი ედო ამ ქონებაში.²

¹ ბ. ლომინაძე, შიომღვიმე, თბ., 1953, გვ. 38.

² ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VII, გვ. 34.

მამულების მართვა ქართული მონასტრებისათვის არ უნდა ყოფილიყო სხვა ფეოდალური ერთეულებისაგან (ზოგადად საბატონო) განსხვავებული, ვინაიდან ისიც ფეოდალური სამყაროს ნაწილია, ამიტომაც იგი ფეოდალური სისტემისათვის დამახასიათებელ ყველა კანონს ემორჩილება, რა თქმა უნდა, თავისებურებებიც მრავლად აქვს, რაც, გარკვეულწილად, პრივილეგიებულს ხდის მის მდგომარეობას.

ვანის ქვაბთა მამულების მართვის შესახებ ზოგადად ნათქვამია „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“, კერძო შემთხვევები აქ განხილული არ არის. ავტორი ამბობს: „სოფელთა და აგარაკთა შინა მონასტრისათა სანიადაგოდ ჴელისუფლად ნუმცა დაიდგინების მონაზონი, არამედ ერისკაცნი დაიდგინებოდნენ მოძღურისა და კრებულისა ბრძანებითა, და უკუეთუ ოდესმე ეგევითარი რამე საქმე დაემართებოდის, რომელ ერისკაცითა არ გაიმართვოდის და დიდი იკონომოსი უცალო იყოს სხუათა რათმე სამუშაოთა და საურავთაგან და მონაზონსა დაემართებოდის წასულად, მწირთაგანი გაიგზავნებოდინ ყოვლითკერძო გამოცდილნი და ყოველთაგან წამებულნი პატიოსნებისათჳს და მოღუანებითისა ცხორებისა მათისა, მჴცოანნი ჰასაკითაცა და გონებითა. ესევეითარნი წარვიდოდენ, უკუეთუ საჭიროდ საჭმარიყვნენ სამსახურად მონასტრისა“.¹

მონასტრის საკუთრებაში მყოფ სოფელთა და სახნავ-სათეს მიწათა მმართველად ინიშნება არა მონაზონი, „ძმობის ნეერი“, არამედ ერისკაცი რომელიმე, რომელიც მოვალეობას შეასრულებს მოძღვრისა და ეკლესიის კრებულის ბრძანებით. მას ეკისრება პასუხისმგებლობა მამულების მართვასთან დაკავშირებულ ყველა საქმეზე. ეს უნდა ყოფილიყო ეკლესიის ნდობით აღჭურვილი პირი, რომლის პატიოსნებაშიც მონასტრის ძმობა იჭვს არ შეიტანდა. თუ რაიმე ისეთი საკითხი აღიძრებოდა, რომელიც ერისკაცობით ვერ განისჯებოდა, მაშინ დიდ იკონომოსს ევალებოდა საქმის განხილვა; თუ ისიც მოუცლელი იქნებოდა, მწირთაგან რომელიმეს დაევალებოდა აღნიშნული საქმის წარმოება. ეს მონაზონი ყოველმხრივ გამოცდილი, ჭკვიანი კაცი იქნებოდა. ამგვარი პირნი, საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის მზად უნდა

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 80-81.

ყოფილიყვნენ „სამსახურად მონასტრისა“. მღვდლები, მთავარდიაკვნები და დიაკვნები ამგვარი საქმიანობისაგან გათავისუფლებულნი იყვნენ; ისინი საღმრთო დიდებისმეტყველებისაგან არ უნდა მოცდენილიყვნენ, მათი საქმე მხოლოდ წირვა, ლოცვა და ღვთის სამსახური უნდა ყოფილიყო, მათ სინძინდესა და კეთილშობილებას სათნოება და ღმრთის სიყვარული უნდა ჩაენერგა მრევლისათვის, სწორედ ამიტომაც იკრძალებოდა მონასტერში თითოეული მწირისათვის „მამულობით ქონებაჲ“ აგარაკთა, ვენაქთა, „ორნატთა, რათა „ანგელოზებრივი მოქალაქეობის“ წესი არ მოშლილიყო და არ გადაქცეულიყო იგი ნივთმოყვარეობის, ვაჭრობისა და ანგარების მიზეზად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონასტერს სამემკვიდრეო საკუთრება კი ჰქონდა მამულების სახით, მაგრამ თითოეული მონაზონისათვის ეს იყო საზოგადო საკუთრება და არა კერძო, მისეული. კერძო საკუთრების გაჩენას შეეძლო დაერღვია ის სულიერი ჰარმონია, ადამიანის, და მით უფრო, ეკლესიის მსახურის ფსიქიკაში რომ არის გამჯდარი. საკუთრების თვალსაზრისით, არავის აქვს უფლება სენაკის, აგარაკის, ვენახის ან სხვა ნივთის დასაკუთრებისა. საერისკაცო ქვეყნის საქმეები მათი ინტერესების მიღმა რჩება. ამ ქვეყანაზე მათ ჰყავდათ დედაც, მამაც, დაც, ძმაც, მაგრამ რადგანაც ისინი აქ, მონასტერში მოვიდნენ, მათი ფიქრი და საზრუნავი ამიერიდან ღმერთისა და სულის მსახურებაა. „მყავდნენ და ყველას გამოვეთხოვე, აქ მოველ და ღმერთს შევწირე თავი“, – აი, მიზანი ბერ-მონაზონთა ცხოვრებისა.

როგორც გაირკვა, ვანის ქვაბთა მონასტრის ადგილ-მამულებს მართავს და განაგებს მონასტრის მიერ დანიშნული საერო კაცი, რომელიც პასუხისმგებელია მონასტრისა და სამონასტრო ძმობის წინაშე. თუ რაში მდგომარეობს მისი სამსახური, უფლება-მოვალეობანი, ამაზე ტიპიკონში საუბარი არ არის, მაგრამ აქაც მამულის მართვის ორგანიზაცია უცილობლად სხვა მონასტრის მამულების მართვის იდენტური იქნება. მართალია, სხვადასხვა მონასტრის მამულის მართვის ორგანიზაციაში ნაირფერობა შეიმჩნევა, მაგრამ ზოგადად მიმართულება ერთი და იგივეა. მაგ., გარეჯის მამულების სამართავად დანიშნულ მოხელეს მოურავი ეწოდება. მის მოვალეობას შეადგენდა გადასახადების აკრეფა და წინამ-

ძღვრისათვის ჩაბარება, ყმა-გლეხების შეკრება ლაშქარ-ნადირობისათვის, გარეჯის საბატონო მეურნეობის მოვლა-დამუშავების ხელმძღვანელობა და სხვა.¹

ისეთ სამოურავოში, სადაც სხვადასხვა კუთვნილების ყმები ესახლნენ, მოურავი ვალდებული იყო, ყმებს განსხვავებულად მიდგომოდა, მაგ., მონასტრის ყმებს მეფის მოურავი ვერ მოსთხოვდა სამეფო გადასახადებსა და ლაშქარ-ნადირობას, თუ ისინი ამ მოვალეობისაგან თავისუფალნი იყვნენ. მოურავს, ჩვეულებრივ, ეძლეოდა სამოურავო სარგო, რაც ყმებს ჰქონდათ შეწერილი გადასახადისა და მუშაობის სახით. შესაძლოა, თვითონ მონასტერსაც დაედგინა ხელფასი მოურავისათვის უფლება-ჯამაგირის სახით თავისი შემოსავლიდან. ამაზე „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ საუბარი არ არის. ეს იქნებოდა ე. წ. „სამოურავო წილი“. ამ დროს ყველა სხვა პრობლემა გადასახადების აკრეფიდან, ღალისა და ბეგარისაგან თავისი წილის აღებისა მოხსნილი იქნებოდა, ჯამაგირის მიცემა უფრო მარტივი პროცესია მონასტრისათვის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მონასტრის მოურავი თვითონვე იღებს მისთვის დაწესებულ წილს ყმა-გლეხებისაგან.

ბ. ლომინაძე თავის გამოკვლევაში იხილავს დავით გარეჯის საყმო სოფლის, აკურის მოურავის განწესებას. აქ თითოეული კომლი ვალდებული იყო წელიწადში ერთი დღე მოეხნა, ერთი დღე მოემკა და ერთი დღე ემუშავა მოურავის ბაღში, მოურავს უნდა დაემუშავებინა მონასტრის ბაღი, საიდანაც ღვინის გარკვეული ნაწილი უნდა გაენაწილებინა მუშებისათვის, ხოლო დანარჩენთაგან თვითონ აეღო ერთი მეათედი ნაწილი. საქვრივო გადასახადიდან ორი წილი წინამძღვარს ერგებოდა, ერთი წილი – მოურავს; საბალახე გადასახადიდან სამი წილი წინამძღვარს ერგებოდა, ერთი – მოურავს; ქურდობისათვის შვიდეულიდან ორი წილი პატრონს, ოთხი წილი წინამძღვარს, ერთი წილი მოურავს ეკუთვნოდა; ომიანობის შემთხვევაში მოურავის მოთხოვნისთანავე უნდა

¹ მონასტრის მოურავის უფლება-მოვალეობანი შესანიშნავად აქვს დამუშავებული ბ. ლომინაძეს წიგნში „ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან“, ჩვენ, ვანის ქვაბთა მონასტრის მამულების მმართველი პირის მოვალეობის განსაზღვრის მიზნით. მოკლედ მიმოვიხილავთ ამ საკითხს გარეჯის სენიორიიდან.

გამოსულიყო ყველა, გარდა ქემხის, მუჯირის, მემარნისა და გზირისა. საჭიროების შემთხვევაში მოურავს უნდა ხლებოდა ერთი ან ორი კაცი; გასამყრელო გადასახადიდან ორი ნაწილი წინამძღვარს ეკუთვნოდა, ერთი წილი – მოურავს; თუ მოურავი ბუდიდან ბარტყებს ამოიყვანს, ორი წილი წინამძღვარს უნდა მიართვას; მოურავს არა აქვს უფლება, მოითხოვოს წილი საწინამძღვრო შეწირულებათაგან; მსუბუქი დანაშაულის შემთხვევაში მოურავს უფლება აქვს გადაწყვიტოს საქმე, სერიოზული დანაშაულის დროს კი მოურავი საქმეს წარუდგენს წინამძღვარს, ხოლო თვითონ სისრულეში მოიყვანს წინამძღვრის გადაწყვეტილებას.

როგორც ვხედავთ, ჩვენს ხელთ არის ვრცელი სია, ჩამონათვალი ბეგარა-ვალდებულებებისა, რომელსაც იხდის სამონასტრო გლეხი და რომლიდანაც გარკვეული წილი მონასტრის მოურავსაც ეკუთვნის. აღნიშნულიდან ცხადია, რომ მონასტრის მამულების მართვის ორგანიზაცია არცთუ მარტივი საქმეა, თუ დავაკვირდებით, საკმაოდ რთული და სერიოზული მოვალეობაა, იმავდროულად სერიოზული ანაზღაურებით. თუ სამართავი ადგილ-მამულები რიცხვოვანია და „მხოლოდმყოფი“ მოურავისათვის მიუწვდომელი, ამ შემთხვევაში სხვა მოხელეებსაც ნიშნავს მონასტერი. ამ მოხელეთა მოვალეობაა მონასტრის მამულების მოვლა-პატრონობა. ვანის ქვაბთა მონასტერი თავისი საკუთრებით ერთი საშუალო ზომის მონასტერია, რომლის ადგილ-მამულების მართვასაც ბევრი მოხელე არ დასჭირდებოდა. მართალია, შეწირული მამულები საკმაოდ ფართო ტერიტორიაზეა გადაჭიმული, ამიტომ მისი მეთვალყურეობისათვის, შესაძლოა, ადგილებზე გარკვეული მოხელეებიც განენესებინოთ. ვანის ქვაბთა მამულების მმართველ პირსაც იგივე ვალდებულებები ექნებოდა, რაც სხვა მოურავებს. შესაძლებელია, განსხვავება ყოფილიყო მოურავის სარგო წილის ოდენობაში, მაგრამ საქმიანობა დაახლოებით მსგავსი იქნებოდა, მეურნეობისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან გამომდინარე. მასაც ისევე უნდა აეკრიფა სამონასტრო გადასახადები, როგორც მაგალითად, დავითგარეჯის მოურავს; მასაც ისევე უნდა შეეკრიბა ყმა-გლეხები ომიანობის შემთხვევაში, როგორც სხვა მოურავს (თუკი ეს დებულებაში მითითებული იქნებოდა). ასე რომ, მონასტრის მამულების მართვის ორგანი-

ზაციაში შედის გადასახადის აკრეფა, ყმა-გლეხთა ბეგარავალდებულებებზე თვალყურის დევნება, ამ გადასახადის სრული პასუხისმგებლობით ჩაბარება მონასტერზე, მმართველი მონასტრის საყმო სოფელში ჩადენილი მსუბუქი დანაშაულის განსჯის უფლებაც კი. ამდენი საქმე შეიძლება მინდობოდა მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიის ნდობით აღჭურვილ კაცს; პირს, რომელიც მონასტრის წინაშე თავისი საქმიანობითა და მოღვაწეობით, პატიოსნებითა და საქმისადმი პასუხისმგებლობით იქნებოდა გამორჩეული.

იკონომოსისა და მოურავის უფლებებს სწავლობდა და ერთმანეთს ადარებდა ჯ. კოპალიანი ნაშრომში „მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში“.¹ თავიანთი ფუნქციებით ისინი ემსგავსებიან ერთმანეთს. „იკონომოსი არა მარტო შიგნით მონასტერში გამგებლობდა, არამედ მონასტრის სოფლების გამგებელიც იყო, როგორც შემდგომში მოურავი... მოურავის, როგორც კონკრეტული მოხელის, შემოსვლამ ეკლესია-მონასტრის მმართველობის სისტემაში გამოიწვია ის, რომ იკონომოსი დარჩა მხოლოდ მონასტრის კარზე და ის საშინაო საქმეებს განაგებდა, ხოლო ეკლესია-მონასტრის მამულებში ადგილობრივი მმართველ-გამგებელი – მოურავი გახდა.“²

ისმება კითხვა: სად ხდებოდა გადასახადების აკრეფა ყმა-გლეხებიდან და დანიშნულებისამებრ ჩაბარება?

საერთოდ, ფეოდალის სამფლობელოში (ჩვენს შემთხვევაში – მონასტრის სამფლობელოში) სამეურნეო-საგამგეო ცენტრს წარმოადგენდა ე.წ. სასახლე, სადაც გროვდებოდა ყველა საგლეხო ბეგარა-გამოსაღები. სასახლე ბალ-ვენახების, სახნავ-სათესი ადგილების, „მამულების“ შუაგულში მდებარეობდა, საიდანაც შეიძლებოდა თვალ-ყურის დევნება ყმა-გლეხთა მუშაობაზე. სასახლე უნდა ყოფილიყო ძირითადი სამუშაო სადგომი მამულების მმართველი პირისა. სამონასტრო ყმა-მამულის მართვა-გამგეობა სასახლეების მეშვეობით ხორციელდებოდა; რაც უფრო დიდი იქნებოდა მეურნეობა, მით მეტი სასახლე ესაჭიროებოდა მონასტერს. შესაძ-

¹ ჯ. კოპალიანი, მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1982.

² იქვე, გვ. 13.

ლოა, ყოველ ცალკეულ მამულში სასახლე ყოფილიყო. „სასახლე ფეოდალის სამფლობელოში გარკვეული სისტემით განლაგებულ სამეურნეო ბაზას წარმოადგენდა, რომელიც იმავდროულად ყმა-გლეხობის ექსპლოატაციისა და მართვის ერთ-ერთი ტექნიკური საშუალებაც იყო... ყოველგვარი ბატონყმური ურთიერთობა კათალიკოსსა და საყმოს შორის სასახლეების მეშვეობით ხორციელდებოდა“.¹

მართალია, „ვაჰანის ქვაბთა განგება“ არაფერს ამბობს სასახლეების შესახებ, არც მეურნეობის წარმართველი და პასუხისმგებელი პირის საქმიანობას ეხება, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა მონასტრების მსგავსად, ვანის ქვაბებსაც ექნებოდა სასახლე (გარკვეულ პერიოდში შესაძლებელია – სასახლეებიც), სადაც მოხდებოდა ფიქსირება ყველა ბეგარა-ვალდებულებისა, სადაც იქნებოდა სიები მონასტრის ყმა-გლეხებისა, თავიანთი ვალდებულებებით, შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშები, აკრეფილ და ასაკრეფ გასადასახადთა მაჩვენებლები და სხვა. აქვე მოხდებოდა აკრეფილ გადასახადთა ჩაბარება მონასტრის წინამძღვრისადმი. ასე რომ, სასახლე და მოურავი შუამავლის როლში გამოდიან მონასტრის წინამძღვარსა და სამონასტრო ყმა-გლეხს შორის.

ამრიგად, ვანის ქვაბთა მონასტრის მფლობელობაში არსებული ადგილ-მამულები ფეოდალურ-ადმინისტრაციულ სისტემაში ცალკე სამეურნეო-ეკონომიკურ ერთეულს შეადგენდა, სადაც მამულების მართვა და ორგანიზება, გარკვეულწილად დამოუკიდებლად წარმოებდა.

მეურნეობის ზრდის პირობებში საქართველოს ეკლესიამონასტრები განვითარების მაღალ დონეს აღწევდნენ: იზრდებოდა შემოსავალი, და აქედან გამომდინარე – მონასტრის კერძო საკუთრებაც. შენდებოდა, ფართოვდებოდა მონასტრის კუთვნილი სამეურნეო ნაგებობანი, სენაკები, ყალიბდებოდა მსხვილი საეკლესიო სენიორია, რომელიც მომავალში დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა. მონასტერი, რომელსაც თვითდამკვიდრებისა და მეურნეობის დამოუკიდებელი გაძლოლის უნარი ექნებოდა, უკვე ცდილობდა „არა ვისსა ჴელმწიფებასა ქუეშე“ ყოფნას. ასე მიაღწია სრული

¹ ბ. ლომინაძე, ფეოდალური მეურნეობის ორგანიზაციის ისტორიიდან გვიანფეოდალურ საქართველოში, მსკი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 113-114.

საუკუნე	სამფლობელოთა დასახელება		რა გზით არის შეძენილი	ვისგან არის შეძენილი	საბუთი
	მთლიანი ობიექტი	ცალკეული კომპლექტი და მამულები			
XIII ს.		სოფ. გულშარშის ქუჩაზე აბჯარული ზუზარი	შენიღული	ვანის ქვაბთა ბატონ როსტევეანისა და მისი ძმებისაგან თაყა, ვასარსი, შანშე, მისი შვილისაგან ვახტანგ და ზაერად	«ვ.ქ.გ.» IV მინანერი
XIII-XIV სს		ს. ჯევის ბოლოს ახალმენი მისი ვენახებით	შენიღული	რჩეულას ძე როსტევეანი და მისი ძვილები ვახტანგ, ზაერად...	X მინანერი
XIV ს.		ს. ტოლოშს ორი ვენახი, ს. მალნარას ნანილი, ახალმენი, ს. ორხოფიას ერთი მამული როტაშაული, ს. ტოლოშს ერთი ვენახი, ს. ფიაში ორი ყანა	შენიღული	მურვან ლარიბაძე	I მინანერი III მინანერი
XIV – XV სს.		ს. კუნელეთის მესამედი, ს. დიდკლდის მესამედი, ს. ციხეკნელის მესამედი	შენიღული	მურვან ლარიბაძე	V მინანერი
XV ს.	ს. ქალა ს. გულაური	ს. კუარბის მესამედი ს. ფიას კუერნაული ვენახი, ს. მირაშხანს საგუბარი, ნანალკოტევი ყანა, ზედა-ვარძიის მესამედი, ს. მილახს - ერთი ვენახი გუარამათ მინისა	შენიღული საალაქედ	თმოგველთა ასული გულშარ	VIII მინანერი

დანართი 2

ვანის ქვაბთა მინისმფლობელობის განვითარება

საუკუნე	სამფლობელოთა დასახელება		რა გზით არის შექმნილი	ვისგან არის შექმნილი	საბუთი
	მთლიან ობიექტი	ცალკეული კომპლექტები და მამულეები			
XV ს.		ერთი ლუკაური ვენახი	საალაქედ შენორული		IX მინანერი
		მჭედლოსუბანს ერთი ყანა ს. ტოლოშს – ვენახი, ს. ერკუატას კვირიკას ორი ძე ეკეტას ძე უამიურაი	მებეგრედ შენორული	ლარობასძეთა რძლები	II მინანერი
		ს. აგარას ორკა-ლოსძის მამული		მამადედამა და დუნია	VII მინანერი
		ს. ჭაჭკარში ვენახის სათავე და კალოს კაბინი		მორდა და ზაზა	
		ს. განძასხევის ვენახი და მვექენახე მისი სახლ-კარით ს. ჭაჭკარს ბერაულის მესამედი ვენახი	მებეგრედ შენორული	პატრონი ყვარყვარე და ანა	XIV მინანერი
XVI ს.		ს. ეანის ქვაბს ერთი ძმა ირინაშვილი ს. დმელიას-ბაქე-ლიძის ნახევარი ვენახი		რჩეულაშვი-ლები ენუქ და ალფეზ	XV მონანერი
		ფარნაოზა და ელოსა		ათაბაგი ყვარყვარე	
		ს. ჭაჭკარში ვენახის თავი		მანუჯარი და ქაიხოსრო	XIII მინანერი

თვითმმართველობის უფლებას გელათისა და შიომღვიმის მონასტრებმა მეფის ხელშეწყობითა და მფარველობით. ვანის ქვაბებმა ვერ მოასწრო ასეთი დამოუკიდებლობის მოპოვება.

ვანის ქვაბთა მონასტრის ტიპიკონიდან და მისი მინაწერებიდან გამომდინარე, ჩვენ გარკვეული სურათი აღვადგინეთ მონასტრის მეურნეობისა, მისი საკუთრებისა. საკმაოდ დიდი სიმდიდრე მოგროვილა მის საჭურჭლეში ძვირფასეულობისა თუ ყმა-მამულების სახით, მაგრამ მას დიდი ხნის არსებობა არ ეწერა. მომხდურთა შემოსევებმა გაანადგურეს მონასტრის მეურნეობაც, მისი სენაკებიცა და საუკუნეების მანძილზე ნაგროვები სიმდიდრეც. აღარ ჩანან მონასტრის მეპატრონეებიც. ჟამთა სიავემ, ისტორიის ჩარხის უკულმართობამ ერთ დროს აყვავებული, მოშენება-აღორძინების გზაზე მდგარი საკმაოდ მსხვილი საეკლესიო სენიორია ერთიანად დასცა და მოგვიანებით ამ მდიდარი მონასტრის სენაკის კედლებში დაყუდებული ბერებისა და მტრის თავდასხმას გამოქცეული ქალების თავშესაფარს ვხვდებით.

თავი VII

ვანის ქვაბთა მონასტრის ისტორიის ძირითადი ეტაპები

გამოქვაბულთა კომპლექსი ვანის ქვაბები დაარსებულია მეუდაბნოეობის ხანაში. „ვანის ქვაბების დაარსებისა და მისი მშენებლების ვინაობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ქვაბთა ზოგიერთი ჯგუფის განხილვიდან ჩანს, რომ აქ საცხოვრებელი ქვაბები ჯერ კიდევ მეუდაბნოეობის პერიოდში უნდა გაჩენილიყო“.¹ ეს უძველესი ქვაბთა ჯგუფი, გ. გაფრინდაშვილის აზრით, V-VII სს. უნდა ჩამოყალიბებულიყო,² ყოველ შემთხვევაში, VIII საუკუნეს არ გადმოცილდება. ცნობილია, რომ ჯავახეთისათვის დამახასიათებელია კლდეში ნაკვეთი ნაგებობანი: ქვაბ-საცხოვრისები, კლდეში ნაკვეთი სოფლები, მონასტრები, სამეურნეო, თავდაცვითი და სახიზარი გამოქვაბულები. გამონაკლისი არც ვანის ქვაბებია. თავდაპირველად აქ ბუნებრივი მცირე ზომის გამოქვაბულები არსებობდა ზღუდის მისადგომებთან, რომელიც განდევგითა თავშესაფარი უნდა ყოფილიყო. გ. გაფრინდაშვილს მიაჩნია, რომ ვანის ქვაბები ერთ-ერთი უძველესი უდაბნოა საქართველოში,³ რასაც მკვლევარი ხსნის ძეგლის ქვაბულოვანი ხასიათით, აგრეთვე სახელწოდებაში ორი ტერმინის არსებობით: „ვანი“ და „ქვაბი“. მას მიაჩნია, რომ „ვანი“ ქართულში საერთოდ აღნიშნავს „ბერის სადგომს“, კერძოდ, „ქვაბ-მონასტერს“, ტერმინი „ქვაბი“ კი – გამოქვაბულს, სამალავს, თავშესაფარს. ე. ი. სამონასტრო მოძრაობის ადრეულ საფეხურზე, მეუდაბნოეობის ეპოქაში ვანის ქვაბები ბერის გამოქვაბულ-თავშესაფარი უნდა ყოფილიყო. ასეთივე ტერმინით „უდაბნოც“ მეუდაბნოეობის ადრეულ საფეხურზე ყოველთვის „ქვაბთან“ იყო დაკავშირებული და ქვაბ-სამყოფელს ეწოდებოდა. გამოქვაბული მონასტრები წარმოიადგი-

¹ გ. გაფრინდაშვილი, ვარძიისა და მისი მიდამოების ქვაბები, ს. I, 9, თბ., 1957, გვ. 28.

² Гаприндашвили Г., Пустынь, как монастырский ансамбль. Ванис-кваби – пустынь – монастырь. „საქ. მღვიმეები და გამოქვაბულები“, (სპელეოლოგიური კრებული), თბ., 1988, გვ. 37.

³ იქვე.

ნება, როგორც უდაბნო. ასურელი მამები, მოგვიანებით გრიგოლ ხანძთელიც, ჯერ უდაბნოში მკვიდრდებიან, ხოლო შემდგომ სამონასტრო მშენებლობას იწყებენ. მეუდაბნოეობა არის წინა საფეხური სამონასტრო ცხოვრების განვითარებისა. იგი საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის აზრით, ასურეთის ზეგავლენის წყალობით უნდა გავრცელებულიყო.¹ ბიბლიის უდაბნო არის წინასახე ბერმონაზვნური ასკეტიზმისა და კერძოდ, განდეგილობისა. ამიტომ მოიხსენიება ქრისტიანული სავანეები – მონასტრები – უდაბნოდ, რომელთაც სწორედ „ებრაელთა გზის“ ფუნქცია აქვს; როგორც ეგვიპტის უდაბნომ ჩამოაყალიბა ისრაელიანთა მოდგმა რჩეულ ერად და მოამზადა მათი გონება ღვთის სიტყვის მოსასმენად, „უმანკო ჩასახვის სავანენიც“ – ეკლესიები და მონასტრები – ასევე სრულყოფდნენ ღვთის ძიების გზაზე მავალთა სულებს და გარდაქმნიან მათ ახალ ერად – ჭეშმარიტ რჩეულად და ნათელღებულად“.² უდაბნოს მკვიდრნი მარტოდმყოფნი და მეუდაბნოენი იყვნენ. როგორც გ. მერჩულე აღნიშნავს: „ვიდრე მოსვლამდე გრიგოლი მწყემსისა მის კეთილისა მჭევცთაგან უხილავთა ლტოლვილნი მცირედნი იგი ცხოვარნი ქრისტესწინ განბნეულ იყვნეს თითოჲ ანუ ორორი სივრცესა მათა უდაბნოთასა, ხოლო მოსვლასა წმიდისა გრიგოლისა ცხოვარნი იგი განმწეს“.³ სამონასტრო წეს-წყობილება კი, საყოველთაოდ მაინც, ძირითადად გრიგოლ ხანძთელის დროიდან იკიდებს ფეხს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვანის ქვაბები თავდაპირველად მარტოდმყოფთა, მეუდაბნოეთა თავშესაფარი უნდა ყოფილიყო, შემდგომ აქ საცხოვრებელი ქვაბები ჩამოყალიბდა, ხოლო მოგვიანებით, როდესაც სამონასტრო ცხოვრებამ ფართოდ მოიკიდა ფეხი საქართველოში, ვანის ქვაბებშიც გაჩნდა მონასტერი ფართო სამონასტრო ორგანიზაციული მოწყობით და ამიერიდან ვანის ქვაბებიც უზარმაზარ კომპლექსად გადაიქცა.

ვანის ქვაბები უდაბნო-მონასტერია VIII-XVI საუკუნეების მანძილზე. მას უდაბნოდ იხსენიებს „ვაჰანის ქვაბთა განგე-

¹ ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VII, თბ., 1984, გვ. 31.

² ნ. პაპუაშვილი, რელიგიის ისტორია, კარიბჭე, თბ., 1996, გვ. 132.

³ გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

ბაც": „და რომელნიცა სოფლისა ნივთადა არ შემსჭუალულ არიან მონასტერს მყოფნი, ეგევითართა მათ უდაბნოსს მოყუარეთა და ყოვლად სოფლით გასწორებულთა, მათ მიერ უმანკოდთა გონებითა განიხილვოდინ ჩემ მიერ ყოვლად სასოებით და გულისმოდგინებით აღწერილი ესე ანდერძი საღმთოჲსა მოღუანებისა აღმასრულებელთათჳის, რომელ სამეფოსა ჩუენისა უდაბნო-ქმნით და ყოვლითურთ საღმრთოთ განწესებით, ზომიერად და ჯეროვნად რაოდენნი მწირველნი და მწირნი მონასტერსა ამას ჩუენსა განგუწესებიან სურვილითა ღუწისაჲთა საღმრთოდ განკუთვნილთა მადლთა მათთაგან, რომელ ჩუენისა სამეფოსა სასოებაჲ უდაბნოდ განწესებისაჲ და სურვილით და ნადიერებით ზედამდგომელობაჲ ყოვლითა გონებითა, ვითარ მე“.¹ წერილობით წყაროებში დასტურდება XI-XII საუკუნეებში კლდეში გამოკვეთილი სოფლები: ვანის ქვაბი, ვანის ჴევი, რომლებიც ვანის უდაბნო-მონასტერთან დაკავშირებულ პირთა საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო.

ვანის ქვაბებში წარმოებული კვლევის შედეგად აღმოჩენილი მდიდარი მასალა („ვაჰანის ქვაბთა განგება“, მისი მინაწერები, გურგენისძეთა წარწერები, მონასტრის კედლის წარწერები, არქეოლოგიური მონაპოვარი და სხვ.) იძლევა საშუალებას, მეტ-ნაკლებად აღვადგინოთ ვანის ქვაბთა ისტორიის ძირითადი ეტაპები.

IX-XI საუკუნეებში ვანის ქვაბები ნელ-ნელა ფართოვდება. იკვეთება ქვაბ-სენაკების ახალი წყება და იქვე, უდაბნოს ცენტრში ახალი წმ. გიორგის ტაძარი ჩნდება. ეს არის პირველი მინისზედა მშენებლობა ვანის ქვაბებში. აქ არის დიდი სათავსოები, ახლად აგებული ან გადაკეთებული ქვაბები, რომელთა იატაკი დაგებულია ქართული აგურით. ეს შენობა XII იარუსზე ტაძრის ქვემოთ. წმ. გიორგის ტაძარი მოხატული ყოფილა, მაგრამ 1089 წლის ძლიერი მიწისძვრის შედეგად ვანის ქვაბთა ცენტრალური ნაწილი ტაძრიანად დაინგრა.

XII საუკუნიდან ვანის ქვაბები გურგენისძეთა ფეოდალური საგვარეულოს საკუთრებაა. ვანის ქვაბთა მონასტერში ნაპოვნი სამშენებლო წარწერა გვამცნობს: „იესუ ქრისტი, ადიდე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა-მეფე და დედოფალ

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, გვ. 86.

თამარ, რომლისა ზე მე, იჩქით გურგენისძეთა აღვაშენე კედელი ესე და დავასვენე ხატნი მაცხოვრისაჲ, ღმრთისმშობლისაჲ, ნათლისმცემლისაჲ და ჯუარი ნმ. სვიმონისი, ვინცა ილოცვიდეთ, მეცა მომიხსენეთ“.¹ წარწერა მ. გაფრინდაშვილმა 1189-1204 წლებით დაათარილა.² წარწერიდან ჩანს, რომ იჩქით გურგენისძეს ვანის ქვაბთა მონასტრის კედელი აუშენებია. მან 1186-1191 წწ. განაახლა მონასტერი, ალაღვინა და ძვირფასი ხატებით შეამკო ნმ. გიორგის ტაძარი; მის გვერდით ააგო საგვარეულო ეკვტერი და ორივე შესასვლელში თავისი მოღვაწეობის ამსახველი წარწერა გააკეთა. მონასტერი გურგენისძეთა ფეოდალური სახლის საგვარეულო საკუთრებად იქცა. იჩქით გურგენისძეს ეკუთვნის აგრეთვე წუნდის პატარა, ლამაზი ეკლესიის აგებაც: „სახელითა ღმრთისაჲთა, მე, იჩქითმან გურგენისძემან აღვაშენე ეკლესიაჲ ესე, მამული ჩუენი, სახელსა ზედა წმიდისა ნათლისმცემლისსა, სალოცველად სულისა ჩემთათვის და მშობელთა ჩემთა“.³ აღნიშნულ წარწერებზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ გურგენისძენი წუნდა-კუმურდო-ვანის ქვაბების მიმდებარე ტერიტორიების მფლობელები არიან. აღნიშნული მხარე გურგენისძეთა საპატრონო რეგიონს წარმოადგენდა.

XII საუკუნის მიწურულიდან ვანის ქვაბები უკვე სამეფო საკუთრებაშია და თამარის სახელს უკავშირდება. როგორც სამეფო მონასტერი, თამარს მზრუნველობა გამოუჩენია მისდამი. გარკვეული რეკონსტრუქცია ჩაუტარებიათ. თამარის მეფობის მე-20 წელს (1204) ვანის ქვაბთა მონასტერს ზღუდეს უშენებს ანტონ ჭყონდიდელი. ზღუდე დაახლოებით ასი მეტრის სიგრძისა იყო.⁴ მას ჰქონდა ორი შესასვლელი: დიდი და პატარა. „დიდნი კარნი ზღუდისანი დიდთა მარხვათა უხარებოდე ნუ განეხუმიან, ცოტათა კართა იარებოდენ, თუნიერ

¹ ვ. სილოგავა, იჩქით გურგენისძის სამი წარწერა. „ნერგი“, 17, 1994, 1-7 ოქტომბერი.

² გ. გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბის განძი, „ძეგლის მეგობარი“. 6, თბ., 1966, გვ. 8.

³ ვ. სილოგავა, დასახ. ნაშრ.

⁴ Гаприндашвили Г., Пустынь, как монастырский ансамбль. Ванис-квანი – пустынь – монастырь. საქ. მღვიმეები და გამოქვაბულები, გვ. 45.

ველმნიფე ანუ დიდებული არ შემოვიდოდეს",¹ – ნათქვამია ვანის მონასტრის ტიპიკონში.

XII საუკუნის 30-იან წლებში ვანის ქვაბთა მონასტერი უკვე საბატონო მფლობელობაშია. იგი თმოგვის ციხე-სიმაგრესთან ერთად საპატრონოდ გადაუციათ მხარგრძელები-სათვის, რომლებიც ამიერიდან თმოგველებად იწოდებიან.

1190-1191 წლიდან თმოგვი მხარგრძელებს ეჭირათ, მანამდე კი იგი მეფის განკარგულებაში იყო და მეფე თავის მოხელეებს უბოძებდა ხოლმე პირობითი მფლობელობით. ასე მაგალითად, 1190-1191 წლამდე იგი ეჭირა ამირსპასალარ გამრეკელ თორელს, მანამდე კიდეც – აფრიდონ მსახურთუხუცესს. გამრეკელის გარდაცვალების შემდეგ თმოგვი ჩამოერთვათ მის შვილებს და გადაეცა სარგის ვარამის ძე მხარგრძელს, რომელიც ამის შემდგომ სარგის თმოგველად იწოდებოდა. თმოგვი მხარგრძელთა ხელში სამემკვიდრეო სამფლობელოდ იქცა.² მას შემდგომ, რაც თმოგვი საბოლოოდ განმტკიცდა სარგისისა და მისი შთამომავლების მემკვიდრეობაში, უნდა ვუბოძებოდეთ მათ ვანის ქვაბთა მონასტერიც. 1206 წლის ახლო ხანებში სარგის თმოგველი გარდაიცვალა და მის შვილს მხარგრძელს უკვე საგვარეულო მონასტრად უქცევია ვანის ქვაბები და მისთვის სპეციალური წეს-განგებაც შეუდგენია 1204-1234 წწ.³

ამრიგად, სარგისმა თმოგვი მიიღო, მხარგრძელმა კი ციხე-ქალაქი საგვარეულო მონასტრით სრულყო. მან მიიღო მცირე სამეფო მონასტერი, გააფართოვა ის და ტიპიკონი შეუდგინა. სამეფო მონასტერი საგვარეულო მონასტრად იქცა.

თმოგველები ზრუნავდნენ ვანის ქვაბებზე. პერიოდულად აქ სარესტავრაციო სამუშაოებს აწარმოებდნენ. ახალს აგებდნენ, შეწირულობებით ამდიდრებდნენ მონასტერს. იქმნებოდა მნიშვნელოვანი კლდისა და მიწისზედა არქიტექტურული ძეგლები. XIII ს. 60-80-იან წლებს შორის მათ ააშენეს წმ. გიორგის ტაძრის კარიბჭე, სამრეკლო და დარბაზული ეკლესია. ერთი სიტყვით, სიცოცხლე ჩქეფდა ვანის ქვაბებში, მას მესხეთის ზოგადი პოლიტიკური ვითარებაც უნ-

¹ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

² იქვე, გვ. 16-17.

³ იქვე.

ყობდა ხელს. 1266 წ. მესხეთი საქართველოს გამოეყო, უშუალოდ დაემორჩილა ყაენს და ამით მშვიდობიანობა შეინარჩუნა. მართალია, მესხეთის ხასინჯუდ ქცევა შელავათი იყო მისთვის საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით, მაგრამ ეროვნული თვალსაზრისით, ეს იყო დიდი შეცდომა, რომელიც მოგვიანებით ქართველთათვის მრავალი უბედურების მიზეზად იქცა.

ვანის ქვაბები იზრდებოდა, შენდებოდა, ლამაზდებოდა. მას შემდეგ კი, რაც აქ ბერ-მონაზონთა რიცხვმა იმატა და თმოგველებმაც სპეციალურად შედგენილი წეს-განგება დაუნესეს მონასტერს, ვანის ქვაბები მძლავრ სამონასტრო კომპლექსად გადაიქცა. თმოგველები საკმაოდ დიდი სიმდიდრის პატრონად ჩანან, რადგანაც ისინი უვლიდნენ ამ გრანდიოზულ კომპლექსს, შესანიშნავებს სწირავდნენ ვაჰანის ქვაბთა მონასტერს, ყოველმხრივ უზრუნველყოფდნენ მონასტრის ძმობას და იცავდნენ მას. მაგრამ უბედურებამ ერთიანად ჩაკლა სიცოცხლე ვანის ქვაბებში. „საფუძველითურთ შეიძრა ქუეყანა და შეძრწუნდა, რომელ დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი და ციხენი, სახლნი, ნაშენებნი მოოჭრდეს, მთანი და ბორცუნი დაიზულეს, კლდენი სახედ მტუერისა დაილაგნეს. და მიწა განიპო... სამცხეს ურიცხვი სული მოსწყდა და ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცევარი, იქმნა გლოვა და ტირილი უზომო“. ¹ – გადმოგვცემს მემატიანე.

იმ ფერდობის ქვეშ, რომელიც კლდის ნანგრევებზე შექმნილა და სადაც არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა, მიწისძვრის საშინელი სურათი იშლება. მიუხედავად იმისა, რომ ვანის ქვაბთა მონასტერში ბერ-მონაზონთა მოღვაწეობა შემდეგ საუკუნეებშიც მიმდინარეობდა, მიწისძვრის ეს საშინელი სურათი ხელუხლებელი აღმოჩნდა. ² მემატიანე აღდგომის დღესასწაულს უკავშირებს ამ მიწისძვრას. ხალხური გადმოცემითაც ვანის ქვაბები დღესასწაულზე დაუნგრევია მიწისძვრას და კლდის ნანგრევს შვიდი ნეფე-დელო-

¹ ჟამთააღმწერელი, ასნლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1987, გვ. 167.

² გ. გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბის განძი, „ძეგლის მეგობარი“, 966, 6, გვ. 6.

ფალი დაუტანია.¹ მართლაც, სხვადასხვა ადგილას გაჭყლეტილ ადამიანთა ჩონჩხებია, „მათი ერთი ჯგუფი XIII ს. აგებული ეკლესიის წინ დაღუპულა, რამდენიმე კაცი კი გუმბათიანი ტაძრის ქვითკირის კედელს დაუტანია. ერთ მათგანს სამი ვერცხლის თასი სჭერია ხელში, მინისძვრას თუ გაურბოდა, მაგრამ კლდის ნაშალში დამარხულა“², – მოგვითხრობს გ. გაფრინდაშვილი.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოჩნდა გუმბათიანი ტაძრის წინა ქვითკირის კედლის ნანგრევი შესასვლელით და სამრეკლოს ჩუქურთმიანი ფრაგმენტები. ტაძრის საკურთხეველში კი – კანკელის ორნამენტირებული ფილები.

აღმოჩენილი ვერცხლის თასები ჭედური ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენდნენ. სამივე მათგანი ერთი ოსტატის მიერაა შექმნილი. ერთი თასი შიგნიდან მოოქროვილია. „თასები ხასიათდება დაბალი, ოვალური კალთებითა და უქუსლო ფსკერით, თასები შეიცავს ქართულ ორნამენტს – „ბრიალა“ (მზე) ფსკერზე და სხივები კალთაზე. ფსკერის შუაში ამობურცულია კოპნია ორნამენტით. ერთ მათგანს ბაგრატიონთა გერბი „სოლომონის ბეჭედი“ ამშვენებს. ორნამენტი „ბრიალა“ ქართულ ხალხურ შემოქმედებაში დადასტურებულია II-IV საუკუნეებიდან.

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებით ბრილას მზის კულტთან აკავშირებენ. ის ფართოდაა გავრცელებული II-III საუკუნეების თასებზე, შემდეგ არქიტექტურულ ძეგლებზე და სხვ.

ერთ-ერთი თასის კოპზე არსებული „სოლომონის ბეჭედი“ უთუოდ საინტერესოა თვით თასების დასათარიღებლად. ისინი 1260-1280 წლებისაა. თასებზე მისი არსებობა მიუთითებს, რომ ისინი სამეფო სახლისაა...“³

ვანის ქვაბში XVI-XVII საუკუნემდელი ლითონის ჭურჭელი მიკვლეული არ არის. ამ ეპოქის თასები კი არსებობს და საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ისინი მრავალფეროვანია და თავისი ფორმით და ორნამენტებით მკვეთრად განსხვავებული. ასევე მრავალრიცხოვანი და ფერებით მრავალფეროვანია

¹ გ. გაფრინდაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

² იქვე.

³ იქვე.

ვანის ქვაბების გათხრებისას აღმოჩენილი კერამიკული ჭურჭელიც. დიდი ნაწილი მათგან ფრაგმენტულადაა მოღწეული ნამტვრევების სახით. ს. ბურდილაძემ აღადგინა მათი ფორმები და შეეცადა მოეხდინა მათი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, რითაც გარკვეული ნვლილი შეიტანა ქართული შუასაუკუნეობრივი არქეოლოგიური კერამიკის შესწავლის საქმეში. მან ოთხი ძირითადი ტიპი გამოყო ვანის ქვაბთა კერამიკული ნაწარმიდან.¹ თითოეულ ტიპს მისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს, ყოველი მათგანი კი უცილობლად ატარებს ადგილობრივი, თვითმყოფადი ტრადიციული კულტურის ნაკვალევს.

ვანის ქვაბების ერთ-ერთ გამოქვაბულში გ. გაფრინდაშვილმა შალის ქსოვილის ფრაგმენტიც აღმოაჩინა. მათი შესწავლით ირკვევა, რომ ეს ნიმუშები სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება და მათ შორის უძველესია ხალიჩის ნიმუში, რომელიც ორნამენტის მიხედვით, მის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს.²

როგორც აღვნიშნეთ, მინისძვრამ მეორედ დაანგრია ვანის ქვაბები, მაგრამ გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ აქ კვლავ გამოცოცხლდა სამონასტრო ცხოვრება, რაზეც მეტყველებს ვანის მონასტრის ტიპიკონის XIV-XVI სს. მინაწერები.

XIII საუკუნის ბოლოდან ვანის ქვაბთა მონასტრის მეპატრონეებად თმოგველები აღარ გვხვდებიან. მონასტერს სხვა საგვარეულო სახლები დაეპატრონენ: რჩეულასძენი, ღარიბასძენი; თმოგვის ციხე და ვაჰანის მონასტერი გარკვეული ხნის მანძილზე მურვან კათხაისძისა და მის შთამომავალთა ხელშიც იმყოფებოდა.³

შენიშნულობებში ათაბაგთა და მათი სახლის წევრებიც გაიეღვებენ, მაგრამ XIV-XVI საუკუნეებიდან უკვე არეულობის ხანაა სამხრეთ საქართველოში. თურქეთსა და ირანს შო-

¹ Бурдиладзе С. Классификация поддонников керамических изделий из пустынь-монастыря Ванис-кваби. „საქ. მღვიმეები და გამოქვაბულები“, თბ., 1988, გვ. 71-73.

² Джалабадзе Г., Образцы тканей из Ванис-кваби. „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები“, თბ., 1988, გვ. 99-103.

³ პ. ზაქარაია, თბილისი, ბორჯომი, ვარძია, თბ., 1977, გვ. 59.

რის მიმდინარე ბრძოლაში მესხეთს განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა მისი სტრატეგიული მდებარეობის გამო. ამიტომ ორივე მხარე დაჟინებით ცდილობდა მესხეთის დაპყრობას, იქ ფეხის მოკიდებას. 1551 წ. სამცხე-ჯავახეთს შაჰ-თამაზ I შემოესია. მისი ურდოები არნახული სისასტიკით მოედვნენ ქვეყანას. მათ რამდენიმე ათასი ადამიანი მოკლეს. დაიპყრეს ახალქალაქის, თმოგვის, ვარძიის, აწყურის, ასპინძის, ვარნეთისა და სხვა ციხეები. ვარძიის ეკლესიას ჩამოაგლიჯეს ფოლადისა და ოქროს კარები და ირანში წაიღეს. ააოხრეს და გაძარცვეს ვანის ქვაბებიც. ამის შემდგომ, XVI საუკუნის II ნახევრიდან ვანის ქვაბებში მონასტრის აღდგენა-განახლების პირობები აღარ იყო.

ვანის ქვაბები ვერც ოსმალთა მსახვრალ ხელს გადაურჩა. 1576 წ. ოსმალებმა აიღეს და საბოლოოდ გაანადგურეს იგი.¹ ვანის ქვაბთა მონასტერმა არსებობა შეწყვიტა. იგი გაუკაცრიელდა.

გაუკაცრიელებული მონასტერი, მასში არსებული მიუვალნი სენაკები და სამავალები შესანიშნავ თავშესაფარს წარმოადგენდა გამუდმებული ომიანობის პერიოდში. მით უფრო, რომ სამცხე-საათაბაგო არნახულ ნგრევას განიცდიდა, ერთის მხრივ, სპარსეთისა და ოსმალეთისაგან, ხოლო მეორეს მხრივ – შინაური არეულობის გამო. ვანის ქვაბთა კომპლექსის ბოლო იარუსზე ჩამოქცეული კლდის სახლების ადგილზე მდებარეობს ეკლესია, რომლის კედლებთან მისვლაც კი საკმაო სირთულეს წარმოადგენდა. საჭირო იყო უამრავი გამოქვაბულის, საიდუმლო გვირაბის გავლა, რომ ამ მონასტრამდე მიგელწია. დღეს ეს სავალი გზები და გვირაბები ჩახერგილია ჩამონაშალი მასალით. სწორედ ამ ეკლესიის კედლებმა შემოგვინახა წარწერები (დაახლ. 60-მდე), რომელთა ავტორები მტრის თავდასხმას გამოქცეული ქალები არიან. ამ ქალთა უმრავლესობა მაღალი ფეოდალური წრის წარმომადგენლებად ჩანან, რომლებმაც კარგად იციან წერა-კითხვა, იცნობენ პოეზიას. წარწერათა ავტორები გოდებენ და მოთქვამენ თავიანთი მდგომარეობის გამო. როგორც ჩანს, მათ თავი შეუფარებიათ ამ მიუდგომელი მონასტრისათვის და ერთ დროს ეს ბერ-მონაზონთა სახიზარი ქვაბები დღეს,

¹ გ. გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბები, ქსე, ტ. IV, თბ., 1979, გვ. 294.

ბედის უკუღმართობის გამო, წარჩინებულ ქალთა თავშესაფრად ქცეულა.

ისტორიოგრაფიაში არსებობს ვარაუდი აღნიშნულ ეკლესიაში დედათა მონასტრის არსებობის შესახებ,¹ მაგრამ წარწერების შინაარსი ამ ვარაუდს სავსებით გამორიცხავს. მონაზონ ქალს არავინ მისცემდა ნებას, საერო პოეზიის ნიმუში, ანდა საკუთარი სასიყვარულო ამბავი თუნდაც დამალულად წაეწერა არათუ ეკლესიის კედელზე, არამედ საკუთარ სენაკშიც კი.

მესხეთში არსებული გამუდმებული ომიანობის დროს კვლავ მრავალი ადამიანის სახიზრად გადაიქცეოდა ვანის ქვაბები, რომლის წარსული სიდიადისა და გრანდიოზულობის კვალი დღესაც იმზირება სარკმლებად ქცეული კლდეებიდან. საუკუნეების ქარტეხილებმა, მართალია, თავისი კვალი დაამჩნიეს ძეგლს, მაგრამ ძველი დიდება კვლავ უპოვრად იხედება იავარქმნილი მონასტრის კედლებიდან.

¹ თ. ჟორდანიას, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა, თბ., 1896, გვ. 46. შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბჭოთა ხელოვნება“, 7, თბ., გვ. 36-40; 8, თბ., 1960, გვ. 33-36; მისივე, ვანის ქვაბთა ორი პოეტური წარწერა, „ძეგლის მეგობარი“, 10-11, თბ., 1967, გვ. 33.

დასკვნები

„ვაჰანის ქვაბთა განგება“ – საქართველოში მოქმედ ტიპიკონთაგან ჩვენამდე მოღწეული პრაქტიკულად ერთადერთი სამონასტრო წესდება – პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროა ზოგადად ქართული ეკლესიის ისტორიისა, კერძოდ კი – სამონასტრო ორგანიზაციისა და მღვდელმსახურების შესასწავლად. ჯერ კიდევ თ. ჟორდანიას წერდა: „ვანის გუჯარი გვაძლევს ახალს საყურადღებო ცნობებს ისტორიულს, გეოგრაფიულს, სარწმუნოებრივს და გვაროვნობითსაცა იმ საქართველოს კუთხისას, რომელიც რამდენიმე საუკუნეა, რაც მოსწყდა საქართველოს და რომელზედაც იშვიათად იპოვება ახალი ცნობები“.

წყაროთმცოდნეობითმა ანალიზმა მოგვცა საშუალება წამოგვეჭრა ქართული სამონასტრო ორგანიზაციისა და მეურნეობის, სამცხის ისტორიული გეოგრაფიის, ტიპიკონის პერსონოლოგიისა და დათარიღების საკითხები. ჩვენს მიერ წარმოებული კვლევის შედეგად მივიღეთ:

1. სამონასტრო ცხოვრების ჩასახვა-განვითარების გზა და ორგანიზაციული სტრუქტურის პრინციპები საერთოა ქრისტიანული ეკლესიისათვის. ქართული მონასტრები იმეორებენ ბიზანტიური სამონასტრო ცხოვრების გზას. „ვაჰანის ქვაბთა განგება“ მსოფლიოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში მიღებული საზოგადო წესდების ადგილობრივი ქართული უფლებრივ-ორგანიზაციული და მორალურ-ეთიკური ტრადიციებით შევსებულ (გაჯერებულ) ვარიანტს წარმოადგენს.

2. „ვაჰანის ქვაბთა განგება“ შედგენილი უნდა იყოს 1225-1230 წწ.

3. ვანის ქვაბები მამათა მონასტერია და აქ დედათა მონასტრის არსებობას გამოვრიცხავთ. იმ პერიოდისთვის, როცა კედლებზე სამიჯნურო წარწერები ჩნდება, ვანის ქვაბები უკვე გამაგრებულ სახიზარ-თავშესაფარს წარმოადგენს.

4. ვანის ქვაბთა მონასტრის შინაგანანესი მეტად მკაცრია და თითქმის იდენტური სხვა მონასტრებში დამკვიდრებული წესებისა.

ვანის მონასტრის ძმობა სამ მთავარ ჯგუფად, „დასად“ იყოფოდა, რასაც შემდეგი სქემის სახე მივეცით:

I დასი („წელისუფალნი“) „თავადნი“ ანუ „უთავადესნი ძმანი“:

- 1) მამასახლისი ანუ წინამძღვარი
- 2) იკონომოსი
- 3) დეკანოზი
- 4) მეჭურჭლე
- 5) მეტრაპეზე
- 6) კანდელაკი
- 7) იპიტირიტისი
- 8) მწირველი, რომელსაც მკითხველ-კანანახობაც შეუძლია
- 9) მემწრე

II დასი („დასი მღვდელთაჲ“):

- 1) მღვდლები
- 2) დიაკვნები

III დასი:

- 1) მწირნი
- 2) მსახურნი

ნაშრომში გარკვეულია თითოეული დასის უფლება-მოვალეობები, იგივე მოხელეები იხსენიება სხვა ძეგლებშიც, რომლებიც სამონასტრო ცხოვრებას ასახავენ. წარმოდგენილი სტრუქტურა დამახასიათებელია ქართული სამონასტრო ორგანიზაციისათვის.

5. ვანის ქვაბებთან დაკავშირებული ყველა გვარ-სახელი, წარმოების მიხედვით, ზოგადქართულია და კარგად ესადაგება ამ პერიოდის ონომასტიკონს.

6. ვანის ქვაბთა მონასტრის ონომასტიკა – ყველა გეოგრაფიული სახელი, ტოპონიმიც და მიკროტოპონიმიც, გამოირჩევა სიძველით. მათი ანალიზი საინტერესოა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ისტორიული ტოპონიმიკის თვალსაზრისით. ნაშრომს თან ერთვის ჩვენს მიერ შედგენილი ვანის ქვაბთა მონასტრის მიდამოების ისტორიულ-გეოგრაფიული რუკა.

7. ვანის ქვაბებს მთელი თავისი არსებობის მანძილზე საკმაოდ დიდი სიმდიდრე დაუგროვდა ძვირფასეულობებისა და ყმა-მამულის სახით. მისი არსებობის წყარო და მეურნეობის მართვის საფუძველი მონასტრის მეპატრონეთა უხვი შეწირულობანი იყო. ფეოდალურ-ადმინისტრაციულ სისტემა-

ში იგი ცალკე სამეურნეო-ეკონომიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობას ზრდის ის გარემოება, რომ მოქმედი სხვა სამონასტრო დისციპლინარული ტიპიკონი, რომელიც ქართული სამონასტრო ცხოვრების წესსა და რიგს ასახავს, ჩვენ არ მოგვეპოვება. იმ გეოგრაფიული უანრის თხზულებებთან ერთად, რომლებიც სამონასტრო ცხოვრებას შეეხება და რომელთაც საისტორიო თხზულებებსაც ვუნოდებთ, „ვაჰანის ქვაბთა განგება“ საქართველოს სამონასტრო ცხოვრების სრულყოფის სურათს ხატავს.



ტაძრის ნანგრევები
(ფოტო რ. კორძიასი)

წყაროები და ლიტერატურა

1. წყაროები

1.1. ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნ. 1, თბ., 1963/64.

1.2. გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნ. 1, თბ., 1963/64.

1.3. გიორგი მთანმინდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფუთმესი, გამოსაცემად მოამზადა ივანე ჯავახიშვილმა, თბ., 1946.

1.4. დიდი სჯულისკანონი (გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ), თბ., 1975.

1.5. ვაჰანის ქვაბთა განგება, ტექსტი გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, ტფ., 1939.

1.6. უამთააღმწერელი, ასნლოვანი მატთანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987.

1.7. ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰანის ქვაბთა“, თ. ყორდანიას გამოცემა, ტფ., 1986.

1.8. სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ისტორიული საბუთები და სულთა მატთანეები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., 1986.

1.9. იჩქით გურგენისძის სამი წარწერა, ვ. სილოგავას გამოცემა, „წერტი“ 17, 1994, 1 ოქტომბერი.

1.10. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

1.11. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. III, თბ., 1970.

1.12. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. IV, შეადგინეს და დასა-

ბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედ., თბ., 1985.

1.13. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. II, ტფ., 1897.

1.14. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946.

1.15. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოცემა, II, თბ., 1941.

1.16. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოცემა, III, თბ., 1958.

1.17. Источники грузинских летописей, Три хроники, Э. Такаишвили, СМОМПК, XVIII, Тф., 1900.

2. ლექსიკონები და ენციკლოპედიები

2.1. პირთა ანოტირებული ლექსიკონი (XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით), I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991.

2.2. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991.

2.3. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993.

2.4. ვანის ქვაბები, სტატიის ავტორი გ. გაფრინდაშვილი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, თბ., 1979, გვ. 294.

2.5. კათალიკოსი, სტატიის ავტორი ბ. ლომინაძე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V, თბ., 1980, გვ. 318.

2.6. მონასტერი, სტატიის ავტორი ბ. ლომინაძე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 92.

3. ლიტერატურა

3.1. ბერიძე გრ., ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.

3.2. ბერიძე მ., ჯავახეთი, თბ., 1992.

3.3. ბერიაშვილი ლ., ტრადიციული მინათმოქმედების საკითხები ქართულ წერილობით წყაროებში, ლოგოსი, 2004, 2, გვ. 104-111.

3.4. ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985.

3.5. ბერძენიშვილი დ., ვარძია და თმოგვის ციხე-ქვეყანა, „ძეგლის მეგობარი“, 1988, 2.

3.6. ბერძენიშვილი დ., ნარკვევები, თბ., 2005.

3.7. ბერძენიშვილი ნ., ჯავახეთის 1933 წ. ექსპედიციის დღიური, იხ. მისი საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, თბ., 1964.

3.8. ბოგვერაძე ა., გრიგოლ ბაკურიანისძის ტიპიკონის გაგებისათვის, ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბ., 1991.

3.9. ბოჭორიძე გ., მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992.

3.10. გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVIII საუკუნეებში, თბ., 1958.

3.11. გაბაშვილი ც., ზედა ვარძია, თბ., 1985.

3.12. გაფრინდაშვილი გ., IX-X სს. არქიტექტურის ნაგებობა ნასოფლარ ფიაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVII, 6, თბ., 1956.

3.13. გაფრინდაშვილი გ., ვარძია და მისი მიდამოების ქვაბები, სერია 1, 9, თბ., 1957.

3.14. გაფრინდაშვილი გ., კლდის ძეგლები, „ლიტერატურული გაზეთი“, 1959, 6 თებერვალი.

3.15. გაფრინდაშვილი გ., ისტორიული ჯავახეთის გამოქვაბულები, ძეგლის მეგობარი, თბ., 1964, 3.

3.16. გაფრინდაშვილი გ., რუსთაველის კვალდაკვალ გამოქვაბულებში, კომუნისტი, 1965, 21 ოქტომბერი.

3.17. გაფრინდაშვილი გ., ვანის ქვაბთა განძი, ძეგლის მეგობარი, თბ., 1966, 6.

3.18. გაფრინდაშვილი გ., თმოგვი, ძეგლის მეგობარი, თბ., 1966, 8.

3.19. გაფრინდაშვილი გ., რუსთაველის ეპოქის ძეგლები ვანის ქვაბებიდან, საქართველოს სახ. მუზეუმის მე-14 სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მასალები, თბ., 1966.

3.20. გაფრინდაშვილი გ., არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძიებანი ვანის ქვაბში 1967 და 1968 წლებში, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბ., 1971.

3.21. გაფრინდაშვილი გ., ვანის ქვაბი – 1969, საქართველოს არქეოლოგიური გათხრები 1969, თბ., 1971.

3.22. გაფრინდაშვილი გ., ვანის ქვაბი – 1971, საქართველოს 1971 წ. არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1972.

3.23. გაფრინდაშვილი გ., ვანის ქვაბის, თმოგვის ეკლესიის და შორეთის მონასტრის არქეოლოგიურ-არქიტექტურული შესწავლის 1988 წლის ანგარიში, ასპინძა: სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე, 2000, გვ. 311-333.

3.24. გაფრინდაშვილი ქ., სამცხე-ჯავახეთი, ქართული სულიერების სათავეებთან, თბ., 2005.

3.25. გიორგობიანი ბ., ვანის ქვაბები, ახ. კომუნისტი, 1988, 5 ივლისი.

3.26. დანელია კ., სარჯველაძე ზ., ვაჰანის მონასტრის წარწერა, ქართული პალეოგრაფია, 1997.

3.28. ვანის ქვაბები [VII-XVI სს. ჯავახეთის კულტურული ძეგლები], ლიტ. მესხეთი 2001, მარტი.

3.29. ზაქარაია პ., თბილისი, ბორჯომი, ვარძია, თბ., 1977.

3.30. თორთლაძე ნ., ერთი სამონასტრო ტიპიკონის შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, თბ., 1993.

3.31. ინგოროყვა პ., რუსთველიანას დამატებითი შენიშვნები, თხზ. ტ. I, თბ., 1963.

3.32. კაკაბაძე ს., ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი, ტფ., 1913.

3.33. კაკაბაძე ს., თმოგველთა გვარის ისტორიისათვის, ტფ. 1913.

3.34. კაკაბაძე ს., წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, ტფ., 1914.

3.35. კეკელიძე კ., საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1956.

3.36. კეკელიძე კ., კედლებზე შერჩენილი სიცოცხლე, გაზ. კომუნისტი, 1959, 24 თებერვალი, 45.

3.37. კეკელიძე კ., ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, იხ. მისი ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1974.

3.38. კიკნაძე რ., თამლა ილხანთა სახელმწიფოში, აღმო-სავლური კრებული, I, თბ., 1960.

3.39. კოპალიანი ჯ., მოურავის სახელო ფეოდალურ სა-ქართველოში, თბ., 1982.

3.40. კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.), გამოსაცემად მო-ამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1989.

3.41. ლომინაძე ბ., სამწირველო XIII საუკუნეში, მიმომ-ხილველი, I, თბ., 1949.

3.42. ლომინაძე ბ., შიომღვიმე, თბ., 1953.

3.43. ლომინაძე ბ., ფეოდალური მეურნეობის ორგანიზა-ციის ისტორიიდან გვიანფეოდალურ საქართველოში, მასა-ლები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.

3.44. ლომინაძე ბ., ფეოდალური მიწისმფლობელობის ის-ტორიიდან (საწინამძღვრო), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954.

3.45. ლომინაძე ბ., გელათი, თბ., 1955.

3.46. ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთო-ბის ისტორიიდან (სენიორიები), I, თბ., 1966.

3.47. ლომინაძე ბ., სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერ-თობა VII-XII სს. საქართველოში, საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.

3.48. მელიქსეთ-ბეგი ლ., ქობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, ტფ., 1927.

3.49. მესხია შ., ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორ-განიზაციის საკითხისათვის X-XII სს. ქართულ მონასტრებში, მიმომხილველი, I, 1949.

3.50. მესხია შ., საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამო-ხელეო წყობა XII ს. საქართველოში, თბ., 1979.

3.51. მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962.

3.52. მეტრეველი., ნავ-ყვარყვარეს უცნობი დოკუმენტი, მრავალთავი, IV, თბ., 1975.

3.53. მერკვილაძე დ., ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დრო, თბ., 1996.

3.54. მოდებაძე გრ., შველას, კეთილმონყობას მოითხოვს, ძეგლის მეგობარი, 1979, 50.

3.55. მურადიანი პ., სომხეთის ქართული წარწერები (სომხ. ენაზე), ერევანი, 1977.

3.56. მუსხელიშვილი ლ., არქეოლოგიური ექსკურსიები, თბ., 1941.

3.57. მჭედლიშვილი ბ., ნუნდა, ძეგლის მეგობარი, თბ., 1987, 3.

3.58. ონიანი შ., ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1959, 7; 1960, 8.

3.59. ონიანი შ., ვეფხისტყაოსნის ორი სტროფი ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ წარწერაში (კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული), თბ., 1959.

3.60. ონიანი შ., მივხედოთ ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებს, ძეგლის მეგობარი, თბ., 1964, 3.

3.61. ონიანი შ., ვანის ქვაბთა ორი პოეტური წარწერა, ძეგლის მეგობარი, თბ., 1967, 10-11.

3.62. პაპუაშვილი ნ., რელიგიის ისტორია (კარიბჭე), თბ., 1996.

3.63. რეხვიაშვილი მ., სამცხის სამთავრო (XIII-XVI სს.), თბ., 1992.

3.64. საგინაშვილი ქ., სასჯელთა სისტემა საეკლესიო სამართალში, ჟურნ. სამართალი, 3, თბ., 1999.

3.65. სამსონაძე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, საბჭოთა ხელოვნება, თბ., 1974, 12.

3.66. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1980.

3.67. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III (რედ. ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა), თბ., 1979.

3.68. საყვარელიძე თ., ვანის წმ. გიორგის ეკლესია, ძეგლის მეგობარი, თბ., 1972, 29.

3.69. სილოგავა ვ., სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1980.

3.70. სილოგავა ვ., ეპიგრაფიკული ეტიუდები და შენიშვნები, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 4, თბ., 1990.

3.71. სილოგავა ვ., კუმურდო, ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994.

3.72. ფირფილაშვილი ა., ვანის ქვაბთა სასწეულოში ქირურგიული მკურნალობის შესახებ, მეცნიერება და ტექნიკა, 1997, 1-3.

3.73. ლლონტი ალ., ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.

3.74. შანიძე აკ., ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971.

3.75. შარაშიძე ქ., საქართველოს ისტორიის მასალები, (XV-XVIII სს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.

3.76. შარაშიძე ქ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), თბ., 1961.

3.77. შარაშიძე ქ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XII-XV სს.), თბ., 1982.

3.78. ჩუბინაშვილი ნ., საურმაგის-ძის ნიაღვარაის ქტიტორული რელიეფი ჯავახეთის ახაშენიდან, ქართული ხელოვნება, თბ., 1959.

3.79. ცისკარიშვილი ვ., წარწერები ასპინძის რაიონიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.

3.80. ცისკარიშვილი ვ., გამოქვაბული დღიურები, „დროშა“, 1952, 12.

3.81. ცისკარიშვილი ვ., ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959.

3.82. ხუსკივაძე ი., ვანი, ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობანი, თბ., 2003, გვ. 335-350.

3.83. ჯავახიშვილი ივ., ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926.

3.84. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ნ. 1, თბ., 1960.

3.85. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, ნ. 1, თხზ. ტ. VI, თბ., 1982.

3.86. ჯავახიშვილი ივ., თხზ. ტ. VII, თბ., 1984.

3.87. ჯავახიშვილი მ., საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიას-

თან XI-XIV სს. (ავტორეფერატი ისტორიის მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თბ., 1997.

3.88. ჯობაძე ვ., ხანძთის ნმ. გიორგის მონასტერი, არტანუჯი, 4, თბ., 1995.

3.89. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966.

3.90. Бакрадзе Д., Кавказ в древних памятниках христианства. Записки общества любителей Кавказской археологии, I, Тфл., 1875.

3.91. Бурдиладзе С., Итоги археологических изысканий пустынь-монастыря Ванис-кваби, спелеистические изыскания. Научная сессия в Сагареджо. Краткое содержание докладов, 1977.

3.92. Бурдиладзе С., Глазурованная миска с надписью из Ванискваби, Вестник Гос. Музея Грузии им. Джанашия, XXXVII, Тб., 1983.

3.93. Бурдиладзе С., Классификация поддонников керамических изделий из пустынь-монастыря Ванис-кваби, საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, სპელეოლოგიური კრებული, თბ., 1988.

3.94. Вольская А., Росписи средневековых трапезных Грузии, Тб., 1974.

3.95. Габашвили Ц., Вардзия, Тб., 1949.

3.96. Гаприндашвили Г., Скальные памятники Грузии. Краткое содержание докладов VII научной сессии спелеологов АНГССР, Тб., 1969.

3.97. Гаприндашвили Г., Скальные купольные памятники и их значение в развитии монументальной архитектуры Грузии. Второй международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1977.

3.98. Гаприндашвили Г., Пустынь, как монастырский ансамбль. Ванис-кваби – пустынь-монастырь, საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, სპელეოლოგიური კრებული, თბ., 1988.

3.99. Гелашвили М., Ванискваби; Мол. Грузии, 1982, 18 фев.

3.100. Джалабадзе Г., Образцы тканей из Ванис-кваби, საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, თბ., 1988.

3.101. Джанашвили М., Картлис Цховреба - Жизнь Грузии (მცირე შენიშვნა „ვაჰანის ქვაბთა განგების“ შესახებ), СМОМПК, вып. 35, Тиф., 1905.

3.102. Каждан А., Экскурсия и экскурссанты в византий X-XII вв., Византийские очерки, М., 1961.

3.103. Каждан А., Византийский монастырь XI-XII вв., как социальная группа, Византийский временник, т. 31, М., 1971.

3.104. Лемерл П., Типик Григория Пакуриана, Тб., 1979.

3.105. Маргарян А., К датировке и интерпретации «Типика» Ваханского пещерного монастыря (тезисы), Конференция по вопросам истории средневековой письменности и книги, Ереван, 1977.

3.106. Марр Н. Я., Поездка Н. Я. Марра в южную Грузию, Тб., 1949.

3.107. Павленишвили Г., Находки в пещерном монастыре, Веч. Тбилиси, 1965, 2 ноября.

3.108. Раскрывая страницы эпохи Руставели. «Заря востока», 1965, 5 дек.

3.109. Чубинашвили Н., Сокровища Ванис-кваби, Молодёжь Грузии, 1965, 13 января.

3.110. Hussey, byzantine monasticism, History, XXIV, 93, 1939.

3.111. Savramis D., Zur Soziologie des byzantinischen Mönchtums, Leiden, Köln, 1962.

3.112. Toumanoff C., Caucasia and Byzantine studies, N.Y. Fordham University Press, 1956.

3.113. Toumanoff C., Studies in christian Caucasian History, 1963.

ვაჰანის ქვაბთა განგება ტექსტი

1. — — — მონასტერსა ფრიად მცირესა — — ალგიშენე მო[ნასტრა]დ ვრცელი — — — და კმად დამტევენელი სიმრავლესა მონესეთასა, რომელი იგი მოქმედებითა ზეგარდამოთა შეწვენათაჲთა და — — — წყალობითა სრულ-იქმნა.

2. ვინაჲცა გულსვიდგინე აღწერად და კანონთა ღმრთივეჴმოანთა საღმრთოთა ქადაგთა და წმიდათა ღმერთშემოსილთა მამათაჲსა განეგებვოდის ყოველივე სახე მოლუანებრისა ქცევისა, რომელნი მკუდრ იყვნენ მას შინა. რამეთუ „არცა კეთილი კეთილ-არსო“, თქუმულ-არს, „— — — ად იქმნებოდის“ და ვითარმედ „მცირე იგი არა მცირე არს, უკუეთუ დიდთა მშობელ იქმნებოდის“. რომლისათჴსცა დიდითა გულსმოდგინებითა და გამოკითხვითა აღწერე განწესებაჲ ესე, მოლუანეშუენიერებრისა წესისათჴს.

3. ვინაჲთგან იპოვნეს მას შინა ვიეთნიმე მონაზონთაგანნი, რომელთა მიეცა მონასტრისაგან ორნატნი, აგარაკნი და ვენაჴნი, რაჲთა აქუნდეს. ამათ საფასეთაგან ჩემთა მივეცს — — — დი თითოეულსა რაოდენიცა ენება და ითხოვა და ყ[ოველი იგი ტრაპეზსა მიუდგინე. ესე ვითარცა ყოვლად უწესოჲ და განგდებული კანონთაგან წმიდათა და ღმრთივეგანბრძნობილთა მოციქულთა და ყოვლადმსოფლიოთა კრებათაგან და ვითარცა მიზეზი ნივთმოყუარებისაჲ და საძაგელისშეძინებისაჲ, ვაჭრობისა და მოფარდულობისაჲ და ვითარცა უცხოჲ და წინააღმდგომი და დამარღუეველი ყოვლისავე სამოლუანეოჲსა კანონისაჲ და უცალომყოფელი ღმრთისმიმაახლებელისა ლოცვისა მიმართ და და მარხვისა მო — — — უვალობისაგან ერთსულთა ძმათაისა. რამეთუ წერილ-არს: „შეუძლებელ-არს ორთა უფალთა მონებაჲ, ესე იგი არს ღმრთისა და მამონაჲსი“, და სხუთ იტყჴს: „მოიცალეთ და გულისჴმაყავთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი“, და კუალად: „რომელმან არა იჯმნას ყოვლისგანვე მონაგებისა თჴსისა, ვერ შემძლებელ-არს მონაფე-ყოფად ჩემდა“, და სხუთ წერილ-არს: „ხოლო სიმრავლისა მართლმორწმუნეთაჲსა იყო გული და გონებაჲ ერთ და არაჲინ თქჴს მონაგები მისი თჴსად, არა-

მედ ყოველივე აქუნდა საზოგადოდ“. ხოლო ნუმცა ვის თქუ-
ენტაგანსა უკადრებიეს ამიერიტგან რადთურთით უწესოსა
საქმესა წელყოფად მონასტერსა ამას შინა ჩემსა სამკჯდრე-
ბელსა, მოგებად რასმე განგდებულთაგანსა თუსაგან, რადთა
არა წყევად იგი მოსასპოლველი ანანიადსი და საპფისსადსი
და კეთრი იგი გეზისი დაიმ კჯდროთ.

თავი ბ: რიცხვსათუს მლდელთა და მთავარდიაკონთა
და მწირთადსა; და დადგი ნებისათუს სულიერისა მწყემსი-
სა და წელისუფალთა და ვითარ ჯერ-არს, გინა ვითარი სა-
თანადო-არს, რათა იყოს თითოეული მათი; და ვითარმედ
არ ცა ვის ძმათაგანსა წელენიფების მონაფე-ყოფად სხუსა
მოძღურისა და არცა მოგებად მონაფეთა, არცა შინაგან
მონასტრისა და არცა გარეთ; და ვითარმედ ნუ განიყოფე-
ბის ყოველი სავსებად ძმათად; და რადთა მემწერენი მონას-
ტრისა პატრონთა უთაყუანებდენ.

1. ხოლო ესეცა განვანესე, რადთა იყვნენ განვანესე, რაი-
თა იყვნენ მონასტერსა ამას ჩუენსა სამკჯდრებელსაჲ ა ჰ ა ნ ი
ს ქ უ ა ბ ს ა შ ი ნ ა მლდელნი უკუე ვიდრემე და მთავარდია-
კონნი ყოვლად სათნოდსა უსიხლოსა და საიდუმლოდსა
სრულ-მყოფელნი წმიდანი და პატიოსანნი, რიცხვთ:ლ`ა; ესე
იგი არს :კ`დ: მლდელნი და :ზ: დიაკონნი, განწესებისაებრ
მოციქულთა კრებულისა და წმიდათა მამათადსა, ხოლო მწი-
რად წოდებულნი იგი, რომელ-არიან მონაზონნი, იგიცა უე-
ჭუელად ღმრთისმოშიშნი და ღმრთისად განმკუთნველნი
ყოვლისა ცხორებისა თუსისანი და წინააღრჩევისა მიერ ზემ-
თააღსულნი სოფლისა ღელვათაგან და მსახურებისათუს მო-
ნასტრისა და ძმათასა დიდად მოსწრაფენი და უდრტვნვე-
ლად მორჩილნი წამისყოფასა მწყემსისა და მამისა სულიერი-
სასა, რიცხვთ :კ`ჲ: ხოლო მსახურნი :ი`ჲ; რომელნი ყოველსავე
ტრაპეზისა და სამზარეულოდსა და სახაბაზოდსა სამსახურსა
აღასრულებდენ.

2. სამართლობელ იყო რიცხვსა ამის უმრავლესსა დაწე-
სებად მლდელთა და მონაზონთად, გარნა ვინადგან ყოვლით-
კერძო უზრუნველობისა და ჳორციელად და სულიერად გან-
სუენებისა მათისათუს მოსწრაფე ვიყავ და რადთა სრუ-
ლობით აქუნდეს ყოველივე საჭიროდ საჭმარი ჳორცთადცა
და უნაკლულო და უმოქენეო იყვნენ და ყოვლადვე მოცალე

მარხვისა და ლოცვსათვის, მოღუანებისა და საღმრთო მსახურისა კითხვისა და მათ შორის მდებარეთა, რომელთა ზედა —————მა, და ხედვად ხედვათა მათ მაღალთა, რომელი ესე თანანადებ სასწრაფო არს და საჭირო მოსაგებელ ყოველთა მოსწრაფეთა საუკუნო მსახურებისა მეძიებელთა, ამის ჯერისათვის კმა-ვყავ რიცხვ ესე, რომელსა მოაკლდების ნუმცა ოდეს რიცხუსა ამას მღდელთა და მთავარდიაკონთა და მონაზონთასა.

3. ამის უკვე ზემოწყნებულისა დასისაგან მღდელთა მსახური ერთსულობისა მიერ ძმათა მსახურთა კაცი სიტყვით და საქმით უაღრესი სხუათა ყოველთა, რომელსა ყოველნივე ერთხმობით ენამებოდინ. და მრავალი ჟამი დაეყოს მონასტერსა შინა და უბინო მსახურებისა მისისა ყოველნი იყვნენ მონამე, შემკობილი ყოველთავე სათნოებათა სიკეთითა სულიერებისა და ჯორციელებისა, და შემძლებელი ტვრთვად ესოდენსა სულეზსა ძმათასა და —————ჯერისაებრ, და ჟამისა და საჭმრისა ლუნად და ნურთად და კურნებად კაცად-კაცადსა წყლულებასა და შემსლ-სებ-ლსა საღბ —————, და რა მათა უმცირესთა სიტყვით, ხოლო უმრავლესთა საქმით ასწავებდეს, ესე იგი არს, რა მათა თვთ სახე კეთილის ექმნებოდის ყოველთა კეთილად წარმართებითა თვისისა ცხორებისა მათა, ვითარცა წერილ-არს, რომელთა იწყო იესოც ყოფად და სწავლად, რამეთუ მოციქულისაებრ მეტყუელისა: „რომელმან თვისისა სახლისა კეთილად განგება არა უწყოდისო, მას ეკლესიამ ღმრთისამ ვითარ ერწმუნოს?“ და ნანდკლვე სამართალ, რამეთუ უკუეთუ თვთ წინააღმდგომისა იყოს მოქმედ, ვითარ ასწავოს მან სხუათა კეთილად მოქალაქობამ? არა სამართლად ითქუასა მისსა მიმართ: „მკურნალო, განიკურნე თავი თვისი!“ არამედ უფრო მსალ, რა მათა ვითარცა სარკესა შინა განიცდიდენ ყოველნი მოსწრაფებითა სათნოებისა მისისათა და შემძლებელ-იყოს წარდგინებად წინაშე ოუფლისა სამწყსოთა თვისთა, რომელთათვის სიტყვსმიცე მადცა თანააც თანაწარუვალსა მას საშინელსა სასჯელსა ქრისტესსა და თქუამად: „აჰა, მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე ოუფალმან“ ფარვად. ————— „ა წამება, რამეთუ ამ ————— მოციქული ————— — რა მათა არა ამისა უავნეს დაემართოს და შთავარდეს ეშმაკისსა და რა მათა ბრძანებისაებრ

ოუფლისა მი———რ დადებად სულისა თუხისა სამწყსოფსა
თსისათუს, წერი[ლისაებრ: „ყოველმან მწყემსმან კეთილმან
სული თუსი დადვას ცხოვართა თსთათუს“ და შემდგომი.

4. ესევეთარი კაცი, ღმრთისად განმკუთნველი თავისა
თუხისაჲ, დაიდგინებოდის წინამძღურად და მოძღურად სუ-
ლიერად და ჴორციელად და მას ერთსა მიენებოდის სული
ყოველთა მონასტერსა შინა მყოფთა ძმათაჲ დ ყოველთაჲვე
იგი იყავნ მწყემს და მოძღუარ და მამა სულიერ და ნუმცა ვის
სხუასა უკა ————— ყოველსა მო———
—————ანა ტრაპეზი —————
—————ერთსულობისათუს ძმათაჲსა.

1. ჯერ-არს რაჲთა ყოველთა ტრაპეზობათა წიგნი იკით-
ხვოდის ყოველთა დღეთა, ჟამსა ძმათა საზრდელისა მიღები-
სასა და ნუ რომელსა დღესა იქმნების დახრწევაჲ წიგნისა
კითხვისაჲ, ნუ რომლისა მიზეზისათუს. ხოლო იკითხავს იგი,
რომელიცა კანანახობისა მსგე[ფსსა ჰმსახურებდეს.

2. ხოლო არავის ჴელენიფების უბნობად და მეტყუელე-
ბად ურთიერთას ტრაპეზსა ზედა. არამედ რაჲთა ფრიადითა
მყუდროებითა მიმღებელნი საზრდელისანი ჰმადლობდენ
მომცემელსა და რაჲთურთით არა იყოს საუბნარი. და თუ
იკადროს ვინ უბნობად და ერთ და ორგზისცა მეტრაპეზისა
მიერ დაყენებულმან არა ისმინოს, განყვანებულ-იქმნეს
ტრაპეზით და განიწმიდოს ———, ხოლო უკუეთუმცა მასვე
სიგლისპესა ზედა დაადგრეს ნა — — — ტრაპეზსა ზედა.
ესევეთარი გ-უძ-ს — — —. აღმძრველი და აღმაშფოთებე-
ლი საზოგადოფსა მყუდროებისაჲ ყოველად-ყოველითურთ მო-
იკუეთენ, ვითარცა დამძალი, და გარე განითხიენ.

3. ხოლო ჯერ-არს რაჲთა რაჲთურთირთ განწვალებაჲ
არა იყოს შეკრებასა ძმათასა მიღებად საზრდელისა, არამედ
სწორად დაეგებოდის ყოველთა ძმათათუს ტრაპეზსა ზედა
პური და ღვინოჲ და ნუენი მემწრეთათუს და მწირველთა და
მწირთა. და ნუმცა უხუცესთა ძმათაგანი, მიზეზითა ვნე-
ბულისა გემოთმოყუარებისა და ნაყროვანებისა თსისაჲთა,
ნივთად უკეთურებისად და სახედ ბოროტისად ექმნების
სხუათა, დამაბრკოლებელი ყოველთაჲ, არამედ თითოეული
დასჯერდინ საყოველთაოსა ევლოგიასა. და ნუმცა ოდეს

იკადრების კიდევანისა ნუენისა დაგებად ტრაპეზსა ზედა და განწვალვისა და განხეთქილებისა შემოღებად ერთსა მას შინა გუამსა ძმათასა. და ტრაპეზობისას ——— უხუცესსა ყოველთასა და ყოველთა უდარესსა ერთი და იგი და სწორიძეა დაეგების საქმელიცა და სასუმელი და სხუად ყოველივე.

4. გარნა თუ იშუთ ოდესმე სტუმართმოყუარებისა მიზეზითა, იქმნას მომატებად საქმელთა რათამე ბრძანებითა მოძღურითადასა, ესე ფრიადცა ჯეროან არს და ძუელ-მცნებად, რომლისა მიერ ვიეთმე, ვითარ იგი არა უწყოდეს, ანგელოზნიცა ისტუმრნეს.

განესუენებოდენ უკუე სტუმართა, რომელთა თანა დედაკაცი არა იყოს და უფროდსლა იშუთთა, გინა შორით მოსრულთა, ცხად-არს ვითარმედ მიზეზითა ლოცვისათა, ერთ და ორ-დღეცა, და მესამესა დღესა წარვიდოდენ გზასა თუსსა.

5. ოკუეთუ ვინ დიდი და საპატიოდ სტუმარი შემოვიდოდის, გინა ეპისკოპოსი, ანუ აზნაური, ანუ საპატიონი ვინმე მონაზონნი, ამათ, ვითა ნესია, ტრაპეზით ემასპინძლებოდის. და თუ ქუემოდ რომელი იყოს, მონაზონი გინა ერისკაცი, და არავის თანა საქმე ედვას ძმათაგან თვნიერ ლოცვისა, და ტრაპეზისა გაღებასა არა ღირს-იყოს, არამედ ესევითართა მოძღურისა და დეკანოზისაგან ემასპინძლებოდის: ამისათუსცა განმინესებია მათთუს ნამეტნავად გასაყოფელი, რადთა ესევითართა სტუმართა იგინი გაისტუმრებდენ. და თუ ნათესავი ანუ მეცნიერი იყოს ვისამე ძმათაგანისა და არა ლოცვისა მიზეზითა მოსრულ-იყოს, არამედ სხუსა რადსმე საქმისათუს, ამას თვთ მან უმასპინძლოს, რომლისა თანაცა აქუნდეს საქმე. ხოლო მრავალმრონინეთა მათ და მინყითთა მთხოველთა მეკარე განისტუმრებდეს. არა ჳელენიფების მიმოვლად სახლითი-სახლად შინაგან მონასტრისა.

6. საჭმარ-არს რადთა ყოვლად განკრძალული ერთი და ღმრთისმოშიში მონაზონი მესნეულედცა განიჩინებოდის და უძღურ მყოფთა ძმათა ჰმსახურებდეს ყოველსავე საჭმარსა მათსა: დღითი-დღე სამგზის მოჰვლიდეს და მოიხილვიდეს და სანესოსა მიაართუმიდეს მათსა ტრაპეზით. და სხუად რადცა უჭმდეს სნეულთა და უძღურად მყოფთა ძმათა, უშურველად მიეცემოდის ტრაპეზით და ნუმცა რად მო-

აკლდების საჭიროდ საწმართაგანი, რომელიცა იყოს და იპო-
ვბოდეს.

7. გარნა ვინამთგან ყოვლითკერძო უზრუნველობისა და
უმოქენეობისა ძმათაჲსა მეძიებელ ვარ, და რაჲთა არა რაჲთ
იყვნენ ნაკლულევანნი, გაუჩინე საჩოკედცა: რაჲთა მოძლუ-
არსა ვიდრემე, ვითარცა მწყემსსა სულიერსა და უცთომელ-
სა წინამძღუარსა, მიეცემოდის ექსი დუკატი. ხოლო დეკა-
ნოზსა და იკონომოსსა ოთხ-ოთხი დუკატი და რომელნიცა
სამჯროსა ღირსქმნილ-იყვნენ ძმანი და მონასტრისა პატრონ-
თადა თაყუანებულ იყვნენ, მათ სამ-სამი დუკატი. ეგრეთვე
მწირველთა, რომელთაცა მკითხველ-კანანახობაჲცა შეეძ-
ლოს, მემჯრეთავე თანა, სამ-სამი დუკატი მიეცემოდის. მე-
ჭურჭლესა და მეტრაპეზესა და კანდელაკსა და იპიტირი-
ტისსა ესრევე სამ-სამი დუკატი. ხოლო მეორისა დასისათა,
რომელთაცა წირვისა მეტი სხუაჲ საწმრობაჲ არაჲ შეეძლოს,
ამათ ორ-ორი დუკატი აქუნდეს. და მესამისა დასისათა, ესე
იგი არს მწირთა, ბოტინატი და დოკატი მიეცემოდის. ხოლო
მსახურთა სატანისამოსლედ მწირთავე სწორად ჰქონდეს
ბოტინატი და დოკატი.

8. ეგრეთვე და პურიცა და ღვინოჲ გაუჩინე: რაჲთა მიეცე-
მოდის მოძღუარსა რვაჲ გრივი პური, ოთხი წმიდაჲ და ოთხი
ქრთილი და სამი საპალნე ღვინო. და იკონომოსსა ექუსი
გრივი, სამი წმიდაჲ და სამი ქრთილი და ორი საპალნე ღვინო.
ეგრეთვე დეკანოზსა ექუსი გრივი პური, სამი წმიდაჲ და სამი
ქრთილი და ორი საპალნე ღვინო. ხოლო უთავადესთა ძმათა,
რომელთა :გ:გ: დუკატი აქუს საჩოკედ, ამათ პური ორი გრი-
ვი წმიდაჲ და ერთი ქრთილი მიეცემოდის და თუთო საპალნე
ღვინო. და მეორისა დასისათა, რომელთა წირვისა მეტი არაჲ
შეეძლოს, ღვინო თუთოჲ ცალი მიეცემოდის, გარნა პური ვი-
თა თავადთა ძმათათჳს დაგუნესებია, ეგრეთვე ამათთჳს. ხო-
ლო მწირთა პური თუთოჲ გრივი წმიდა ქრთილი და ღვინო
ოთხთა და ოთხთა თუთოჲ საპალნე.

თავი ე': ვითარმედ არავის ძმათაგანსა ჴელენიფების
თავნობად და მოფარდულობად ღვინისა ანუ სხუსა რაჲსმე,
არცა აღნადგინებად მიცემაჲ საწმართაჲ; და რაჲთა გამო-
უთხოვლად მოძღურისა არავის სადა ჴელენიფებოდის
წარსლვად გარეგან მონასტრისა; და არა ყოფისათჳს მეშ-

ფოთეთაძესა; და არა შესლვისათვის დედაკაცისა თუნეირ
წელმნიფეთაძესა; და არა ყოფისათვის დიაკონთაძესა; და თუ
რათა მიზეზთათვის შეიცვალების მოძღუარი ნესისაგან
თვისსა, ანუ ძმად განიწადების მონასტრით.

1. არავის ძმათაგანსა წელენიფების მონასტერსა ამას ში-
ნა ვაჭრობად და თავნობად ანუ მოფარდულობად ღვნისა,
გინა რაფსაცა სხვსა; არცა ვახშად და აღნადგინებად გაცე-
მად საჭმართად მსოფლიოთა, გინა დაჭირებულთა ზედა და
სისხლითა გლახაკთაფთა განმდიდრებად, რომელი ესე ღიდი-
სა უწესოებისა არს საზღვარ და დასასრულ ანგაჰარებითისა
სიბოროტისა და ვაჭრობისა უძრეს-არს. ნანდვლვე სამარ-
თლად ითქუას მისსა მიმართ: „სახლსა მამისა ჩემისასა სახლ
სალოცველ ეწოდების, ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავა-
ზაკთა“. რომელი არცა თუ ერისკაცთაგან ჯერ-არს ყოფად.
უეჭუელად მყოფი ამისი დაიმკვდრებს კეთრსა გიეზისსა და
შიშთვილსა იუდაფსა.

ვინაფცა რომელსაცა ძმათაგანსა ემხილოს ღვნის მოფარ-
დულობად, გინა მევახშეობად, მყის განიდევნოს მონასტრით
და მოიკუეთოს ყოვლითურთ და მისსა ადგილსა სხუად დაიდ-
გინოს.

2. არა რად აღსძრავს და აღაშფოთებს და განამწარებს
მყუდროებასა ერთსულთა ძმათასა, ვითარ მეშფოთე კაცი
და ღულარჭნილი. ვითარცა იტყოდის რად მოციქული, ვი-
თარმედ „ყოველი რისხუად და გულისწყრომად და ჯდომად და
ღალადებად და სიმწარე მოისპენ თქუენ შორის ყოვლით უკე-
თურებითურთ, ვითარცა ჰმუენის ნმიდათა“. რასა სხუასა
გუასნავეებს, თუნეირ განშორებასა ამის ჩუენისაგან და ესე-
ვითართა კაცთაგან, რამეთუ ერთიცა მათგანი კმა-არს სრუ-
ლისა და ერმრავლისა ქალაქისა აღძრვად და აღაშფოთებად.

ვინაფცა რომელმანცა ძმათაგანმან იკადროს გინებად
ანუ შეურაცხოფად რაოდენ უმცირესთაგანისა ვისმე ძმათა-
განისა და ღალვად და ამბოხებად, ეგევითარი იგი მყის მოის-
პენ და განიდევნენ მონასტრით. ხოლო ნუ ვინ გამოჩნდების
მეშფოთისა და მომთრვალისა ასაბიად, რაფთა არა ითქუას
მისთვისცა: „იხილი თუ მპარავი, თანაურბიოდე მას“ და შემ-
დგომი. და თუ წელყოს ვინ ასაბიობად ესევითარსა, იგივე პა-

ტიუი დაითმინოს მანცა, რამეთუ არს თავვედი და დაუნყნარებელი. ხოლო განიხილვოდედ ესე მწყემსისაგან და უკუეთუ ორთაფთვე იყოს ბრალი და ორკერძოვე ცხად-იყოს მეშფოთეობაჲ, სწორ-იყავნ ორთავე კანონიცა, გინა პატიუი, რამეთუ „მონისა ღმრთისა არა ჯერ-არსო ლაღვაჲ“, თქუმულ-არს. და რაფთურთით მეშფოთესა და მაგინებელსა და მომთრვალესა არა აქუს ადგილი და საყოფელი მონასტერსა ამას შინა. რაოდენცა საქმარნი იყვნენ ესევეითარნი იგი, განიწადებინან მონასტრით, არამედ უფროდსლა ფერწნი მყუდროთა და მშუდთანი სტკეპნიდენ.

3. არავის ძმათაგანსა ჯელენიფების ოდესცა, უკითხავად და გამოუთხოვლად მოძღურისა, წასულაჲ სადაცა გარეგან მონასტრისა, არა თავისა საქმისა და საურავისათვის რავზომცა დაექიროს, არცა რეცა თუ მონასტრისა, არცა თუ ჩემისა სამსახურისა ძლით. არამედ თანანარუვალი თუ და საქიროჲ საქმე დაემართოს ვისმე ძმათაგანსა, წარვიდეს და აუნყოს მოძღუარსა და გამოეთხოოს და ლოცვაჲ და კურთხევაჲ მისი მიილოს და რაოდენსაცა დღესა უბრძანოს მოძღუარმან, მეტსა არა უჭმს დაყოვნებაჲ, რაფთა არა ურჩებისა და უნესობისა კანონსა თანამდებ-ყოს თავი თვისი. რამეთუ „მცირედ მცირედ შეჰყვაო ისრაელსა“, თქმულ-არს, და სხვთ იტყვს, ვითარმედ „მცირე იგი არა მცირე არს“. ხოლო უკუეთუ ვინ გარდარეულებითა ამპარტავნებისაფთა ღამეცა ერთი გამოუთხოვლად დაყოს გარეშე მონასტრისა, განიწადენ მონასტრით ვითარცა თავვედი და შეურაცხისმყოფელი თვისისა ცხორებისაჲ.

4. საბრწე ძლიერ და მსწრაფლ დამაკუეთებელ-არს სახედველთა მიერი წყლულებაჲ, რომლისა მიერ ვჰპოებთ დაკუეთებულად პირველსაცა მამასა, რამეთუ „შუენიერ იყოო“, თქმულ-არს, „ხილვაჲ“ და შემდგომი. ვინაჲცა ჰონე უაღვროჲ ნუ უკუე და მრავალგზის კაპანთა შთააბნის ზედამჯდომელი. ხოლო ჰავჩუეულნი და აღულაგმველნი თუაღნი მრავალსახეთა სასიკუდინეთა სენტა და ბოროტთა წყლულებათა მოანევენ მტურთველთა თვისთა ზედა. გარნა წინადსწარმეტყუელი იტყოდის რაჲ: „ვიდოდეთ ბჭეთა მიმართ ჩემთა და ქვანი გზისაკენ განყარენით“. სხუასა არა

რას გულისცემავყოფ, თუნიერ რაითა ყოველნივე დაბრკოლებისა მიზეზნი მოისპენ და უჩინო იქნენ საშუალობისაგან ძმათა კრებულისა.

ვინაიდა განვანესებ ამას, რაითა ყოვლადყოვლითურთ უვალ-იყოს დედაკაცისაგან მონასტერი და ნუ რაღს მიზეზისათვის ნუ შევალს მას შინა, თნიერ ჳელმნიფეთადსა; და ჩუენისა სახლისათა, უკუეთუ საჭირო იყოს თანანარუვალისა მიზეზისა და ყოველთა თანამდებისა ძლით; და მაშინცა მყის განეშორენ და ღამესა ნუმცა ვინ დაჰყოფს მას შინა ნუ ოდეს, რაოდენცა დაეჭიროს. ნუცა ვისსა სენაკსა შევალს დედაკაცი, დედაღლა თუ იყოს მისი. ხოლო ამის მიზეზისა გარეშე სხუებრ, არცა ჩუენისა სახლისაგან ჯერ-არს შესლვა დედაკაცისად მონასტერსა შინა.

5. ნუცა დიაკონი იზრდების მას შინა, გინა უნუერული ყრმად. ნუცამცა ვინ იკადრებს თვისსა ნათესავსა, გინა ძმასა, ანუ შვილსა უჰასაკოსა და უნუერულსა შემოყვანად მონასტერსა შინა, ნუ რომლისა მიზეზისა მოღებითა. ხოლო უკუეთუ ვინმე გლისპობდეს და შლიდეს წესსა მონასტრისასა და ჳელყოს განრყუნად მონასტრისა და გატეხად ტჳპიკონისა და შემოიყვანოს ყრმად უჰასაკოდ და ერთიცა ღამე დააყოფიოს, გარეშე ყოვლისა ხუაიშნისა მეყსეულად მითურთ განიდევნოს მონასტრით და მოიკუეთოს ვითარცა ასოდ დამპალი.

კუალადცა მასვე დავამტკიცებ, ვითარმედ ყოვლად რაითურთით არავის ჳელენიფების უნუერულისა ყრმისა, გინა დიაკონისა შემოყვანად მონასტერსა ამას შინა საყოფად, გინათუ დიდებულისა შვილი იყოს ანუ აზნაურისა, არცა თუ ჩემისა სახლისა თუ იყოს. ნუცა ვისისა შეპოვნებისათვის დაჰჳსნის ვინ წესსა ამას, ნუცა თნებისა ძლით კაცობრივისა წყევასა მოიხდის თავსა თვისსა ზედა. და განმარტებით ითჳუმოდენ, ვითარმედ ვითარცა იგი მდედრისათვის განმინესებიეს, ეგრეთვე მსგავსად და უნუერულისათვის განვანესებ, რაითა ყოვლადყოვლითურთ უვალ-იყოს მონასტერი ესე ესევითართა პირთაგან. ხოლო უკუეთუ ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან იმეცადინოს დაჳსნად კეთილსა ამას წესიერებასა და კანონსა ამის მონასტრისასა, ზეგარდამოითა რისხვითა დაჰჳსნას იგიცა ღმერთმან განსახრწნელსა შინა ულხინებელსა და დაუსრულებელსა და დასტეხენ მას ხუთ-ქა-

ლაქთაებრ სოდომიანთა და წარმოიცარიელენ საქანელნი რისხვისანი მას ზედა, ამენ! ხოლო რომელმან მტკიცედ იპყრას და დაამტკიცოს, დაიმკვდრენ შეუძრავი სასუფეველი და უმიმნუხროდ ნათელი.

6. „თქუნ ხართო მარილნი ქუეყანისანი“, ჳმობს მეუფე მნიდათა შინა სახარებათა, რომელი ესე წინამძღუართათუს ეყვის და მოძღუართა, რომელთადა რწმუნებულ-იყოს წინამძღდომელობა ეკლესიისაჲ. ვინაჲცა მართლისა თუთებაჲ ესე არს, რაჲთა დაღპოლვად არა უტევებდეს, ესე იგი არს, რაჲთა პირველად თუთ მწყემსი ყოველთა სახე კეთილის ექმნებოდის, ხოლო ურჩთა და თავვედთა ძლიერად ამხილებდეს. და რომელნიცა კურნებასა მიითუალვიდენ, ამათ შეიწყნარებდეს, ხოლო უკურნებელად დადგრომილთა მოიკუეთდეს და გარე განსთხევდეს, რაჲთა არა ყოველსა გუამსა განეზაოს სიმპალე.

ვინაჲცა უკუეთუ მოძღუარმან გინა დეკანოზმან თნებისათუს ვიეთისამე და შეპოვნებისა რაჲსმე კაცობრივისა, ანუ მიზეზითა თუსებისაჲთა, გინა თუ ვნებულისა მეგობრობისა ძლით, ჰხედვიდენ რაჲ უნესოდ მავალთა და შეურაცხისმყოფელთა ამათ განწესებათასა და არა სწურთიდენ, არცა ამხილებდენ, რაჲთა ანუ განიკურნენ, ინებონ თუ, და უკუეთუ არა, რაჲთა განიწადნენ, თუთ იგინი დაკლებულ-იქმნენ პატივისაგან თუსისა და ერთად მორჩილთაგანად იქმენინ.

7. ხოლო უკუეთუ ორგულ|ობაჲ გამოაჩნდეს ვის მონასტრისა პატრონთაჲ, ანუ მოხუეჭაჲ მონასტრისა და ეკლესიისა ნაქონებთაჲ, ანუ ქრთამისა აღებითა გარდაქცევაჲ ჭეშმარიტებისაჲ, გინა რაჲცა გუარი საძაგელისშეძინებისაჲ და მოხუეჭისაჲ, სრულიად განიწადნენ მონასტრით.

8. და უკუეთუ მოძღუარმან, გინა დეკანოზმან, გინა იკონომოსმან უდებებად გასცენ თავი თუსი და, სენაკთა შინა მოსუმურობათა მიდევნებულნი, უგულებელს ჰყოფდენ საქმესა მონასტრისასა და გარეშე საჭიროსა მიზეზისა ზედაჲ-ზედა ეკლესიისა ლოცვასა დააკლდებოდენ, გინა ტრაპეზს შესლვასა უდებ ჰყოფდენ, ამათ წარუწყმედიეს თავი თუსი, ვითარ ძალ-უც ცხოვნებად სხუათა? ვინაჲცა მყის შეიცვალნენ

პატივისაგან თუხისა. და უკუეთუ შემდგომად ამისსაცა ეგევითარადვე იქცეოდენ, განიწადნენ მონასტრითცა.

9. იტყუს საღმრთოდ მოციქული განცხადებულად, ვითარმედ „არცა მეძავთა, არცა კერპთმსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენტა, არცა მამათმავალთა, არც ანგაჰართა, არცა მპარავთა, არცა მომთრვალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკუდრონ“. ხოლო ნუ იყოფინ, რადთამცა იპოა ვინ ესევეითართა მოქმედი მონასტერსა ამას შინა. გარნა უკუეთუ ემხილოს ვის მცირეთა გინა დიდთაგანსა ერთიცა ამა ზემოთქმულთა ბრალთაგანი, შეუნდობელად განიწადოს მონასტრით. ხოლო ნუ აღტაცებით იქმნების ესე, არამედ გამოძიებითა მრავლითა განიხილვოდენ ესევეითარნი შესმენანი, ვინაჲთგან მრავალგზის აღბორგებულნი ვინმე ეშმაკისაგან აღიჭურვიან საეშმაკოთა რათმე შურმტერობათა ძლით ცილისწამებადცა. და უკუეთუ ცილი დაენამოს ვისმე, რომლისა გამოჩინებაჲ ვერღარა შეუძლოს, ცილისწამებელი იგი, ფრიადითა შეურაცხებითა განქიქებული, განიდევნოს მონასტრით და ნაქონები მისი ძმათა განიყონ.

10. უჯმს მოძღუარსა ფრიადითა კრძალულებითა პყრობაჲ ამათ განწესებათაჲ და საქმით სრულყოფაჲ ამათ შინა აღწერილთაჲ და რადთა თუალუხუჲვად ამხილებდეს ყოველთავე გარდამავალთა და თვთ თავსა თუხსა სახედ კეთილისად მისცემდეს ყოველთა.

11. განგწესებიეს, რადთა სასყიდელი ყოვლად რადთურთით არაჲ ვისგან აიღებოდის ძმად დაწესებისათუხს: არა მემწრეთაგან, არა მწირველთაგან და არცა მწირთაგან. ხოლო უკუეთუ იკადროს მოძღუარმან, ანუ იკონომოსმან, გინა დეკანოზმან, გარდარეულებითა ვერცხლისმოყუარებისაჲთა, აღებად ქრთამისა რაჲსმე ფარულად გინა ცხადად და ემხილოს, დაკლებულ-იქმნეს თუხისა პატივისაგან. რამეთუ სადა „ძირი ყოველთა ბოროტთაჲ რომელ-არს ვერცხლისმოყუარებაჲ“ დამკუდრებულ-იყოს მუნ, ნამეტნავ-არს მიერ მოლოდებაჲ კეთილისა რაჲსმე ოდესცა. რამეთუ „ბოროტთა თესლთაო“, თქუმულ-არს, „ბოროტ ნამუშაჲკენიცა“.

12. მორჩილებასა და სიმდაბლესა ვჰპოებთ თანანერგად სათნოებითისა ცხორებისა, რომლისა თუხიერ შეუძლებელ-

არს წარმართებად მონაზონებითისა მოქალაქობისაჲ. საჭიროდ უკუე უკმს ყოველთავე ძმათა მორჩილებად მწყემსისა და მამისა მათისა სულიერისა, კეთილითა სუნიდისითა და შიშითა ღმრთისაჲთა, ყოველსავე სამსახურსა მონასტრისასა, რომელსაჲცა უბრძანებდეს, და არა შთავრდომად ბრალსა ურჩებისასა. რამეთუ „ურჩებისა ნაყოფი სიკუდილი არსო“, თქმულ არს. ვინამცა უკუეთუ ვინ, გარდარეულებითა სილალისაჲთა, ურჩ-ექმნებოდეს მოძღურისა ბრძანებასა, შეპყრობილი ცუდადმზუაობრობისა ვნებითა, დაიყენოს ტრაპეზს შესლვისაგან და დაეჭიროს საწესოჲცა მისი; ხოლო უკუეთუ დაადგრეს ურჩებასა ზედა თქსსა უკურნებელად, განიწადოს მონასტრითცა.

თავი ვ' მონაზონთა სოფელს ჳელისუფლად არა დადგინებისათჳს; და ვითარმედ მამულოვნობით არავის ჳელენიფების მოგებად სენაკისა, გინა ვენაკისა, გინა ეგევითარისა რაჲს; და შვილებულ გაზრდილთა ძმად ვერ დანესებისათჳს; და ვითარმედ არავის ჳელენიფების ხდილობითისა მოსუმურობისა მიდევნებად.

1. სოფელთა და აგარათა შინა მონასტრისათა სანიადაგოდ ჳელისუფლად ნუმცა ოდეს დაიდგინების მონაზონი, არამედ ერისკაცნი დაიდგინებოდენ, მოძღურისა და კრებულისა ბრძანებითა. და უკუეთუ ოდესმე ეგევითარი რაჲმე საქმე დაემართებოდის, რომელ ერის კაცითა არ გაიმართვოდეს და დიდ იკონომოსი უცალო იყოს სხუათა რათმე სამუშაოთა და საურავთაგან და მონაზონსა დაემართებოდის ნასულაჲ, მწირთაგანი გაიგზავნებოდინ ყოვლითკერძო გამოცდილნი და ყოველთაგან ნამებულნი პატიოსნებისათჳს და მოღუანებითისა ცხორებისა მათისა, მცკოანნი ჳასაკითაცა და გონებითა. ესევეითარნი წარვიდოდენ, უკუეთუ საჭიროდ საჭმარ-იყვენენ სამსახურად მონასტრისა. ხოლო მღდელნი და მთავარდიაკონნი ჳერ-არს რაჲთა საღმრთოჲსა დიდებისმეტყუელებისათჳს მოცალე და განკრძალულ-იყვენენ და მსახურებისათჳს ეკლესიისა წესთაჲსა უწმიდესად და ღირსად, და ღმრთისმიმახლებელისა მღდელმემსხუერპლეობისა, ვითარცა ღირს-არს და ჳშუენის მარადის შინაგან წმიდისა წმიდათაჲსა შემავალთა და სინწმიდისადა უგანწმედილესობით მიახლებულთა, რაჲთა საუფლოჲსა

ბრძანებისაებრ ბრწყინვიდენ საქმეთა მიერ სათნოთა ღმრთისათა, რომლითა მხედველთა აღსძრვიდენ დიდების-მეტყუელებად ღმრთისა მიმართ.

2. ამისათვისცა მოვსპე მამულობით ქონებად აგარაკთა, ვენაჯთა და თუნდა ორნატთა, რაითა სახიობად ანგელოზებ-რივისა მოქალაქობისად არა მოიშალოს და დახრწევად ექმნე-ბოდეს ამათგან, ვითარცა წმიდათა მოციქულთა კანონის-განცა განგდებულისა — და ყოვლად მსოფლიოთა კრება-თაგანცა, და ვითარცა მიზეზი ნივთთმოყუარებისად და საძა-გელისშეძინებისად, ვაჭრობისა და მოფარდულობისად.

3. ესრეთ განგკნესებია მონასტერსა ამას ჩუენსა შინა, რაითა — შვილებული ძმად ვერ დაინესებოდეს. ———

————— ნუმცა ვის უკადრებიც მამულობით მოგებად სენაკთა, აგარაკთა, ვენაჯთა, ანუ ორ-ნატთა, რაითა უცხო იყვნენ ყოვლისა მსოფლიოდა და ქუეყანისა საქმეთაგან, ვითა საქმეთაგან ანგაჰარებისა, გი-ნა ვეცხლისმოყუარებისა, რაითა ესეცა აღმოიფხურას, ვი-თარცა მიზეზი მრავალთა ბოროტთა.

4. არავის ძმათაგანსა ჯელენიფების შემდგომად სერობის გამოსლვისა ძმისა მეორისა სენაკსა მისლვად. ნუმცა იქმნე-ბის სენაკითი-სენაკად ხდილობითი მოსუმურობად, ანუ წესი-სა შეყრილობად და მაძღურივ ჯუმევად ღუნისად, გინა კადრე-ბად ოდესცა ძილისპირთა და დასდებელთა თქუმისად და ეპრიდებ თქუმად თუ საეშმაკოდასა გალობისად. რამეთუ ნამდვილვე ღუნითა განბრძნობილი ვერა რას ირგებს. და რაითა არა ითქუას მათდა მიმართცა, ვითარმედ „რომელთა ღმერთ მუცელი არს და დიდებად მათი სირცხვლსა შინა“. რა-მეთუ წერილ-არს: „ნუ დაითრევით ღუნითა, რომლითა არს სიბილწე“. და ვითარმედ „მომთრვალეთა სასუფეველი ღმრთისად არა დაიმკედრონ“. და სხვთ იტყვს: „ყოველი სიტყ-ყუად დამპალი ნუ გამოვალნ პირით თქუენით, ვითარცა შუე-ნის წმიდათა“. ხოლო ნაყროვნებასა, დედასა სიბილწისასა, ნუცამცა ადგილი აქუს თქუენ შორის. რამეთუ ვითარცა იგი პირველი განვრდომად ჭამისა მიერ იქმნა, უეჭუელად პირვე-ლი ხარისხი მოღუანებითისა მოქალაქობისად, თუნიერ მარ-ხვისა და კრძალულებისა, პოვნად შეუძლებელ-არს. ვინაეცა

გევედრები, რაღათა სრულიად მოისპოს მრავალთავე ესე ვე-
შაპი საღმრთოჲსა ამის მწყობრისაგან, რაღათა რაღათურთით
არა იყოს უქმსიტყუაობაჲ და ვნებული მეგობრობაჲ და ხდი-
ლობითი მოსუმურობაჲ, არამედ თითოეული თვისსა სენაკსა
შინა შეევედრენ კრძალულებით კანონსა თვისსა განწესებულ-
სა და მყუდროებითსა დიდებისმეტყუელებასა, რომლითა
მხოლოდ მხოლოსა მას მიეახლების მიუახლებელსა, და შეეც-
რფვის და აღისურვებს სატრფოსა მას და სასურველსა, არ-
სთა ცხოვლობისასა, და ხედავს განწმედილითა გონებისა
თუალითა ზემთაღმატებულთა მათ გონებათაგანცა უხი-
ლავსა და მინდომად შეუძლებელსა, მეტყუელი: „შეეცერნა
სული ჩემი შემდგომად შენსა და მე შემენია მარჯუენემან
შენმან“.

თავი ზ' შემოსანირავისათჳს თუ ვითარ ჯერ-არს გან-
ყოფაჲ; და ვითარმედ ძმად რაჲ მიიცვალეზოდის, ვერ
ჯელენიფების დატევეზად თვისთა და ნათესავთა ნაქონები-
სა თვისისა; და რაღათა ერთი აღაპი ტრაპეზით გარდაიწდე-
ზოდის ახალმიცვალეზულისა ძმისათჳს; და მას დღესა ყო-
ველნივე მღდელნი და დიაკონნი უსასყიდლოდ შეიმოსე-
ზოდენ მისთჳს.

1. შემოსანირავესა, რასაცა ვინ სანირავეად შემოსნირვი-
დეს, ვითა წესია, მას მნირველნი გაიყოფდენ და ჟამსა უნირ-
ვიდენ. და რასაცა ვინ საერთოდ შემოსნირვიდეს, მისგან ნა-
ხევარი საჭურჭლესა საეკლესიოდ დაიმარხვოდის, და ნახე-
ვარსა სხუასა სწორად გაიყოფდენ მემჯრენი და მნირველნი
და მნირნი, და სწორად ულოცვიდენ. ხოლო მღდელყოფილ-
თა და მთავარდიაკონთა მღდელთავე თანასწორად მიეცემო-
დის და მთავარდიაკონობისათჳს გინა მღდელყოფილობისა
ოდენ ნურად დააკლდების, სხუად თუ საჭმრობაჲ შესწევდეს.
და თუ არა, ეგევითარისავე მღდელისა სწორად მიეცემოდის
მათცა. და მატეანეთა ჩასანერლად რასაცა ვინ შემოსნირვი-
დეს, მას მღდელნი და მნირნი სწორად გაუყოფდენ.

2. ხოლო არავის ძმათაგანსა ჯელენიფების მონასტრით
განლებად ნაქონებისა თვისისა ჟამსა ამიერ მიცვალეზობისა
თვისისასა, რომელმცა თვისთა გინა ნათესავთა უანდერძა იგი,
რომელთაგან ერთგზის ჯმნილ-არს ჟამსა მონაზონად კურ-
თხევისასა.

3. ხოლო ჯერ-არს რაიმეა ყოველთავე მღვდელთა და დიაკონთა მესამესა დღესა ჟამი უწირონ უსასყიდლოდ ძმასა მიცვალებულსა, და აღაპიცა გარდაეჰადოს მასვე დღესა ტრაპეზულითა საწმრითა. და ყოველთა ძმათა ულოცონ და შეუნდვნეს ღმერთმან სულსა მისსა:

4. ძმად რად მიიცვალოს, თუ ანდერძი დაენეროს, მისისა ანდერძისა მსგავსად განეგოს ყოველი საქმე მისისა სული-სად. ხოლო უკუეთუ უანდერძოდ აღესრულოს, რაღცა იპოოს მისი შუა გაიყოს და ნახევარი მაშინვე აწმარონ სულსა მისსა, ვითარცა მოძღუარმან ბრძანოს და განანესოს, და ნახევარი საეკლესიოდ დაიდვას საჭურჭლესა შინა მისისავე სული-სათუს.

5. ჩუენისა სახლისა აზნაურნი და თუნდა მსახურნი შემო-ლაზუნდებოდენ, და ჩუენგან და ჩუენისა სახლისა კაცისაგან მონასტერს შეშუებასა და დამკვიდრებასა ღირს-იქმნებო-დენ, ესე მონასტრისა პატრონთაგან გაიჩინებოდეს: თუ ნამ-სახური იყოს და საპატიოდ აზნაურისშვილი, მწირველთავე თანა დაინესებოდეს პურითა და ოქროთა და ჯდომითა, ყუ-ელადთა. კუალადცა ესევე ვთქუათ: თუ დიდად საპატიოდ და ნამსახური არ იყოს, ნუ იკადრებს მწირველთა თანა დანე-სებასა. და უქუეგანესი ამათი მსახური, რომელიცა მონას-ტერს შეშუებასა და დამკვიდრებასა ღირს-იქმნებოდეს, მწირ-თა თანა დაენესებოდეს ტანისამოსითა, ოქროთა, პურითა და ყოვლითა საწესოთა საქმითა.

1. სრულითა სასოებითა მეუფისა და მაცხოვრისა და მწსნელისა ჩუენისა ქრისტეს მონყალებათადათა და მინდობი-თა წმიდისა მთავარმონამისა მისისა შეწვენათადათა, მინამან და მონამან მ ჳ ა რ გ რ ძ ე ლ მ ა ნ, დიდითა გულსმოდგინები-თა განგებად ესე აღვწერე მონასტრისა ჩემისათუს, რომელი ესე აწვე საქმით სრულქმნილ არს ყოვლითურთ ჩემ მიერ და უმეტესისა შეძენისათუს დამიც სასოებად ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა. და ყოვლითურთ უმიზნო-ქმნილა მონასტერი ესე ჩემი მოღუანებით და საღმრთოდ შემტკობელ-თათუს მონაზონებისათა. და რომელნიცა სოფლისა ნივთთა-და არშემსჭუალულ არიან მონასტერს მყოფნი, ეგევითართა მათ უდაბნოფსმოყუარეთა და ყოვლად სოფლით განშორე-ბულთა, მათ მიერ უმანკოთა გონებითა განიხილვოდინ ჩემ

მიერ ყოვლად სასოებით და გულსმოდგინებით აღწერილი ესე ანდერძი საღმრთო მსაგანგებისა ამის უდაბნოსათს და მას შინა საღმრთო მსაგანგებისა აღმასრულებელთათს, რომელ სამეფოსა ჩუენსა უდაბნო-ქმნით და ყოვლითურთ საღმრთოდ განწესებით, ზომიერად და ჯეროვნად რაოდენნი მწირველნი და მწირნი მონასტერსა ამას ჩუენსა განგწესებთან სურვილითა ღუწისადათა საღმრთოდ განკუთნვილითა მადლთა მათთაგან, რომელ ჩუენსა სამეფოსა აზნაურსა თქვისა მონასტრისათს არავის დაედვას ესრეთ სასოებად უდაბნოდ განწესებისა და სურვილით და წადიერებით ზედამდგომელობად ყოვლითა გონებითა, ვითარ მე.

